## ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან

ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი გახლავთ XX საუკუნის დასაწყისი – ხანა ახალი იდეოლოგიის დასაწყისისა ფილოსოფიასა და ხელოვნებაში. ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური ევოლუციის კონტურები გეოგრაფიულად ახლომდებარე და ბედისწერით ისტორიულადაც დაკავშირებულ ქვეყნებს შორის მრავალ ტიპოლოგიურ მსგავსებას შეიცავს, ვინაიდან ევროპიდან ექსპორტირებული მოდური „იზმები“ თანაბრად აღაფრთოვანებდა და განაწყობდა პოეზიის განახლების იდეით მოსულ ახალ თაობას. მათ აერთიანებდათ ახლადდაარსებული ლიტერატურული სკოლების პოსტულატები, გამოსახვის მხატვრულ-სტილისტური საშუალებები და ეპოქისმიერი განწყობილებანიც. ეს ხშირად საფუძველი ხდება რუს და ქართველ ესთეტთა შესანიშნავი ადამიანური ურთიერთობების. იმხანად მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ინიციატორი ქართველი სიმბოლისტები საკმაოდ ამბიციური განაცხადით გამოჩნდნენ ლიტერატურულ ავანსცენაზე და დასავლური კულტურული ღირებულებების პარალელურად თვალყურს ადევნებდნენ რუსულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებსაც, სათანადოდ რეაგირებდნენ მის ყოველ გაელვებაზე. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა სიმბოლისტთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატურული პროფილის მქონე პოეტის – ტიციან ტაბიძის შემოქმედება. რუსულ კულტურასთან მისი აქტიური ზიარება 1913 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც იგი მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ტიციან ტაბიძის ავტობიოგრაფია სავსეა ამ პერიოდის რომანტიკული მოგონებებით – „ბუნდოვანი მისტიური დაქანცულობა, ცხარე კამათი გოეთეზე და ლექციები უესტ-მიმიკის თეატრზე“, ნაცნობობა კ. ბალმონტთან, ვ.ბრიუსოვთან, ა. ბელისთან აღაფრთოვანებდა მას. ახალგაზრდა პოეტი იმხანად არამარტო ლექსების, არამედ მინიატურების წერითაც არის გატაცებული, რომლებშიც გარკვევით მოჩანს ნაადრევი სიმბოლისტური განწყობილებანი და რომელიც მოგვიანებით ლიტერატურული სკოლის მანიფესტის სახით ჩამოაყალიბა. მის შემდგომაც მოსკოვში მიღებული შთაბეჭდილებებით მოტივირებული ტიციან ტაბიძე მუდამ აქტიური ლიტერატურული ურთიერთობების გამოკვეთილი ინიციატორი იყო. იგი არა მარტო თარგმნიდა რუსი პოეტების ნაწარმოებებს, არამედ აზრს გამოთქვამდა მათ ლიტერატურულ ფასეულობასა და ხარისხზე, საოცარი მგრძობელობითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საუბარს რუსულ ესთეტიზმზე. ასევე დახმარებას უწევდა ქართული პოეზიის რუს მკითხველამდე მიტანით დაკავებულ პოეტებს. ცნობილია, თუ როგორი დახმარება გაუწია მან კონსტანტინე ბალმონტს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში.





ტ. ტაბიძის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში გამორჩეული ადგილი უკავია წერილებს, რომელიც ეძღვნება რუს მწერლებს. პოეტის ოჯახი მასპინძელი იყო რუსი მწერლების. თავად ტ. ტაბიძეს დიდი ამაგი მიუძღვის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. „ტიციანს უყვარდა და კარგად იცნობდა რუს პოეტთა ლექსებს. საოცრად შთაგონებით უკითხავდა მეგობრებს პუშკინის, ბლოკის, ტიუტჩევის, ანდრეი ბელის ლექსებს“, - იგონებს ნინო მაცაშვილი.

ტიციან ტაბიძის ოჯახში მართლაც ხშირი შეხვედრები იმართებოდა. იგი იქცა ლიტერატურულ სალონად. „ვინ არ მინახავს ტიციანის სახლში, - იგონებდა ლალო გუდიაშვილი, - მისი კარი მუდამ ღია იყო მეგობრებისათვის, მისი მოყვარული და კეთილშობილური გული ყველგან მეგობრებს პოულობდა“. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში თბილისს ეტანებოდნენ და აქ მოჰქონდათ გული ხელოვანთ. ი. ბუნინი თურმე პრალაში ოცნებობდა, ღმერთო, ნეტავ, ახლა დამსვა საქართველოშიო.

ქრონოლოგიურად პირველი წერილი, რომლითაც იხსნება ტ. ტაბიძის რუს მწერლებზე დაწერილი ესსეთა ციკლი, დათარიღებულია 1921 წელს და ეძღვნება ალექსანდრე ბლოკს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა სიმბოლისტებმა ალ. ბლოკი ძირითადად აღიქვეს მის „სიმბოლისტურ“ და „დეკადენტურ“ უღერადობაში. თუმცა, თავად მწერალი 1912 წელს ალი არსენიშვილს საპასუხო წერილში მოუწოდებდა, რომ „წუწუნისა და მოთქმის დრო აღარ იყო“. ნიშნად მისი ლექსების სიყვარულისა, მათ უნდა დაეძლიათ „მისი შხამი“ და ამოეკითხათ იქ მომავლის იმედი.

ამ „მთვარიანი მეგობრის“ მაჯისცემა, როგორც ზინაიდა გიპიუსი უწოდებდა, შეწყდა 1912 წელს. პოეტის სიკვდილს საქართველოში პირველები გამოეხმაურნენ - გალაქტიონ და ტიციან ტაბიძეები. გალაქტიონმა თორმეტ სტრიქონად შეაჯერა უსაზღვრო გლოვა, ტ. ტაბიძემ კი ახალი პოეზიისა და დროის გულთმისანი მესაიდუმლე წერილით გამოიტერა. მასში გაცხადებულია უდიდესი ტკივილი „მისი უაზრო“ სიკვდილის გამო: „ეს იყო ყველაზე უფრო მოულოდნელი, უეცარი, უაზრო სიკვდილი, ისევე როგორც სკრიაბინისა. რუს პოეტებს ჯერჯერობით ვერ მოუნახავთ სიტყვები გარდაცვლილ პოეტზე, მაგრამ ხარი იქნება ალბათ დიდი და ღირებული“, - აღნიშნა მან.

ალექსანდრე ბლოკი ანდრეი ბელისთან ერთად ეკუთვნოდა სიმბოლისტების მეორე თაობას. საგულისხმოა, რომ ტ. ტაბიძე ბლოკს აღიქვამდა არა მხოლოდ დეკადენტ, ხილვებითა და ფანტასმაგორიებით დატვირთულ პოეტად, მან ბლოკში შეიგრძნო რევოლუციის მოლოდინი - „სასწაული წინასწარმეტყველური ინტუიციით“. ალ. ბლოკის „სკვითებში“ მან დაინახა „რევოლუციის გამოძახება და ქადილი“. პუშკინის მერე ტ. ტაბიძე მას ყველაზე ეროვნულ პოეტად ასახელებდა და „პოეზიის ნერონს“ უწოდებდა.

1934 წელს მწერალთა კავშირის პირველ საკავშირო ყრილობაზე ტ. ტაბიძემ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ალ. ბლოკისა და რევოლუციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე და დამსწრეთ შეახსენა, ჩვენი დროისათვის არც თუ მისაღები ჭეშმარიტება, „ალ. ბლოკის „თორმეტნი“ და



„სკვითები“ დღემდე ციაგებენ ჩვენს წინაშე ლენინური დეკრეტისამებრ და რომ, თუ ყრილობაზე ხშირად გაისმა სახელი მაიაკოვსკისა, არანაკლები უფლება აქვს ამისა ბლოკს“.

მართლაც, რუსეთის პირველმა რევოლუციამ უადრესად დიდი როლი ითამაშა ბლოკის იდეურ-შემოქმედებით განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედებითი გზა სიმბოლისტიკების რიგებში დაიწყო და გარეგნული ნიშნებით მომავალშიც სიმბოლიზმის გავლენით ვითარდებოდა, მან მთელი არსებით შეიგრძნო რევოლუციის მოახლოება და პოემებში - „თორმეტი“ და „სკვითები“ მართლაც ნახა „თავისი სრული ხმის აწევის საშუალება“. ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელია ამ პერიოდისათვის ტ. ტაბიძე თავის შეფასებებში და აქედან გამომდინარე, არც ალ. ბლოკის რევოლუციასთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხია ბოლომდე გარკვეული.

სიმბოლიზმის მეორე „მთრთოლვარე ფრთა“ ტიცციანისათვის ყოველთვის იყო ანდრეი ბელი - მისი თანამედროვე, ოჯახთან დაახლოვებული რუსი პოეტი, რომელიც მას განსაკუთრებულად უყვარდა. შ. აფხაიძე თავის მოგონებებში აღნიშნავს: „ტიციანს ძალიან უყვარდა ანდრეი ბელის ერთ-ერთი ლექსი, რომელსაც ხშირად აწეული ხმით იტყოდა ზეპირად. ამ ლექსს უწოდებდა საუკეთესოს და კითხვისას აქცენტს აკეთებდა სიტყვებზე: „Россия, Россия, Россия“. რაღაც წინასწარმეტყველურ ლექსად თვლიდა მას. გასაგებიც იყო: ამ ლექსში იგრძნობა ადრინდელი ტიცციანის სულიერი მოტეხილობა, იდუმალი, პოეტური ცრემლი თუ სწრაფვა რაღაც შორეულისაკენ, ჯერ შეუცნობლისაკენ“.

1927 წელს ანდრეი ბელი საქართველოში ჩამოვიდა და სამი თვე დაჰყო. 2 ივლისს პოეტი სამხედრო გზით ვლადიკავკაზამდე გააცილეს პ. იაშვილმა, გ. ლეონიძემ, კ. ნადირაძემ, პ. ინგოროყვამ და ტ. ტაბიძემ. ანდრეი ბელიმ დაუვიწყარი შთაბეჭდილებები გაიყოლა საქართველოდან, ამათგან ყველაზე თბილი ტ. ტაბიძესა და მის ოჯახზე: „აი დიდთვალემა, ფართობეჭდიანი, წელში ოდნავ მოხრილი უცნაური ტიცციანი, სულ წინ მიიწევს, მხარს ისე გვაშველებს, ვერც მე მხედავს და ვერც თავის ამხანაგებს. ქარი განიერ პერანგს უფრიალებს, თქვენში ისეთს რასმეს ნიშნავს, სახტად დარჩებით. წლების მანძილზე მწერლებს ესაუბრები, მათ გვერდით მუშაობ, ისინი კი აინუნშიც არ გაგდებენ, არ აინტერესებთ რითი სულდგმულობ, ამ ქართველმა კი ერთ დღეში ამოიცნო ყველაფერი, მიმიხვდა გულისნადებს ტ. ტაბიძის ლექსებში ჰაეროვანი, უღერადი, ფართოტალღოვანი ხმოვნების ზვირთები გვაოცებენ, ყურადღებას თანხმოვანებზე ამახვილებენ, მიწა კი არა ჰაერი იპობა, როცა იგი ლექსებს კითხულობს. ჰაეროვანი ტაბიძე ელვასავის ჭექს, ნიაღვარად მოედინება“. ტიცციანის პოეტური ბუნება რუს თანამოკალმეთ გულწრფელად აღაფროვანებდა. ისინი ძლიერი და ემოციური ფერებით ხატავდნენ მის სახეს, რომელმაც თავის მხრივაც უკვდავყო მათი სახელები ქართულ მწერლობაში.

ტ. ტაბიძის წერილი ანდრეი ბელიზე დაწერილია მისი გარდაცვალების შემდგომ. მან ბელის შემოქმედებას ღირსეული ადგილი მიუჩინა არა მარტო რუსული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის დიდ ოჯახში. თავად ანდრეი ბელიმ წიგნში „კავკასიის ქარი“ არაერთი სტრიქონი უძღვნა ქართველ სიმბოლისტებს.



წერილში ტ. ტაბიძე მიემხრო ბ. პილნიაკისა და ბ. პასტერნაკის ანდრეი ბელიზე, რომელმაც იგი მსოფლიო სახელებს ამოუყენეს და გამოთქვეს აზრი ანდრეი ბელის შემოქმედების გადამწყვეტ ზეგავლენაზე რუსეთის ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. თუმცა ამ უკანასკნელი მოსაზრების თაობაზე ტ. ტაბიძეს თავის შეხედულება გააჩნია, რადგან თვლიდა, რომ ანდრეი ბელის შემოქმედებაში შეინიშნებოდა ურთიერთგამომრიცხვი ტენდენციებიც და იგი სტილისა და მსოფლმხედველობის ძიებაში მრავალ საბედისწერო ბრძოლაში ებმებოდა ხოლმე: „როდესაც ანდრეი ბელი ხვდებოდა კაპიტალისტური კულტურის კრიზისს, ეხეთქებოდა კარებს ამ საპყრობილიდან გასაფრენად, მაგრამ ვერ ენახა ეს გზა, ან თუ ხანდახან ნახულობდა, მალე რწმუნდებოდა, რომ ეს არ იყო მთავარი მაგისტრალი, ეს იყო მხოლოდ დროებითი განათება და ერთი ჯურღმულიდან მეორე ჯურღმულში გადავიდა“. ვფიქრობთ, ტ. ტაბიძე „ჯურღმულში“ ანდრეი ბელის დეკადენტური პოეზიით გატაცების პერიოდს გულისხმობდა. რასაკვირველია, 1934 წელს ამ მიმდინარეობას წერილის ავტორი დადებით ეპითეტს ვერ მიუსადაგებდა. ჩვენს ამ მოსაზრებას ამაგრებს ტ. ტაბიძის კომენტარიც, რომელსაც იგი ურთავს ანდრეი ბელის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსს, მართალია, ეს ლექსი ბლოკის „თორმეტის“ და „სკვითების“ ყალიბითაა დაწერილი, მაგრამ ქრისტე მაინც არ სცილდება რევოლუციასო.

ტიციან ტაბიძე წინასწარმეტყველის ალლოთი გამორჩეულს უწოდებდა ანდრეი ბელის რომანს „პეტერბურგი“, რომელიც ეძღვნება 1905 წლის რევოლუციას და მასში მართლაც იგრძნობა ანდრეი ბელის რევოლუციის სამსახურში ჩადგომის სურვილი. ამავე განწყობილებას ამჩნევდა იგი პოეტის სხვა ნაწარმოებებშიც – „ორი საუკუნის მიჯნაზე“ და „საუკუნის დასაწყისი“, სადაც მან მართლაც გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება სხვახასხვა არაპროლეტარული ლიტერატურული დაჯგუფებების მიმართ. ამ პერიოდისათვის კრიტიკულია თავად ტ. ტაბიძის აზრიც მათ მიმართ: „გონიათ, რომ მსოფლიო პრობლემებს არკვევენ და ჭეშმარიტებას ეძებენ – ნამდვილად კი მომწყვედულები არიან ბურჟუაზიული კრიზისის რგოლში. ისინი სათავეში უდგანან ლიბერალურ აზროვნებას, აკადემიას, უნივერსიტეტს, რელიგიურ-ფილოსოფიურ საზოგადოებებს და მწერლობას – ოღონდ, სადაც ეს ხალხი შედის, ყველგან შეაქვთ თავისი სულიერი სიცარიელე, ხალხის ძირებიდან მოწყვეტა, მორალური უძლურება და ქიმერული ოცნება“.

ტ. ტაბიძეს ჩაფიქრებული ჰქონდა ვრცელი მოგონებების დაწერა ანდრეი ბელიზე. ეჭვგარეშეა, მას მართლაც ბევრი ექნებოდა მოსაგონარი, თუნდაც პოეტის სამთვიანი სტუმრობის თაობაზე საქართველოში 1927 წლის ზაფხულში. სამწუხაროდ, უფრო ვრცელი მოგონებების შექმნა მას არ დასცალდა.

რუსული სიმბოლიზმის ისტორიაში ლიდერის როლი იმხანად ეკუთვნოდა ვალერი ბრიუსოვსაც. წერილში „ვალერი ბრიუსოვი“ ტ. ტაბიძემ მისთვის დამახასიათებელი უნივერსალობით, მოვლენების გაანალიზებითა და პოეტის როლის გათვალისწინებით რუსულ კულტურაში ზოგადად, აღნიშნა ის წვლილი, რომელიც ბრიუსოვს მიუძღოდა რუსული პოეზიის განვითარების საქმეში, კერძოდ, რუსული ლექსის რაფინირება-დახვეწის პროცესში: „არავინ რუსეთში



არ იცის ლექსის მაგია და აღგებრა, როგორც ბრიუსოვმა. მან ინტერესის სიმბაფრით ამოსწოვა პუშკინის ლექსი და ქიმიურად დახსნა მისი ტექსტი. უეჭველია, ვ. ბრიუსოვს არ აინტერესებდა ლექსი მარტო მეცნიერულად. მან გამოსწოვა და შეინდო რუსეთის ლექსის ყოველი შესაძლებლობა და შეშლილი ინჟინერივით მიუყენა სამყაროს. ვალერი ბრიუსოვი ნამდვილად იოანე კალიტაა რუსული პოეზიისა, მან შეკრიბა, შეამრთელა და ლათინური ფოლადივით შეჭედა რუსული ლექსი“.

აქვე ტ. ტაბიძე აღნიშნავდა, რომ მის პოეზიას თემატური განახლება ესაჭიროებოდა, რომ თავისი თავის გადამღერებით კმაყოფილებამ ბრიუსოვის რიტორიკა სიყალბეში გადაზარდა. თავის დროზე ამასვე უკიჟინებდა მას ანდრეი ბელიც, თავის მოგონებებში ალ. ბლოკზე, მან საკმაოდ მკაცრად დაახასიათა ბრიუსოვის პოეზიაში არსებული ეს ტენდენცია. ტ. ტაბიძე თავის შეფასებებში შედარებით ღმობიერი იყო. იგი გადაჭარბებულად მიიჩნევდა ბრიუსოვის მიმართ ასეთ სიმკაცრეს და კორექტულად ურჩევდა თანამოკალმეს გაეხალისებინა თავისი პოეზია. ამ გახალისებაში, ვფიქრობთ, იგი გულისხმობდა დაინტერესებას რევოლუციის თემატიკის, რომელიც 1924 წლისათვის უკვე ლიტერატურისათვის წაყენებული ერთ-ერთ მოთხოვნილებად იყო ფორმირებული.

სხვა თანამედროვეებთან შედარებით მცირე მოგონება დაგვიტოვა ტიცთან ტაბიძემ ვლ. მაიაკოვსკიზე. მიუხედავად იმისა, რომ მას რუსი პოეტი არა მარტო სიმწიფის ხანაში ახსოვდა, არამედ ყმაწვილობისას, როდესაც ისინი ერთად სწავლობდნენ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. „ტანმაღალი, გამხდარი ყმაწვილი, რომელიც რუსი ბიჭებისაგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ შესანიშნავად ცურაობდა რიონში და მუშტი-კრივშიც კარგი დამრტყმელი იყო“.

უკვე ცნობილი პოეტი – მაიაკოვსკი საქართველოში ჩამოვიდა 1914 წლის 25 მარტს. მას თან ახლდნენ ფუტურისტი პოეტები – ბერლიუკი და ვ. კამენსკი. მისი შემდეგი ვიზიტი შედგა 1924 წელს. საუბედუროდ, ტ. ტაბიძეს ვერც ამჟამად მოუხერხებია მასთან შეხვედრა. ამ დროისათვის მას ნათარგმნი ჰქონდა ვლ. მაიაკოვსკის „მისტერია ბუფი“, რადგან დიდ ქართველ რეჟისორს კ. მარჯანიშვილს განზრახული ჰქონდა „დაედგა იგი ფუნკულიორზე, ღია ცის ქვეშ, ანტიკური სანახაობის მსგავსად“. მაიაკოვსკის მოსწონებია კ. მარჯანიშვილის ჩანაფიქრი, რაც, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩენილა.

ტ. ტაბიძეს უკანასკნელად ვლ. მაიაკოვსკი უნახავს 1928 წელს მოსკოვში, როდესაც ტარდებოდა ლ. ტოლსტოის იუბილე. მაიაკოვსკის თხოვნით, ისინი „გრანდ-ოტელში“ შესულან და დიდხანს უსაუბრიათ. იმხანად თურმე მაიაკოვსკი გამგზავრებას აპირებდა საზღვარგარეთ, რაშიც მას წინააღმდეგობას „რაპპი“ უწევდა.

წერილი „ვლადიმერ მაიაკოვსკი“ ნაკლებად ეხება პოეტის შემოქმედებით თავისებურებებს, იგი უფრო მოგონებაა და ტიცთან ტაბიძის პიროვნული დამოკიდებულების გამოხატულება.

1937 წელს საბჭოეთში აღინიშნა ალ. პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილე. ამ თარიღთან დაკავშირებით შეიქმნა კომიტეტი, რომელიც მოწოდებული იყო ორგანიზება მოეხდინა ღონისძიებისათვის. სახელგამმა გამოსცა პუშკინის ორტომეული, რომლის თარგმანი ეკუთვნოდა პ. იაშვილს, კ.



ჭიჭინაძეს, ვ. გაფრინდაშვილს, გრ. ცეცხლაძეს, ს. ჩიქოვანს, კ. ნადირაძეს, ვ. გაჩეჩილაძესა და ტ. ტაბიძეს. გარდა თარგმანისა, ამ თარიღთან დაკავშირებით ტ. ტაბიძემ დაგვიტოვა წერილი „აღ. პუშკინი“.

პუშკინის იუბილემ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში XIX ს-ის დასასრულს - 1899 წელსაც. გადახდილ იქნა პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენიებლად, გაიგზავნა გვირგვინი სასაფლაოზე, დაარსდა პუშკინის სახელობის ფონდი ასოთამწყობათვის. ამ თარიღს გამოეხმაურნენ გაზეთები „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეკრიბა და გამოსცა აღ. პუშკინის თხზულებათა კრებული, რომელშიც შევიდა ყველაფერი, რაც იმ დროისათვის იყო ნათარგმნი.

თითქმის ოცდათვრამეტი წლის მერე, რადიკალური სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, 1937 წელს საქართველოში კვლავ ზემოთ აღინიშნა პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილე. ტ. ტაბიძის წერილიც სწორედ ამ თარიღს ეძღვნება.

ტიციან ტაბიძემ თავისი თვალთახედვით განსაზღვრა აღ. პუშკინის პოეზიის დიდი მნიშვნელობა რუსული ლიტერატურის ისტორიაში. მან ყურადღება გაამახვილა კავკასიის და, კერძოდ, საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების ზეგავლენაზე მის შემოქმედებაში. პუშკინით დაინტერესება კავკასიის თემით პირველად შენიშნა აღ. გოგოლმა. მან თავის სტატიაში „რამდენიმე სიტყვა პუშკინზე“ აღნიშნა, თუ როგორი ზეშთაგონებითა და ვნებით აღწერდა პოეტი კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ბუნებას. ტიციან ტაბიძე გოგოლის მოსაზრებას იზიარებდა: „პუშკინმა პირველმა შემოიტანა რუსეთის პოეზიაში საქართველოს ბუნების ამღერება. მის კვალს მიჰყვა მ. ლერმონტოვი და შემდეგ არ დარჩენილა თითქმის არც ერთი გამოჩენილი რუსი პოეტი, რომელსაც არ ეძღვნას თავისი სიმღერა ამ ბუნებისათვის. მაგრამ ის სისრულე, სისადავე, ყოვლისდამტვევი ზეშთაგონება, რაც ბუნებრივად ამშვენებდა პუშკინის პოეზიას, დღემდე მიუწვდომელი რჩება“.

ტ. ტაბიძე ალექსანდრე პუშკინს თვლიდა ახალი რუსული სალიტერატურო ენის შემქმნელად და მიაჩნდა, რომ მის გავლენას არ იყო მოკლებული ქართული მწერლობაც: „ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა ქართული მწერლობა თავს იხსნიდა ირანული პოეზიის ზეგავლენისაგან და ქართველი რომანტიკოსები: აღ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი და სხვები თანდათან ტოვებდნენ იმ გზას პოეზიაში, რომელსაც ადგნენ ბესიკი და საიათნოვა, და ევროპული კულტურის გარემოცვაში შედიოდნენ, როცა თავის თავს ნახულობდა ადრე გადასული ნიკოლოზ ბარათაშვილის გენია, - პუშკინი იყო პირველი პოეტი რუსეთში, რომელთანაც მათ აკავშირებდათ პოეტური გემოვნება და მეთოდი“. საგულისხმოა, რომ ტ. ტაბიძე თავის მოსაზრებებს ქართველი პოეტების ნათესაობის შესახებ პუშკინთან ამაგრებს პროფ. დონდუას შეხედულებებით წიგნიდან „Пушкин в мировой литературе“, რომელიც ასევე თვლიდა, რომ გრ. ორბელიანს, აღ. ჭავჭავაძეს, ილიასა და აკაკისაც ბევრი რამ ანათესავებდათ პუშკინთან. ქართველი ავტორები მართლაც ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე თარგმნიდნენ პუშკინს. ამ



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დააკლეს. მარადიულობის სიმბოლოს – პოეზიასა და ზოგადად ხელოვნების  
თვალსაწიერს თავისი კანონზომიერება მართავს. დოსტოევსკისა არ იყოს,  
„შემოქმედი მაინც გამონახავს დროს და საქმეს გააკეთებს“. სწორედ ამ საქმეს  
შეუძლია ჩვენი განცდების ტრანსფორმირება და მისთვის მიმართულების მიცემა.

**Salome Kapanadze**

*Surveys of Georgian and Russian Literary Relations*

**Summary**

In the matter of Georgian and Russian relations, the beginning of the XX-th century is considered to be of great importance. This is the period of fundamental changes in literature and philosophy. Integration tendency and novation in the literary schools of Europe led to the union of Georgian and Russian poets. From this point of view it is very interesting to review the relationship between Georgian Symbolists and well-known Russian poets of this period. Georgian poets not only translated but also made Russian poetry popular to readers. So we can say that the XX century is a very fruitful period both for the history of Georgian and Russian literature.

**Саломе Капанадзе**

*Из истории грузино-русских литературных взаимоотношений*

**Резюме**

В истории грузино-русских литературных взаимоотношений важным периодом является начало XX века, когда происходят радикальные изменения в искусстве и философии.

Общие интересы грузинских и русских писателей определялись существованием модных литературных школ.

Они интересовались и популяризировали поэтические ценности друг друга и глубоко верили, что в поэзии началась новая эра, у истоков которой стоять очень почетно и ответственно.



## ქართული დამწერლობის პალეოგრაფიული მასხასიათებლები აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში

კაცობრიობის მიერ თავისი განვითარების გრძელ გზაზე შექმნილ კულტურულ ღირებულებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს დამწერლობას, რომლის ისტორია საკაცობრიო კულტურის ისტორიაა და ბუნებრივია, ერთ-ერთ გამოჩენილ ადგილს იჭერს ამა თუ იმ ერის კულტურულ ცხოვრებაში. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოპოვებული დამწერლობის ნიმუშები იმ კულტურულ ღირებულებათა ერთობლიობაში შედის, რომელიც აქ მცხოვრებმა ხალხმა შექმნა და თავისი კულტურის საგანძურში შეიტანა.

თანამედროვე აფხაზეთის, ისევე როგორც ისტორიული „აფხაზეთა სამეფოს“ (დასავლეთ საქართველოს) ტერიტორიაზე შემორჩენილი წერილობითი ძეგლები სამ ენაზე გვხვდება: ქართულ, ბერძნულ და თურქულ ენებზე. მათ შორის ბერძნული და თურქული ძეგლები შემორჩენილია მხოლოდ ეპიგრაფიკული ძეგლების სახით. თ. ყაუხჩიშვილის მონაცემებით, აფხაზეთში, ისევე, როგორც დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლები, ძირითადად, IX საუკუნემდეღია, ანუ ეკუთვნის იმ ეპოქას, როცა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ნაწილი (ალბათ უფრო ზღვისპირა ზოლი) ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის სამწყსოს ეკუთვნოდა.

თურქულ ენაზე ნაპოვია 6 ეპიგრაფიკული ძეგლი, მათ შორის ყველაზე ადრინდელია 1598 წლით დათარიღებული ვინმე მეჰდის წარწერა. გარდა ამისა, XVIII საუკუნეს განეკუთვნება ჯირხვასა და ჭლოუს (ჭალის) წარწერები, ასევე მეჰმედ ემინის წარწერა. XIX საუკუნითაა დათარიღებული ბათალ-ბეი მარშანასა და ხასან ბეი შერვაშიდის წარწერები [2.71].

რაც შეეხება ქართულ ენაზე დაცულ წერილობით ძეგლებს, ისინი გამოირჩევიან როგორც მრავალრიცხოვნებით, ასევე მრავალფეროვნებით. მათ შორის ერთ-ერთ საინტერესო ჯგუფს ჰქმნიან ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც მდიდარ მასალას იძლევიან, როგორც ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევისათვის, ისე დამწერლობის განვითარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. აქ წარმოდგენილია ქართული დამწერლობის განვითარების სამივე საფეხური: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. მათ შორის წარწერებში უპირატესად წარმოდგენილია ასომთავრული დამწერლობა, რომლითაც შესრულებულია ამ მხარის წარწერების დიდი ნაწილი. აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ლაპიდარული, ფრესკული და ჭედური ფონდის უმრავლესობა, დაახლოებით 50-ზე მეტი წარწერა ასომთავრული ანბანითაა წარმოდგენილი, ხუთი წარწერა ნუსხურით და ამდენივე მხედრულით, მაგრამ არის ნუსხურნარევი და მხედრულნარევი წარწერები, რომლებიც ძირითადად, გარდამავალი პერიოდის ნიმუშებს მიეკუთვნებიან.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, აფხაზეთის ქართული წარწერების უმრავლესობა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის დროინდელია. მთლიანად მათი ქრონოლოგია IX-XIX საუკუნეებს მოიცავს და მათ შორის არის XIX საუკუნის საფლავის ქვის ეპი-



ტაფიები, რომლებიც ძირითადად, ასომთავრულითა და მხედრულით არის შესრულებული

შინაარსის მიხედვით აფხაზეთის წარწერებში გვხვდება, როგორც ქტიტორულ-სამშენებლო ხასიათის წარწერები, ისე მემორიალური ტექსტები, ეპიტაფიები და ა.შ. განსაკუთრებით ჭარბობს მემორიალური ტექსტები.

აღნიშნულ ეპიგრაფიკულ მასალებს შორის პალეოგრაფიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა, ასომთავრული დამწერლობის ძეგლები. ქართული ასომთავრული მსგავსად კლასიკური დამწერლობისა, გრაფიკული სტრუქტურისა და არქიტექტონიკის თვალსაზრისით მონუმენტური, ანუ კაპიტალური დამწერლობაა. ანბანურმა სამყარომ იცის რამდენიმე მონუმენტური დამწერლობა, რომლის უპირველესი ნიშანთვისებაა გეომეტრიული გრაფიკა, როცა ყველა ასო-ნიშანი თანაბარი სიდიდისაა და ასო-ნიშნები ორ პარალელს შორის თავსდება. ქართული ასომთავრული მონუმენტური და გეომეტრიული სტილის სრულყოფილი გრაფიკული სისტემაა. ასო-ნიშნების გეომეტრიული მოხაზულობა, გრაფემების თანაზომიერი სიმაღლე და სწორხაზოვნება ქართული ასომთავრული ანბანის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია [9.141].

აღნიშნული პრინციპები დამახასიათებელია აფხაზეთის ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიმუშებისთვისაც, რომლებიც, ისევე როგორც სხვა ქართული ასომთავრული ეპიგრაფიკული ძეგლები, ძირითადად ითვალისწინებენ მონუმენტურობის პრინციპებს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს გრაფემების ძირითადი ნაწილის სწორხაზოვნება და თანაბარი სიმაღლე, რაც განაპირობებს მათ სრულყოფილ განთავსებას ორხაზოვან საწერ ბადეში. ჩვეულებრივ, ასომთავრული გრაფემების ამოკვეთისას ოსტატთა დიდი ნაწილი ცდილობს დაიცვას ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციები. მართალია, ზოგჯერ შეიმჩნევა ამ ტრადიციების რღვევა, რაც ერთი მხრივ შეიძლება გამოწვეული იყოს მასალის, ქვის ფილის დაუმუშავებელი ზედაპირით, მეორე მხრივ, იგი მიუთითებს დამწერლობაში მიმდინარე ცვლილებებზე, კერძოდ, ნუსხური და მხედრული ანბანისათვის დამახასიათებელი ოთხხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციების დამკვიდრებაზე დამწერლობაში.

ასომთავრულში მიმდინარე ეს ცვლილებები ნ. შოშიაშვილმა დაუკავშირა ქართულ დამწერლობაში VIII–IX საუკუნეებში მიმდინარე რეფორმებს, რომლის საფუძველზე შეიქმნა ნუსხა-ხუცური. მასში აისახა მთავრული დამწერლობის VIII საუკუნის პალეოგრაფიული ნიშნები (წრეგახსნილი ხაზები, გრძელი ბუნები და სხვა). აღნიშნულ ცვლილებათა გაგრძელებად მიაჩნია მკვლევარს ამ პერიოდის ასომთავრულში შემჩნეული თავისებურებანი. IX–X საუკუნეების ლაპიდარული წარწერების დამწერლობებში შეიმჩნევა სხვა ცვლილებებიც. იწყება გრაფემების სტილიზაცია, ხდება კიდურწერტილოვნება და კიდურწაისრულობა, გვხვდება ლიგატურა (შეწიალება) [15.33].

ბუნებრივია, აფხაზეთი არ იყო ამ მოვლენებიდან შორს, რაც შესაბამისად აისახა კიდევ ამ მხარის ქართული დამწერლობის ნიმუშებში. უფრო მეტიც, ქართულ ისტორიულ პროვინციებს შორის, აქ ყველაზე ადრე შეიმჩნევა დამწერლობაში დაწყებული ცვლილებები. კონკრეტულად მხედველობაში გვაქვს ქართული ასომთავრული დამწერლობისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორცაა კიდურწაისრულობა და კიდურწერტილოვნება. ქართული ანბანის ამ თავისებურებებს პირველად ყურადღება ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია და გამოიკვლია, რომ ძველად ქართულ დამწერლობაში გამოიყე-





ნებოდა სხვადასხვა სახის ხელოვნებით დამწერლობანი, რომლებსაც მან „კიდურწვეტიანი“ ლოვანი, ტყუბწვეტიანი, კიდურწვეტიანი, ბოლოწვეტიანი, შეწიაღებულნი, დასუსტებულნი, ბუნშეზრდილი დამწერლობანი, ხოლო კიდურწაისრული დამწერლობის ნიმუშებს ტყუბწვეტიანი უწოდა. დამწერლობის ამ თავისებურებას ლ. მუსხელიშვილმა „კიდურისრებიანი და ე. წ. ტყუბწვეტიანი მთავრული“ უწოდა. საკუთრივ ტერმინი „კიდურწაისრული“ შემოიღო და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა გამოიყენა ვ. სილოგავამ. ამჟამად ეს ტერმინი საყოველთაოდ დამკვიდრებულია.

კიდურწაისრული დამწერლობის ძეგლების კვლევის არეალი ივ. ჯავახიშვილის შემდეგ კიდევ უფრო გააღრმავა ლ. მუსხელიშვილმა, რომელმაც სვეტიცხოვლის წარწერების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ტიპის წარწერებს და აღნიშნა: „სვეტიცხოვლის გარეთა ბჭის წარწერა (იგულისხმება მელქისედეკ კათალიკოსის წარწერა — ლ. ა.), თავისი პალეოგრაფიული თვისებებით განმარტოებით არ გვევლინება. აქ ჩვენ, უსათუოდ, გარკვეულ კალიგრაფიულ სკოლასთან გვაქვს საქმე, რომელიც დღეს-დღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, XI საუკუნის დამდეგამდე ჩამოყალიბდა, შესაძლებელია შიდა ქართლში“ [8]. მკვლევარის ვარაუდი, რომ „გარკვეულ კალიგრაფიულ სკოლასთან გვექონდა საქმე“ — გამართლდა, მაგრამ გაიზარდა ამ ტიპის ძეგლების კვლევის არეალი, რადგან XX საუკუნის 50-იან წლებში, კახეთის ისტორიული ძეგლების შესწავლისას თ. ბარნაველმა ყურადღება მიაქცია ალავერდის, სამთავისისა და სვეტიცხოვლის წარწერების მსგავსება-თავისებურებებს. აღნიშნული წარწერების გრაფიკული მონახაზების შედარების მიხედვით, მკვლევარმა მიიჩნია, რომ ეს წარწერები „ტყუბწვეტიანია და თარიღდება XI საუკუნის I ნახევრით“ [5.11]. ამ მონაცემების საფუძველზე კიდურწაისრული დამწერლობის გავრცელების არეალი ქართლიდან კახეთში გაფართოვდა, ხოლო XX საუკუნის 70-80-იან წლებში, დასავლეთ საქართველოს ლაპიდარული წარწერების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსვლის შემდეგ, კიდურწაისრული დამწერლობის ძეგლები აღმოჩნდა ნიკორწმინდის, კაცხის, გოდოგანის და ა. შ. ისტორიულ ძეგლებზე. აღნიშნული დამწერლობის კლასიკურ ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს ნიკორწმინდის ქათამ-ვეშაპას, სირაქლეშების, ფასკუნჯების გამოსახულებების წარწერები, ჭიათურის რაიონში კაცხის ტაძრის იოჰანისა და ჯიხუა ძის წარწერები, ონის რაიონში მრავალძალის ეკლესიის კეთილად მოღუაწეთა წარწერა და ა. შ. [იხ. 16. №91, 92, 93, 90, 81, 85]

საკითხის კვლევის თავდაპირველ ეტაპზე, როცა ლ. მუსხელიშვილი წერდა, რომ „გარკვეულ კალიგრაფიულ სკოლასთან გვაქვს საქმე, რომელიც დღეს დღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, XI საუკუნის დამდეგამდე ჩამოყალიბდა, შესაძლებელია ქართლში“, მაშინ ერთი შეხედვით, მართლაც ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ეს მოვლენა მხოლოდ ქართლის, ან აღმოსავლეთ საქართველოსთვის იყოს დამახასიათებელი, მაგრამ ამ მხრივ მდიდარი აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის მხარის ეპიგრაფიკული ძეგლები. ამ სახის დამწერლობის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გუდაუთის რაიონის სოფ. ანუხვაში აღმოჩენილ გიორგი ბასილის ძის წარწერას, რომელიც კიდურწაისრული დამწერლობის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთ წარწერებს მიეკუთვნებიან აგრეთვე გუდაუთის რაიონის სოფ. ხუაფის (ხოფის) წმ. ნიკოლოზის ტაძრის წარწერა, გულირიფშის რაიონის სოფ. წებელდის ეკლესიის მიქაელის წარწერა, სოხუმის რაიონის სოფ.



ბესლეთის ხიდის (თამარის ხიდის) წარწერა, გალის რაიონის სოფ. ღუმურიშის ვაკე  
სიის საგდუხტ „დეოფალთ დეოფალის“ წარწერა და ა. შ. აღნიშნული მასალის გრაფიკული  
სტრუქტურებისა და ასომთავრული გრაფემების შედარება საქართველოს სხვა ის-  
ტორიული რეგიონების კიდურწაისრული დამწერლობის ძეგლებთან საშუალებას იძლევა  
ვისაუბროთ XI საუკუნის საქართველოში კიდურწაისრული, ქვის კალიგრაფიული სკო-  
ლის არსებობაზე, რომელმაც თავისებური მიმდინარეობა შექმნა ასომთავრული დამწერ-  
ლობის გრაფიკულ მოხაზულობაში, მაგრამ გრაფიკული სტრუქტურის მხრივ ამ სკო-  
ლას არ შეუცვლია ასომთავრულისთვის დამახასიათებელი ძირითადი არქიტექტონიკა:  
ორხაზოვანი საწერი ბადე და გრაფემების თანაბარი სიმაღლე. პირიქით, როგორც ჩანს,  
გრაფემათა მოხაზულობაში მან მკაცრად განსაზღვრა ორხაზოვანი საწერი ბადის ტრა-  
დიციები, მაგრამ ასოებზე წყვილი ისრების დამატებით მეტი მოძრაობა და პლასტიკუ-  
რობა, მხატვრულად რომ ვთქვათ, გამოცოცხლება შეიტანა ქვაზე შესრულებულ წარწე-  
რათა მონუმენტურობაში. გრაფემების მოხაზულობათა მსგავსება აშკარად მიუთითებს,  
რომ აღნიშნულ სკოლას გააჩნდა მკაცრად დაკანონებული ქვის კალიგრაფიული ხელო-  
ბის წესები და ტრადიციები, რომლებიც ითვალისწინებდნენ დამწერლობაში მიმდინარე  
პროცესებსა და ცვლილებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს,  
რომ დამწერლობის ეს სახე, როგორც ჩანს, განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარ-  
გებლობდა აფხაზეთში, რადგან აქ გამოვლენილი კიდურწაისრული დამწერლობის ძეგ-  
ლები ქართული ეპიგრაფიკული ფონდის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

საყურადღებოა ისიც, რომ კიდურწაისრული დამწერლობის ძეგლები, ძირითადად,  
XI საუკუნით თარიღდება, მაგრამ აფხაზეთის წარწერებში გვხვდება უფრო ადრინდელი  
ნიმუშები, რომლებიც ამ ტიპის ხელოვნებითი დამწერლობით არის შესრულებული, მა-  
გალითად გუდაუთის რაიონის სოფ. ხუაფის (ხოფის) წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძ-  
რის წარწერა, რომელშიც გიორგი II აფხაზთა მეფე და მისი ქალიშვილი გურანდუხტი  
არიან მოხსენიებული, შესაბამისად წარწერა 922-957 წლებით თარიღდება და ეს ძეგ-  
ლი წარმოადგენს კიდურწაისრული დამწერლობის ყველაზე ადრინდელ ნიმუშს საქარ-  
თველოში [4. 147-154]. ქრონოლოგიურად ამ ტიპის მომდევნო წარწერებია საგდუხტ  
„დეოფალთ დეოფალის“ წარწერა, რომელიც XI საუკუნის I ნახევრით თარიღდება. XI  
საუკუნით არის დათარიღებული წებელდის წმ. მიქაელის წარწერა და გიორგი ბასი-  
ლის ძის წარწერა.

გარდა ლაპიდარული წარწერებისა კიდურწაისრულობა დამახასიათებელია აფხაზე-  
თის ჭედური წარწერებისთვისაც. ამ ნიშნით განსაკუთრებით გამოირჩევიან წმ. ეკატერი-  
ნეს ხატისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატის წარწერები წებელდის რეგიონიდან  
[3]. მათი პალეოგრაფია გვაფიქრებინებს, რომ კიდურწაისრულობა მხოლოდ ქვის კა-  
ლიგრაფიისთვის არ იყო დამახასიათებელი და შესაბამისად არსებობდა კიდურწაისრული  
დამწერლობის ქვისა და ჭედური ხელოვნების კალიგრაფიული სკოლები.

ზემოთდასახელებული ლაპიდარული და ჭედური დამწერლობის ძეგლების გრაფი-  
კული მოხაზულობის შესწავლა და პალეოგრაფიული ანალიზი საფუძველს გვაძლევს  
ვიფიქროთ, რომ აფხაზეთში ამ სკოლების ძლიერი ცენტრები არსებობდა, უფრო მეტიც,  
თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სახის ყველაზე ადრინდელი და ყველაზე მრავალრიც-  
ხოვანი ნიმუშები აფხაზეთის ტერიტორიაზე არის დადასტურებული საფიქრებელია, რომ



გარდა კიდურწაისრულობისა აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის გვხვდება ხელოვნებითი დამწერლობის მეორე ტიპი „კიდურწერტილოვნება“. ტერმინი „კიდურწერტილოვანი“ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ივ. ჯავახიშვილმა და იგი დღესაც გამოიყენება ასეთი წარწერების დასახასიათებლად. აღნიშნულ წარწერებში ყოველი გრაფემა იწყება და მთავრდება წერტილით. აფხაზეთში ამ სახის წარწერებს მიეკუთვნებიან ვალის რაიონის სოფ. გუდავის რაბაჰსა და ნუგამწირას წარწერა, დეკანოზის წარწერა, ილორის ტაძრიდან გიორგი ქოჩოლაგას წარწერა, მოქვის ცნობილი ტაძრის სამრეკლოს წარწერა, რომელშიც მოქველი ეპისკოპოსი გრიგოლი არის დასახელებული და ა. შ.

კიდურწაისრული წარწერებისაგან განსხვავებით კიდურწერტილოვან წარწერებს არ გააჩნიათ განსაზღვრული ქრონოლოგიური ჩარჩოები. მაგალითად, გიორგი ქოჩოლაგას წარწერა XI საუკუნით თარიღდება, მოქვის წარწერა XII საუკუნით, ხოლო რაბაჰსა და ნუგამწირას წარწერა XV–XVI საუკუნეების მიჯნით. მაგრამ განსხვავება მათ გრაფიკულ მოხაზულობაში აშკარად შეიმჩნევა: XI–XII საუკუნეების კიდურწერტილოვანი გრაფემები სიმეტრიულია, ხოლო XIV–XVI საუკუნეების ძეგლები ასიმეტრიული. აფხაზეთს გარეთ ამ ტიპის წარწერები გვხვდება საქართველოს ყველა კუთხეში და აღნიშნული მოვლენაც ზოგადად ქართული ასომთავრულისთვისაა დამახასიათებელი. მაგ. ცნობილია უბისას ტაძრის კიდურწერტილოვანი წარწერები, ჯრუჭის წმ. გიორგის ეკლესიის, ვაჰანის მონასტრის და ა. შ. აღნიშნული წარწერების გრაფიკული სტრუქტურებისა და პალეოგრაფიული მახასიათებლების შედარება აფხაზეთის ეპიგრაფიკულ მასალასთან აშკარად მიუთითებს ერთიანი ქართული კალიგრაფიული სკოლების არსებობაზე, ერთიან კულტურულ-ისტორიულ სივრცეზე და სადამწერლობო კულტურაზე, რომელიც საერთო იყო საქართველოს ყველა კუთხისათვის.

აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის ყველაზე ადრეულია გუდაუთის რაიონში მსიგხუას მთაზე, მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში გამოვლენილი ასომთავრული დამწერლობის ნიმუშები, რომლებიც ჩვენამდე დაზიანებული სახითაა მოღწეული, მაგრამ გადარჩენილ გრაფემათა მოხაზულობაში იგრძნობა იშვიათი გულმოდგინებით გამოვლენილი ოსტატობა, რაც დამახასიათებელია IX–X საუკუნეების ქართული დამწერლობისათვის.

მონუმენტური ასომთავრულითაა შესრულებული მოქვის XII საუკუნის, ასევე ჭლოუს XV საუკუნით დათარიღებული ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესი ოზბეგ დადიანის წარწერები, ხოლო ასომთავრულისთვის დამახასიათებელი ორხაზოვანი საწერი ბადის რღვევის ტენდენციები შეიმჩნევა გუდავის რაბაჰსა და ნუგამწირას, წებელდის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის საამშენებლო წარწერის, ანუხვის სვეტის წარწერის ნიმუშებში. საერთოდ, ქართულ ასომთავრულში IX საუკუნიდან იგრძნობა გრაფემათა არაპროპორციულობა, როცა გრაფემა ჩაწერილია საწერი ბადის ზედა და ქვედა რეგისტრში, რაც ნუსხური და მხედრული ანბანებისთვის არის დამახასიათებელი: ამ დროს იგრძნობა მიდრეკილება განუსხურებისა და გამხედრულებისაკენ: იქმნება ნუსხურნარევი და მხედრულნარევი ასომთავრული ტექსტები. ასომთავრულში მიმდინარე ეს პროცესები დამახასიათებელი იყო აფხაზეთის წარწერებისთვისაც, რისი ნათელი დადას-



ტურებაა ილორის ეპიგრაფიკული ძეგლები. საბოლოოდ, ასეთმა გრაფიკულმა ცვლილებებმა ორხაზოვანი ბადე შეცვალა ოთხხაზოვანი საწერი ბადით და ჯერ წარმოიშვა ნუსხა-ხუცური, ხოლო შემდეგ მხედრული დამწერლობა [6].

ასომთავრული დამწერლობის ნიმუშებთან ერთად წარმოდგენილია, ნუსხა-ხუცური და მხედრული დამწერლობის ძეგლები, მაგრამ მათი რაოდენობა ასომთავრულთან შედარებით მცირეა. ადრეული პერიოდის, გარადამავალი ნუსხურის ნიმუშები დაცულია ილორის ტაძრის კედლებზე, შედარებით გვიანი პერიოდისაა გალის რაიონის სოფ. წარჩეს წარწერა, რომელშიც ფაშაძე არის დასახელებული და XVI-XVII სს. თარიღდება. მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი მხედრულის ნიმუშებიც. ეს ფაქტი განაპირობა იმან, რომ მონუმენტურ დამწერლობაში, ძირითადად, გამოიყენებოდა ასომთავრული ანბანი. გვიან შუა საუკუნეებში, როცა მხედრული საყოველთაოდ იყო გაბატონებული, საკულტო დანიშნულების მონუმენტურ ძეგლებზე, საფლავის ეპიტაფიებსა და საერო დანიშნულების შენობებზე ამოკვეთილ წარწერებში, ძირითადად, გამოიყენებოდა ასომთავრული ანბანი.

ერთიან სადამწერლობო კულტურაზე მიუთითებს აფხაზეთის მხედრული დამწერლობის ნიმუშები, რომელთა პალეოგრაფიული ანალიზი მნიშვნელოვნად განაპირობებს დამწერლობაში მიმდინარე ცვლილებების განსაზღვრას. მხედრული დამწერლობის ძეგლებს ივ. ჯავახიშვილმა ცალკე ქვეთავი მიუძღვნა და ამ დამწერლობის ადრეული ეტაპის ძეგლებს მან „მდივანმწიგნობრული დამწერლობა“ უწოდა [13.127]. თ. ხაუომიამ მხედრულის ადრეული ნიმუშების დასახასიათებლად გამოიყენა მეორე ტერმინი „გარდამავალი მხედრული“ [12]. გარდამავალი მხედრულის შესწავლას ცალკე წერილი მიუძღვნა ელ. მაჭავარიანმა: „ქართული დამწერლობის სამი ძირითადი სახის, კერძოდ, ასომთავრული (მრგლოვანი), ნუსხური (კუთხოვანი) და მხედრული ასოების გრაფიკული მონახულობა ერთმანეთის მომდევნო ეტაპზე განვითარების კანონზომიერ სურათს იძლევა. ძეგლების ქრონოლოგიური შესწავლა, — წერს მკვლევარი, ნათელყოფს რომ ერთი სახის დამწერლობა მეორეს გრაფიკული სახეცვლილების შედეგია და შეპირობებული იყო ეპოქის მოთხოვნით, სწრაფი, გამარტივებული წერისაკენ მისწრაფებით“ [7]. ელ. მაჭავარიანმა უძველესი მხედრულისა და ნუსხა-ხუცური დამწერლობის გრაფიკის შედარების საფუძველზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა მხედრულის ნუსხა-ხუცურიდან მომდინარეობის თეორია. უფრო ადრე მანვე მოგვცა ქართული დამწერლობის განვითარების ტაბულა, სადაც ნაჩვენებია ასომთავრულიდან ნუსხურის, ხოლო ნუსხურიდან მხედრულის მომდინარეობის გრაფიკული განვითარება, ქრონოლოგია და საფეხურები.

მხედრულის წარმოშობის ისტორიას შეეხო ორი მკვლევარი ზ. ალექსიძე და გ. აბრამიშვილი, რომლებმაც ატენის სიონზე მიკვლეული ადრეული პერიოდის მხედრულის შესწავლის საფუძველზე წამოაყენეს დებულება, რომ მხედრულის წარმოშობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი IX საუკუნე უნდა იყოს [1]. სვანეთის წერილობითი ძეგლების შესწავლის დროს ვ. სილოგავამ მიაკვლია X საუკუნის II ნახევრის ნიმუშებს [14.158].

აქედან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოში მხედრული დამწერლობის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად X საუკუნე უნდა მივიჩნიოთ. X და ზოგჯერ XI საუკუნეშიც გვხვდება მხედრულნარევი ნუსხური. ამის მაგალითია ილორის ტაძრის ორი ნუსხურნარევი მხედრული წარწერა, რომლებიც „გარდამავალი მხედრულის“ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ. ჩამოყალიბებული და სრულყოფილი სახე აქვს მხედრულ ანბანს გალის რაიონის



ნის სოფ. დიხაზურგის გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერაში, რომელიც XI საუკუნით თარიღდება. აღნიშნული წარწერა მხედრული დამწერლობის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი და სრულყოფილი ნიმუშია დასავლეთ საქართველოს წარწერებს შორის. ილორის ნუსხურნარევი წარწერების, ანუ „გარდამავალი მხედრული“-ს, ასევე დიხაზურგის გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერის პალეოგრაფიული ნიმუშების შედარება საქართველოს სხვა ისტორიულ მხარეებში მოპოვებულ მხედრული დამწერლობის ნიმუშებთან (მაგ. კვირიკესა და თევდორეს წარწერები ამბროლაურის რაიონიდან, გურანდუხტის წარწერა ჟიბიანიდან, ცაიშის წარწერა და ა. შ.) გვაფიქრებინებს, რომ აფხაზეთის მხედრულის ნიმუშები გაცილებით უფრო ადრეული პერიოდის ძეგლებია. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ XI საუკუნის მხედრულის ნიმუშებს არცთუ იშვიათად ვხვდებით საქართველოს სხვა კუთხეებში, რაც ადასტურებს, რომ აფხაზეთი ქართულ ისტორიულ პროვინციებს შორის ერთ ერთი პირველი გამოეხმაურა დამწერლობაში მიმდინარე ცვლილებებს – ნუსხურიდან მხედრულზე გადასვლის პროცესს.

აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში ქართული დამწერლობის ნიმუშების შესწავლამ და პალეოგრაფიულმა შედარებამ საქართველოს სხვა ისტორიული რეგიონების მასალასთან აშკარად გამოკვეთა ამ რეგიონის მოწინავე კულტურულ-ისტორიული ტენდენციები: იგი პირველი გამოეხმაურა, როგორც ასომთავრულში მიმდინარე ცვლილებებს, ასევე ნუსხურსა და მხედრულ დამწერლობაში მიმდინარე რეფორმებს. უფრო მეტიც, აღნიშნული ეპიგრაფიკული მასალის ანალიზი მოწმობს, რომ ამ მხარეში საფუძველი ჩაეყარა ქართული სადამწერლობო კულტურის ერთ-ერთ შესანიშნავ კიდურწაისრული დამწერლობის კალიგრაფიულ სკოლას.

აღნიშნული ძეგლების პალეოგრაფია ცხადყოფს, რომ ეს წარწერები ერთიანი ქართული სადამწერლობო კულტურისა და ერთიანი კულტურულ-ისტორიული სივრცის ნაწილია, რომელმაც განვითარების ისეთივე გზა განვლო თავისი რეფორმებით, ცვლილებებითა და კალიგრაფიული სკოლების მიმდინარეობებით, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში.

**ლიტერატურა:**

1. ზაზა ალექსიძე, გურამ აბრამიშვილი. მხედრული დამწერლობის სათავეებთან. ჟურნ. „ცისკარი“ №5,6, თბ. 1978.
2. ლ. ახალაძე. ქრისტიანობა და დამწერლობა აფხაზეთში, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები“. მოხსენებების კრებული. I. თბ., 2005.
3. ლ. ახალაძე. წებელდის ჭედური წარწერები, წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“. ტ. VI. თბ., 2003. გვ. 45-46. გრაფიკული მონახაზი: გვ.57. ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ., 2004. გვ. 323-324.
4. ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები), I. თბ., 2005.



5. თეიმურაზ ბარნაველი. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბ., 1962.
6. ელენე მაჭავარიანი. ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, „საბჭოთა ხელოვნება“. №10. 1977.
7. ელენე მაჭავარიანი. მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები. მრავალთავი. III, 1973.
8. ლევან მუსხელიშვილი. სვეტიცხოვლის წარწერები. ჟურნალი „ქართული ხელოვნება“. II, 1942.
9. რამაზ პატარიძე. ქართული ასომთავრული. თბ., 1983.
10. ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა.
11. თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბ., 2004.
12. Т. Хажомия. Письмо хуцури XI века, как переходный этап в развитии древнегрузинской письменности. Тб., 1954.
13. ივ. ჯავახიშვილი. თხზ. თორმეტ ტომად, ტომი IX. თბ., 1996.
14. სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II, ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბ., 1988. გვ. 158.
15. ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V- X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შიშიაშვილმა, თბ., 1980.
16. ქართული წარწერების კორპუსი. ტ. II. ლაპიდარული წარწერები, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (I-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბ., 1980. №91, 92, 93, 80, 81, 85.

**Lia Akhaladze**

*Palaeography of epigraphical monuments of Abkhazia*

**Summary**

Ephigraphical monuments of Abkhazia can be presented in all the three stages of Georgian written language development: capitalization (asomtavruli), lower-case writing (nuskhakhutsuri) and civic writing (mkhedruli).

Monuments of Abkhazia contain the above-mentioned stages of writing. One of the most interesting examples is the model of the XIth century civic writing. This example points to the fact that among other historical provinces of Georgia Abkhazia was the first to respond to the reforms that took place in the system of Georgian writing of that period.

Лия Ахаладзе

*Палеография эпиграфических памятников Абхазии*

Резюме

В эпиграфических памятниках Абхазии представлены все три ступени развития грузинской письменности: заглавная (асомтаврული), строчная (нუსახუცი) и гражданская (мхედрули). Примечательна особенность грузинской заглавной письменности. В частности, надписей Анухвского Георгия Басилисдзе, Гумуришского царицы Сагдухт и других характеризует конечно-стрелочная форма букв, что свойственно для грузинских эпиграфических памятников XI века. На основании сравнения аналогичных эпиграфических памятников из других регионов Грузии, высказано мнение, что в XI веке в Грузии существовала каллиграфическая школа письма на камне.

В абхазии имеются лапидарные памятники, выполненные конечно-точечными буквами. К таким надписям принадлежат надписи Илорского Георгия Кочолви, Цебельдинского Луки Мартинева.

В надписях Абхазии имеются памятники строчной и гражданской письменности. Среди них особенно важными являются образцы гражданского письма XI в., существование которых указывает на то, что Абхазия среди грузинских исторических провинций первая откликнулась на реформы, происходящие в грузинской письменности. В этих краях были сильные очаги грузинской культуры, которые указывают, что этот край являлся не ареалом распространения грузинской культуры, а сам был творцом и автором этой культуры.

Ira Danelia, Natela Doghonadze

**PROBLEM OF TEMPTATION AND SIN IN “THE STRENGTH OF GOD” BY SHERWOOD ANDERSON AND “RAIN” BY WILLIAM SOMERSET MAUGHAM**

“Love bade me welcome, yet my soul drew back,  
Guilty of dust and sin...”

*George Herbert (1593-1633), “Love”*

Temptation and sin are themes we often come across in fiction. It is probably especially important for literatures of nations whose religious bias is too strict.

As mentioned in the article “The manifestation...”, with which we totally agree, “two of the more prevalent issues in Sherwood Anderson's “Winesburg, Ohio”, are Love and God. They are seemingly unrelated on the surface, but when one digs deeper into the larger story, they are intertwined in some striking ways. Anderson appears to criticize them, but actually, he criticizes how they are commonly viewed in small town society. Anderson strikes down the small town moral that sex is some extension of love”, he proves that love (even its sexual aspect) is real manifestation of God.

In the same article, discussing Sherwood Anderson's “The Strength of God” it is said that a “rural fallacy slain by Anderson's sharp pen was that of the morality of organized religion. The idea that he tries to get across is that a church doesn't equate God. The Reverend Curtis Hartman of The Strength of God is a perfect example of this. He is a minister with all too normal sexual feelings for Kate Swift, the school teacher next door. Anderson does not use this character to imply that sexuality implies ungodliness, but that one's reaction to it might. Hartman denies his sexual feelings, but at the same time is enraptured by them.”

These two ideas inspired us to go attentively through the text of the two stories mentioned in the title of the article and to see whether such different writers as Anderson and Maugham view sexual desire as sinful (how it is expressed in their writings).

A “silent and reticent” man, the reverend Curtis Hartman, as characterized by the author, “quiet and unpretentious”, “scholarly and refined”, as perceived by the parishioners, “through Main Street and up and down Buckeye Street he went, bowing gravely to the people...” Pay attention to the inversion (“up and down he went”), stressing what an important person he was. His importance and self-confidence (though he is shy) is also stressed by the fact that both the first and the second paragraphs begin with his name (repetition / parallelism). A self-critical man, Hartman “wondered if the flame of the spirit really burned in him”. A very human characteristic, neither idealized, not negative. Once, in the room in the bell tower, where he used to get prepared for sermons, he saw a woman in the house next door lying in bed and smoking. He “was shocked” and “horror stricken”. “With his brain in a whirl”, he addresses the best remedy he knows – a prayer. His sermons before this incident did not “arouse keen enthusiasm among the worshippers”, but the one he delivered that day “attracted unusual attention because of its power and clearness.” In his desire to stop the woman from sin (smoking) by his preaching he has not noticed how his excitement turned into a “secret sin”: he was thinking not of the woman's soul, but of





her beautiful body. His neighbor, a school teacher Kate Swift, seduced the reverend, not having the slightest idea about it (so the sin was his, not hers). Curtis was liberal enough to admit that "perhaps after all her smoking means nothing" (she had been to Europe and New York and smoking might be just a worldly habit, not a sin).

The reverend Curtis Hartman "had married after a formal and prolonged courtship, carried on for the most part by the girl herself." The delicate irony of the writer (the bride courting the man) goes further: Curtis's wife got 5,000 dollars from her father..., "the minister had thought himself fortunate in marriage..." (of course not because of \$5,000 only, but the neighborhood of the two sentences hints, that the money was not the least important basis of this marriage). The minister's "carnal desire to peep" is growing, which troubles him a lot as a sinful desire. The more Hartman is involved in his problem, the better become his sermons. He admits to the parishioners that he is "beset by the same temptations that assail" them. He even admits that he has surrendered to the temptation. But he believed (and urged his parishioners to believe) that the hand of God will save him and his parishioners from evil deeds.

Unfortunately, as it often happens, the minister fighting his problems was not supported by his wife (she did not either notice or react to the increased expression of his manly attention). "He did not want to kiss the shoulders and the throat of Kate Swift... He did not know what he wanted. 'I'm God's child and he must save me from myself,' he cried..." He *was* behaving like a *child* (pay attention to "must": is it up to anybody to decide what God must do?).

There is a very interesting repetition of inversion in the next paragraph: "Up and down the silent streets walked the minister and for days and weeks his soul was troubled." If the inversion we spoke earlier made the sentence describing how the minister went in the streets sound pompous, here, by application of the same stylistic means we feel how wretched he is. He "crept out of his house."

How very much typical of Anderson is that the climax of the story is psychological: the hero just understands something about himself. The "background" for the revelation is (as it often is in fiction) extremely bad weather. He was almost ready to "live for his lusts," however tragic this decision could be for him. Pay attention how all emotional moments are marked by inversion in this story: "With a cry he rose..." "Along the street he went..." Curtis Hartman's sudden discovery was so shocking, that he had to share it with somebody, so he goes to George Willard, a *confidant* to many people in Winesburg. "I have found the light," he cried. "After ten years in this town, God manifested himself to me in the body of a woman ... What I took to be a trial of my soul," he said, "was only a preparation for a new and more beautiful fervor of the spirit." Kate Swift was "an instrument of God" for Curtis Hartman. What any reader understands, it is that Curtis' temptation, his suffering is over. Anyway, the story is very open-ended. Nobody can judge how the hero's life will continue. Our perception is that he understood that desire of beauty and love is not shameful, it is a manifestation of God. So Curtis most probably will continue his job and serve God much better than he had ever done and his carnal desire will settle down to just admiration towards the person created by God.

Through the use of allegory, Anderson shows that some widely spread in society ideas may be (and often are) misconceptions. Such misconceptions cause only sufferings of worthy people, and they are lucky, at least, if finally they discover the truth and are relieved of these



sufferings, like Curtis Hartman did. The writer's goal is to tell people: don't live according to stereotypes, that don't benefit anybody, but only make people suffer.

The settings of Anderson's and Maugham's stories are so different: provincial America of the end of the 19<sup>th</sup> (or probably the beginning of the 20<sup>th</sup>) century and a British colony somewhere in the middle of the Pacific Ocean a few decades later. What unites them, are the central characters of the stories (priests) and their problems on their way of serving God.

Dr. Macphail (who is not the narrator, but through whose eyes we see the story "Rain") got a job at Apia. While going there with his wife he met the Davidsons – a medical missionary and his wife. All four got stuck on the way on one of the islands because of an epidemic. Little by little the Macphails (and the readers) get to know what kind of person Davidson was. "Eager, noisy, and good-humoured natives" are perceived as sinful people by him. He believed their clothes ("a strip of red cotton round their loins") and dances are indecent, that is why they should be prohibited by law. The doctor's argument that they are "suitable enough for the climate" remains unnoticed. Before Davidson came to "his" island, the natives "had no sense of sin at all... They broke the commandments one after the other and never knew they were doing wrong." Mr. Davidson was so proud that he had "practically eradicated" the traditional lava-lava, substituting them by the obligatory trousers for men and the Mother Hubbard (a long, nun-like dress) for women on the territory where he was working as a missionary. A question involuntarily comes to the reader's mind: did he try to fight real sins (murder, theft, etc.?), as no other great changes are mentioned. However, we see that he sincerely and passionately served God, risking his life to save the patients, working day and night. He was ruthless not only to the natives. Once, for example, there was a Danish trader, Fred Ohlson who was unfaithful to his native wife and was a drunkard. He refused to obey Mr. Davidson, so the latter made his life unbearable (as on the islands a missionary's word was very powerful).

Mr. Davidson's "appearance was singular. He was very tall and thin..., he has so cadaverous an air that it surprised you how full and sensual were his lips..." The man was obviously a stoic and as demanding (if not more demanding) towards himself as he was towards other people. "The most striking thing about him was the feeling he gave you of suppressed fire... He was not a man with whom any intimacy was possible."

Besides the Davidsons and the Macphails, at the rooms they were lodging there was a young woman of indecent behavior Miss Thompson. Her speech revealed she was not educated and her clothes were too callous. She was visited by men (sailors and passengers) in her room. She listened to loud vulgar (at least, in Davidson's perception) music on the gramophone. Mr. Davidson makes a conclusion she is from Iwelei – a district in Honolulu with saloons and other entertainment "institutions". She symbolized evil for him (besides, there was nothing to do on that island for an active man like him), so he decided to take measures. And, as his wife had already known, "when his righteous wrath is excited, he's terrible." It's interesting, whether Maugham used an alliteration, even an onomatopoeia "righteous wrath" (reminding of a lion's / tiger's roar) deliberately or occasionally. To begin with, Davidson wanted Miss Thompson to be thrown away from the lodgings. As she refused, he persuaded the governor to send her away by the first ship that would come to the island. The ship happened to be directing to San Francisco – the city from which the girl came. She – via Mr. Macphail, who was more tolerant of her – asked to wait a few days



for another ship. But Mr. Davidson was merciless.

Rain (that gave the story its title) started. It was not like “soft English rain that drops gently on the earth; it was unmerciful ...” That rain is not just a setting, a background, a mood, but a real personage of the story. It is personified (unmerciful) by the author. Each new step of the plot, harsher and harsher, is accompanied by it.

Mr. Macphail, who is shown by Maugham as a softer man, did not like that the Rev. Davidson is pressing the governor. Davidson retorted: “I want him to do what’s right.” Mr. Macphail said “But there may be differences of opinion about what is right.” But Davidson believed he exactly knew what is evil. Macphail tried to speak to the governor, but the latter did not want to have any problems with the missionary, so he refused to change his decision.

Then suddenly Miss Thompson decided to repent (or so she said). Miss Thompson and the missionary spent a lot of time together, praying. She was (looked?) humiliated and exhausted. He was happy he “was privileged to bring a lost soul to the loving arms of Jesus.” Then he told his wife he saw in his dream the mountains of Nebraska, “huge mole-hills, rounded and smooth ... like a woman’s breast.” The dream (very much in the stream of Dr. Freud’s ideas, isn’t it?) is a very expressive foreshadowing, a very delicate hint about what is going on in the missionary’s soul, but we guess it is foreshadowing only when we read the last paragraph of the story.

At last Mr. Davidson announced: “Her soul, which was black as night, is now pure and white like the new-fallen snow. I am humble and afraid. Her remorse for all her sins is beautiful. I am not worthy to touch the hem of her garment.” The similes he is using are trite, and his vision is black-and-white. He imagined himself a sort of Jesus. However, he refused to spare her, as he believed, “the bitter punishment of prison is the thank-offering that she places at the feet of our Blessed Lord, who gave his life for her.”

Dr. Macphail, who is shown as a (reasonably) kind man, was so tired with the story, that all he wants is that it is over – for him. “The inevitable must be accepted,” he said. If we view him as a protagonist in the story, Maugham’s soft irony (“his pity and his resentment were alike extinguished”) definitely proves he isn’t, as well as neither Davidson is an obvious antagonist (consider his bravery and self-sacrifice).

The ending of the story is shocking. Mr. Davidson is found dead with his throat cut from ear to ear. No direct explanation is offered. We only know that Miss Thompson is again listening to the gramophone, dressed in a callous way. Her words “You men! You filthy, dirty pigs!” that made Dr. Macphail think he understood what had happened are the only cue for the reader. Any hypothesis that may come to the reader’s mind (the missionary committed suicide or she murdered him) is based on the fact that he surrendered to temptation and committed a sin.

However fanatic, Curtis Hartman eventually comes to conclusion that love is god. As a result not only does not he commit a sin of adultery, but also is he freed of temptation. Davidson (is it by chance that Maugham never mentions his first name, thus making him impersonal?) sees sin in everything and anybody, believing that he is above it and has the right to judge and prosecute other people. As a result not only does he commit the sin of arrogance, but also is he punished for it (the discovery that he is unable to resist sexual temptation is worth than death for him). God approves of love. It is us, people, who may make it sinful.

References:

1. The Manifestation of God and Love in Sherwin Anderson's Winesburg, Ohio OR God Loves a Good Allegory. <http://www.msu.edu/user/dumontd1/mc111/dumont04.htm> , retrieved 01.10.2006
2. Dean Baldwin. W. Somerset Maugham: A Study of the Short Fiction. 1996.

ირა დანელია, ნათელა დოლონაძე

*ცდუნებისა და ცოდვის პრობლემა შერვუდ ანდერსონის მოთხრობა “ძლიერება უფლისა” და უილიამ სომერსეტ მოემის მოთხრობა “წვიმაში”*

რეზიუმე

ცდუნება და ცოდვა ისეთი თემებია, რომლებიც ხშირად გვხვდება მხატვრულ ნაწარმოებებში, და რომლითაც განსაკუთრებით დაინტერესებულია იმ ერების ლიტერატურა, რომელთაც გადაჭარბებულად მკაცრი რელიგიური შეზღუდვები ახასიათებს. ასეთ ქვეყნებს წარმოადგენდნენ (არც თუ ისე დიდი ხნის წინათ) აშშ და დიდი ბრიტანეთი. ამიტომ, ჩვენ დავინტერესდით, გაგვეჩვენა, თუ როგორ განიხილავს ამ თემებს ორი ისეთი განსხვავებული მწერალი, როგორცაა ამერიკელი შ.ანდერსონი და ბრიტანელი უ.ს.მოემი. მათ ამ თემებს უძღვნეს არაერთი ნაწარმოები.

შერვუდ ანდერსონის მოთხრობათა წიგნი “უაინსბურგ, ოჰაიო” ეხება ორ უმნიშვნელოვანეს საკითხს – ღმერთი და სიყვარული. სიყვარული, თუნდაც მისი ფიზიკური ასპექტი, მწერლის აზრით, არ ეწინააღმდეგება ღმერთს და, სათანადოდ, არ წარმოადგენს ცოდვას. ამ თვალსაზრისს ადასტურებს მოთხრობის “ძლიერება უფლისა” ლოგიკა და მხატვრული საშუალებები (ინვერსია, გამეორება, თვით მოთხრობის სტრუქტურაც კი, რომლის აპოთეოზი არის არა მოქმედება, არამედ მთავარი გმირის მიერ საკუთარი თავის მიმართ გაკეთებული აღმოჩენა). მღვდელი კურტის ჰარტმანი თავდაპირველად განიცდის თავისი მეზობლის ქეთ სეიფტის სხეულით აღტაცებას, როგორც ცოდვას. მოთხრობის ბოლოს კი ხვდება, რომ ამ მშვენიერ სხეულში, ისევე, როგორც ღმერთის ყველა ქმნილებაში, ღვთიური სილამაზეა.

სომერსეტ მოემის მოთხრობაში “წვიმა” მისიონერი დევიდსონი ებრძვის ცოდვებს, რომლებსაც, მისი აზრით, წყნარი ოკეანეს კუნძულების მოსახლეობა ჩადის, როცა ატარებს ეროვნულ ტანსაცმელს (ანუ დადის თითქმის შიშველი) და ა.შ. მან კი თავად საშინელი ცოდვა ჩაიდინა, როცა ჩათვალა, რომ ღმერთის სახელით განსჯის უფლება ჰქონდა. დევიდსონი ებრძვის მსუბუქი ყოფაქცევის ქალს და შედეგად თავად ისჯება ამპარტავნობისა და შეუპოვრობისათვის. ის კიდევ ორ უმძიმეს ცოდვას – ოჯახურ დალატსა და თვითმკვლელობას ჩადის. ავტორი არც ერთ ამ ცოდვათაგანს პირდაპირ არ ასახელებს. მისი მხატვრული იარაღი ირონია და გადაკრული სიტყვაა, ამოცანა კი – მკითხველმა თვითონ გამოიტანოს საჭირო დასკვნა.



ՀԱՄԱՅՆՔԱՆ  
ԶՈՅՔԱՐԱՊՈՅՅՑ

Ира Дanelия, Натела Догонадзе

*Тема искушения и греха в рассказах Шервуда Андерсона  
“Могущество бога” и Уильяма Сомерсета Моэма “Дождь”*

### Резюме

Искушение и грех – такие темы, которые часто встречаются в художественных произведениях, ими особенно интересуются литературы таких наций, для которых характерны чересчур строгие религиозные ограничения. К числу таких стран (еще не так давно) относились США и Великобритания. Поэтому нас заинтересовало, как рассматривают данные темы такие разные писатели, как американец Ш.Андерсон и британец У.С.Моэм, которые посвятили не одно произведение этим темам.

Сборник рассказов Шервуда Андерсона “Уайнсбург, Огайо” посвящен двум основным темам – богу и любви. Любовь, даже в ее физическом аспекте, по мнению автора, не противоречит богу и, соответственно, не является грехом. Это мнение подтверждается логикой рассказа и его художественными средствами (инверсия, повторы самой структуры рассказа, апофеозом которого является не какое-либо действие, а открытие о самом себе, которое делает главный герой). Священник Кертис Хартман вначале переживает свою одержимость телом соседки Кейт Свифт как грех, а в конце рассказа осознает, что в этом прекрасном теле, как и во всех творениях бога, есть божественная красота.

В рассказе Сомерсета Моэма “Дождь” миссионер Дэвидсон борется с грехами, которые, по его мнению, совершают местные жители островов, расположенных в Тихом океане, когда они носят местную одежду (то есть ходят полуголыми) и т.д. Он же сам совершил ужасный грех – счел, что ему дано право судить от имени бога. Дэвидсон борется с женщиной легкого поведения, а в результате наказан за свою заносчивость и неумение прощать и совершает еще два тягчайших греха – прелюбоддеяние и самоубийство. Автор не называет прямо ни один из этих грехов. Его художественным оружием являются ирония и намек, а задачей – позволить читателю самому сделать нужный вывод.

## ელინისტური კულტურა და კოლხეთი

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდგომ ცივილიზებული მსოფლიო განვითარების ახალ, ხანგრძლივ ფაზაში – ელინიზმში შევიდა. ეს არის პერიოდი, როცა ბერძენ-მაკედონელთა პოლიტიკურ პრიორიტეტს დაექვემდებარა ძველი აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციის კერები, ხოლო კლასიკური ბერძნული კულტურა ფართოდ დამკვიდრდა არა მარტო ხმელთაშუა ზღვის სივრცეში, არამედ გასცდა მას და მოიცვა ორიენტალური სამყარო თავისი ჭრელი მოსახლეობითა და კულტურული ტრადიციებით. ელინიზმის ხანა სხვადასხვა კულტურების შეხვედრებისა და სინთეზირების, ძველი ბერძნული და აღმოსავლური ელემენტების შერწყმისა და თანაარსებობის პერიოდია.

აქემენიდური სპარსეთის დაცემამ აზიის ხალხები სრულიად ახალი პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული რეალობის წინაშე დააყენა. ელინიზმის ეპოქაში გაიზარდა ურთიერთკავშირი ქვეყნებსა და ხალხებს შორის, დაიწყო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა უჩვეულო აღმავლობა. საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობათა პროცესებში ინტენსიურად ჩაერთვნენ არა მხოლოდ ელინისტური სამყაროს კულტურულ-პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეული ქვეყნები, არამედ ანტიკური ცივილიზაციის განაპირა, პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ტომებიც.

კოლხეთი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა არეალში არ მოქცეულა. მას არც დიადოხოსთა და ეპიგონთა ბობოქარ ეპოქაში აღმოსავლეთში მიმდინარე ბერძენ-მაკედონელთა მასობრივი კოლონიზაცია და სხვა რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური პროცესებიც შეხებია. ამდენად, კოლხეთს თავის კულტურულ-პოლიტიკურ განვითარებაში არ განუცდია ისეთი მკვეთრი ცვლილებები, როგორც მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებს – პოლიტიკურად იგი ელინისტური სამყაროს ფარგლებს გარეთ დარჩა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთში ბერძენ-მაკედონელთა პოლიტიკური ჰეგემონობის დამყარების შემდეგ მომხდარმა ღრმა კულტურულ-ისტორიულმა ცვლილებებმა, ელინისტური ეპოქის საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ფართო მასშტაბებმა, რომელსაც თან ახლდა კულტურული მიღწევების გაცვლა-გამოცვლა, გარკვეული გავლენა მოახდინა კოლხეთის კულტურაზეც.

ელინისტურ ხანაში კოლხეთი ინტენსიურ კონტაქტებში ერთვება ანტიკურ სამყაროსთან. კოლხეთში სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღმავლობას მოწმობს ამ პერიოდის არქეოლოგიურ მასალებში ილუსტრირებული უცხოურ მონეტათა სიმრავლე. კოლხეთის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი სირაკუზის ტირანის ჰიერონის ოქროს სტატერები, ფილიპე II-ის, ალექსანდრე დიდისა და ფილიპე III-ის სტატერები და ტერტრადრაქმები, ლიზიმახეს ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ათენური ტეტრადრაქმები, პონტური, კაპადოკიური, პართული, პანტიკაპეის, ოლვიის, ხერსონესისა და სხვ. მონეტები. ამავე ხანებში ტრადიციული „კოლხური თეთრის“ ნაცვლად იჭრება ალექსანდრესა და ლიზიმახეს სტატერების ადგილობრივი მინაბადი [7, 42-55; 9, 37-40], რაც იმის მაჩვენებელია, რომ კოლხეთი ორგანულად იყო ჩართული შავიზღვისპირეთის სავაჭრო-



ეკონომიკურ ურთიერთობებში, სადაც ძვ. წ. III-I სს. დომინირებულნი იყვნენ სწორედ ლიზიმახეს სტატურებს ეკავათ [13, 124-127].

ელინისტურ სამყაროსთან კოლხეთის გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს, ნუმიზმატიკური ძეგლების გარდა, მოწმობს არქეოლოგიური მასალებიც. კოლხეთის საგარეო ვაჭრობის ძირითადი წილი მცირე აზიისა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებზე (სინოპა, ამისო, ჰერაკლეა და სხვ.) მოდის [1, 110-111; 8, 208-219]. ამ ქალაქების პროდუქცია, ძირითადად კერამიკული ნაწარმი, კარგადაა წარმოდგენილი კოლხეთის როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა რაიონებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებში.

ძვ. წ. III-I სს. კოლხეთს საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა აქვს ეგეოსურ ცენტრებთანაც, კუნძულებთან – თასოსთან, ქიოსთან და როდოსთან [10, 24; 3, 130-131]. ელინისტურ ხანაში ფართოდ ვრცელდება მცირეაზიური შავი და წითელღაგიანი კერამიკა, ე.წ. „მეგარული თასები“, რომლის ძირითადი მომწოდებლები იყვნენ პერგამოსი და სამოსი. მცირეაზიური იმპორტი, ზღვისპირა ზოლთან ერთად, ფართოდ ვრცელდება ქვეყნის შიდა რაიონებში და მაღალმთიან სვანეთშიც კი აღწევს [1, 111-112; 3, 130-136].

ძვ. წ. III-I სს. აღმავლობას განიცდის კოლხეთისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც, რასაც ადასტურებს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კოლხური კერამიკის (პითოსები, ამფორები), ხოლო ბოსფორულ და ხერსონესულ ამფორათა ფრაგმენტების კოლხეთში აღმოჩენა [6, 37, 100; 11, 191-195].

ელინისტური ეპოქის კოლხეთში ვაჭრობის აღმავლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მის ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო-სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის ქვეყნებს შორეულ შუა აზიასთან, ინდოეთთან და ჩინეთთან აკავშირებდა. ელინისტური ხანის წყაროთა (პატროკლე, არისტობულე, ერატოსთენე) მონაცემებით, რომლებიც შემონახულია მოგვიანო ხანის ავტორებთან (სტრაბონი, ვარონი, პლინიუსი), ამ გზით ინდური ნაწარმი ბაქტრიის გავლით კასპიის ზღვამდე, შემდეგ კი მარშრუტით – მდ. მტკვარი-სურამის გადასასვლელი – მდ. ფასისი (რიონ-ყვირილა) შავ ზღვამდე, ქალაქ ფასისამდე მოჰქონდათ, აქედან კი საზღვაო კომუნიკაციებით მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთში ვრცელდებოდა [2, 377-384]. ამ გზას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის.

ელინისტურ სამყაროსთან გაცხოველებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა კავშირებმა თავისი გავლენა იქონია კოლხეთის კულტურაზე. ამ ინტენსიური კონტაქტების შედეგად კოლხეთის მატერიალურ კულტურაში შეინიშნება ანტიკური ფორმების დანერგვისა და ადგილობრივი წარმოების ზოგიერთი დარგის „ელინურ ყაიდაზე“ გარდაქმნის ცდა. ანტიკური ფორმების გაჩენამ პირველ რიგში თავი იჩინა კოლხეთის კერამიკულ წარმოებაში. ძვ. წ. III-II სს. ფართოდ ვრცელდება ანტიკური ტიპის სავაჭრო-სატრანზიტო ჭურჭელი, ე.წ. „ყავისფერკეციანი“ ამფორები, ბერძნულ-ელინისტური გავლენით შექმნილი ადგილობრივი სხვადასხვა კერამიკული ნაწარმი, რომლებიც ხშირად ტრადიციული კოლხური ორნამენტითაა შემკული. გვიანელინისტურ ხანაში, როგორც ჩანს, ანტიკური წითელღაგიანი კერამიკის გავლენით, კოლხეთში მზადდება მათი ადგილობრივი მინაბადი [5, 50-60; 3, 137-141]. გარკვეული ინოვაციები შეიმჩნევა ოქრომჭედლობაშიც. ტრადიციული, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ფორმების გვერდით ჩნდება ტიპოლოგიურად ახალი ნაკეთობები, რომელთაც აშკარად ეტყობათ ბერძნული გავლენა. ამ



ეპოქის საიუველირო ხელოვნების საერთო ნიშნები, ახალი ფორმები და დეკორატიული მოტივები დამახასიათებელი ხდება კოლხური ძეგლებისთვისაც [18, 519]. ამავე პერიოდში შეინიშნება აგრეთვე ელინისტური ტრადიციების დანერგვა ხელოსნური წარმოების სხვა დარგებშიც, კერძოდ, საფეიქრო წარმოებაში, რასაც მოწმობს კოლხეთში ე.წ. ვერტიკალური საქსოვი დაზვის ფართოდ გამოყენება [3, 141-142]. ახალ საფეხურზე აღის კოლხური გლიპტიკაც.

ანტიკური ცივილიზაციისთვის დამახასიათებელმა ძირითადმა ტენდენციებმა გარკვეული როლი შეასრულა კოლხეთის ქალაქთმშენებლობისა და განსაკუთრებით ხუროთმოძღვრების განვითარებაში. ელინისტური ხანის კოლხეთის არქეოლოგიურ მასალებში, უმთავრესად კი ყველაზე კარგად შესწავლილ ვანის არქეოლოგიურ მონაპოვარში, კარგად შეინიშნება ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც კოლხეთის ქალაქებს ელინისტურ ხანაში უნდა განეცადათ. მკვლევართა აზრით, კოლხეთში სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ქვის ფუნდამენტალურ ნაგებობათა ფართოდ გავრცელება, ქალაქის თავდაცვითი კედლებით გამაგრება, ელინისტური სამშენებლო ტექნიკისათვის დამახასიათებელი ელემენტების დანერგვა [4,24]. ბერძნულ-ელინისტური გავლენის თვალსაჩინო ნიმუშია ქალაქ ვანის კარიბჭის კომპლექსი, ნაგებობათა კედლის წყობა, ე.წ. რუსტებიანი ქვათლილებისა და კრამიტის ფართოდ გამოყენება [4, 24-27].

ძვ. წ. III საუკუნიდან ანტიკური ცივილიზაციის ძირითადმა იმპულსებმა თავი იჩინეს არა მხოლოდ კოლხეთის მატერიალურ კულტურასა და ხელოვნებაში, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და იდეოლოგიაშიც. ვრცელდება ბერძნული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, რაც ასახვას პოულობს დაკრძალვის წესებში. ჯერ ვანის ტერიტორიაზე, შემდეგ კი მთელ შიდა კოლხეთში ვრცელდება დაკრძალვის ახალი ფორმები – ე.წ. ქვევრსამარხები. ახალი ელემენტები ინერგება სამარხეულ ინვენტარშიც: საფლავებში ჩნდება ამფორები, მიცვალბულებს თან ატანენ მონეტებს, რაც აშკარად ბერძნული წეს-ჩვეულებების გავლენას წარმოადგენს. თანდათანობით ფეხს იკიდებს დიდებულთან ერთად მონებისა და მოსამსახურეების დამარხვის ჩვეულებაც [16, 508-517]. იმავდროულად გავრცელებას იწყებს ბერძნული რელიგიური კულტებიც. როგორც ვანის არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, კოლხეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა დიონისესა და ჰერაკლეს კულტები [11, 210; 12, 490].

მაგრამ მიხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ძნელია ძვ. წ. IV-I სს. კოლხეთის კულტურას ვუწოდოთ ელინისტური. ელინისტური კულტურის ქვეშ იგულისხმება არა უბრალოდ ბერძნულ ცივილიზაციასთან შეხება, არამედ უფრო რთული მოვლენა – ორი განსხვავებული სამყაროს, დასავლურისა და აღმოსავლური ცივილიზაციათა შერწყმის შედეგად შექმნილი ახალი, სპეციფიკური კულტურა [14, 10-31; 15, 20-21; 19; 20;]. მატერიალური კულტურის ძეგლების ანალიზით კი ირკვევა, რომ ელინიზმის გავლენა კოლხეთზე ძალზე ზედაპირული იყო და იგი ძირითადად საზოგადოების ზედაფენებს შეეხო. იმპორტული კერამიკა, ადგილობრივთან შედარებით, ძალზე მცირეა, კოლხეთის ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული და ძირითადად თავმოყრილია საქალაქო ცენტრებში (ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთის მიდამოები, ოჩამჩირე, სოხუმი, ვანი, დაბლაგომი და სხვ.). მართალია, როგორც აღვნიშნეთ, ელინისტური ხანის კოლხეთში მზადდება ბერძნულ-ელინისტური კერამიკის გავლენით შექმნილი ნიმუშები, მაგრამ ადგილობრივი ნაწარმის უმრავლესობა წმინდა კოლხურ ტრადიციებზეა დამყარებული, ადგილობრივი





ფორმებითაა დამზადებული და ტრადიციული კოლხური ორნამენტებითაა [3, 140-145]. ასეთივე სურათია ქალაქთმშენებლობასა და ხუროთმოძღვრებაშიც. თვით ვანშიც კი, სადაც ელინისტური კულტურის გავლენა ყველაზე მეტადაა საგრძნობი, ეს გავლენა გამოიხატა ტექნიკის ზოგიერთი მიღწევის გავრცელებაში, ხოლო ნაგებობათა გეგმა და მიზანდასახულობა ადგილობრივი ფესვებით საზრდოობს. ვანშივე პარალელურად ვითარდება ადგილობრივი სამშენებლო ტექნიკა [4, 30]. ამასთან, ქალაქის ტერიტორიაზე გამოვლენილია საკულტო ნაგებობები, რომლებიც უცხოა ბერძნულ-ელინისტური ქალაქებისათვის, მაგრამ პარალელს პოულობს ადგილობრივ, ძველ ქართულ საკრალურ ტრადიციებში. გარდა ამისა, არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ელინიზმის გავლენა შეეხო მხოლოდ საქალაქო ხუროთმოძღვრებას და იგი სრულიად უცხოა სოფლური ტიპის დასახლებებისათვის, სადაც საცხოვრებელ ნაგებობათა ტრადიციული (ოღები, ჯარგვალები) ფორმებია ხმარებაში [3, 143].

ოქრომჭედლობაშიც, როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრიდან შეინიშნება გარკვეული ელინისტური ინოვაციები, მაგრამ მათ გვერდით ვითარდება ახალი ფორმები და ტენდენციები, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივი ოქრომჭედლობის განვითარების კანონზომიერ შედეგს [18, 524].

კოლხეთში ელინიზმის ზედაპირულ გავლენაზე მიუთითებს სამარხეული ინვენტარიც. სამარხებში იშვიათი გამონაკლისის გარდა არ გვხვდება შემოტანილი პროდუქცია და ელინური ნაკეთობების მინაბადი [16, 513]. რაც შეეხება რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, აქაც ადგილობრივი კულტები წამყვან როლს ინარჩუნებდნენ და მხოლოდ გარეგნულად გააჩნიათ გარკვეული ელინისტური ელფერი. თუნდაც იგივე დიონისესა და ჰერაკლეს კულტების კოლხეთში ფართოდ გავრცელება, გარკვეულწილად ადგილობრივ ტრადიციებზეა დამყარებული. მეღვინეობა-მევენახეობის მაღალი კულტურის ქვეყანაში გასაკვირი არ უნდა იყოს ღვინის ღვთაების პოპულარობა. როგორც მიიჩნევენ მკვლევარები, ელინისტური კულტურის გავლენით, დიონისეს სახით აქ გვევლინება უძველესი ადგილობრივი ღვთაება [5, 68]. ქართულ სინამდვილეში გარკვეულ პარალელს პოულობს ჰერაკლეც, რომელმაც ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ტყვეობიდან გაათავისუფლა კავკასიის ქედს მიჯაჭვული პრომეთე (ქართული ეპოსის გმირის, ამირანის ორეული) [17, 54-70].

ასე რომ, ელინისტური კულტურის გავლენა კოლხეთში ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, მას არ გამოუწვევია ყოფა-ცხოვრების, წარმოების წესის, კულტურის თვითმყოფადობის შეცვლა და ეს უკანასკნელი ისევ თავისთავადი, ტრადიციული გზით ვითარდებოდა.

**ლიტერატურა:**

1. მ. ინაძე. სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული. II. თბ., 1962.
2. ო. ლორთქიფანიძე. ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XIX. 1957. № 3, გვ. 377-384.



3. თ. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966.
4. თ. ლორთქიფანიძე. ელინიზმი და კოლხეთი. საბჭოთა ხელოვნება. 1970. №9, გვ. 24-30.
5. თ. ლორთქიფანიძე. ძველი კოლხური კულტურა. თბ., 1972.
6. ნ. მათიაშვილი. ძვ.წ. III-I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან. თბ., 1977.
7. Дундуа Г. Ф. Нумизматика атничной Грузии. Тб., 1987.
8. Инадзе М. П. Причерноморские города древней Колхиды. Тб., 1968.
9. Капанадзе Д. Г. Грузинская нумизматика. М., 1955.
10. Куфтин Б. А. Материалы к архелогии Колхиды. т. I. Тб., 1949.
11. Лордкипанидзе О. Д. Древняя Колхида. Миф и археология. Тб., 1979.
12. Матиашвили Н. Н. Эллинизм и религиозные верования древних колхов// Причерноморье в эпоху эллинизма. Тб., 1985. С. 489-497.
13. Невская В. П. Византия в классическую и эллинистическую эпохи. М., 1953.
14. Ранович А. Б. Эллинизм и его историческая роль. М.-Л., 1950.
15. Тарн В. Эллинистическая цивилизация. М., 1949.
16. Толордава В. А. Инновации в погребальных обрядах Колхиды эллинистического времени // Причерноморье в эпоху эллинизма. Тб., 1985. С. 508-517.
17. Чиковани М. Я. Народный грузинский эпос о прикованном Амирани. М., 1966.
18. Чкония А. М. Ювелирное искусство Колхиды в IV-II вв. до н.э. (Вопросы инновации) // Причерноморье в эпоху эллинизма. Тб., 1985. С. 519-527.
19. M. I. Rostovtzeff. The Social and Economic History of the Hellenistic world. II. Oxford. 1953.
20. A. J. Toynbee. Hellenismus. The History of a civilization. Oxford. 1959.

### Kakhaber Pipia

#### *Hellenistic Culture and Colchis*

#### Summary

Lively trade and economic relationships with Hellenistic world made its influence on Colchis culture. As a result of these intensive contacts, the efforts of implementation of Hellenistic forms and transformation of local production activities into Hellenic way can be detected in material culture of Colchis of this period. The Greek- Hellenistic influence is evident in beliefs and everyday life of Colchis population. However, from the analysis of people's living and cultural standards of that period it is evident that, this influence carried a superficial character, and was relevant mainly to the upper classes of the society; the influence did not cause any drastic changes in everyday life, production methods and originality of Colchis culture.

Кахабер Пипия

*Эллинистическая культура и Колхида*

Резюме

Оживленные торгово-экономические связи с эллинистическим миром вызвали определенное влияние на культуру Колхиды. В результате этих интенсивных контактов в материальной культуре Колхиды наблюдается появление эллинистических форм и попытки перестройки некоторых отраслей местного производства на эллинистический лад. Греко-эллинистическое влияние проявляется и в религиозных представлениях, и в быту населения Колхиды. Однако из анализов памятников материальной культуры выясняется, что это влияние носило поверхностный характер, в основном, оно коснулось высших слоев общества и не вызвало изменений в быте и культурной самобытности Колхиды.

Ирина Джобава

## КОНСТРУКТИВНЫЙ ДИАЛОГ ИЛИ УМЕНИЕ ПРАВИЛЬНО ОБЩАТЬСЯ

Строение диалога определяется не столько правилами языкового поведения людей, сколько канонами человеческого общения и индивидуальными особенностями мировосприятия говорящих, поэтому диалог изучается не только лингвистическими дисциплинами, но и другими науками.

Осуществляемый в условиях непринужденного общения диалог часто строится по правилам, характерным для устной речи (неполный стиль произношения, своеобразный синтаксис, ситуативные лексические новообразования). Диалогическая речь представляет собой такую частную коммуникативную систему, которая характеризуется сиюминутностью производства, быстротой и непосредственностью процесса отражения явлений и ситуаций объективного мира, активностью говорящих и выражения своего индивидуального отношения к фактам, обилием эмоциональной реакций. [1]

Диалогические отношения могут легко складываться, но сохранить положительную атмосферу общения не всегда легко. Тип диалога, который развивается в положительном русле, мы будем называть конструктивным, а тип диалога, который приводит к коммуникативному провалу или сбою, мы назовем деструктивным диалогом.

Коммуникативные неудачи, вызванные деструктивным диалогом — это недостижение инициатором общения коммуникативной цели и, шире, прагматических устремлений, а также отсутствие взаимодействия, взаимопонимания и согласия между участниками общения.

Конструктивный диалог - диалог, который прогрессирует. Для развития конструктивных диалогических отношений важным компонентом является знание коммуникантами норм этикетного речевого общения. Этика речевого общения начинается с соблюдения условий успешного речевого общения: с доброжелательного отношения к адресату, демонстрации заинтересованности в разговоре, “понимающего понимания” — настроенности на мир собеседника, искреннего выражения своего мнения, сочувственного внимания. Это предписывает выражать свои мысли в ясной форме, ориентируясь на мир знаний адресата. В праздноречевых сферах общения в диалогах и полилогах интеллектуального, а также “игрового” или эмоционального характера, особую важность приобретает выбор темы и тональности разговора. [2]

*Этика речевого общения*, принятая в данной культуре совокупность требований к форме, содержанию, порядку, характеру и ситуативной уместности высказываний. Известный исследователь речевого этикета Н.И.Формановская дает такое определение: «Под речевым этикетом понимаются регулирующие правила речевого поведения, система национально специфичных стереотипных, устойчивых формул общения, принятых и предписанных обществом для установления контакта собеседников, поддержания и прерывания контакта в избранной тональности». К речевому этикету, в частности, относятся слова и выражения, употребляемые



людьми для прощания, просьбы, извинения, принятые в различных ситуациях формы обращения, интонационные особенности, характеризующие вежливую речь и т.д. Изучение речевого этикета занимает особое положение на стыке лингвистики, теории и истории культуры, этнографии, страноведения, психологии и других гуманитарных дисциплин. [3]

Этика речевого общения предполагает соблюдение речевого этикета, правил и конвенции общения.

Перечислим предложенные в литературе *принципы конвенционального общения*.

*Принцип выразимости.* Все, что может иметься в виду, можно адекватно выразить.

*Принцип ясности.* Когда говорящий произносит предложение, истинное только некоторую часть времени, в течение которого произносится (как в случае: Вон что-то мелькает вдаль!), то имеет место презумпция, что адресат будет оценивать истинность высказывания относительно именно соответствующего отрезка времени.

*Принцип правдивости и доверия.* Говорящие производят только те речевые акты, которые удовлетворяют условиям уместности в конкретной ситуации общения; слушающие всегда предполагают такую обязанность говорящих.

*Принцип неточности выражения в контексте.* Когда это допускают обстоятельства, употребимы не обязательно самые точные способы выражения.

*Принцип потенциальной выявляемости оснований.* Высказывание должно давать адресату ту путеводную нить, которая позволяет выявить, какие именно доводы говорящий предполагает в распоряжении адресата думать именно данным образом.

*Принцип оптимальности.* Говорящий всегда стремится минимизировать сложность поверхностной структуры своего высказывания и максимизировать тот объем информации, который может быть успешно сообщен адресату. [4]

В проекте П. Грайса [5], нашедшем большой отклик как в лингвистической литературе, так и в работах по философии языка, многие из приведенных выше принципов объяснимы через основное его положение – принцип сотрудничества (cooperative principle) или Принцип Кооперации.

Каждый собеседник должен вносить в разговор тот вклад (в виде реплик), который требуется на конкретной стадии разговора, при конкретной общей для участников цели и направлении обмена репликами. Иначе говоря, собеседники должны учитывать разговорные нужды друг друга и стремиться к сотрудничеству.

Сформулированный «принцип сотрудничества» реализуется в виде правил, или *максим*, следование которым определяет степень кооперативности дискурса, его нормативности, в конечном итоге. П. Грайс выделяет:

*Максимы количества* следующие:

а) делай свой вклад в разговор в той степени информативным, какая необходима для целей данного обмена репликами;

б) этот вклад не должен быть более информативным, чем того требуют обстоятельства данного разговора (иначе речь получит дополнительные интерпретации, возможно, нежелательные).

*Максимы качества:*

- а) старайся делать только истинные высказывания (главная максима);
- б) не говори того, что сам считаешь ложью;
- в) не говори того, для чего у тебя нет достаточных оснований.

В частности, максима качества для вопросов может быть переформулирована так: не задавай конкретизирующего вопроса (с вопросительным местоимением), если можно задать простой альтернативный вопрос (т. е. тот, ответ на который – да или нет).

**Максима отношения:** говори по существу (будь релевантен).

**Максимы образа, или выполнения действия:**

- а) говори ясно (это главная максима);
- б) избегай неясности в выражениях;
- в) избегай неоднозначности;
- г) избегай ненужной пространности речи;
- д) излагай все по порядку.

Сущность принципа сотрудничества Грайса заключается в том, что в нормальных условиях, когда говорящие хотят достичь взаимопонимания, они стараются строить свои высказывания таким образом, чтобы высказывание одного коммуниканта способствовало движению в нужном направлении высказываний другого коммуниканта. При этом направление развития обмена высказываниями может быть задано по обоюдному согласию выбором определенной темы, как это сплошь и рядом наблюдается в случае официальных переговоров, но может складываться и стихийно, в процессе разговора, когда коммуниканты затрагивают и обсуждают те темы, которые считают нужными и актуальными для себя в данный момент. Какие-то темы при этом, естественно, отклоняются одной из сторон или избегаются обеими сторонами. [6]

Естественно, что указанный Принцип Кооперации, равно как и его отдельные постулаты, соблюдается далеко не всегда. Это может быть вызвано различными причинами. Например, у коммуникантов может отсутствовать общая цель достичь взаимопонимания. В этом случае один из коммуникантов может попытаться увести партнера в сторону от общей темы, сбить его с толку, незаметно для него изменив тему беседы и начав говорить о чем-то заведомо туманно и расплывчато. Преследуя личную цель, один из коммуникантов может снабдить партнера заведомо ложной информацией, с тем чтобы направить его поведение в желательное для себя русло. Такие условия могут привести к коммуникативной неудаче.

Однако нарушение отдельных постулатов может сопровождаться сохранением общего Принципа Кооперации. Это создает особую ситуацию, так как в этом случае некоторая информация сообщается в форме подтекста. Тем самым постулат нарушается лишь по форме, а не по существу, так как говорящий не преследует цель сообщить партнеру ложную, не относящуюся к делу или неоднозначную информацию. Напротив, таким способом может сообщаться истинная, релевантная и однозначная информация, которая лишь преподносится в форме, якобы свидетельствующей о нарушении Принципа Кооперации.

В речевом общении, как известно, большую роль играет вежливость. Наряду с Принципом Кооперации, в вербальной коммуникации, по мнению Дж.Лича, действует Принцип Вежливости, интереса, добродушной шутки. Принцип



Вежливости включает шесть симметричных постулатов: 1) постулат такта (принцип минимума неудобств и оказывай максимум удобств другому), 2) постулат великодушия (оказывай минимум удобств себе и максимум удобств другому), 3) постулат одобрения (своди к минимуму отрицательную оценку других, стремись к максимально положительной оценке других), 4) постулат скромности (минимально хвали себя, максимально порицай себя), 5) постулат согласия (своди к минимуму разногласие между собой и другим, стремись к максимальному согласию между собой и другим), 6) постулат симпатии (своди к минимуму антипатию между собой и другим, стремись к максимальной симпатии между собой и другим). Первые два постулата формулируются в терминах затрат и выгод. Так, соблюдая постулат такта, говорящий минимизирует затраты для адресата, но максимизирует для него выгоды. Соблюдая постулат великодушия, говорящий, напротив, минимизирует выгоды для себя, но максимизирует затраты. Постулат одобрения рекомендует избегать неодобрительных высказываний об адресате и обо всем, что входит в его сферу. Постулат скромности запрещает высказывать похвалу в адрес самого себя. Смысл постулата согласия сводится к тому, что говорящему рекомендуется избегать несогласия между собой и адресатом. Наконец, постулат симпатии означает, что говорящий для успеха вербальной коммуникации должен избегать выражения антипатии по отношению к адресату и его сфере. [7]

Смысл всех этих постулатов можно интерпретировать следующим образом: если хочешь быть вежливым или по крайней мере выглядеть вежливым, будь в своем поведении и в своих высказываниях тактичен, великодушен и скромнен, не относись к адресату неодобрительно и с антипатией и по возможности соглашайся с ним; говори адресату по возможности о приятных для него вещах и избегай неприятных тем (акцентирование приятных тем рекомендуется так называемым Принципом Поллианны); если же кто-то тебе неприятен и ты хочешь дать ему понять это, не оскорбляй его, а вырази свою неприязнь в форме внешне безобидного иронического высказывания (Принцип Иронии).

Соблюдение Принципа Вежливости дает возможность избежать конфликтов, которые обычно ведут к нарушению и прерыванию речевого общения.

В основе коммуникативных постулатов лежит здравый смысл. Приведем для сравнения советы из известной книги Дейла Карнеги: «шесть способов понравиться людям» - 1) проявляйте к людям искренний интерес, 2) улыбайтесь, 3) помните, что имя человека является для него лучшим словом из всего человеческого запаса, 4) умеете внимательно слушать и воодушевлять собеседника на разговор, 5) заводите разговор о том, что интересует вашего собеседника, 6) старайтесь дать человеку почувствовать его превосходство и делайте это искренне. «Как заставить человека стать на вашу точку зрения» - 1) единственный способ одержать победу в споре - это избегать его, 2) никогда не говорите человеку прямо, что он неправ, 3) если вы неправы, признавайтесь в этом быстро и в категоричной форме, 4) начинайте с дружеского тона, 5) старайтесь получить от вашего собеседника утвердительный ответ в самом начале вашей беседы, 6) дайте возможность другому человеку больше говорить, а сами старайтесь говорить меньше, 7) дайте человеку почувствовать, что идея, которую вы ему подали, принадлежит ему, а не вам, 8) старайтесь смотреть на вещи глазами другого человека, 9) относитесь с сочувствием к идеям и желаниям

другого человека, 10) прибегайте к благородным мотивам, 11) используйте принцип наглядности для доказательства своей правоты, 12) если вы хотите заставить волевого человека встать на вашу точку зрения, бросьте ему вызов. «Как завоевать друзей и оказывать влияние на людей». [8] Эти советы сводятся к стратегиям вежливости и в плане статусных отношений могут быть обобщены как требования увеличивать статусный вес партнера и демонстрировать свое уважение к собеседнику.

Нарушения коммуникативных постулатов делают общение невозможным. Англичане говорят: "Don't use a 14-letter word to your child and a 4-letter word to your mother-in-law". Длинные слова в английском языке как правило являются книжной лексикой и поэтому неуместны в разговоре с детьми, а выражение "четырёхбуквенное слово" эвфемистически указывает на ругательство.

Но в ряде случаев постулаты общения нарушаются намеренно. Это происходит, во-первых, в силу противоречивости самих постулатов, например, "будь вежлив" и "будь краток". Формулы вежливости в информативном отношении избыточны. Во-вторых, нарушения постулатов общения бывают вызваны так называемыми коммуникативными манипуляциями, т.е. ходами, цель которых - поставить партнера по общению в неудобное положение.

Нормальное протекание диалога предполагает коммуникативное намерение другого. При этом несоблюдение какого-либо из постулатов общения еще не означает провала коммуникации: часто не прямой способ выразить свою мысль или коммуникативное намерение является более удобным или даже общепринятым (например, при выражении отрицательного мнения, побуждения или отказа). «Кооперативный» слушатель должен распознать это намерение и правильно отреагировать. Если он этого сделать не может или, чаще, не хочет, говорящий терпит коммуникативную неудачу. Вообще, как выясняется, без соблюдения принципа кооперации язык практически не способен служить средством общения. Построить высказывание, которое можно было бы понять только единственным образом, почти невозможно. Поэтому вычислять намерения приходится слушателю. [9]

## Литература:

1. Чахоян Л.П. Синтаксис диалогической речи современного английского языка. М., 1979.
2. Виноградов С.И., Платонова О.В. и др. Культура русской речи. М., 1999.
3. Формановская Н.И. Речевое общение: коммуникативно-прагматический подход // Русский язык. М, 2002.
4. Демьянков В.З. Конвенции, правила и стратегии общения (Интерпретирующий подход к аргументации). М., 2003.
5. Грайс П. Постулаты речевого общения // Новое в зарубежной лингвистике. Лингвистическая прагматика. Вып.16. М., 1985. С.41-58.
6. Богданов В.В. Речевое общение: прагматические и семантические аспекты. Л., 1990. С.14 -19.





7. Leech G.N. Principles of Pragmatics. London. 1983. P.132.
8. Карнеги Д. Как завоевывать друзей и оказывать влияние на людей. М., 1992. С.79-108.
9. Падучева Е.В. Высказывание и Диалог // «Русский язык». Вып.37. М.,2001.

Irina Jobava

*Constructive Dialogue and Conventions of Effective Communication*

**Summary**

It is important for speakers to know standards of verbal communication etiquette in order to hold a constructive dialogue. The constructive dialogue is an interaction which causes positive dialogic realtions. Ethics of verbal communication presumes observance of communication etiquette, rules, postulates and conventions. Communicative postulates are maxims of speakers during conversation that play an essential role in holding effective conversation. P.Grice introduced communicative postulates into scientific practice and formulated them as the Principle of Cooperation that includes postulates of quantity, quality, mode and relevance. Another very important principle that regulates conversation was formulated by G.Leech and it is called the Principle of Politeness. This principle contributes to maintenance of social harmony and prevention of conflict situations.

ირინე ჯობავა

*კონსტრუქციული დიალოგი ანუ ეფექტური საუბრის წარმართვა*  
**რეზიუმე**

კონსტრუქციული დიალოგის შესადგენად, აუცილებელია მოსაუბრეებმა იცოდნენ და დაიცვან საუბრის ეთიკური ნორმები. კონსტრუქციული დიალოგი, არის ისეთი დიალოგი, რომელიც არ იწვევს დიალოგური ურთიერთობების გაუარესებას ან საუბრის შეწყვეტას. არსებოს საკომუნიკაციო პოსტულატები ან მაქსიმები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული საუბრის დროს. პ. გრაისმა შემოიტანა მეცნიერებაში ეს პოსტულატები და ჩამოაყალიბა კოოპერაციის ან თანამშრომლობის პრინციპი, რომელიც შეიცავს ხარისხის, რაოდენობის, საშუალების და რელევანტობის პოსტულატებს. მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი წარმოდგენილია ჯ. ლიჩის მიერ. ეს არის თავაზიანობის პრინციპი, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ჰარმონიას და მიმართულია კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილებისაკენ.

## კუერილიზმი როგორც მე-20 საუკუნის კულტურის მახასიათებელი

ჰოლანდიელი კულტუროლოგის იოჰან ჰაიზინგას სახელი კულტურის თამაშებრივ თეორიას უკავშირდება. თავის შემაჯამებელ ნაშრომში **“Homo ludens”** (“მოთამაშე ადამიანი”) ის ავითარებს იდეას, რომლის მიხედვით კულტურაში მონაწილეობს და არსებით როლს ასრულებს თამაშის ელემენტი, რომ თამაში თან ახლავს კულტურას მთელი მისი არსებობის მანძილზე და ახასიათებს კულტურის მრავალ ფორმას. უფრო მეტიც, ჰაიზინგა მიიჩნევს, რომ თამაში კულტურის მაცოცხლებელი სულია და რომ თამაშის სულის დაკნინება კულტურის დაკნინებასაც ნიშნავს.

ცხადია, ჰაიზინგა თავისი მოსაზრების დასაბუთებას ცდილობს და სწორედ ამიტომ თამაშის არსს, მის სპეციფიკას აანალიზებს. ის კითხულობს: რა არის თამაში? და იძლევა მის სკრუპულოზურ დახასიათებას. ჰაიზინგას მიხედვით თამაში ნებაყოფლობითი ქცევაა, რომელიც სრულდება დადგენილი დროითი და სივრცითი საზღვრების შიგნით, ქმნის დაძაბულობისა და სიხარულის შეგრძნებას და ხორციელდება უპირობოდ სავალდებულო წესების მიხედვით. თამაში წარმოდგენაა, რომელიც აქ, ეხლა თამაშდება, ის სანახაობაა, და არა რეალური იდეალური აღდგენა ცნობიერებაში. ის ქმდებაა, მაგრამ არა ჩვეულებრივი, არამედ “არაჩვეულებრივი;” სივრცითი და დროითი გამიჯვნაა ყოველდღიური რეალობისაგან, ყოველდღიური ცხოვრების კანონებისაგან და სწორედ ამიტომ გადასვლაა მომწესხველ, მომაჯადოებელ, ხატოვან სამყაროში. ამ სამყაროს ნამდვილობა ეჭვსგარეშეა, ის რეალური სამყაროა. საკაცობრიო კულტურა ამის დადასტურებაა: არქაული კულტურა, რომი, შუა საუკუნეების თუ რენესანსის კულტურა, ბაროკოს თუ როკოკოს სტილი გამსჭვალულია თამაშის სულისკვეთებით. თამაშის სულითაა გაჟღენთილი ადამიანის გონითი საქმიანობის ისეთი სფეროებიც, როგორცაა ფილოსოფია, თეოლოგია, პოლიტიკა, ეკონომიკური საქმიანობა და ა.შ. თუმცა ის, რომ კულტურული ცხოვრების სხვადასხვა ელემენტებს შორის თამაშს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, იმას როდი ნიშნავს, თითქოს კულტურა თამაშიდან აღმოცენდება ან თამაში კულტურად გარდაიქმნება. აქ საუბარია არა გარდაქმნაზე, არამედ იმაზე, რომ კულტურა თამაშის ფორმით წარმოიშობა და თამაშის სულისკვეთებით ხორციელდება. საზოგადოებრივი ცხოვრება თავისი არსით არ ნიშნავს მარტოოდენ ბიოლოგიური არსებობის შენარჩუნებას თუ სასიცოცხლო სივრცის გაფართოებას; ის უფრო მაღალ ღირებულებებზე ორიენტირებული თანაცხოვრებაა ადამიანების, რომლებიც თამაშით ქმნიან “ცხოვრებისა და სამყაროს საკუთარ გაგებას” (გვ. 69).

თამაშისას “თამაშდება” რაღაც ისეთი, რაც აღემატება სიცოცხლის განმტკიცების ლტოლვას და თავად ანიჭებს საზრისს სასიცოცხლო მოღვაწეობას. ჰაიზინგას აზრით, რადგანაც თამაში საზრისის მქონეა, მასში არამატერიალური ელემენტიც მონაწილეობს, რასაც გონს, “სულს” უწოდებს. მაგრამ იქვე დასძენს, რომ “თუმცა (თამაში) გონითი საქმიანობაა, მასში თავისთავად არავითარი გონითი ფუნქცია, არავითარი სიქველე და ცოდვა არ იგულისხმება,” (გვ. 17). თამაში როგორც ასეთი, არც ჭეშმარიტს და არც



კეთილს არ ეთანადება. მისი ადგილი არც ესთეტიკურის სფეროშია და თამაშს სიღრმისეული თავისთავადობა აქვს, რომლის საფუძველზეც ის (თამაში) წარმოადგება როგორც ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან განსხვავებული რაგვარობა. თამაში განასახიერებს თავისუფლების იმ ფერმენტს, რაც კულტურას ქმნის, რაც ადამიანთა ცხოვრებას რაღაც უფრო მეტად აქცევს, ვიდრე თვითშენახვის, სასიცოცხლო სივრცის მოპოვებისა და გვარის გადარჩენისათვის ბრძოლაა.

მე-18 საუკუნის ბოლომდე კაცობრიობის კულტურა ყოველივე ზემოთქმულის დადასტურებაა. სურათი რადიკალურად იცვლება მე-19ს-დან. ჰაიზინგას აზრით, ამაში “დამნაშავე” მეცნიერული პროგრესია. წინა პლანზე უტილიტარულ-პრაქტიკული და რაციონალისტური ელემენტების წამოწევამ ადამიანის მომხმარებლურ ბუნებასაც უფრო ფართო გასაქანი მისცა; მან ირწმუნა რა მეცნიერული პროგრესის ძალა, შეიარაღდა მეცნიერული გეგმით და “საკუთარი მიწიერი კეთილდღეობის მოსაპოვებლად შრომას შეუდგა. შრომის, განათლებისა და დემოკრატიის იდეალებმა ადგილი აღარ დაუტოვა თამაშის მარადიულ პრინციპს.” (გვ. 250)

რა ხდება მე-20 საუკუნის კულტურაში? რამდენად მოიცავს თამაშის სულისკვეთება ამ კულტურას ნაზიარევ ხალხს? ამ კითხვებზე პასუხს ჰაიზინგა თავისი ნაშრომის ბოლო მონაკვეთში იძლევა.

ჰაიზინგა თვლის, რომ მე-20ს. ადამიანის კულტურული მოღვაწეობის ისეთი სფეროები, როგორცაა მეცნიერება, ხელოვნება, ეკონომიკა, პოლიტიკა, სპორტიც კი, გადის თამაშის სფეროდან. ეს თვალნათლივ ჩანს თითოეული მათგანის გაანალიზებისას.

შეჯიბრი (თანამედროვე სიტყვებით – სპორტი) აგონურ-რაინდული სულის გამოვლინება იყო, რომელიც თამაშებრივ განწყობას ქმნიდა. მე-19 საუკუნიდან სპორტი ყალიბდება როგორც გარკვეული წესების სისტემის მქონე ორგანიზებული შერკინება. ხოლო მე-20ს-ში სპორტი “გულისწამლებად სერიოზულ საქმედ” იქცა. (გვ.255) თანამედროვე სპორტული თამაშობანი წარმოუდგენელია ტექნიკური ორგანიზაციის, მატერიალური აღჭურვილობისა და მეცნიერული გააზრებულობის გარეშე, რითაც საფრთხე ექმნება საკუთრივ თამაშებრივი განწყობის დაკარგვას, რაც შეჯიბრისთვის თანამდევი იყო ყველა ეპოქაში.

თუ სპორტის შემთხვევაში საუბარია თამაშზე, რომელიც დროთა განმავლობაში სერიოზულ საქმედ იქცა და მაინც თამაშად აღიქმება, ეკონომიკური საქმიანობის დროს პირიქითაა, სერიოზული საქმიანობა თამაშად იქცევა, თუმცა სერიოზულობის სტატუსს ინარჩუნებს. სპორტში წარმოშობილი რეკორდის ცნება ფართო გასაქანს ეკონომიკის სფეროში პოულობს. ვაჭრობისა და მრეწველობის გიგანტების შეჯიბრი სულ უფრო დაძაბული და აზარტული ხდება. აგონური მომენტი ვაჭრობას უფრო პროდუქტიულს ხდის. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, თითქოსდა ეკონომიკა თამაშის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. თამაშისათვის არსებითი ნიშნები – თავისუფლება, სილაღე და ღირსება ამ საქმიანობისათვის უცხოა, რამეთუ, როგორც ჰაიზინგა წერს, სავაჭრო შეჯიბრი წარმოშობისთანავე ერთი ინდივიდის მიერ მეორეს გაცურებას ემყარება.

ხელოვნების ძირითადი საფუძველი საუკუნეების მანძილზე საზოგადოებრივი ცხოვრების სასიცოცხლო ფუნქციად ყოფნა იყო. თუმცა კულტურის ევოლუციის პროცესმა ის დაამორა ამ სოციალურ საფუძველს და ერთეულ ინდივიდთა თავისუფალ და დამოუკიდებელ საქმიანობად აქცია. ამ გადანაცვლებამ სოციალურიდან ინდივიდუალურზე



ხელოვნება პრივილეგირებულთა ცხოვრების კეთილშობილ სამშენისად აქცია ხელოვნობის ხელოვანი გაცნობიერდა როგორც ხალხის მასაზე მაღლა მდგომი განსაკუთრებული არსება. თუმცა მე-19 საუკუნის ბოლოდან ხელოვნების საყოველთაოდ მაღალი შეფასება უბრალო სასკოლო განათლების მქონე ხალხის ფენამდე აღწევს და ის საჯარო საკუთრებად იქცევა. ამავე დროს შემოქმედების ძირითად იმპულსად ახლისა და გაუგონარისადმი სწრაფვა ცხადდება, რასაც შედეგად ხელოვნების ბაზართან უშუალო დაკავშირება მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით წერს ჰაიზინგა: “ხელოვნებას უფრო მეტად შეუძლია შეითვისოს მექანიზაცია, გარეგნული ეფექტები, რადგან უფრო უკავშირდება ბაზარს და ტექნიკური საშუალებებით მუშაობს. ყოველივე ეს მეტისმეტად გვაშორებს თამაშის ელემენტს.” (გვ. 260)

თუ ხელოვნების დასახასიათებლად ამოვდიოდით თამაშის კატეგორიიდან როგორც მოცემული და საყოველთაოდ მიღებული სიდიდიდან, მეცნიერების შემთხვევაში საქმე სხვანაირადაა, რადგან თუ მეცნიერება თავისი სამოქმედო აპარატით, ცნებებითა და მეთოდოლოგიით გარკვეულ სათამაშო სივრცეს შეიძლება შევადაროთ, მეორე მხრივ, ის გულისხმობს არა უზრუნველობას და ყოველდღიური რეალობისაგან თავის დაღწევას, გაქცევას, არამედ პირიქით, ის “ეძებს სინამდვილესთან კონტაქტს არა მხოლოდ უტილიტარული თვალსაზრისით როგორც გამოყენებითი მეცნიერება, არამედ სინამდვილის უნივერსალური მნიშვნელობის მქონე მოდელის შექმნასაც ცდილობს როგორც წმინდა მეცნიერება. მისი წესები თამაშის წესებისაგან განსხვავებით შეურყევლად დადგენილი არ არის. გამოცდილება კვლავ და კვლავ აყალიბებს მათ და მეცნიერება იძულებულია, სახე იცვალოს. თამაშის წესებს კი ვერაფერი გააყალბებს, ის შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ არა-შესწორდეს.” (გვ.261)

რეალური პოლიტიკური ურთიერთობები ერებსა და სახელმწიფოებს შორის “მტერ-მოყვარის” პრინციპით განისაზღვრება, სადაც მტერი პირადად საძულველი ვინმე კი არაა, არამედ ის უცხოა, რომელიც გზიდან უნდა ჩამოიშორო. ის მეტოქეა, რომელიც უბრალოდ კი არ უნდა დაჯაბნო, არამედ გაანადგურო და მოსპო. ეს, რა თქმა უნდა, გამორიცხავს თამაშის სულისკვეთებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჰაიზინგას აზრით, თანამედროვე კულტურას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს თვისება, რომელიც შეიძლება გამოვხატოთ სიტყვით “პუერილიზმი.” ეს არის ფსიქიკური მდგომარეობა, რაღაც საშუალო ბავშვურობასა და ჭაბუკურ გაუწონასწორებლობას შორის. ეს არის მოქმედებათა წყება, რომელშიც დღევანდელი ადამიანი, ამა თუ იმ ორგანიზებულად მოქმედი კოლექტივის შემადგენლობაში, სიყრმის ხანის მასშტაბებით იქცევა. ეს ვლინდება ყოველდღიურად, ყველგან-ყველა სფეროში და ყოველგვარ ურთიერთობებში: ამოუწურავი მოთხოვნილება ბანალური გართობებისადმი, უხეში სენსაციის წყურვილი, მასობრივი სანახაობებისადმი ლტოლვა, “იუმორის გრძნობის ნაკლებობა, შინაგანი მზაობა დაინახო ბოროტი განზრახვები “სხვებთან” და შეუწყნარებლობა “სხვების” აზრის მიმართ, უზომო გადამეტება ქებასა და ლანძღვაში და ღიაობა ყოველგვარი ილუზიისადმი, რომელიც გუნდრუკს უკმევს საკუთარი თავის სიყვარულს ან ჯგუფურ ცნობიერებას”.(გვ. 264)

რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზია, ჯერ-ერთი, გონით ურთიერთობებში სანახევროდ განათლებული მასის შემოსვლა, მეორეს მხრივ, ზნეობრივ-ღირებულებითი საზომის შესუსტება და მესამე, ტექნიკისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მეტისმეტად მაღა-



ლი გამტარუნარიანობა. ჰაიზინგა წერს: “სულიერი განწყობა მოზარდებს, როგორც ალზრდის, კარგი ტონისა და ტრადიციების აღვირი დააკლდა, ცდილობს ყველა სფეროში გაბატონდეს და შესანიშნავად ახერხებს კიდევ ამას. ცხოვრების მთელ რიგ სფეროებში საზოგადოებრივი აზრის შექმნას უმწიფარი ჭაბუკის ტემპერამენტი და მოზარდთა გაერთიანების სიბრძნე განაგებს.”(გვ.264)

ჰაიზინგას მოჰყავს ოფიციალური პუერილიზმის მაგალითი საბჭოთა რუსეთის ცხოვრებიდან, როდესაც კურსკის ოლქის სამ კოლმეურნეობას, რომელთაც “ბუდიონი,” “კრუპსკაია” და “წითელი ყანა” ერქვა, მარცვლეულის ჩაბარებაში ჩამორჩენისთვის შესაბამისად “ჯანჯალი”, “მესაბოტაჟე” და “უქნარა” დაარქვეს. ეს შემთხვევა მკაფიოდ აჩენს, ჯერ-ერთი, საზოგადო გუნება-განწყობას, ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკური ენთუზიაზმის ზედმეტი თავგამოდების მაგალითია.

“ჭაბუკური სიბრძნით” მართული საჯარო ცხოვრება და მაშასადამე, კულტურაც, უმწიფრობის ნიშანია. ხოლო საკუთარ სიმწიფეზე ნებით უარისმთქმელი გონი მხოლოდ და მხოლოდ ბოროტი ვნებებით სულდგმულობს და მის ყველა გამოვლინებაში მხოლოდ მუქარა ჭვივის, ასკენის ავტორი.

და მაინც, რა არის პუერილიზმი? ის თამაშის სულია გადაგვარებული სახით არსებული, ის უმწიფარი და არა შემოქმედი სულის გამოვლენაა. მე-20ს., საბოლოო ჯამში, ეს უმწიფარი სული ქმნის. სულის უმწიფრობასა და ტოტალიტარიზმს შორის კი პირდაპირი კავშირია. ტოტალიტარიზმი ვერ ჰგუობს თამაშის თანამდევთა თავისუფლების, სილალის, პატივისა და ღირსების სულისკვეთებას. სწორედ ამიტომ, ტოტალიტარიზმი შესაძლებელია იქ, სადაც თამაშის სულისკვეთება დაკარგულია. მე-20ს-ის კულტურის დაკნინების მიზეზიც ხომ თამაშის სულის დაკნინება იყო, რომელმაც საბოლოო ჯამში, კაცობრიობა რეალურად დააყენა ფაშიზმის წინაშე.

**ლიტერატურა:**

1. ი. ჰაიზინგა. Homo ludens. თბ., 1997.
2. Культурология (Хрестоматия). М., 2000.

**Khatuna Amaglobeli**

*Purelism as a characteristic feature of the 20th century culture*

**Summary**

From the point of view of Dutch culturologist Yohan Heizinger a game element in culture is considered to be of vital importance. Game moments accompany culture throughout its history and define a lot of forms of it. Furthermore, Heizinger considers the game element to be a vivifying element. If spirit of the game diminishes, the culture will diminish as well.



36036320  
303001101333

Till the end of the 18 th century culture was being created by the mankind in the form of a game. Everything began to change from the 19 th century, as culture lost its freedom, honour and respect.

The same situation was in the 20 th century; we can depict this situation with the word "Purelism", which means some psychological state- something average between childish and youthful unbalanced state. From Heizinger's point of view, the culture which is being manipulated by "childish wisdom" is a sign of immaturity. Purelism is not a creative power, but it's an immature spirit. There is a strong bond between immature spirit and totalitarianism.

### Хатуна Амаглобели

#### *Пуэрилизм как характерная черта культуры XX века*

#### Резюме

По мнению голландского культуролога Йохана Хайзинга, в культуре присутствует и значительную роль занимает элемент игры. Игра сопровождает культуру на всем протяжении ее существования, и она характерна для многих форм культуры. Более того, Хайзинг считает, что игра – это животворящий элемент, и его умаление равносильно умалению культуры.

До конца XVIII в. человечество создавало культуру в игровой форме. Картина радикально изменяется с XIX века, так как культура утратила сопутствующий игре дух свободы, независимости, чести и достоинства.

Аналогичная ситуация складывается и в XX веке. Именно поэтому для нее характерна черта, которую можно назвать одним словом «пуэрилизм» - психическое состояние, что-то среднее между детской и юношеской неуравновешенностью.

Управляющая же «юношеской мудростью» культура, по мнению Хайзинга, показатель незрелости. Пуэрилизм - это проявление не творческого, а несозревшего (несозидательного) духа. Между тоталитаризмом и незрелостью духа прямая связь.



## ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

კულტურა არის ადამიანისა და საზოგადოების ფორმათა ერთობლიობა, რომელიც ვლინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და გამოხატავს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს. განსაზღვრულ ეპოქაში ხალხის, ერის, საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა შეადგენს მათ კულტურას. თანამედროვე მეცნიერება სხვადასხვა მეთოდებით ცდილობს გამოიკვლიოს კაცობრიობის კულტურის ისტორია, ჩასწვდეს წარსულ ეპოქებს და აღადგინოს წარსული ცივილიზაციებისა და კულტურების სურათები, მათი განვითარებისა და ურთიერთკავშირების გზები. ამ მხრივ შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ბერძნულ-ქართული ურთიერთობები. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბერძნეთს, ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე ტერიტორიის უღუდესი ნაწილი, ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მცირე აზიასა და კავკასიამდე დასახლებული იყო ერთგვარი კრებითი მნიშვნელობით; რომ ვთქვათ ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში მყოფი ხალხებით. ამის მტკიცება პირდაპირ ძნელია, რადგან ეს ცალკე კვლევის საგანს შეადგენს, თუმცა საამისო საშუალებას ზოგადად იძლევა ის გარემოება, რომელსაც ადასტურებს უძველეს გეოგრაფიულ სახელთა მსგავსება აღნიშნულ ფარგლებში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები და განსაკუთრებით ლინგვისტური მონაცემები. ცნობები ამ ტერიტორიაზე მოსული თუ შემოჭრილი ხალხების შესახებ, მათი კულტურისა და ენის შესწავლის შედეგად ვლინდება. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბერძნეთში აღმოცენებულ ანტიკურ კულტურას, რომელიც დღემდე შეადგენს კვლევის საგანს. ანტიკური კულტურის ერთ-ერთი ფენომენია მითოლოგია, ანტიკურ მწერლობაში პირველად დამუშავდა მრავალი მითოლოგიური სიუჟეტი, რომელიც დროთა განმავლობაში იხვეწებოდა, და დღესაც ამოუწურავია. რაც შეეხება საქართველოს ურთიერთობას ანტიკურ ხანასთან და საერთოდ საბერძნეთთან, ამას თავისებური ხასიათი გააჩნია. ჩვენ ზოგადად მიმოვიხილავთ რამოდენიმე მათგანს. კიდევ აღვნიშნავთ რომ მნიშვნელოვანია ის როლი, რომელიც ანტიკურმა სამყარომ დაიმკვიდრა მსოფლიო კულტურის ისტორიაში, და ისიც, რომ ანტიკურ სამყაროს ძველ საქართველოსთან მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ის ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში იწყება და ინტენსიურად გრძელდება ანტიკური საზოგადოების მთელ მანძილზე. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საბერძნეთ-საქართველოს ურთიერთობაში იყო ძველი კოლხეთი, რომელმაც ბერძენ ავტორთა ყურადღება მიიპყრო და გადმოცემულია მითში არგონავტებზე. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ნაშრომი მიძღვნილი ბერძნულ-ქართულ ურთიერთობებზე. ასევე დიდი მუშაობაა გაწეული კოლხეთის, განსაკუთრებით ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლის მხრივ. მნიშვნელოვანია ანტიკური ეპოქის ქართლის (იბერიის) ქალაქებისა და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძველბერძნული ეპიგრაფიკულ ძეგლთა შესწავლა. ასევე მნიშვნელოვანია ბერძნულ-რომაული წყაროები, რომელთა განხილვას აქ არ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ანტიკური სამყაროდან ცნობები საქართველოს შესახებ



მოქოვებათ: ჰეროდოტეს, ქსენოფონტს, ჰიპოკრატეს, ჰერაკლიტე პონტოელს, აპოლონიოს როდოსელს, სტრაბონს და სხვებს. ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობისთვის მნიშვნელოვანია ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან შავი ზღვის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. ამ ურთიერთობის კვლევისას მნიშვნელოვანია ფოლკლორის შესწავლა. როდესაც საუბარია ანტიკური კულტურის შეთვისებასთან ძველ საქართველოში გასათვალისწინებელია ხალხური საწყისები. იგულისხმება როგორც მხატვრული აზროვნების ნიმუშთა ფორმირება და ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში მათი არსებობისა და გავრცელების საკითხები. ქართული სიტყვიერების ისტორია კარგად იცნობს ზეპირსიტყვიერების ისეთ მატარებლებს, როგორებიც არიან: მეფანდურე, მეჩონგურე, მესტვირე, მუშაითი, მუტრიბი და სხვ. ბევრი მათგანის ატრიბუტს მუსიკალური ინსტრუმენტი წარმოადგენდა. საბერძნეთში ამ ფუნქციას აედი (უფრო გვიან ჰომეროსის შემდგომ ეპოქაში რაფსოდი) წარმოადგენდა. რაფსოდი აედისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ ხალხური ლექსების შესრულებისას მუსიკალური აკომპანემენტი არ იყო საჭირო, ეპიკურ ნაწარმოებებს რაფსოდი სიმღერისებრი მეტყველებით გადმოსცემდა. ცნობილია, რომ აედები და მსგავსი პროფესიის ადამიანები საზოგადოების დაბალი ფენიდან იყვნენ, მაგრამ თავიანთი ნიჭის წყალობით ნებისმიერ საზოგადოებაში მიღებულნი იყვნენ. კუნძულ სქერიის მეფე ალკინოე ჰომეროსის პოემაში „ოდისეა“ ამბობს, რომ მათთან იქნება დემოდოკე „დაე, დვთაებრივი ნიჭითცხებულმა ლზენით აგვივსოს გული“. საქართველოში ცნობილი იყვნენ მგოსნები, ძველ საქართველოში ე. ი. წ. ლზინის მგოსნების გარდა ცნობილი იყო გლოვის მგოსნები, რომელთა ხელობა მიცვალებულის დატირება იყო. „ზარით მთქმელი მკვდართა ზედა“ ექვთიმე მთაწმინდელი. ხალხური ზეპირი გადმოცემების მხრივ საინტერესოა ბერძნული მითი პრომეთეზე და ქართული თქმულება ამირანზე. გავრცელებულია მოსაზრება ჰომეროსისა და რუსთაველის პოემებს შორის მსგავსებასთან. მართალია ეს ცალკე კვლევის საგანია, ანალოგიური მასალის მოხმობა თანამედროვე კვლევის მეთოდებით მრავლად შეიძლება. მთავარი კი ისაა, რომ ზეპირსიტყვიერი ტრადიციების არსებობას უძველესი ფესვები აქვს. ქართულ სინამდვილეში ცნობილია, თუ როგორი სიყვარულით ინარჩუნებდა ხალხი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. იგი ჰომეროსის პოემების მსგავსად თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერი გზით გადაეცემოდა. ჰომეროსი და მისი გმირები მოხსენიებულნი არიან ქართულ ისტორიოგრაფიაში. ვგულისხმობთ „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ძველი ციკლის შემდეგ თხზულებებს. „ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისი“ (XI-XII ს.ს. ისტორია) „ისტორიანი აზმანი შარავანდედთანი“ (XII-XIII ს.ს. ისტორია) და ჟამთა აღმწერლის თხზულება (XIII-XIV ს.ს. ისტორია). ისტორიკოსი საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის აღწერისას ჰომეროსის პოემის გმირთა სახელებს ახსენებს და ადარებს საქართველოს მეფეს მათ. ქართული კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანია მჭიდრო კონტაქტები ბიზანტიურ სამყაროსთან. ამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ითარგმნა მრავალი წერილობითი ძეგლი. საინტერესოა ის პერიოდი, როცა მოღვაწეობდნენ ქართული ფილოსოფიური მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ექვთიმე და გიორგი ათონელები (მთაწმინდელები), ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, და სხვა. არსენ იყალთოელი XI-XII ს.ს. ქართველი სასულიერო მოღვაწე ფილოსოფოსი, წყაროებში იხსენიება ვაჩესძედ. განათლება მიიღო ბიზანტიაში, მისი მასწავლებლები იყვნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე ნომოფილაქსი. მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში, გადმოცემით





იყალთოში დაუარსებია აკადემია და მისი პირველი რექტორი ყოფილა. საბრლოოდ მისი მღვიმის მონასტერში დამკვიდრებულა. არსენ იყალთოელმა თარგმნა და ერთ კრებულში „დოგმატიკონი“ გააერთიანა ბიზანტიელ მწერალთა, ფილოსოფოსთა და ფილოლოგთა თხზულებები, ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, მისივე რამდენიმე ნაშრომი. თეოდორე აბუკოსის პოლემიკური ეპისტოლენი, მიქაელ ფსელოსის „პირმშოსათვის“, კირილე ალექსანდრიელის, ნიკიტა სტინიატის, ლეონ პაპის დოგმატიკურ-პოლემიკური ეპისტოლენი, სტატიები და ტრაქტატები; ნათარგმნი აქვს „დიდი სჯულისკანონი“, გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“. და მრავალი სხვა თხზულება. თარგმანებს ურთავდა ფილოლოგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით საინტერესო სქოლიოებს. ასევე მნიშვნელოვანია მეორე ქართველის გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა. ის იყო სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ათენის ივერთა მონასტრის წინამძღვრი. მან მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართულ ჰაგიოგრაფიასა და აპოკრიფულ მწერლობას, ეგზეგეტიკას, დოგმატიკას, ჰომილეტიკას, ჰიმნოგრაფიას და საეკლესიო სამართალს. ნაყოფიერად იღვაწა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის. ცნობილია ბიბლიის ახალი ე. წ. „გიორგისეული რედაქცია“. მან ხელახლა თარგმნა ბიბლიის წიგნები (სახარება – ოთხთავი, სამოციქულო, დავითნი.) მნიშვნელოვანია მისი ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთიმესი და უწყებაი ღირსისა მას მოქალაქეობისა მათისა“, ნაყოფიერად იღვაწა ლიტურგიკის სფეროში და ქართულ მწერლობას შესძინა როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური თხზულებები („დიდი სვინაქსარი“ „სახარებაი გამოკრებილ საწელიწდო“, „პავლე გამოკრებილ საწელიწდო“). ასევე ბერძნულიდან თარგმნა ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, ათანასი ალექსანდრიელის, იოანე დამასკელის, ნექტარი კონსტანტინეპოლელის, დოროფოს ტვირელისა და სხვათა შრომები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შუა საუკუნეების ქართველი სასულიერო პირის, XII-ის ქართველი ფილოლოგის, ფილოსოფოსისა და მთარგმნელის ეფრემ მცირეს მოღვაწეობა. მან შექმნა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, რაც ძირითადად სამი პრინციპით განისაზღვრა:

1. თხზულება უშუალოდ დედნიდან უნდა ითარგმნებოდეს.
2. თარგმანი ზედმიწევნით ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის ტექსტს, ამასთან მთარგმნელმა არ უნდა შელახოს მშობლიური ენის ბუნება.
3. ტექსტის სწორად გასაგებად თარგმანს უნდა დაერთოს კომენტარები.

ეფრემ მცირემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული სასულიერო მწერლობის ყველა დარგში, განსაკუთრებით ეგზეგეტიკური მწერლობის განვითარებაში. მან იოანე ოქროპირის შრომის მიხედვით დაწერა ეპისტოლეთა თარგმანები ანუ განმარტება, შექმნა დამოუკიდებელი რედაქცია დავითის კატენებისა, თარგმნა ეკლესიასტე კომენტარები გრიგოლ ნეოკესარიელისა, ეზეკილის მეტაფრასი, რომელსაც გრიგოლ ნაზიანზელს მიაკუთვნებენ. მისი თარგმნილია გრიგოლ ნაზიანზელისავე პოლემიკური სიტყვები, ეფრემ ასურის, კასიანე ჰრომაელის, პალადიოს ელენოპოლელისა და სხვათა ასკეტიკურ-მისტიკური თხზულებანი. მან საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიური აზროვნების ორ ნაკადს: არისტოტელისა (იოანე დამასკელის მიერ გადაამუშავებული სახით) და ნეოპლატონისა. შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი იყო არეოპაგიტული მოძღვრება, რომლის შემოტანა ქართულ სინამდვილეში დაკავშირებულია ეფრემ მცირეს



რესთან. მის მიერ თარგმნილმა არეოპაგიტულმა კორპუსმა და კომენტარებმა დიდი როლი ითამაშა ქართული ნეოპლატონიზმის განვითარებაში. მან თავისი დროის ფილოსოფიური აზროვნება მაღალ დონეზე აიყვანა და დახვეწა.

ამრიგად, ძველ საქართველოში ანტიკური მემკვიდრეობით დაინტერესებას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამის მიზეზები აიხსნება ბერძნულ-ქართულ სამყაროთა კონტაქტებით, რამაც ასახვა ჰპოვა მითოლოგიაში, მხატვრულ ლიტერატურასა და ისტორიულ წყაროებში. ძველი ქართული მწერლობა კარგად იცნობს ჰომეროსს, ჰესიოდეს, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, არისტოფანეს, მენანდრეს, ესოპესა და ბერძნული ლიტერატურის სხვა წარმომადგენლებს, არაფერს გამბობთ ფილოსოფოსებზე. კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა, რომ „ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები მაჩვენებლები არიან იმ კულტურული სამყაროსი, რომელთანაც კავშირსა და ურთიერთობაში იმყოფებოდა ესა თუ ის ხალხი და კულტურულ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდა. ასეთი ურთიერთობა ხალხთა შორის იყო და იქნება. ადამიანთა საზოგადოების ისტორიამ არ იცის მაგალითი აბსოლუტურად იზოლირებული კულტურული განვითარებისა. ამა თუ იმ ხალხის კულტურა მუდამ მდიდრდებოდა სხვა ხალხთა კულტურული მიღწევებით“. ნებისმიერი ერი თავისი განვითარების ეტაპზე ერთგვარად ითვისებს და ხვეწს მის გარშემო არსებულ კულტურულ გარემოს და განვითარების საფეხურებს, რომელიც შემდგომში კლინდება განვითარების ნებისმიერ სფეროში და გარკვეულ ტრადიციასაც ქმნის.

**ლიტერატურა:**

1. ეკა ავალიანი. კულტურები და ცივილიზაცია. თბ., 2004.
2. М. Грабарь-Пассек. Античные сюжеты в западноевропейской литературе. М., 1966.
3. ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966.
4. აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964.
5. კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბ., 1956.

**David Otkhazia**  
*Surveys of Georgian and Greek Relations*  
**Summary**

The given article concerns such aspects of culture, which are very important for interpersonal relations.

Culture is a form of relations between a person and the society, and these relations then develop into different fields.



Georgian and Greek relations are remarkable for their peculiar features. Georgia always showed great interest in the ancient Greek mythology and literature and history. Georgian writers knew well Homer, Hesiod, Aeschylus, Euripides, Sophocles, Aristophanes, Menander, Aesop and other representatives of Greek literature.

**Давид Отхзория**

*Из истории грузино-греческих отношений*

### **РЕЗЮМЕ**

В работе рассмотрены вопросы культуры, которые представляют важную сферу, касающуюся отношений между людьми.

Культура представляет собой форму отношений между человеком и обществом, которые выливаются в разные сферы деятельности.

Особым характером отличаются взаимоотношения между Грузией и Грецией. В Грузии всегда был большой интерес к античной культуре. Это отразилось как в мифологии, так и в художественной литературе. Грузинские писатели хорошо были знакомы с произведениями Гомера, Эсхила, Софокла, Эврипида, Аристотеля, Эзопа и других представителей греческой литературы.

Oktay Kuru

## SHAHMERAN

In Anatolian mythology, the goddess of wisdom and the guardian of secrets is Shahmeran, an anthropomorphic figure with a female head on a snake body. Her story can be traced from the Middle East to India with different fictions, one variation is also found in the Arabian Night Tales as the story of Jemlia - the Sultan of Underground (Mardrus, 1992: Vol.7, 68-131). Herodotus mentioned a woman, semi-human semi-snake, who had given three boys to Heracles in relation with an epic been told about him, in his fourth book in which he tells about the life and traditions of Scythians (Herodotus, 1996: 219). The myths show an immense variety about Shahmeran in Anatolia as well. I.Z. Eyüboğlu links the story with Hittite myths which narrate the struggles of Teshup, the God of Storm, and Illuyanka, the giant serpent (Eyüboğlu, 1990: 175). It is also known that the story of Shahmeran had been narrated in the manuscript named Camasname which had been adapted from a Persian poem by Musa, who used the name Abdi as a pseudonym. This sixteenth century poem referred to the reign of Keyhusrev, the Anatolian Seljuk Sultan of the early thirteenth century (And, 1998: 57). In other manuscripts of the same period, which tell about the adventures of the mythical Battal Gazi who fought against Byzance to convert Anatolia into Islam in the eighth century, Shahmeran and her story is also mentioned (Öztelli, 1976: 3).

According to this well-known story, Camsap falls into a well and accidentally passes to an underground cave under the guidance of a scorpion, and there meets Shahmeran the Queen of Snakes. Shahmeran is completely defenseless against the ambitions and greed of humans, even though she is the one who knows all kind of secrets, and has to hide away. When Camsap wants to go back to earth, she refuses at the first but then releases him under one condition: he should not tell anyone about her. But Camsap cannot keep his promise and mentions the location of the cave to the evil vizier of a Persian Sultan who has a fatal illness. As it is told, the treatment is possible only if the Sultan eats Shahmeran's flesh. Shahmeran tells Camsap when they boil her flesh that he should let the evil vizier drink the first froth, while the Sultan should drink the second one. Camsap should be patient and wait for the third drink. The first froth is drank by the impatient and ambitious vizier as expected and he is poisoned. The Sultan drinks the second and is completely healed. Camsap drinks the rest and becomes a wise and sophisticated vizier (Uyar, 1973).

The end of the story points out Shahmeran's part in Anatolian mythology. According to this, the personification of Shahmeran exhibits a character who treats and heals the sick. In some parts of Anatolia it had been claimed that Lokman Hekim - the doctor hero of another myth - was indeed educated by Shahmeran (Öz, 1994: 24). Shahmeran who possesses the secret of long and eternal life has been accepted as auspicious because of her compassion, self-sacrifice and absolute goodness as it was mentioned in the story. That is why her pictures are hung on bedroom walls of young girls and women, especially in the eastern and south eastern parts of Anatolia (Aksoy, 1997: 40).

Unfortunately the known depictions of Shahmeran today do not cover the early periods of the symbol. Seemingly the most common depiction had been formed considering Abdi's poem with the references to its period. The impact of the Seljuks in



composition is clearly visible, yet the style is more simple, even naive (see figure above). Obviously the story had not been taken much interest in by court or intellectual art, just the opposite, it had been widespread among the public as a matter of sub-culture. The depiction recalls one of the glazed tile siren motives of the Kubad Abad palace of the Anatolian Seljuks (early 13th century) with her non-asiatic but more Anatolian face (Arik, 2000: 123), yet the stylisation is much simpler. On the other hand, neither story nor depiction had taken place among the Seljuk and Ottoman miniature themes. Shahmeran is not available in Kazvini's famous album *Acaibü'l Mahlukat ve Garaibü'l Mevcüdat*, "Strange Creatures and Awkward Entities." M. And mentions another creature whose story was told in *Nüzhetü'l Kulub*, named *Mar-i Kahkaha*, with a female head over a snake body. There is a miniature of this creature who can kill someone with a glance in *Metaliü'l Saade* (And, 1998: 260).

What makes Shahmeran's depiction widespread as a symbol is the illustrations of her. These were painted in "under-glass technique," basically painting layer by layer, with the top layer painted first, making mistakes very difficult to correct. Indeed, Islam prohibits figure painting, but that prohibition has never been binding for the Anatolian public. M. Aksel expresses that the paintings, which were regarded as inconvenient and sinful for medreses, had been immensely emphasized and hung on the walls in tekkes (Aksel, 1959: 1857). Persian tea houses and seashore coffee shops where mostly troubadours and artisans came together were the places exhibiting folkloric paintings in various themes including Shahmeran (Aksel, 1960: 67). Those paintings were usually done by public painters who had no proper education, and mainly existing examples were copied. The same paintings were also hung on the walls of houses because of the lush colours and brightness coming from the glass (see right). They were easily affordable and regarded as a protector for the shelter (Aksoy, 1997: 27). Shahmeran illustrations are bought for trousseau or wedding gift.

H. Koçan evaluates Shahmeran illustrations as typical examples which are open to a repeating theme, individual interpretation and re-modelling (Koçan, 1997: 14). As a matter of fact, the pose of the figure, her horned crown, beaded necklaces, crowned snake head tail, six foot in snake head shape are characteristics of the depiction, yet there may be some minor differences in the composition. The most striking one of those small changes is the addition of a red rose into the composition as the symbol of Prophet Muhammad, and that particularly contributes to the Islamization of the painting. In some other samples Shahmeran is portrayed as twin (see left), and sometimes, she is presented as identical with the *deniz kizi* (mermaid).

It is also widespread among young brides to wear Shahmeran embroidered hair covers in the Aegean region. Wearing Shahmeran necklace made of snake-shaped silver beads is rather common among the brides in Anatolia as well. There are some other depictions of Shahmeran which can be regarded as ethnographic material. Apart from hair covers those generally are embroidered on fabric as bundle and curtain.

In Anatolian mythology, the anthropomorphic symbols in semi-human semi-animal form are not common at all. E. Akurgal believes such symbols all are Assyrian oriented (Akurgal, 1993: 127). I.Z. Eyüboğlu links them with Mitannian influence which had become more visible in Anatolia starting in the first millennium BCE, after the disappearance of political sovereignty of the Hittites (Eyüboğlu, 1998: Vol.2, 90). The usage of such symbols goes back to the third millennium BCE, earlier than Hammurabi



(Cirlot, 1962: xix), and they may be observed especially on glyptic cylinder seals. According to H. Frankfort, such seals, referred to him as peripheral glyptic which had been carved on cheaper material as chalcedony, agate, or other semi-translucent varieties like carnelian, had been widespread in the region including Anatolia during the Middle Babylonian -Kassite and Mitannian- periods around 1500 BCE (Frankfort, 1939: 6, 183, 273, 283). Travelling Mitannian seal-cutters had been making their style popular all around the region, a style which was to carve strictly symmetrical on glazed steatite surfaces. The snake as a forerunner symbol is possible to be seen on such seals in its own shape or its anthropomorphic variants in relation with certain gods who were mostly connected to the concept of fertility or health.

Among those snake gods of Mesopotamia, Nirah who was regarded as a protective deity of the temple, and depicted as a snake until the third millennium BC, later presented as a anthropomorphic god with the lower body of a snake, comes first (Black- Green, 1998: 166). An another example of that period is Ningishzida whom was regarded by Gudea the Sumerian King of Lagash (2100 BCE) as his personal protective deity, and thereafter had been associated with health, shows a horned snake rising from each shoulder. In the Old Babylonian period (1950-1651 BCE), still the same representation was common. Yet there had been some other compositions in the age of Sargon (2334-2279 BCE) which depicts Ningishzida enthroned and two snakes' heads are shown projecting from his body. Ningishzida, surprisingly, had also been represented in Anatolia during the Hittite period (1650-1207 BC) as part of a composition on a cylinder seal (Ward, 1910: 130). Here we see a totally different depiction, serpents again apparently rising from the shoulders of the god, but the god grasps them in his hands, which are joined over his breast, while their bodies fall down nearly to the ground. There is a rather similar composition on a Sumerian chlorite vessel which is dated 2600 BCE showing a male figure who grasps two big snakes and stands surrounded by items of flora and fauna recalling fertility and forces of nature (Collon, 1995: 69). In Mesopotamia, the snake had been associated with the God of Health, Ningishzida, by the end of third millennium BCE. The motif of the two serpents entwined together first had been seen as a fertility symbol after the fourth millennium BCE, then also become the symbol of Ningishzida, and come up as the symbol of Asclepius the God of Health in Roman colonial Western Anatolia. As we all know, Hippocrates had used the same symbol.

In Aegean and Western Anatolian mythology, both the cults of gods and goddesses who were associated with snakes and anthropomorphic symbols are possible to follow. The mother-goddess of Minoan-Mycenaean period wrapped up snakes, the feeding of snakes by priestesses in name of Apollo at Delphi, the rites of Dionysus in which snakes take place, Medusa the snake-haired, the struggle of Laocoon and his sons with the snakes sent by Apollo (Cooper, 1999: 150), the suicide of the daughters of Cecrops the legendary King of Attica who has got a snake-tail after their infant Erichthonius turned out to be a snake (Hall, 1997: 46), are all well-known stories. In addition, Athena, Aphrodite, Artemis and Persephone had been mostly depicted with snakes. In that sense, it is needed to underline the strong bond between the snake and the mother-goddess cult in Anatolia where mother-goddesses have much bigger and more evident power than all other neighbouring cultures. According to I.Z. Eyüboğlu, the personification of the sun as a goddess in Anatolian mythology, unlike others in which the sun is always characterised as male, would be a solid proof



(Eyüboğlu, 1998: Vol.2, 56). The variety of the names of the mother-goddesses in Anatolia, starting from Cybele and Kubaba to Artemis and Meter, all had the same personification, may be further proof.

The most interesting cult of the snake in the Eastern Mediterranean region comes from Ophiogenesis and Gnosticism which depends on the belief of Gnosis -knowledge- to designate the science of things divine, in its ultimate sense of supernatural and celestial knowledge (King, 1887: 3). Where exactly it originated is still an on-going debate, though it is widely accepted that Gnosticism is Middle Eastern in origin. King states that widely differing sects sprang up in the eastern provinces of the Roman Empire around the first century and their main doctrines made their appearance in many of the cities of Asia Minor - Anatolia; such as Ephesus, Pergamon, and Apamea. In the second and third centuries Gnosticism itself is to be found in full blossom and the most well-known Gnostic thinker, Cerinthus, who is the follower of Simon Magus "the Great Power of God", was from Anatolia (Doresse, 1960: 12). The theories of Gnostics which explains the world within the struggle of the good and evil/dark and light, were accounted by a feminine entity. Snakes in that term were representing the equilibrium of opposing forces, good balanced by evil, health by sickness. Hippolytus had criticised this doctrine, asserting that the snake was said to live in all objects and in all beings (Cirlot, 1962: 288). The doctrine had passed into Alexandria, Egypt, during the reign of Hadrian (110-138AD), then reached Rome. Strabo tells of a serpent tribe in Western Anatolia which he named as Ophiogenesis, nearby the city of Parium (Strabo, 1856: Vol.2, 348) in Book XIII. As told by him, the male members of that tribe, of which the founder was transformed from a serpent into a man, have the power of curing persons bitten by serpents by touching them without intermission after the manner of enchanters, and this power continued in the race for some time.

Strabo also mentions Ophite ceremonies that had their origin among Thracians in Book X (Strabo, 1856: Vol.2, 187). But some of these pagan rituals to reach the divine truth and the secrets for salvation of the soul, are so very startling, it denounced Gnostics as Satanists and convicted by the Christian Church. Those rituals were mostly orgies recalling the antique purification ceremonies or fetus sacrifices in close connection with snakes. They were recorded by Epiphanius, a former member of the sect and appointed as the Bishop of Salamis in Cyprus (367-403) after he denounced them. His well-known book Panarion, "scrap-basket", was an immense folio in which all sorts of rituals of Gnosticism were mentioned (King, 1887: 12). Yet T. Sözeri underlines the impact of Gnostics in Western Anatolian ethnography with traces reaching today. Especially the accessories of brides, such as hair cover and crests and necklaces, provide good examples (Sözeri, 2000: 95). The last Gnostics -Sabii or Mandaean- today, are only living in south Iraq and in Iran as a small dispersed population of some 30.000 people (Gündüz, 1995: 24).

For Egyptian Gnostics Abraxas takes a special part in their belief. Abraxas means "holy name" or "blessing", and the supreme god named Abraxas by whom was created the mind (King, 1887: 117,259, 432,433). His symbolic depiction, in which his legs are snakes while the head is a rooster's, a reference to the sun, is placed on gems such as red or green jasper or hematite. These are talismans protecting the one who wears it. He is usually represented with a shield and whip to scare away all evil spirits, either mounted in the chariot of the Sun or depicted with the title "Ioa, Son of the Universe."



As a protective symbol which can bring the pain and death, the snake is always associated with the concepts of eternity and rebirth (Becker, 2000: 263). Among the Turkic tribes, in Oghuz mythology, the snake is "the earthly universe" (Ögel, 1971: 336). In Bashgirt belief it is one of the twelve gods. Among the Kalmuks it is "celestial" (Roux, 2002: 197). Seemingly Shahmeran should fit the Oghuz belief. Moreover, she should not be confused with Umay who was the protector of mother and the new-born baby in Göktürk mythology (Çoruhlu, 2002: 39-43), yet Shameran had no connection with either her or mothers and babies.

On the other hand, the conceptual meaning of snakes in Islam is rather controversial. The command *küllü muzırrun yuktell* ("kill the ones who bring destruction") creates a negative meaning for snake as a creature of Hell. But at the same time it is accepted as being closely linked with life: in Arabic the snake is named as *el-hayyah*, while life is so-called *el-hayt*, just as Gnostics believed. It is possible to follow similar contradictions in Anatolian beliefs, some snakes are accepted as auspicious, some not (Eyüboğlu, 1998: Vol.1, 77). Yet Shahmeran had found a place for herself in Islamic understanding by filling the gap of a distinguished female personality whom Islamic belief could not present in Anatolia. There is even a prayer for her in full Islamic context (Sözeri, 2000: 8).

In that case, wheresoever she came from, Shahmeran with her three thousand years past, is the one and only symbol which is widespread throughout Anatolian geography, from east to west, north to south. She is effective for that long, no doubt, because of three reasons: she could merge firstly into the mother-goddess cult of Anatolia, the Turkic mythology of the new comers secondly, and lastly, the Islamic understanding of Anatolians. In Anatolia where the mother-goddess cult had been essential, the character had a female personification. As a matter of fact, within the stories told outside Anatolia, for example in Persia, Shahmeran is depicted as male. From Cybele to St. Mary, the mother-goddess cult of Anatolia has lasted over eight thousand years, and is generally linked with the agricultural communities of that vast fertile land. Yet there are approaches which evaluate the cult not on the basis of breeding, but moreover, on the basis of swaying power (Roller, 2004: 26). Obviously Shahmeran had taken such identity rather than a breeder. Having a mother-goddess-like identity in rather Shamanistic form, Shahmeran, surprisingly enough, had succeeded to survive in the folklore and belief system of Turco-Muslims of Anatolia until today.

In Eastern Mediterranean cultures, the snake, is one of the most striking symbols since the very beginning. The reality that it can give pain and even kill, besides that it can also cure, had made it being evaluated differently than the other symbols. Both its own depiction and its anthropomorphic variants which use its impressive physical properties, had been regarded as the protectors and the guards of the divine secrets. Shahmeran of Anatolia is such kind of anthropomorphic symbol, which should be classified within that context.

When Persians started to dominate the region from the 4th century BCE, the Zoroastrian belief had expanded its territory as well. Henceforth, the symbolic meaning of the snake had changed according to that belief which accepts snakes as the spy of dark forces and Ahriman the God of Darkness (Curtis, 1993: 23). That is just because many of the anthropomorphic figures of the region had eventually been disregarded and discredited, and then disappeared during Hellenistic period. The concepts of Hell and Heaven of



monotheistic religions had been improved on the same basis, make snakes or any anthropomorphic figure directly associated with the devil.

On the other hand, Shahmeran who most probably may be linked with the snake gods of Mesopotamia, being converted into female in connection with the mother-goddess cult, is a symbol of Anatolian mythology. Her story may be related with the story of Jemlia of the Arabian Night Tales, but should be narrated much later than the appearance of the symbol. Not being in conflict with central Asian Turkic belief which regards snakes as the earthly universe, and adapting herself into Islamic belief of Anatolians by filling the gap of a distinguished female personality, had made her survive until today. The semantics of the symbol varied and enriched, her identity gradually enlarging from protecting females and homes to a more sophisticated assistance regarding her wisdom in the times of trouble. In time she who accepts her fate in full self-sacrifice, yet still holds the leading role at her story, had converted into a heroine for especially Eastern Anatolian women who identified themselves with her. The sociological characteristics of the region which only permits a closed society because of feudal relations had also helped the journey of Shahmeran from past to present. In that sense, the future of Shahmeran remains a mystery just like the symbol herself still does.

#### The List of the Cited Literature:

1. Aksel, M., 1959. "Halk Resimleri Var midir?", Türk Folklor Arastirmalari Dergisi, Cilt 5., Sayi 116, s. 1857-1860.
2. Aksel, M., 1960. Anadolu Halk Resimleri. Istanbul Üniversitesi Yayini.
3. Aksoy, N., 1997. "Unutulmaya Baslayan Bir Halk Sanatimiz: Camalti Resimleri", Cam Altinda Yirmi Bin 4. Fersah, Yapi Kredi Yayıncılık, s. 16-41.
5. Akurgal, E., 1993. Anadolu Uygarliklari. Net Yayinlari.
6. And, M., 1998. Minyatürlerle Osmanli-Islam Mitologyasi. Akbank Yayini.
7. Arik, R., 2000. Kubad Abad. Is Bankasi Yayini.
8. Becker, U., 2000. The Continuum Encyclopedia of Symbols. Continuum Publishing Co.
9. Black, J., Green, A., 1998. Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia. BM Press.
10. Cirlot, J.A., 1962. A Dictionary of Symbols. Translated by J. Sage, London.
11. Collon, D., 1995. Ancient Near Eastern Art. British Museum Press.
12. Cooper, J.C., 1999. An Illustrated Encyclopedia of Traditional Symbols. Thames and Hudson.
13. Curtis, V.S., 1993. Persian Myths. British Museum Press.
14. Çoruhlu, Y., 2002. Türk Mitolojisinin Ana Hatlari. Kabalci Yayınevi.
15. Doresse, J., 1960. The Secret Books of the Egyptian Gnostics. Translated by P.Mairet, London.
16. Eyüboğlu, I.Z., 1990. Tanrı Yaratan Toprak Anadolu. Der Yayinlari.
17. Eyüboğlu, I.Z., 1998. Anadolu İnançlari. Anadolu Üçlemesi 1, Toplumsal Dönüşüm Yay.
18. Eyüboğlu, I.Z., 1998. Anadolu Mitolojisi. Anadolu Üçlemesi 2, Toplumsal Dönüşüm Yay.
19. Frankfort, H., 1939. The Cylinder Seals. MacMillan & Co.
20. Gündüz, S., 1995. Sabiiler Son Gnostikler. Vadi Yayinlari, Ankara.



21. Hall, J., 1997. Hall's Illustrated Dictionary of Symbols in Eastern and Western Art. John Murray Publications.
22. Herodotus, 1996. The Histories. Penguin Classics.
23. King, C.V., 1887. The Gnostics and Their Remains, Ancient and Medieval. London.
24. Koçan, H., 1997. "Geleneksel Halk Sanati Camalti Resimleri", Cam Altında Yirmi Bin Fersah, Yapi Kredi Yayıncılık, s. 7-15.
25. Mardrus, 1992. Binbir Gece Masallari. Translated by A.S. Onaran, Vol. 7, Afa Yayinlari.
26. Ögel, B., 1971. Türk Mitolojisi II. Milli Egitim Basimevi.
27. Öz, H., 1994. "Sahmeran Efsanesi", İçel'de Kültür, Sayı 3, s. 22-24.
28. Öztelli, C., 1976. "Herodot Tarihinde Bir Iskit Efsanesi Sah Maran", Sivas Folkloru, Yil 4, Sayı 38, s. 3-4.
29. Roller, L.E., 2004. Ana Tanrıçanın Izinde. Anadolu Kybele Kültü. Translated by B. Avunç, Homer Kitabevi.
30. Roux, J.P., 2001. Türklerin ve Mogollarin Eski Dini. Translated by A. Kazancigil, Kabalci Y.
31. Sözeri, T., 2000. Kültürlerde Sahmeran. Im Yayin Tasarim.
32. Strabo, 1856. Geography. Translated by W. Falconer, London.
33. Uyar, T., 1973. Ödesmeler ve Sahmeran Hikayesi. Sinan Yayinlari.
34. Ward, W.H., 1910. The Seal Cylinders of Western Asia. Carnegie Institution of Washington.

ოქტაი ქურუ  
შაჰმერანი  
რეზიუმე

სტატია ეძღვნება მითოლოგიური არსების შესწავლას, რომელიც ცნობილია შაჰმერანის სახელით. იგი ითვლება სიბრძნის ღვთაებად და საიდუმლოებათა შემსწავლელად. ეს მითოლოგიური არსება, რომელსაც აქვს ქალის თავი და გველის სხეული, გვხვდება სხვადასხვა კულტურასა და ეპოქაში, სხვადასხვა ავტორებთან.

Октай Куру  
Шахмеран  
Резюме

Данная статья касается изучения мифологического существа, известного под названием Шахмеран. Шахмеран считается богиней мудрости и хранительницей секретов. Это антропоморфическая фигура с туловищем змеи и головой женщины. Встречается в различных культурах и периодах у различных авторов.



## საქართველო გერმანელი პოეტების თვალთ

ის, რასაც ამ სტატიაში მოგიხრობთ, კაცმა რომ თქვას, კომენტარს არც საჭიროებს. იმის შესახებ, რაც ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის საგანი შეიძლება ყოფილიყო, ცოცხალ დეტალებში მოგვითხრობენ გერმანელი პოეტები ელკე ერბი და ადოლფ ენდლერი. ისინი გვიხატავენ, თუ როგორ წარმოიშვა რვასაუკუნოვანი ქართული პოეზიის კრებული გერმანულ ენაზე. გულთბილი ადამიანებისა და განუმეორებელი ლანდშაფტების ორიგინალურ გარემოცვაში, ინტენსიური, დროში შეზღუდული სამუშაო პროცესის პირობებში, უსასრულოდ მდიდარი პოეტური მასალიდან შეირჩა გარკვეული რაოდენობა ქმნილებებისა, რომლებიც გერმანელი მკითხველის სამსჯავროზე უნდა გამოტანილიყო. ლაპარაკია ანთოლოგიაზე „ქართული პოეზიის რვა საუკუნე“, რომელთან მიმართებაშიც უპრიანი იქნება მოვიხსენიოთ ადოლფ ენდლერის ნაშრომი: „საქართველოზე მოთხრობის ორი მცდელობა“. მასში ავტორი დაწვრილებით და საინტერესოდ გვიყვება ჩვენს ქვეყანაში ვიზიტის გარემოებებს: „ჩვენ, რაინერ კირში, ელკე ერბი და მე საქართველოში იმისათვის კი არ გაფვრინდით, რომ ახალი სამოგზაურო ტური მოგვეწყო, ან გრანდიოზული ქართული ნათების შესახებ ცნობები მოგვეგროვებინა, ან ქართული ჰორიზონტის სიკაშკაშე შეგვემოწმებინა დასვენებას მოწყურებული თვალებით. თბილისის ერთ-ერთი სამინისტროს არისტოკრატიულად მოწყობილ სამუშაო კაბინეტებში რამდენიმე ქალბატონისა და ბატონის ხანგრძლივი აქეთ-იქით სიარულის შემდეგ, ოცი სანტიმეტრის სისქის ნაბეჭდი თაბახის ფურცლების შეკვრა დაგვიდეს საწერ მაგიდაზე. მერე ეს შეკვრა სასწრაფოდ გაქრა ოთახიდან, კვლავ შემოიტანეს და ისევ გაიტანეს, შემდეგ კი ტელეფონზე მოსაუბრე მინისტრის მოჯადოებული მზერის ობიექტი გახდა“... [1,21]. რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია გერმანულ თარგმანში, ლექსის რვა ათასი პწკარედი ბაროკოს, კლასიციზტური, რომანტიკული, ექსპრესიონისტული, სიმბოლისტური, რეალისტური პოეზიიდან, და მათ, ადოლფ ენდლერსა და რაინერ კირშს, ლამაზ გერმანულ პოეზიად უნდა ექციათ იგი. მათი კოლეგები იჭვნეულად და ირონიულად ილიმებოდნენ. რაინერ კირში და ადოლფ ენდლერი მიხვდნენ, რომ ხაფანგში აღმოჩნდნენ მომწყვდეულები, ისინი ერთმანეთს დამუნჯებული შესცქეროდნენ. მათთვის გაუგებარი დარჩა, თუ როგორ მოახერხეს მეორე დღეს, სრულიად გაოგნებულებმა, მოლაპარაკებაზე მისვლა. მოლაპარაკება კი იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი უმწეო უესტებით ერთმანეთის დარწმუნებას ცდილობდნენ. რაინერმა საჩვენებელი თითი შუბლზე მიიღო იმის ნიშნად, რომ ადოლფს სულელად თვლიდა, ამ უკანასკნელმა თავი დამცირებულად იგრძნო, თვალები დახარა და იატაკს მიაშტერდა, შემდეგ რაინერი ადოლფის დამშვიდებას შეეცადა. ეს უკანასკნელი კი მას მეგობრობის შეწყვეტით დაემუქრა. ამ სცენას შორი-ახლო ვიდაცის თაფლისფერი, მეოცნებე თვალები აკვირდებოდა და აფასებდა. საბოლოოდ თითოეულ გერმანელ პოეტს ორი ათასი სტრიქონი ერგო სათარგმნად, რაც მათ თორმეტ ან ცამეტ კვირაში უნდა შეესრულებინათ. ადოლფ ენდლერი იხსენებს, რომ მათ, როცა დაბნეულებმა და გონწართმეულებმა, კაბინეტი დატოვეს, მინისტრის ხმადაბალი სიტყვები შემოესმათ, რომელიც მათთვის თითქოს ბოდიშის მოხდას ცდილობდა: „სამოცი დიდი, ჯერაც ცოცხალი ქართველი პოეტი! თქვენ ეს შესაძლებლად მიგაჩნიათ?“



არსებობს ასეთი რამ კიდევ სადმე სხვაგან დედამიწაზე? სამოცი დიდი, თანამედროვე პროექტი და ოციც დანარჩენი შვიდი საუკუნიდან“ [1,22]. ორი ათასი სტრიქონი, ასევე რა ხელშეკრულებაში, მაგრამ მათ შეეძლოთ ისინი გემოვნებისა და შეხედულების მიხედვით აერჩიათ რვა ათასიდან. ორი ათასი სტრიქონი, რომელიც, ტევადობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ფანტასტიკურად და ლამის დაუძლეველად გამოიყურებოდა. და მაინც, სასწაული მოხდა. სწორედ ასე აფასებს ამ მოვლენას ადოლფ ენდლერი, რომელიც იმავდროულად საქართველოს შესახებ წიგნზე მუშაობდა. მან შეძლო, როგორც თავად აღნიშნავს, ბანკეტებისა და ზეიმების ქვეყანაში ისე ინტენსიურად, მკაცრად და ნაყოფიერად ემუშავა, როგორც არასდროს აქამდე. საქართველოსა და საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა ერთმანეთს დაემთხვაო, – წერდა მოგვიანებით გერმანელი პოეტი, დიდი მოვლენაა, მაგრამ დასანანია, რომ მე ის მხოლოდ ორმოცი წლის ასაკში განვიცადეო. ანთოლოგია დაიბეჭდა. ადოლფ ენდლერის სიტყვებით თუ ვიტყვით, „მისი წაკითხვა შესაძლებელია, იქნებ იმით ტკობაც იყოს შესაძლებელი, რაც ჩვენ დილის საუზმისას თუ საღამოს საათებში ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ქალაქებში მოენიშნეთ, ხშირად საფრთხის ქვეშ, რომ კომპიუტერებად თუ მთარგმნელ მანქანებად არ ვკცეულიყავით“ [1,23].

მოვიყვანთ ქართული ხალხური სიმღერის „შენ ჩემო დილო იმელო“ ადოლფ ენდლერისეულ თარგმანს:

DU MEINE GROSSE HOFFNUNG

Mein Turm fest mit Mörtel erbaut  
 Du in Kachetien geschnittener Pfeil  
 In der Stadt mit Henna gefärbt.  
 Du rotes Hemd aus Seidenstoff  
 An sieben Stellen zu knöpfen.  
 Du klarer und bestirnter Himmel

Du Morgensonne Du Morgenlicht  
 Du niemals versiegende Quelle  
 Hell im goldenen Becken  
 Mit dir zu liegen zu schlafen  
 Niemals würd ich es satt. [2,75]

როგორც თავად გერმანელი კრიტიკოსები კრისტელ და ვალფრიდ ჰარტინგერები აღნიშნავენ, უცხოენოვან (ქართულ – ი. ყ.) პოეზიასთან შეხების შედეგად გერმანულ ავტორთა ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო გაფართოვდა, გაიშალა, მრავალფეროვანი გახდა [3,74]. ამ ურთიერთშეხების ამსახველი ლიტერატურული წყაროები ამკარად მეტყველებენ, რომ ნაყოფიერი კონტაქტი დამყარდა სხვა ერის ცხოვრებასა და ლიტერატურასთან, ისტორიასა და კულტურულ ტრადიციებთან და ეს იმგვარი სახით მოხდა, რომ გერმანელი პოეტები და მწერლები ერთგვარ თვითაღმოჩენას განიცდიდნენ, ახლად აღმოჩენილი რეალური და სულიერი სამყაროს მეშვეობით ახალ პოეტურ ენერგიას განავითარებდნენ და აღმაფრენას ეზიარებოდნენ. ეს ყველაფერი კი მათ შემოქმედებას სტიმულს აძლევდა და მიმზიდველ ძალას სძენდა.

ელკე ერბი მრავალგზის ხაზგასმით აღნიშნავს ქართველი ადამიანების სითბოსა და სიკეთეს. გერმანელ ავტორთა საქართველოში მოგზაურობით მოხერხდა მათი მონათხრობის თემატური ზრდა, მათ მიერ ნანახი უცხო ადგილები ინტერნაციონალურ პანორამას განავრცობენ. და მათი ეს მოგზაურობა განპირობებული იყო არა მხოლოდ ახალი სანახაობის ძიებით, ტურისტული ცნობისმოყვარეობით. მოგზაურობა ხომ გამოცდილე-



ბაა, შეხება კი გაგების ტოლფასი. ამ შემთხვევაში სასურველ მიზანს წარმოადგენდა ცხოვრების, სამყაროს, სინამდვილის შეცნობა, გაგება, უშუალო გრძნობითი აღქმით და-  
ნახვა, მოსმენა, განცდა. ასევე სანუკვარ მიზანს წარმოადგენდა რეალობის განჭვრეტა, გააზრება. სხვა ხალხთა ქვეყნების მონახულებისას გერმანელი ავტორები ამავდროუ-  
ლად მათ ისტორიულ და ამჟამინდელ მიმართებებსა და პრობლემებს ეცნობოდნენ, ად-  
მიანური ყოფის მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს ეზიარებოდნენ, ახლანდელ თუ  
გარდასულ დროთა ლიტერატურისა და კულტურის ფერხულში ებმებოდნენ, კაცობრიო-  
ბისა და ჩვენი ეპოქის გენეზისს ადევნებდნენ თვალყურს. და ყველაფერ ამას ისინი სა-  
კუთარ წარმომავლობას უკავშირებდნენ. ისინი ამ გამოცდილების, როგორც მნიშვნელო-  
ვანი ფილოსოფიური მასშტაბების, კულტურულ-ისტორიული და ესთეტიკური კრიტერი-  
უმების, ეთიკური ორიენტირების ინტეგრაციას ახდენდნენ საკუთარ მსოფლმხედველობა-  
ში.

ქართულ „ექსპედიციასთან“ კავშირში გერმანელი პოეტი კარლ მიკელი წერს, რომ ქართული და რუსული პოეზიის თარგმნამ რაინერ კირშის თვალსაწიერი გააფარ-  
თოვა [4,120]. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სათუთად ეპყრობა ეს უკანასკნელი ქარ-  
თულ ლექსს, მოვიყვანთ ნაწყვეტს ლია სტურუას „მონადირეების“ მისეული თარგმანი-  
დან:

## DIE JÄGER

Wenn sie der stillen Häuser überdrüssig sind  
Und des sonntäglichen Biers und des Würfels  
Die friedlichen Familienväter  
Mit braunen Hunden gehen auf die Jagd.  
Und die großen, sündigen, groben Körper  
Tragen sie wie ein gesundes Raubtier in die Sonne  
Es gehen die Männer um Fleisch  
Der wahren Erlebnisse wegen und des Blutes.

Und es freut sie die nackte Haut  
Wenn Hitze und Schweiß sie verbrennen.  
Etwas Viereckiges und Rauhes  
Kommt in die auf die Jagd gegangenen Männer.  
Sie lachen, ohne Grund singen sie  
Mit dem Instinkt leben sie und vergießen Blut  
Und Hasen erschlagen wie Bisons  
Die friedlichen Familienväter... [2, 297]

საქართველოს ბუნებასთან და ქართველ ხალხთან შეხვედრა გერმანელი ავტორე-  
ბისათვის მეტად მიმზიდველი და პროდუქტიული გამოდგა. ისინი წააწყდნენ მათთვის  
აქამდე სრულიად უჩვეულო გარემობას. როგორც ელკე ერბი და ადოლფ ენდლერი  
მოგვიანებით აღნიშნავენ, ისინი ღრმად ჩასწვდნენ ქართველი ხალხის სუფთა, წმინდა  
დამოკიდებულებას საკუთარი კულტურული და განსაკუთრებით ლიტერატურული ტრა-  
დიციებისადმი. მათ აღმოაჩინეს ერის თვითშეგნება და ღირსება, რაც, ერთი მხრივ, დამ-  
პყრობლების წინააღმდეგ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით აიხსნება, ხოლო, მეორე მხრივ,  
სწორედ ამიტომაც არის დასაფასებელი და აღმაფრთოვანებელი. ისინი გაოცებას ვერ  
მაღავდნენ იმის გამო, თუ რაოდენ მრავალფეროვნად, ძლიერად და ამავდროულად სა-  
თუთად აირეკლება ერის თავდაჭერა პოეზიაში. ისინი ამაში ხედავდნენ ქართული პოე-  
ზიის სიღიაღის, მისი უჩვეულოდ დიდი რეზონანსის, ხალხში ღრმად ფესვგადგმული  
სიყვარულის ახსნას და მოტივაციას. ელკე ერბი წერდა: „მე ვიყავი მგოსანთა ქვეყანა-  
ში, რომელიც აგებულია საბრძოლო ასპარეზობებისა და საზეიმო ტრადიციებისაგან,  
აგებულია ლეგენდების, ანეკდოტების, დოკუმენტების, ისტორიული თუ გეოგრაფიული  
მონაცემების, ზეპირი გადმოცემებისა და კერძო მონათხრობებისაგან, ლექსებიდან მოყვა-



ნილი ლამაზი ციტატებისაგან“ [5,145]. ელკე ერბი ყვება, თუ როგორ ესტუმრა იგი იმ  
სებ გრიშაშვილთან ერთად ძველ თბილისსა და მის ხელოსანთა ამქარს, აღმოსავლური  
ყაიდის ძველ ქალაქს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეულში მოკვდა და  
წარსულს ჩაბარდა. თავისი ფორმებითა და ფერებით ჰარმონიული, კოლორიტული ძვე-  
ლი თბილისიდან ი. გრიშაშვილმა გერმანელი სტუმარი ხალხთან ერთად ამ სამყაროს  
ზღურბლთან, ანუ საუკუნეთა მიჯნის ახალ თბილისში მიიყვანა, სრული ევროპეიზაცი-  
ის, ინდუსტრიალიზაციის, მუშათა ამქრის ქალაქში, რომელმაც თავისი ბოჰემა გულში  
ჩაიკრა.

ანთოლოგიამ „ქართული პოეზიის რვა საუკუნე“ გერმანელებს გააცნო ი. გრიშაშ-  
ვილის ლექსები, რომლებშიც ავტორი მისტიროდა ძველი თბილისის გარდაცვალებას,  
მაგრამ კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვის მქონე სიგნალები მიმართული იყო  
არა დაკარგული წარსულისაკენ, არამედ რეალისტური, კაშკაშა სინამდვილისა და მო-  
მავლისაკენ. პატარა ნაწევების მაგალითზე ვნახოთ, თუ რა შესანიშნავად თარგმნა  
ადოლფ ენდლერმა ი. გრიშაშვილის ლექსი „ქორწილი ჩვენს უბანში“:

HOCHZEIT IN UNSEREM VIERTEL

Rasch die Fackeln, die Raketen! Es ist Zeit! Setzt sie in Brand!  
Deckt den Tisch! Hängt Teppichreihen von den Banis vor die Wand!  
Das Alawi ist gesegnet! Dem Erwählten ward, wer lacht?  
Ungeröstet, wie es Brauch ist, Honigbutter überbracht.  
Angenommen ist die Mitgift: Spiegel, Becken aus Metall –  
Sagt’s den Trinkern! Sagt’s dem Viertel! Und verbreitet überall:  
Über den, der säumt, wird strengstes Asambari heut verhängt:  
Doppelt muß der Arme trinken! Doppelt wird der Kerl getränkt,  
Daß er nicht im roten Apfel weiße Usaltinis birgt –  
Rasch! Schon naht die Braut, aus schönsten Fraun ist ihr Geleit gewirkt... [2, 191]

აღნიშნულ ანთოლოგიაში ასევე ვიპოვით დ. გურამიშვილის, ა. წერეთლის, გ. ტა-  
ბიძისა და სხვა ცნობილ ქართველ პოეტთა ლექსებს. მათი ჩამოთვლა თუ ციტირება  
შორს წაგვიყვანდა. ადგილის სიმცირის გამო მხოლოდ ერთს დავძენთ: რაც ცალკეულ  
მონათხრობთა ერთობლიობიდან და მრავალფეროვნებიდან გამოსჭვივის, როგორც გერმა-  
ნელ ავტორთა შთაბეჭდილებების შინაგანი ფორმა, არის ქართველი ერის, მარად დაუ-  
დუმებელი, უშიშარი, უსასრულოდ შემოქმედი ერის იდეალური კულტურული თვითმყო-  
ფადობა.

ჩვენი მიმოხილვა გვინდა დავასრულოთ რაინერ კირშის ლექსით „ბანაობა ბიჭვინ-  
თასთან“, რომელშიც ავტორი საოცარი სიცხადით გადმოგვცემს ზღვითა და განუმეორე-  
ბელი ბუნებით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს, აღწერს კავკასიონის სიდიადეს, თეთრად  
დათოვლილ მწვერვალებს, ქვიან ნაპირს და მუქ-მწვანე ტყეებს:

## SCHWIMMEN BEI PIZUNDA

Grün ist das Meer bei Pizunda, manchmal  
 Blau, von Schiffen schwarz, in dieses schwimm  
 Weit wies dich trägt und dreh dich auf den Rücken: So  
 Siehst du den Kaukasus mit weißen Gipfeln  
 Und ruhst im Meer, und dies ist Ruhe. Wiegend  
 Kaum, und durchs Durchsichtige  
 Das um dich ist, grenzt dich deutlich die Haut;  
 Vorne am Steinstrand rutschen die Gesichter  
 Ab von den Chefs, die blinzeln, um sich bezahlt  
 Natur, zum Bauch plätschernd im Wasser;  
 Sie können's nicht. Groß ist der Kaukasus. Mit kleiner Kraft  
 Liege im Gleichgewicht löse die Arme und  
 Spür dich oder Meer, wie sonst Mädchen vorm Aufgehn  
 Hier aber ist die Mitte. Zwischen Meer, Fels, Schnee, Himmel  
 Schwarzgrün Wälder. Dies  
 War der Augenblick, nun gleit, treib, leicht  
 In überm Meer – heir  
 Ist der Triumph des Körpers: Ich, ungemordet  
 In diesem Jahrhundert! schwimme  
 Nicht schnell, nicht langsam durch was um mich fließt  
 An ein besteeintes Ufer bei Pizunda.  
 Ich hab noch veirzig Jahre, oder mehr. [6,91]

### ლიტერატურა:

1. Adolf Endler. Zwei Versuche, über Georgien zu erzählen. Halle/Saale. 1976
2. Georgische Poesie aus acht Jahrhunderten. Berlin. 1971
3. Christel und Walfried Hartinger. Georgische Poesie – entdeckt und vermittelt von Schriftstellern der DDR. Deutsch als Fremdsprache. Sonderheft. 1978.
4. Karl Mickel. Zu neuen Gedichten Rainer Kirschs. in: NDL. 6/1975.
5. Elke Erb. Gutachten. Poesie und Prosa. Berlin und Weimar. 1975.
6. NDL. 10/1972.

Irina Kruashvili

### *Georgia through the Eyes of German Poets*

#### Summary

The given article covers some literary relations between Georgian and German poets. According to the analysis of short novels by German authors we can define the role which played the anthology of eight-century Georgian poetry in the German language. There are



mentioned works connected with the named anthology : the work of Adolph Endler attempts to narrate about Georgia”, researches of Elke Erb about Josef Grishashvili, their notes about meetings with Georgian writers and friends, and poems of Rainer Kirsch. There are cited memoirs of German poets, in which they narrate about their impressions in very attractive and interesting way.

Illustrative examples of how splendidly German poets have represented Georgian poetry in the native language are German translations of Georgian poems, in particular, Georgian folklore “You, my big hope”, poem of Lia Sturua “Hunters”, poems of Josef Grishashvili “Wedding in our block”. The poem of Rainer Kirsch “Swimming by Pitsunda” concludes the article, where the author passes his impressions, caused by the blue sea and unique nature, describes greatness of Caucasus, with astonishing exactness, snow-white mountain tops, stony shore and deep green forests.

### **Ирина Круашвили**

#### *Грузия глазами немецких поэтов*

#### **Резюме**

В статье рассмотрены некоторые вопросы творческих взаимоотношений грузинских и немецких поэтов. Основываясь на рассказах немецких авторов, автор статьи излагает историю появления на свет антологии восьмивековой грузинской поэзии на немецком языке. В связи с вышеназванной антологией упомянута работа Адольфа Эндлера «Две попытки рассказать про Грузию», исследования Эльке Эрба о Иосифе Гришашвили, их записки о встречах с грузинскими писателями и друзьями, также стихотворения Райнера Кирша. В статье приведены цитаты из воспоминаний немецких поэтов, в которых они крайне привлекательно и интересно рассказывают о своих впечатлениях. А эти впечатления вызваны их приездом в Грузию. В статье также приведены высказывания немецких критиков Кристела и Вальфрида Гартингеров о том, какое позитивное влияние оказало на немецких авторов знакомство с Грузией и грузинской поэзией, как расширилась их литературная деятельность и стала разнообразной. Показано, какие плотные и плодотворные контакты сформировались между жизнью и литературой, историей и культурными традициями этих двух народов. Наглядными примерами того, как великолепно представили грузинскую поэзию немецкие поэты на родном языке, являются немецкие переводы грузинских стихотворений, а именно грузинской народной песни «Ты, моя большая надежда», стихотворения Лии Стуруа «Охотники», стихотворения Иосифа Гришашвили «Свадьба в нашем квартале». Статья заканчивается стихотворением Райнера Кирша «Плавание у Пицунды», в котором автор с удивительной чёткостью передаёт свои впечатления, навеянные голубым морем и неповторимой природой Грузии, описывает величие Кавказа, белоснежные горные вершины, каменистый берег и тёмно-зелёные леса.





## ყაჩაღობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგიერთი თავისებურება

ყაჩაღობა იურიდიული ბუნებით, მეტად თავისებურია და მნიშვნელოვნად განსხვავდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისაგან. იგი რთული, შენადგენი დანაშაულია, რომელიც ერთდროულად ხელყოფს კანონით დაცულ ორ სიკეთეს - საკუთრებას და ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ყაჩაღობა მიზნით დაფუძნებული დელიქტია, რომლის იურიდიული და ფაქტობრივი დამთავრების მომენტი სცილდება ერთმანეთს - კანონის მიხედვით, ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება თავდასხმისთანავე (მიუხედავად იმისა, დამნაშავე დაეუფლა სხვის ნივთს თუ არა), ბუნებრივად კი, დამთავრებული არაა. თავდასხმა, როგორც ყაჩაღობის სავალდებულო ნიშანი, ქონების დაუფლების საშუალებაა.

თავდასხმა, როგორც ყაჩაღობის სავალდებულო ნიშანი, სადავოდ არის მიჩნეული რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძალადობა, რომელსაც ყაჩაღობისას აქვს ადგილი, თავდასხმის იმანენტურია, მათ შორის არ არის განსხვავება და იგი ამოსაღებია ყაჩაღობის ცნებიდან. „თავდასხმა, - წერს ნ. ივანცოვა, - არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული ქმედების დასაწყისი, რომელიც არ წარმოადგენს ყაჩაღობის იმ აუცილებელ ატრიბუტს, ურომლისოდაც აღნიშნული დანაშაული დაკარგავდა თავის ინდივიდუალობას. პირიქით, ამ ნიშნის ამოღება ყაჩაღობის დისპოზიციიდან შესაძლებელს გახდის, გადაიჭრას მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრინციპული საკითხები. მაგ. შეწყდებოდა დავა იმის თაობაზე, თუ რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან ტერმინები „თავდასხმა“ და „ძალადობა“.”<sup>1</sup> ნ. ივანცოვას მიაჩნია, რომ ყაჩაღობის სავალდებულო ნიშანი უნდა იყოს ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რომელიც ამ დანაშაულის ობიექტური მხარისათვის არის დამახასიათებელი და საშიშია ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის.<sup>2</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ყაჩაღობის შინაგანი ბუნებიდან, მისი მომეტებული საშიშროებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მხედველობაში უნდა მივიღოთ სწორედ ის სპეციფიკა, რაც თავდასხმას ახასიათებს, განსხვავებით ძალადობისაგან. თავდასხმაში, როგორც წესი, დაზარალებულზე დანაშაულებრივი ქმედების მოულოდნელი, უეცარი განხორციელება მოიაზრება, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ, ძალადობა შეიძლება მოსალოდნელიც იყოს. ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის განსახორციელებლად არაა აუცილებელი, დამნაშავე თავს დაესხას დაზარალებულს, და პირიქით, თავდასხმას, როგორც წესი, თან სდევს ფსიქიკური ან ფიზიკური ძალადობა, ან ორივე ერთად მიმართული მსხვერპლის ნების დასათრგუნად. თავდასხმისათვის დამახასიათებელია ის, რომ დამნაშავე უეცარ აგრესიულ ზემოქმედებას, ძალადობას ახორციელებს დაზარალებულზე, რითაც თრგუნავს მას და უმრავლეს შემთხვევაში უკარგავს კიდევ წინააღმდეგობის გაწევის უნარსა და შესაძლებლობას, ხოლო, როდესაც დაზარალებული გონს მოდის, რეალურად აღარ აქვს შანსი, წინ აღუდგეს თავდამსხმელის ძალადობას. თავდასხმისა და ძალადობის ურთიერთმიმართების თაობაზე სწორად მსჯელობს თ. ებრალიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ „თავდასხმა და ძალადობა ორი განუყოფელი აგრესიული აქტია, რო-



მელთა ორგანული ერთიანობა ყაჩაღობის შემადგენლობას გვაძლევს.”<sup>3</sup> სწორედ თავდასხმის მომეტებული საშიშროების გამო, კანონმდებელმა, სრულიად სამართლიანად გადმოსწია ყაჩაღობის დამთავრების მომენტი და ეს დანაშაული, განსხვავებით ქურდობისა თუ ძარცვისაგან, დამთავრებულად სცნო თავდასხმისთანავე. შესაბამისად, გააძლიერა სისხლისსამართლებრივი რეპრესიაც, რაც, ვფიქრობ, სრულიად მართებულია, რამეთუ თავდასხმის მოულოდნელობაა ის ძირითადი მომენტი, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს დამნაშავეს.

ასევე ინტერესს იწვევს რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გამართული დავა იმის თაობაზე, არის თუ არა თავდასხმა და შესაბამისად, სწორია თუ არა რუსეთის სამართლო პრაქტიკა, როდესაც იგი ყაჩაღობად აკვალიფიცირებს ადამიანზე ძალადობრივ ზემოქმედებას მოტყუებით. კერძოდ, უნდა ჩაითვალოს თუ არა ყაჩაღობად ისეთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის ორგანიზმში მოტყუებით შეჰყავთ ძლიერმოქმედი გამაბრუებელი ან ნერვულ-პარალიტიკური თუ სხვა საშუალება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და ამ გზით, დამნაშავეები ეუფლებიან დაზარალებულის ქონებას. აღნიშნული პრობლემის თაობაზე, გამოთქმულია შეხედულება, რომ ამ დროს (გამაბრუებელი საშუალების შეყვანისას), სახეზე გვაქვს ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ხოლო, ნივთის დაუფლების მხრივ, - ქურდობა.<sup>4</sup> ვფიქრობ, აღნიშნული კვალიფიკაცია არასწორია, მსგავსი ქმედება ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს, რამეთუ სახეზეა ადამიანის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის რეალურად საშიში ძალადობა, რომელიც მიზნად ისახავს სხვისი ქონების დაუფლებას, ხოლო იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული საფრთხე არ არის გაცნობიერებული დაზარალებულის მიერ, ვერ უნდა იქონიოს ზეგავლენა ქმედების ყაჩაღობად კვალიფიცირებაზე, რადგან მთავარი ისაა, რომ დამნაშავემ იცის თავს რომ ესხმის დაზარალებულს და ჩადენილი ქმედებით რეალურად უქმნის საფრთხეს მის სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს შენადგენ დანაშაულთან ყაჩაღობის სახით და არა დანაშაულთა ერთობლიობასთან. ასეთივე აზრისაა თ. ებრალიძე, რომელიც წერს: „თავდასხმა შეიძლება გამოიხატებოდეს დაზარალებულზე აშკარა ან ფარულ ზემოქმედებაში ნერვულ-პარალიტიკური, ტოქსიკური ან სხვა გამაბრუებელი საშუალებით, რათა მან გონება დაკარგოს და დამნაშავემ დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით განახორციელოს დანაშაულებრივი საქმიანობა. ამგვარი ხასიათის ზემოქმედება ხშირად არ აღიქმება დაზარალებულის მიერ, მაგრამ იგი მაინც თავდასხმად უნდა იყოს მიჩნეული”.<sup>5</sup>

ყურადღება მინდა გავამახვილო კიდევ ერთ საინტერესო და სადავო საკითხზე, რომელიც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. ო. გამყრელიძემ წამოსწია. კერძოდ, საკითხი ეხება უვარგისი იარაღით თავდასხმას სხვისი ქონების დასაუფლებლად. ასეთ ქმედებას სასამართლო პრაქტიკაში ყაჩაღობად მიიჩნევენ. ასევე ყაჩაღობად თვლიან მსგავს ქმედებას მეცნიერი იურისტებიც, რასაც, ჩემი აზრით, სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს პროფ. ო. გამყრელიძე. უვარგისი იარაღით თავდასხმისას დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას რეალური საფრთხე არ ექმნება. ამ დროს დაზარალებულის ნების პარალიზებისათვის დამნაშავე ისეთ იარაღს იყენებს, რომელიც გამოუსადეგარია ცოცხალი მიზნის დასაზიანებლად. იარაღი შეიძლება იყოს სათამაშო, რომელიც არ განსხვავდება ნამდვილისაგან და შესაბამისად, დაზარალებულიც, ასეთად აღიქ-



ვამს მას. ასევე, იარაღი შეიძლება იყოს ნამდვილი, მაგრამ ტექნიკურად გაუმართავი გამოუსადეგარი და არ უქმნიდეს რეალურ საფრთხეს დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. „უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის არ შეიძლება მივიჩნიოთ ყაჩაღობად. ეს ქმედება არ ქმნის იმ საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, – წერს პროფ. ო. გამყრელიძე, – რაც ყაჩაღობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს“.<sup>6</sup> მხოლოდ იმის გამო, რომ უვარგისი იარაღის დემონსტრირებამ მოახდინა დაზარალებულის ნების პარალიზება, ჩადენილი ქმედება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ყაჩაღობა. „პრობლემის ასეთი გადაწყვეტა, – აღნიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე, – ეწინააღმდეგება თვითონ ყაჩაღობის ბუნებას. საქმე ის არის, რომ სხვა ქონებრივი დანაშაულისაგან განსხვავებით, ეს დელიქტი დიდ საფრთხეს ქმნის დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის.“<sup>7</sup> აღიარებულია, რომ დანაშაულებრივი ქმედება მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტური წარმოდგენით კი არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არამედ, რეალურად უნდა იყოს საშიში. დაზარალებულის ნების პარალიზების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და მსგავს ქმედებას ყაჩაღობად დავაკვალიფიცირებთ, მაშინ ყაჩაღობად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევაც, როდესაც, მაგ. ქურდი დარწმუნებულია, რომ ფარულად აცლის ჯიბიდან ფულს მგზავრს, თუმცა, სინამდვილეში, მგზავრი გრძობს ამას, მაგრამ იმის შიშით, რომ დამნაშავემ შეიძლება რაიმე ფიზიკური დაზიანება მიაყენოს ან მოკლას, არ იმჩნევს ამას. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავს შემთხვევას არც სასამართლო პრაქტიკა და არც მეცნიერი-იურისტები ყაჩაღობად არ მიიჩნევენ, პირიქით – ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ მსგავს შემთხვევაში საქმე გვაქვს ქურდობასთან, რადგან, დამნაშავე დარწმუნებულია საკუთარი ქმედების ფარულობაში. როგორც ვხედავთ, მსგავს შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის სუბიექტურ დამოკიდებულებას და არა იმას, თუ რას ფიქრობდა დაზარალებული, ითრგუნებოდა თუ არა მისი ნება. ვფიქრობ, ყაჩაღობის დროსაც, დამნაშავე უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი ქმედება რეალურად უქმნის საფრთხეს დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ამასთან, მხედველობაში მისაღებია, რომ ყაჩაღობის შემადგენლობისათვის არაა აუცილებელი, თავდასხმა განხორციელდეს ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით. ყაჩაღობა „შიშველი ხელითაც“ შეიძლება ჩაიდინოს ადამიანმა, კანონმდებელი სავალდებულოდ არ თვლის იარაღით თავდასხმას. აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსალოდნელი საფრთხის რეალურობასა და ხარისხს. ამდენად, უვარგისი იარაღით თავდასხმისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, შეექმნა თუ არა რეალური საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არა იმას, იარაღის დემონსტრირებამ მოახდინა თუ არა დაზარალებულის ნების პარალიზება. ვფიქრობ, უვარგისი იარაღით თავდასხმა, რომელიც არ უქმნის რეალურ საფრთხეს დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, არ უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობად. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება უვარგისი იარაღით თავდასხმა დამოუკიდებელი დანაშაულის სახით თუ იქნება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც ამას პროფ. ო. გამყრელიძე გვთავაზობს, რადგან, მსგავსი ქმედება აშკარად თავისებური იურიდიული ბუნების მქონე დელიქტს ქმნის.<sup>8</sup>

ლიტერატურა:

1. Иванцова Н. Разбой - насильственное хищение чужого имущества. Уголовное право №2. 2003. С. 34.
2. იქვე გვ. 35.
3. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. ეკონომიკური დანაშაული. თბ., 2004, გვ. 74.
4. ნ. ივანცოვას დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
5. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. ეკონომიკური დანაშაული. თბ., 2004, გვ. 74.
6. ო. გამყრელიძე. ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. თბ., 1998, გვ. 211.
7. ო. გამყრელიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 210.
8. ო. გამყრელიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

**Dodo Julukhadze**

*Some Peculiarities of Criminal Proceedings Against Burglary*

**Summary**

The author considers some peculiarities of burglary, which lead to different views not only among academic lawyers, but among practicing lawyers as well.

**Додо Джулухадзе**

*Некоторые своеобразия уголовной ответственности за разбой*

**Резюме**

В данной работе рассмотрены некоторые характерные своеобразия разбоя как преступления, своеобразие которого вызывает разногласия не только среди учёных-юристов, но и у практиков. В работе выдвигаются соответствующие законодательные предложения.



## მოსახლეობის ცხოვრების დონე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის კატეგორია

ცხოვრების დონე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, კონკრეტული ისტორიული ცნებაა. ცხოვრების დონის ქვეშ იგულისხმება მოსახლეობის უზრუნველყოფა მატერიალური, სულიერი, სოციალური დოვლათითა და საცხოვრებელი პირობებით, ანუ იგივეა, რაც მოხმარების მიღწეული დონე და ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი. ცხოვრების ხარისხზე მსჯელობა ძალიან ძნელია მხოლოდ ამ უკანასკნელი მაჩვენებლის გათვალისწინებით. ადვილი წარმოსადგენია სიტუაცია, როდესაც ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია სრულიად, მაგრამ ისინი იმდენად მიზერული და შეზღუდულია, რომ ასეთი დაკმაყოფილება არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილდღეობის მაღალი სტანდარტების დამამტკიცებელ საბუთად. სწორედ ასევე, საღ აზრს მოკლებული იქნებოდა ცხოვრების დონის გამოვლენა მხოლოდ მოხმარების მოცულობის მიხედვით. თუ ავიღებთ ორ ქვეყანას, სადაც მოსახლეობის მოთხოვნა ერთ დონეზეა დაკმაყოფილებული, მათი ცხოვრების დონეები შესაძლოა განსხვავებული იყოს. ეს კი გამოწვეული იქნება იმით, რომ მოცემულ ქვეყნებში მოსახლეობას გააჩნია სხვადასხვა ზომის მოთხოვნილებები, ანუ ცხოვრების დონის სწორად დასახასიათებლად ერთდროულად უნდა გამახვილდეს ყურადღება, როგორც მოთხოვნილებების დონის განვითარებაზე, ასევე ფაქტიურად მოხმარებული დოვლათის სიდიდეზე.

ცხოვრების დონე დამოკიდებულია მრავალ რთულ და განსხვავებულ გარემოებებზე: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ისტორიულ, ეროვნულ თავისებურებებზე, ბუნებრივ პირობებზე. მათ შორის მთავარ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური პირობები, ანუ მოსახლეობის შემოსავლები, დანახარჯები, ინფლაციის ტემპი და ა. შ. თუმცა, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია ამით შემოვიფარგლოთ. ცხოვრების დონის ანალიზისას აუცილებელია დახასიათდეს ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ მოსახლეობის ცხოვრების მოცემულ დონეს.

ცხოვრების დონის ამალღება, ანუ სოციალური პროგრესი საზოგადოებრივი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა. ჯერ კიდევ ძველი რომაელების უმთავრესი დევიზი იყო ხალხთა კეთილდღეობა, რაც თავის მხრივ წარმოადგენს პროგრესის კრიტერიუმს. ეს კრიტერიუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც ცენტრალურ ფიგურად აღიქმება ადამიანი. საბაზრო ეკონომიკა ეს არის მასობრივი მოხმარების ეკონომიკა, სწორედ მოხმარებელია ბაზრის მეფე. ანუ არ შეიძლება აწარმოო რაიმე, თუ არ იქნება გათვალისწინებული მოსალოდნელი მოხმარება.

მეცნიერთა განმარტებით “ცხოვრების დონის” ქვეშ იგულისხმება მოსახლეობის უზრუნველყოფა აუცილებელი მატერიალური დოვლათითა და მომსახურებით. მოხმარების მიღწეული დონე და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი. პრაქტიკაში მიღებულია “ცხოვრების დონის” ვიწრო და ფართო გაგება. პირველი გულისხმობს ადამიანთა მხოლოდ პირად მოხმარებას, ხოლო მეორე – ცხოვრების ყველა მხარეს. ფართო გაგებით ტერმინში “მოსახლეობის ცხოვრების დონე” იგულისხმება ცხოვ-



რების, შრომის პირობები, ასეთ შემთხვევაში ხშირად იხმარება ტერმინი “ცხოვრების ხარისხი”.

ცხოვრების დონესთან ახლოს მდგომი კატეგორიაა “ცხოვრების ღირებულება”, რომელიც წარმოადგენს ფულად შეფასებას საშუალოდ ერთი შინამეურნეობის მიერ დროის გარკვეულ პერიოდში ფაქტიური მოხმარებისა, რაც უზრუნველყოფს მოთხოვნილებების გარკვეულ დონემდე დაკმაყოფილებას.

ძირითადად პრაქტიკაში გამოიყენება მოსახლეობის ცხოვრების დონის ოთხი გაგება:

უზრუნველყოფილი დონე (კეთილდღეობა), რომლის პირობებშიც შესაძლებელია ადამიანის ყოველმხრივი განვითარება;

ნორმალური დონე ითვალისწინებს რაციონალურ მოხმარებას მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების მიხედვით და შესაძლებელს ხდის ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენას;

სიღარიბე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია მხოლოდ შრომისუნარიანობის შენარჩუნება. იგი წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ქვედა ზღვარს;

სიღატაკე, მასში იგულისხმება საქონლის და მომსახურების ნაკრები, რომელიც საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს ადამიანის სიცოცხლის უნარიანობა.

ამრიგად, ცხოვრების დონე სტატისტიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა. მასზე ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე. ეს კი, თავის მხრივ, გვაავალდებულებს მეტი სმეტი ყურადღებით მოვექცეთ მის ყოველ სტრუქტურულ ელემენტს არამცთუ ჟამიდან ჟამზე, არამედ მუდმივად. ეს მეტი სმეტად აუცილებელია საერთოდ და მითუმეტეს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

**ლიტერატურა:**

1. გაბიძაშვილი ბ., კირვალიძე ზ. სიღარიბე საქართველოში (ეკონომიკურ-სტატისტიკური ნარკვევი). თსუ გამომცემლობა. თბ., 2003.
2. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GELPAC). საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. კვარტალური მიმოხილვა. 2003. № 2-3.
3. მსოფლიო ბანკის მოხსენება საქართველოში სიღარიბის შესახებ. 2001. 28 ივნისი.
4. საქართველოს ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის პროგრამა. (პროექტი). თბ., 2000.
5. საქართველოში სიღარიბისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამა(სადისკუსიო მასალა). თბ., 2000.
6. საქსი ჯ. ბინისი კ., იელაციო ი. პრივატიზაციის განხორციელების შედეგები გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში: საკუთრების ფორმების შეცვლა საკმარისია? საკონსულტაციო დახმარება ეკონომიკური რეფორმების საკითხებში (CAES). Discussion paper = 63, 2000.

**Zamira Shonia, Maia Giorgobiani**

*Living Standards of Population as a Social  
and Economic Statistic Category*

**Summary**

Living standards are mostly determined by the productivity of the national economy sectors, by the national wealth, product volume and national income, also by the consumption-saving ratio, real income, GDP per capital, tax and price level, consumption structure, working conditions and employment.

**Замира Шония, Майя Гиоргобиани**

*Уровень жизни населения, как социально-экономическая  
статистическая категория*

**Резюме**

Уровень жизни определяется производством хозяйственной отрасли, объемом собранного общественного богатства, общественной продукцией и народной прибылью, реальной прибылью населения, внутренним продуктом, рассчитанным на одного человека, налогами и уровнем цен, потребительской структурой, обеспечением населения и трудоустройством лиц.

## THE PASSIVE DIATHESES IN MODERN ENGLISH LANGUAGE

The purpose of the present article is to carry out a comparative analysis of the finite forms of the passive voice in Modern English literary dialogue and scientific prose.

The theoretical basis of the research is the theory of diathesis. According to this theory the description of the voice relations is built proceeding from the conceptual-semantic (deep-syntactic) scheme of the situation of action (physical or mental) or relation and perception which are also characterized by direction. A.A. Kholodovich, the founder of the theory of diatheses, describes the category of diatheses as a scheme of correspondence between the units of the syntactic level and the units of the semantic level and the category of voice as a regular reflection of this correspondence in a verb, in other words, the voice is defined as a diathesis grammatically marked in a verb.

In the analyzed material (the sentences with the finite forms of the passive gathered by means of complete selection from the plays and the dialogue extracts from the fiction and the scientific prose of Modern British and American authors) the following components of the situation have been distinguished:

1. Predicate (the central component)
2. Relevant participants
3. The attributes of the participants and the predicate
4. Circumstances (conditions in which the predicate is realized).

Actions, relations and perceptions which are treated under the general term "predicate" (in the logico-conceptual sense) are the most essential components of the situation predetermining both the choice of the participants and the variants of the diatheses. The italicized parts of the sentences below correlate with the predicates in the deep-syntactic structure:

1. The experiment *was carried out* in such a way that a beam of light *was split* in two (8,159).
2. ADA *is needed* by the white blood cells responsible for immunity to infection (1,874).

The participants relevant for the passive diatheses in the present work are: *agent*, *experiencer*, *patient*, *addressee*, *resultative* and *instrumental*. Below they are described briefly and illustrated by the italicized parts of the corresponding sentences.

*Agent* is a person or non-person performing an action (physical or mental) over an object (a person or non-person), e.g. 1. This calcium is then digested *by pepsin* (1,243); 2. The term "Allomorph" was proposed *by Charles Hockett* for morpheme alternants (4,109).

*Experiencer* is a person undergoing (experiencing) some psychic state, perception or relation, as below:

1. ". . . we weren't wanted *by our families*" (18,205).

*Patient* is a person or non-person toward which the action is directed or a component of the situation acted upon: "A total of 15 amino acids were isolated. . . (1,882).

*Addressee* is a person or non-person the action is addressed to:

1. ". . . it was only in modern times that the *atomic hypothesis* was given a solid foundation based on research and experiment" (2,161).



2. "Do you think *we*'re allowed a drink?" (78,157).

**Resultative** is the result of the causative action:

*X-rays and neutrinos* are also generated by certain interesting classes of astronomical object (3,F<sub>3</sub>)

**Attributes** are components of the situation accompanying, supplementing and elucidating the predicate, the patient and the addressee:

1. Blake was found *frozen* (15,84)

2. Adherent to the variety are said *to speak or write correctly* (5,2)

3. ". . .we were promised *that things were going to be very different* (16,62).

**Circumstances** are components of the situation which are not immediately connected with the action (relation, perception) but specify it as the conditions in which it proceeds:

1. The gated had been closed *at ten o'clock* (12,24).

2. This meeting tonight. . . wasn't called *to decide policy*. . ." (8,360).

3. Electricity is already treated *with carefree disregard* (11,30).

In the present work three main groups of passive diatheses have been singled out in accordance with the correspondence of the subject of the sentence with the patient, the addressee and the resultative. Below are given examples to illustrate the mentioned diatheses:

1. **Observations** are carefully described and *the objects involved* are classified (7,36).

2. Suppose *you* are paid once a month . . . (10,335).

3. Important products are not part of GNP because *they* are produced in foreign nations rather than domestically (6,207).

The italicized parts of the given sentences "observations and the objects involved", "you", "they" represent correlations between the patient and the subject, the addressee and the subject, the resultative and the subject correspondingly.

The above-mentioned main groups of diatheses contain diatheses differing in their additional semantico-syntactic correlations, besides their main – "subject" correlation and also the variants of the latter, as in the examples below:

1. He says that only *200 families* will be provided for *by that project*. . . (8,57)

2. "*My novel* was sold *to a film company*" (17,40).

In the given sentences besides the main correlation "patient - subject" the additional correlations "instrumental – prepositional object" and "addressee – prepositional object" are registered.

In the dialogue there were discovered 42 passive diatheses in all, from which 23 come to the first group ("patient - subject" correlation), 11-to the second ("addressee - subject" correlation) and 8 – to the third group ("resultative - subject" correction), whereas in the scientific prose there were discovered only 20 types of passive diatheses which were distributed in the following way: I group – 12 diatheses, II group – 5 diatheses, III group – 3 diatheses. Thus, the prevalence of the diatheses with the main correlation "patient-subject" in both language subdivisions is obvious.

The diatheses in which the agent and the experiencer are represented in the surface-syntactic structure by a prepositional object with by-phrase constitute 9,2% of all the passive forms in the literary dialogue and only 3,3% in the scientific prose. The analysis of the proportion of the diatheses with "instrumental – subject" correlation in the dialogue



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

also showed its distinct divergence from the corresponding figure in the scientific functional style (2,7%:7,6%).

The shares of the diatheses in which two members of the semantic structure (patient and attribute or addressee and attribute) correlate with one member of the sentence – the so-called “complex subject” and of the diatheses in which the patient correlates with the formal subject it and the attribute with the real subject or the subject subordinate clause are noticeably higher in the scientific prose than in the dialogue (24,2%:17,1%). Below are given sentences in which the mentioned diatheses are represented:

1. *It is believed that the age of our galaxy is about 4.000 million years* (2,153).
2. *The distinction between the robust and gracile species is considered to represent differences in diet* (3,F54).
3. *Mrs Kettering* has been seen **alive** by several people afterwards (9,216).

The analysis of the morphological properties of the passive constructions and the ascertainment of their correlation with the types of passive diatheses also revealed a sharp distinction in the two functional styles. In the dialogue in 58,7% of all the passive diatheses the subject in the left – side distribution designates a person, whereas in the scientific prose a “non-person” in the role of the subject of the sentence absolutely prevails (98,3%).

1) “*Skeletons* have been found lying in shallow graves”. (2,175 ). (The italicized part is the subject in the surface structure representing non-person).

2) “When **you** are telephoned you come to my flat”. (19,154). (“You” is the subject of the sentence designating a person ).

The zero right-side distribution of the passive constructions in the dialogue makes up 40,7% of all the examples, the simple distribution – 50,6% and the compound distributions constitute 8,7% of the whole corpus of examples in the given language subdivision.

The same indices differ greatly in the scientific prose: the zero right-side distribution makes up only 12,3%, simple 63,4% and the compound right-side distribution constitutes 24,3%, the latter being of an extended character.

Below are given examples of the above - mentioned distributions.

1) “You will be thrust and defeated”. ( 20,171 ).(A zero right – side distribution).

2) “Dinner will be served *shortly*”. ( 21,138 ). (A simple right – side distribution – an adverb – a correlate of the circumstance ).

3) The commonest blood disease in this group, pernicious anemia, was described accurately *by the British physician Addison about 100 years ago*. ( 2,191 ) .(A compound right – hand distribution – a prepositional phrase, a correlate of the agent and a prepositional phrase – the circumstance in the deep – syntactic scheme.

The juxtaposition of the texts of science and the literary dialogue has revealed their marked difference from the point of view of the use of the passive constructions in them which can be explained by different tasks of scientific literature and the dialogue ( colloquial language). The results of the given work may be considered as the characteristic features of the two analyzed language subdivisions.

**The List of the Cited Literature:**

1. Taylor D. Y., Green N. P., Stout C. W. . Biological Science. Cambr. Univ., 1998.
2. Pears Cyclopaedia. Ed. by L. Mary Barker. Sixty-Fifth Ed., 1956-57.
3. Pear Cyclopaedia. Ed. by Ch. Cook, 107 Ed., 1998-1999.
4. Bornstein D. D. . Reading in the Theory of Grammar. Cambr., Mass, 1976.
5. The Cambridge Encyclopaedia of Language. Cambr., 2nd Ed.
6. Daffy G.. Economics. N. Y., 1993.
7. General Chemistry. W. C. Brown Publishers., Dub., 1993.
8. Bonosky Ph. The Magic Fern. N. Y., 1972.
9. Christic A. The Mystery of the Blue Train. Pocket Book. N. Y., 1974.
10. Brag M. The Hired Man. M., 1979.
11. Donleavy Y. P. The Onion Eater. L. 1977.
12. Carson R. The Outsiders. A Fawcett Crest Book, N. Y., 1966.
13. Malzt A. The Cross and the Arrow Len, 1963.
14. Mailer N. An American Dream. A Dell Book. N. Y., 1966.
15. Simak. The Werewolf Principle. L., 1977.
16. Caldwell T. This Side of Innocence. N. Y., 1977.
17. Manning O. The Rain Forest. Lnd,1977.
18. Taylor C., from the novel by H. James "The Wings of the Dove". Plays of the Year. Vol. 28 Lnd,1964.
19. Cooper G. Everything in the Garden. NED7, Penguin Books, Lnd,1975.
20. McCullers C. The Heart Is a Lonely Hunter. Lnd,1974.
21. Christie A. The Moving Finger. A Dell Book, N.Y.,1970.
22. А. А. Холодович. Залог. В кн.: Категория залога (Материалы конференции), Л., 1970.

ემა კილანავა

*პასიური დიათეზები თანამედროვე ინგლისურ ენაში*

რეზიუმე

დიათეზების თეორიაზე დაყრდნობით ჩატარებულია პასივის შეპირისპირებითი ანალიზი ლიტერატურულ დიალოგსა და სამეცნიერო ტექსტებში.

**Эмма Киладанава**

*Пассивные диатезы в современном английском языке*

Резюме

Статья посвящена сопоставительному анализу пассивных диатез в субъязыках современного литературного диалога и научного текста.

## ინგა მორგოშია, მარინე ტურავა

### პარათაშვილი და ბაირონი (რწმენა და რომანტიზმი, ლიტერატურული პარალელები)

სამყაროსადმი სუბიექტური, ემოციურ-პიროვნული მიდგომა, გარემოს მიმოხილვა ადამიანური პოზიციიდან არის რომანტიზმის მენტალობის საფუძველი. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ავტორის "მეს", პიროვნულის ინტენსიურ აღქმას, სულიერების განცდას. რწმენისადმი დამოკიდებულება რომანტიზმში არაერთგვაროვანია. ზოგიერთი ევროპელი რომანტიკოსი იმ დროებისაკენ დაბრუნებას მოითხოვს, როდესაც ბატონობდა რწმენა, რომელსაც გონებაზე მაღლა აყენებდნენ. ეს ნაწილი ამტკიცებს, რომ გონებამ ადამიანს ასწავლა დაეჭვება, მოუკლა რწმენა, დანერგა უიმედობა და სასოწარკვეთა (ნოვალისი "ქრისტიანობა ანუ ევროპა", დე მესტრი "პაპის შესახებ", ბონალდი "პოლიტიკური და რელიგიური ძალაუფლების თეორია" და სხვები).

არც ბაირონი და არც პარათაშვილი არ მიეკუთვნებიან ამ ტიპის რომანტიკოსებს. მათი დამოკიდებულება რწმენისადმი რთული და წინააღმდეგობრივია. ბელინსკი აღნიშნავდა ბაირონის ლირიკის შესახებ, რომ ის "არის ზეციური, მაგრამ ამ ზეციურით გამსჭვალულია მიწიერი". პარათაშვილი ეკითხება უფალს: "ნუ თუ მამასა არღა ჰქონდეს გულის ტკივილი, ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი". ჭეშმარიტი აღმსარებლები განსაცდელს ევედრებიან უფალს და სიხარულით ხვდებიან ტანჯვას. ბაირონიც და პარათაშვილიც ღმერთის ძიების პროცესში არიან, მათი პოზიცია არც შეიძლება ცალსახა და ჩარჩოში მოქცეული იყოს.

"ქალისა და მამაკაცის სიყვარულის ისტორია ტრამვაის ბილეთებით იყო. ბაირონმა შეცვალა ლიტერატურის ისტორია, ჩაილდ ჰაროლდი კაცია და მთავარი ის არის" (აკა მორჩილაძე). ახლა ამ მთავარს უნდა გამოეხატა თავისი პოზიცია, დამოკიდებულება ბედისწერის, ზეცისა და შემოქმედისადმი. ჩაილდ ჰაროლდი პირველი მეამბოხე და პროტესტანტია. მისთვის მიუღებელია თანამედროვე ევროპა ნაპოლეონის ომებით, რესტავრაციის ეპოქის რეაქციული წესებით და სოციალური უბედურებებით. ჰაროლდის მიმე ეჭვებს იწვევს არა მარტო თანამედროვეობა, არამედ ევროპის მომავალიც. ახალგაზრდა ბაირონის პროტესტი თანდათან ძლიერდება, მანფრედში იგი უფრო ღრმავდება. პოემაში ინგლისიდან განდევნილი პოეტის ღრმა სულიერი ტკივილი აისახა. თავად ავტორი ამბობს, რომ "ესაა საკმაოდ უცნაური, მეტაფიზიკური და გაუგებარი" ნაწარმოები. დანტეს "ღვთაებრივი კომედიის", შელის "განთავისუფლებული პრომეთეს", გოეთეს "ფაუსტის" მსგავსად აქ ბაირონი საუბრობს სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე, ბედნიერების არსსა და მისი მიღწევის გზებზე, ადამიანსა და ღმერთს შორის ტრაგიკული კონფლიქტის დაძლევაზე.

ბოროტების უზენაესი ღმერთი — ჰარიმანი, მისი მოახლე ნემეზიდა, სულები და პარკები, რომლებიც ანადგურებენ მთელ ქალაქებს, "აღადგენენ დამსხვრეულსა და ამაგრებენ დასამხობად განწირულ ტახტებს" ქმნიან დრამის ავბედით ფონს. მანფრედისათვის წარმოუდგენელია მათთან ალიანსი. მისთვის ასევე წარმოუდგენელია დაემორჩილოს რელიგიას, რომელიც მისი მედიდური სულის დაუფლებას ცდილობს. დრამის უკანასკნელ სცენაში მანფრედი უარყოფს მონანიებას, რასაც აბატი სთავაზობს. ის კვდება ისეთივე



თავისუფალი და ამბოხებული, ამაყი და გულზვიადი, როგორც იყო მთელი სიცოცხლე. ბაირონი ასკვნის, რომ მხოლოდ გონებას და ცოდნას მოაქვს სევდა, რადგან იგი უბრალოდ როტების ახალ-ახალ სფეროებს აღმოაჩენს. მიუხედავად ამისა, მანფრედი მაინც უარყოფს რწმენას, რომელიც "მონების უბადრუკი ნუგეშია".

ჯერ კიდევ ოთხი წლით ადრე, 1813 წელს, ახალგაზრდა ბაირონმა ერთ-ერთ აღმოსავლურ პოემაში, "გიაური", სასიკვდილო სარეცელზე მყოფი თავისი პერსონაჟი ხანგრძლივი აღსარების შედეგ გაისტუმრა საიქიოს. თუმცა ეს აღსარებაზე მეტად მომავდავის ბოდვაა, ცნობიერების უკანასკნელი, წამებით აღსავსე აღგზნებაა. ავტორი მაინც უშვებს მონანიების აქტს, მაგრამ ეს მხოლოდ მხატვრულ სამუშაოებადაც შეიძლება მოვიხაროთ. სავსებით სამართლიანად არის მიჩნეული, რომ ბაირონის პროტესტანტული, მეამბოხური ხასიათი ასაკთან ერთად მძაფრდება. ამის დასტურია "მანფრედის" შემდეგ, 1821 წელს, დაწერილი პოემა "კაენი". ამ ლირიკულ დრამაში ღმერთთან შებრძოლება ყოვლისმომცველ სახეს იღებს.

"კაენი" იტალიაში, კარბონარების დამარცხების შემდეგ დაიწერა. იგი პოეტის რომანტიკული დრამატურგიის მწვერვალად ითვლება. პოემის პირველწყარო არის ბიბლიური იგავი, პირველი ადამიანებისა და შეცოდების შესახებ. პირველწყაროსაგან განსხვავებით ბაირონის კაენი ძმის მკვლეელი და ბოროტმოქმედი კი არა, პირველი მეამბოხეა დედამიწაზე.

გამჭრიახი გონებითა და ალლოთი დაჯილდოებული კაენი ეჭვის თვალთ უყურებს ღმერთის ყოვლისშემძლეობას. იგი ხვდება, რომ მისი მშობლების სამოთხიდან გამოძევება, მომავალი კაცობრიობის გაწირვაც უფლის ნებაა და არა პირველი ადამიანების ცოდვით ღაცემის შედეგი. ამაში მას ლუციფერი ეხმარება — ამაყი მეამბოხე, რომელიც მილტონის სატანის მსგავსად, ღმერთმა განდევნა ზეციდან, თავისუფლების სიყვარულის გამო.

ამ მისტერიაში რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელმა მსოფლიო სევდამ პიკს მიაღწია. ბაირონი უკიდურეს სასოწარკვეთაში ვარდება. ლუციფერთან ერთად კაენი სიკვდილის სამეფოს სტუმრობს, სადაც დიდი ხნის წინ გარდაცვლილ არსებათა აჩრდილებს ხედავს (აქ ერთგვარი შეუსაბამობაა, კაენი დედამიწაზე მცხოვრები ერთ-ერთი პირველი ადამიანია, გაუგებარია, ვისი სულები ბინადრობენ მიცვალებულთა საუფლოში?!). "ასეთივე ბედი მოელის კაცობრიობასაც," — ეუბნება კაენს ლუციფერი. კაენისაგან განსხვავებით, ბაირონს უნდა სცოდნოდა, რომ ადამიანის ხსნისათვის ჯვარზე გაკრული იესო ამგვარი ბედისაგან იხსნიდა კაცობრიობას და ადამის ძეს სულიერ უკვდავებას მიანიჭებდა. თუმცა ამ მისტერიის მიხედვით ისტორია დახშული რკალია, პროგრესი შეუძლებელია, — ასეთ სავალალო დასკვნამდე მიდის პოეტი მისი თანადროული ევროპის მძიმე შთაბეჭდილებების ზეგავლენით.

განსხვავებული დამოკიდებულება იკვეთება ბაირონის ლირიკაში. ბიბლია მისი საყვარელი, მშობლიური წიგნი იყო ბავშვობიდან. ამიტომაც ბიბლიური იგავები, სიუჟეტები, არქეტიპები ხშირად გვხვდება პოეტის შემოქმედებაში. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ბაირონის ლექსებში: "Stanzas for Music" ("სტანსები მუსიკისათვის"), "On leaving Newstead Abbey" ("გამოთხოვება ნიუსტედის სააბატოსთან"), "Elegy on Newstead Abbey" ("ელეგია ნიუსტედის სააბატოზე"). ამ უკანასკნელში არის ასეთი სტრიქონები:

Newstead! Fast-falling, once \_ resplendent dome!  
 Religions shrine! repentant Henrys pride!  
 Of warriors, Monks, and Dames the cloister'd tomb,  
 Whose pensive Shades around thy ruins glide.



(ნიუსტედი! ოდესღაც მბრწყინავი, ახლა კი დანგრეული, განადგურებული, სანთქანის  
ლო (კოშკი)! რელიგიის ტაძარი, მომნაიე ჰენრის სიამაყე! მებრძოლებს, ბერძნულ  
ქალბატონებს შორის მიტოვებული საფლავი, რომლის სევდიანი (ჩაფიქრებული) ბინდი  
შენს ნანგრევებს შორის (გარშემო) მოჩანს).

ნიუსტედის საბატო დააარსა ჰენრი მეორემ, ტომას ბეკეტის მოკვლის შემდეგ.  
ტომას ბეკეტი იყო ცნობილი ინგლისელი კონსული და არქიეპისკოპოსი. მან ჰენრის მე-  
ორის პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა, კერძოდ, საეკლესიო პრივილეგიების შეზ-  
ღუდვა გააპროტესტა. განრისხებულმა ჰენრიმ მეორემ ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რო-  
მელმაც საბაბი მისცა რაინდებს მოეკლათ ტომას ბეკეტი, კენტენბერიის ტაძარში, 1170  
წლის 29 დეკემბერს. სწორედ ამ მოვლენებს ეხმიანება ინგლისელი რომანტიკოსი.

ლექსი "I would I were a careless child" ("მინდა ვიყო თავისუფალი ბავშვი") პირვე-  
ლად გამოქვეყნდა კრებულში "Poems Original and Translated", 1808 წელს:

I would I were a careless child,  
Still dwelling in my Highland cave,  
Or roaming through thee . . . dusky wild,  
Or bounding o'er the dark blue wave,  
The cumbrous pomp of Saxon pride,  
Accords not with the freeborn soul,  
Which loves the mountain's craggy side,  
And Seeks the rocks where billows roll.

(მინდა ვიყო თავისუფალი ბავშვი და ისევ ვიცხოვრო მშობლიურ მთებში, ვიხეტი-  
ალო გაშლილ ტყეებში, ვისრიალო ზღვის ტალღებზე. ვერ ვძლებ მე სხვაგან თავისუფ-  
ლად, არ მინდა სიმდიდრე და ფუფუნება. მყუდროდ ვარ წყლის მოლივლივე ნაპირსა  
და კლდის ციცაბო კლდეზე).

ამ ლექსის ფინალური სტრიქონები იმეორებს ბიბლიურ სიტყვებს: "And I said, O  
that I had wings like a dove, for then would fly away and be at rest." "და მე ვთქვი: ვინ  
მომცემს მე მტრედის ფრთებს? მე გაფრინდებოდი და დავმშვიდდებოდი" (ფსალმუნი  
54).

ლექსში "Farewell! if Ever Fondest Prayer" (მაპატიე) (1808 წელი) ბაირონი მონა-  
ნია და შენდობას შესთხოვს უფალს:

Farewell! if Ever fondest prayer  
For other's weal avail'd on high,  
Mine will not all be lost in air,  
But waft thy name beyond the sky.

(მაპატიე, რამდენადაც შეიძლება ზეცაში გაფრინდეს სხვებზე ლოცვები, ჩემი  
ლოცვა იქნება ზეცაში და კიდევ უფრო შორსაც გაფრინდება).

ბაირონის პროტესტი და მემბოზური ბუნება თანდათან ცხრება, შემოქმედების მე-  
ორე ეტაპზე, განსაკუთრებით "ღონ ჟუანის" დაწყების შემდეგ, მისი პოზიცია რბილდება



და შემრიგებლური ხდება. ვინ იცის, მხცოვანი პოეტი ღვთის როგორი მსარებელი გახდებოდა.

დიდგვაროვანთა ოჯახში გაზრდილმა ბარათაშვილმა ადრეული ასაკიდანვე, ოჯახის წევრებისაგან, ისწავლა წმინდა წერილი და ფსალმუნები, კალოუბნის სამრევლო სკოლაში კი სამოციქულო, ჟამნი და ყველანაირი ლოცვა. მიუხედავად ამისა, იგი არასოდეს შერიგებია ღვთის ნებას და ყოველთვის თავგანწირულად ებრძოდა საკუთარ ბედისწერას და ცხოვრებას: "ღაღრი იხევ ჩემს მამულში, განვკსწყესდი სამსახურში და დავემორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება!" (წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, ტფილისი, 1832 წლის თებერვალი).

ბარათაშვილს სარბიელად მშობლიური ქალაქი ეპატარავება, რადგან აქ "ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა. ორივე ერთია, მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი. დიდი დაძვერებებია ქალებისა. დიდი აყალმაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის-თევაები, დიდი წვეულებები ერთმანერთის ჯავრით" (წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, 1841 წლის 28 მაისი). პოეტი გრძნობს, რომ ამ რეალობაზე მეტს იმსახურებს, ამიტომაც გამუდმებით აპროტესტებს საკუთარ ბედისწერას, მძიმე ხვედრს.

მსოფლიო სევდაზე დაფიქრებული ბარათაშვილი სულიერი ობლობის ტყვეობაშია და საკუთარ გულისხნადებს ადამიანებზე მეტად მთვარიან ღამეებსა და ერთგულ მეგობარს — ბუნებას ანდობს. სხვა რომანტიკოსების მსგავსად, მასაც ცივილიზაციისგან შორს მყოფი, პირველყოფილი, ხელუხლებელი ბუნება უყვარს. ბუნებასთან საიდუმლო კონტაქტში მყოფი ბარათაშვილი მოულოდნელად საფლავზე აღმოჩნდება და შემფოთდება: "Ни души! Кругом пустота вечная, луна тускло освещает могилы, как догорающая лампада усопшего. Тихо и медленно протекает Кура, как будто боясь нарушить покои в этом унылом мире... Прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтоб смертный порой читывал бы по нему свою жизнь - утешение несчастного - конец счастью" (წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი, 1838 წლის 6 აგვისტო). მსოფლიო სევდაზე, ადამიანის ყოფნა-არყოფნის საიდუმლოზე დაფიქრებული პოეტი სიკვდილს ერთგვარ გამოსავლად თვლის, ამქვეყნიური ტკივილებიდან თავდაღწევის საშუალებად მიიჩნევს. ამ ირონიის მიღმა ბარათაშვილის ტრანსცენდენტური, ფილოსოფიური აზროვნება იკითხება. აღსანიშნავია მისი წინააღმდეგობრივი, რთული ხასიათი. ბარათაშვილის მეგობართა წრე უმთავრესად გიმნაზიიდანაა, ერთ-ერთი მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი წერს: "ტატო უმეტესად განსხავებული იყო თავის ამხანაგებში მხიარულის ხასიათით, სიმარდით, პირველი მოცეკვავე იყო, საკუთრივ ლეკურისა. ყველასაგან საყვარელი ამხანაგი". გულჩათხრობილი, კაემნით აღსავსე, მსოფლიო და საკაცობრიო სევდაზე დაფიქრებული, — ასეთია ბარათაშვილი თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. მეგობრების სიმრავლით განებივრებული მხოლოდ მიმწუსრის მთაწმინდას და თანამავალ ვარსკვლავებს ანდობს საკუთარ საიდუმლოს. "მკვირცხლი, ცელქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, ენამახვილი" (იონა მეუნარგია) ტატო ტრაგიკულ, ბედით უკმაყოფილო გენიოსად გარდაისახება შექმნის პროცესში.

მართლმადიდებლურ გარემოში გაზრდილი ქართველი პოეტი ევროპელზე ნაკლებად პროტესტანტია, მას ღმრთის მცნებები გენეტიკურად, მემკვიდრეობით აქვს მიღებული, რის კოდირებასაც თავის შემოქმედებაში ახდენს. ბარათაშვილის "მერნის" ბოლო სტრიქონები პირდაპირ იმეორებს ერთ-ერთ ქრისტიანულ მცნებას: "გიყვარდეს მოყვასი შენი,



ვითარცა თავი თვისი". მრავალი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ ლექსის ლმობიანი გმირი იმედს არ კარგავს, რომ თავისი თავგანწირვით, მოძმეს მაინც გაუადვილებს გზას:

"ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება:  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს."

საოცარი გულწრფელობით და ლოცვის დროს დამახასიათებელი უშუალოდ არის დაწერილი ლექსი "ჩემი ლოცვა" (1840 წელი). შეცთომილი ძის მონანიებით მიმართავს პოეტი შემოქმედს:

"ღმერთო მამაო, მომიხილე მე შეცთომილი  
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ღელვილი!  
ნუთუ მამასა არღა ჰქონდეს გულის-ტკივილი,  
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შეილი?"

ჰო სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას?  
პირველ უმანკომ თვით ადამამაც სცოდა შენს მცნებას,  
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,  
გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება."

ბაირონის მსგავსად ბარათაშვილიც უფალს ადამის გაწირვის გამო საყვედურობს და მას "პირველ უმანკოდ", უნებლიე მსხვერპლად თვლის.

სასოწარკვეთილმა პოეტმა შეება ვერაფერში პოვა, ვერც კარიერაში, ვერც სიყვარულში ("ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტამარი"), ვერც რწმენაში, თუმცა ადამიანებისაგან იგი მაინც "სოფლისათვის ზრუნვას მოითხოვს": "არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს." არავინ იცის, როგორი იქნებოდა ასაკში შესული, მხცოვანი ბარათაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 23 წლის ასაკში შესთხოვდა უფალს: "მაშა ღუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად."

**Inga Morgoshia, Marine Turava**

*Baratashvili and Byron (faith and romanticism - literary parallels)*

**Summary**

During his short creative career as a writer English romanticist George Gordon Byron represents himself as a Protestant, a striker poet. His literary heritage shows us resistance between a man and the God. In spite of this, the poet knows the Bible, the old, and the new Testament, archetypical characters and passages and often uses them in his literary heritage. In his second period of creative work he worries about some kind of





04.135340  
018-4111033

metamorphosis, but because of his early death he can't take up the difficult position to the end.

In atmosphere of studying and growing up in Orthodox and Christian canon Nickoloz Baratashvili's poetry isn't deeply Protestant, though the poet opposes his destiny and fate and constantly tries to defeat it.

Both romanticists cannot forgive God for Adam's abandoning in hopeless situation, they cannot obey the Christian religion and they also find a sign of relief in God. Although both of them confess that a human being must do his duty to the end of his days and mustn't be dead alike.

### **Инга Моргошия, Марина Турава**

#### ***Бараташвили и Байрон (Вера и романтизм - литературные параллели)***

#### **Резюме**

Английский романтик Джордж Байрон на протяжении короткого отрезка времени предстает перед нами протестующим поэтом, в литературном наследии которого показано противоречие между Богом и человеком. Несмотря на это, поэт хорошо знает Библию, Новый и Ветхий завет, архетипные персонажи и часто использует их в своих произведениях. В дальнейшем в творчестве поэта происходит метаморфоза, но из-за ранней смерти эту разницу в позициях не удастся до конца проследить.

Поэзия Николоза Бараташвили, выросшего в атмосфере изучения христианских канонов, не является глубоко протестантской, хотя поэт всей своей сущностью противостоит собственной судьбе и тяжелой доле, постоянно пытаясь их покорить.

Оба романтика не следуют слепо христианской вере, не находят в ней единственное утешение. В то же время оба признают, что человек до конца должен выполнить свой долг перед Родиной.

Индира Дзаганя, Шорена Лекиашвили

## ЗАИМСТВОВАННАЯ ЛЕКСИКА КАК ОТРАЖЕНИЕ МЕЖКУЛЬТУРНЫХ ВЗАИМОДЕЙСТВИЙ

Словарный состав современного русского языка прошел длительный путь становления. Русская лексика состоит не только из исконно русских слов, но и из слов, заимствованных из других языков. Иноязычные источники пополняли и обогащали русский язык на протяжении всего процесса его исторического развития. Одни заимствования были сделаны еще в древности, другие — сравнительно недавно. Чаще всего слова заимствуются вместе с реалиями, ими обозначаемыми. Иногда заимствования - результат моды. Так или иначе, заимствования - результат коммуникации, взаимодействия языков и культур. Очень мало сегодня существует живых языков, избежавших обширного иноязычного заимствования.

В заимствовании русским языком иноязычных слов в разные эпохи отразилась история русского народа. Экономические, политические, культурные контакты с другими странами, военные столкновения накладывали свой отпечаток на развитие языка.

Новые слова вливались в русский язык из других языков в результате экономических, политических и культурных связей русского народа с другими народами, в результате внедрения в жизнь русского народа реалий, новых для России, но уже имеющих названия в других языках.

Самые первые заимствования из неславянских языков проникали в русский язык еще в VIII—XII вв. Из скандинавских языков (шведского, норвежского) пришли слова, связанные с морским промыслом, имена собственные. В официально-деловой речи Древней Руси употреблялись устаревшие теперь слова вира, тиун, ябеда, клеймо. Из финно-угорских языков заимствовали названия рыб, а также некоторые слова, связанные с жизнью северных народов.

Длительный исторический период, в течение которого Русь была данником Золотой Орды, и предыдущее и последующее соседство и активное взаимодействие с различными тюркоязычными народами привнесли в русский язык множество тюркских слов, абсолютное большинство которых давно уже стали органичной частью русского языка и не воспринимаются носителями языка как заимствованные. Таковы, например, башка, кутерьма, караул, казна и др.

Самым значительным влиянием на язык Древней Руси было влияние греческого языка. Киевская Русь вела оживленную торговлю с Византией, и проникновение греческих элементов в русскую лексику началось еще до принятия христианства на Руси (VI в.) и усилилось под воздействием христианской культуры в связи с крещением киевлян-славян (IX в.) и распространением богослужебных книг, переведенных с греческого языка на старославянский.

Греческими по происхождению являются многие названия бытовых предметов; слова, связанные с наукой, просвещением: грамматика, история, философия, алфавит, диалект; заимствования из области религии: ангел, алтарь, амвон, анафема, архимандрит, антихрист, архиепископ, демон, елей, евангелие,



ნება მაღალგანვითარებული დემოკრატიული სისტემა, ევროპული დონის კონსტიტუციური, თვითმფრინავები და კომპიუტერები, კულტუროლოგიური თვალსაზრისით, რასაკვირველია, არაფერს არ შეცვლის.

რა თქმა უნდა, კულტურული მონდიალიზმის „გამოწვევაზე“ ქართული „პასუხის“ გაცემა, საქართველოში კონტრგლობალისტური ცნობიერების ჩამოყალიბება უაღრესად რთული და მრავალგანზომილებიანი ამოცანაა. მაგრამ ეს ამოცანა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის დიხოტომიას, მისი სასიცოცხლო ინტერესის სფეროს განეკუთვნება, ამიტომაც ჩვენ როგორმე უნდა შევძლოთ ამგვარი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის მეტნაკლებად ეფექტური და მიზანმიმართული ინტელექტუალური გარემოს შექმნა.

კულტურული გლობალიზაციის შეკავების ღოჭტრინის შემუშავებაში, კონტრმონდიალისტური ცნობიერების ფორმირებაში მთავარ, შეიძლება ითქვას, ამოსავალ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური იდენტურობის და სტატუსის პრობლემა. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხისადმი მიმართებაში ჩვენმა ისტორიოგრაფიულმა და კულტუროლოგიურმა რეფლექსიამ საგრძნობლად დააგვიანა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ რამდენიმე პუბლიკაციას (2, 5-14). თუმცა კონცეპტუალური თვალსაზრისით პრობლემა დამუშავებული არ არის და შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ჩვენის აზრით, საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური იდენტურობის საკითხის კონცეპტუალიზაციასთან დაკავშირებული ძირითადი აზრობრივი ბლოკები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართული კულტურის ტიპოლოგიის იმ სქემას, რომელიც მას მიიჩნევს „განაპირა“, „სასაზღვრო“, „მარგინალურ“ (ცხადია პოზიტიური გაგებით) კულტურულ-ისტორიულ სისტემად. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ამგვარი მტკიცების საარგუმენტაციო ბაზის გაფართოება შესაძლებელია გეოპოლიტიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, გეოპოლიტიკური მიდგომა ერთიორად ზრდის აღნიშნული ფენომენის არსისა და წანამძღვრების ახსნის თეორიული რესურსების პოტენციალს.

რასაკვირველია, ეს მეთოდოლოგია სრულებითაც არ გულისხმობს შიშველ გეოგრაფიულ დეტერმინიზმს, საქართველოს ისტორიაში სულიერ-კულტურული პროცესების ცალმხრივად გეოგრაფიული ფაქტორებით განსაზღვრას. აქ მხედველობაშია ქართული კულტურის ტიპოლოგიზაცია მისი სივრცობრივი მდებარეობისა და სივრცითი ორიენტაციის ასპექტში, ე.ი. გეოპოლიტიკური მდებარეობისა და კულტურულ-ცივილიზაციური ორიენტაციის ურთიერთდაკავშირება, გეოპოლიტიკიდან გეოკულტურაზე გადასვლა (ამ მეცნიერების კატეგორიული აპარატით რომ ვისარგებლოთ, გადასვლა „ძალთა ბალანსიდან“, „ინტერესთა ბალანსიდან“ კულტურული დიალოგისა და თანამშრომლობის ბალანსზე). ამ შემთხვევაში გეოპოლიტიკური მიდგომის მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ ასეთი მიდგომა ყველაზე ადეკვატურად და რელიეფურად ხსნის საქართველოს ცივილიზაციურ-კულტურული რაობისა და სტატუსის პრობლემას.

გეოპოლიტიკაში არსებობს „Rimlendi“-ს ანუ „სანაპირო ზონების“ თეორია, რომლის ავტორებად ითვლებიან ინგლისელი მეცნიერი ჰელფორდ ჯორჯ მაკინდერი და ამერიკელი გეოპოლიტოლოგი ნიკოლას სფიქმენი. ეს თეორია ეყრდნობა გლობალური პლანეტარული სივრცის სტრუქტურირების ორიგინალურ სქემას, რომელშიც მსოფლიო



წარმოდგენილია კონცენტრული წრეების სისტემის სახით. ამ სისტემის „ჰარტლენდი“ („გული-მწვა“), რომელსაც მაკინდერმა „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“, იგივე „ღერძული არეალი“ უწოდა. შემდეგ მოდიან ე.წ. „შიდა ნახევარმთვარე“, რომელიც გეოგრაფიულად ემთხვევა ევრაზიის სანაპირო სივრცეებს, და „გარე, კუნძულოვანი ნახევარმთვარე“ (აშშ, ინგლისი, კანადა და სხვა). მაკინდერის აზრით, ისტორიის მიმართულებას განსაზღვრავს ის, რომ, მსოფლიო სივრცის იერარქიული ხასიათიდან გამომდინარე, „შიდა ნახევარმთვარის“ ზონა განიცდიდა მუდმივ ზეწოლას როგორც „ჰარტლენდის“ ტელუროკრატიული ღერძიდან, ისევე „გარე ნახევარმთვარის“ თალასოკრატიული ღერძიდან. ამის გამო „Rimlendi“ „გაორებულია და მუდმივად განიცდის დაპირისპირებულ კულტურათა ზეგავლენას. იგი გაცილებით მოძრავია და ამიტომაც იქცა ცივილიზაციის განვითარების პრიორიტეტულ ადგილად“ (1,31-33).

მაკინდერის თეორია კიდევ უფრო გააღრმავა და სრულყო ამერიკელმა გეოპოლიტოლოგმა ნ. სფიქმენმა. მან გაცილებით მაღალი შეფასება მისცა „სანაპირო ზონების“ ისტორიულ ფუნქციას და წამოაყენა გეოპოლიტიკური ფორმულა: „ის ვინც ბატონობს „რიმლენდზე“, ბატონობს მთელს მსოფლიოზე“ (3,78).

საქართველოს კულტურულ-ისტორიული განვითარების სპეციფიკა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ეს განვითარება ლოკალურ-რეგიონალურ დონეზე გლობალური გეოცივილიზაციური პროცესისათვის დამახასიათებელი მოდელის ფარგლებში წარიმართა და „თალასოკრატია-„რიმლენდი“-„ტელუროკრატიის“ უნივერსალური ტრიადის მიკროვარიანტს წარმოადგენდა. ჩვენი კულტურულ-ცივილიზაციური იდენტურობის ამოსავალი ფორმულაც ამ ტრიადის ფარგლებში უნდა ვეძებოთ, მხოლოდ იმ მცირედი კორელაციით, რომ „თალასოკრატიის“ ცნებაში ამ შემთხვევაში უნდა მოვიაზროთ ცივილიზაციური „დასავლეთი“, ხოლო „ტელუროკრატიის“ ქვეშ კი „აღმოსავლეთი“ ვიგულისხმობთ.

საქართველო არის კულტურულ-ცივილიზაციური „რიმლენდი“, ცივილიზა-ციათა-შორისი და კულტურათაშორისი სივრცე, შუალედური კულტურული ველი, თავისებური გარდამავალი სინთეზური გარემო, რომელშიც პერმანენტულად მიმდინარეობდა ორი პოლარული და ურთიერთდაპირისპირებული ცივილიზაციური კომპლექსის თანხვედრა, მათი, ასე ვთქვათ, პარალელური ყოფიერება. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ქართული კულტურულ-ისტორიული სისტემის „სასაზღვრო“, „განაპირა“ ხასიათი.

2. როგორც სასაზღვრო და ცივილიზაციათაშორისი სივრცე, საქართველო ერთდროულად იყო როგორც დასავლეთის, ისევე აღმოსავლეთის პერიფერია და ორივე ამ ცივილიზაციური სისტემისაგან იღებდა კულტურულ იმპულსებს. მაგრამ სასაზღვრო, ერთგვარად მარგინალურ სივრცედ ყოფნა სრულებითაც არ აქვეითებს ქართული კულტურისა და ცივილიზაციური კომპლექსის განვითარების დონეს და მასში საკუთრივ-ქართული, შიდაეროვნული იმპულსების ბირთვულ, სისტემაწარმომქმნელ სტატუსს. ჯერ ერთი, დასავლურ-აღმოსავლური სინთეზის მომენტი არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი კულტურის ფასეულობათა სისტემა მთლიანად წარმოებულია გარეგანი იმპულსებისაგან და მათს მექანიკურ კონგლომერატს წარმოადგენს, რომ საქართველო ისტორიულ-კულტურულად მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის გავლენის ობიექტს წამოადენდა და არა საკუთარი ექსკლუზიური კულტურული სახიერების მქონე სუბიექტს. თვით ამ იმპულსების მიღება და მათი პოზიტიური ათვისება ცხადყოფს ჩვენი კულტურის ორიგინალობას და მაღალ თვითიდენტურობას. ხოლო საკუთრივ იმპულსების მიღება-ათვისება



უნდა შეფასდეს, როგორც ჩვენი სულიერი თვითგამორკვევა დასავლეთთანაც და  
სავლეთთანაც ურთიერთობაში. ჩვენი „სასაზღვრო“ კულტურის უნიკალურობა და ექ-  
სკლუზიურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში „საკუთარის“, „ჩვენი“ მტკი-  
ცება არასოდეს არ ნიშნავდა პოზიტიური „უცხოს“, „სხვისის“ უარყოფას.

მეორე, შუალედური მდგომარეობის გამო საქართველოზე კულტურული იმპულსები  
ორივე მიმართულებით მოდიოდა, რაც განაპირობებდა ქართული სოციოკულტურული  
სისტემის შინაგან სტიმულირებას, დინამიკურ და აქტიურ კულტურულ პროცესს, კულ-  
ტურის პროგრესული ფორმების ქმნალობას. მაშასადამე, ცივილიზაციათაშორისმა ყოფიე-  
რებამ არსებითად განაპირობა საქართველოში უმაღლესი კულტურული ფორმატის მქო-  
ნე ცივილიზაციის ფორმირება. იმანენტურ-ეროვნულ საწყისებზე დაფუძნებული დასავ-  
ლურ-აღმოსავლური სინთეზი – აი, საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური პროგ-  
რესის ინვარიანტული ფორმულა.

3. სასაზღვრო-შუალედური მდგომარეობით გამოწვეული ქართული ცივილიზაციის  
განვითარების სპეციფიკური მოდელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დასავლურ-აღმო-  
სავლური ზეგავლენით მიღებული ფასეულობათა კონვერგენტული პლასტი მაინც არაძი-  
რითადი და ზედნაშენური იყო; გარედან შემოსულ აკულტურაციულ იმპულსებს არ გა-  
მოუწვევია ჩვენი ეროვნული კულტურის საბაზისო მოდელის, მისი გენეტიკური კოდის  
დესტრუქცია. ამასთან, ისე ნუ წარმოვადგენთ, თითქოს აკულტურაციის სხვადასხვა  
ტალღის საფუძველზე შექმნილი დიფერენტული პლასტი უცხო კულტურული ელემენ-  
ტების შემთხვევითი ერთობლიობა იყოს. ქართველმა ერმა მოახდინა ამ ფასეულობათა  
გაეროვნულება და ორგანულად შეაკავშირა ისინი თავის ტრადიციულ კულტურულ  
ბირთვთან (მაგ., ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში არ გამოუწვევია საქართვე-  
ლოს ელინიზაცია, არამედ მოხდა ქრისტიანობის, როგორც ფასეულობათა სისტემის,  
ქართიზაცია).

4. ქართული კულტურა სინთეზური მოდელის სისტემაა თითქმის ყველა პარამეტ-  
რით – ფორმირების გეოპოლიტიკური და სოციალურ-ისტორიული პირობებით, ფასეუ-  
ლობათა სისტემით, მხატვრულ-ესთეტიკური პრაქტიკით. ამასთან, დუალიზტური ფორმა-  
ტის მიუხედავად ის ტიპოლოგიური თვალსაზრისით მაინც ცივილიზაციურ „დასავ-  
ლეთს“ ეკუთვნის. ამგვარი ტიპოლოგიური დეტერმინაციის ერთ-ერთი საფუძველი, სხვა-  
თაშორის, სივრცობრივი განზომილებაც არის ის, რომ სასაზღვრო კულტურა ხარ, თა-  
ვისთავად ბადებს კითხვას – რომელი ცივილიზაციის სასაზღვრო კულტურა ან ერთგვა-  
რი პერიფერია ხარ? საქართველო არის დასავლური ცივილიზაციური კომპლექსის მარ-  
გინალური (პოზიტიური გაგებით, რასაკვირველია) სასაზღვრო კულტურა. უფრო კონ-  
კრეტულად რომ ვთქვათ, საქართველო დასავლური სამყაროს ნაწილია, მაგრამ ამ სამ-  
ყაროს აღმოსავლურთან გადაკვეთის სივრცეში. ეს მიგვაჩნია საქართველოს სივრცეთა-  
შორისი (შეიძლება შემოგვედავონ იმის მტკიცებით, რომ საზღვარი ნეიტრალურია და  
არავის ეკუთვნის. მაგრამ ასეთია მხოლოდ პოლიტიკური საზღვარი, როგორც სახელ-  
მწიფოთა გამმიჯნავი ხაზი. კულტურულ-ცივილიზაციური საზღვარი კი მთელი კომ-  
პლექსია თავისი დიფერენტული კულტუროგრაფიული, ეთნოგრაფიული და ლინგვოგე-  
ოგრაფიული სტრუქტურით) ყოფიერების მეორე, ასევე ინვარიანტულ ფორმულად.

თუ ისტორიას გადავხედავთ (და არა მხოლოდ კულტუროლოგიურ ასპექტში),  
ნათლად იკვეთება თავისებური ორერთიანი ტენდენცია – საქართველოზე დასავლეთიდან



მომდინარე იმპულსების ინტენსიურობის ხარისხი გაცილებით მაღალი იყო და აწარმოებდა საქართველო კულტურულ-ფუნქციური ორიენტაციაც თუ მიდრეკილებაც უპირატესწილად დასავლურ ხასიათს ატარებდა. ამიტომ საქართველო ცივილიზაციათა-შორისი სივრცის დასავლეთზე ორიენტირებული სექტორია სხვა „პერიფერიული“ კულტურებისაგან განსხვავებით.

დასავლურ ცივილიზაციურ სივრცესთან საქართველოს ისტორიული კავშირის წყარო იყო ევროპასთან საერთო, ანტიკურობიდან მომდინარე საწყისები. საქართველოსა და ევროპას აქვთ საერთო კულტურული ფესვი, ანტიკური „მატრიცა“, იგივე კულტურული პარადიგმა – ეს არის ანთროპოცენტრიზმისა და ეტატიზმის (სოციოცენტრიზმის) სინთეზი. ანტიკურ ფილოსოფიურ აზროვნებაში ანთროპოცენტრისტული ინდივიდუალიზმის „მამა“ იყო არისტოტელე, ხოლო სოციოცენტრიზმ-ეტატიზმის (მოძღვრების, რომელიც ასაბუთებს თავისუფალი პიროვნების მოქმედების რეგლამენტაციას სახელმწიფოს მხრიდან) – პლატონი (4,942).

მაშასადამე, ანტიკური კულტურული პარადიგმის არსი ანთროპოცენტრიზმ-სოციოცენტრიზმის, ინდივიდუალიზმ-კოლექტივიზმის ორერთიანობაში მდგომარეობს. მაგრამ ისტორიული პროცესი ისე წარიმართა, რომ ანტიკურობის ეს ორი პარადიგმატული პრინციპი, შინაგანი ურთიერთდამოკიდებულების შენარჩუნებით, გარეგნულად მაინც დაშორდა ერთმანეთს, თანაც ისე, რომ ანტიკური ცივილიზაციის უშუალო მემკვიდრეებში ანტინომიის ფორმით გადაწილდა: ანთროპოცენტრიზმის პრინციპი განმსაზღვრელი გახდა რომის იმპერიაში (ავიღოთ თუნდაც „ავგუსტუსის რენესანსი“ ან მარკუს ავრელიუსის ფილოსოფია), ხოლო ეტატიზმის – ბიზანტიის იმპერიაში (საკმარისია მივუთითოთ იუსტინიანეს კანონმდებლობაზე ან ცეზაროპაპიზმზე). დასავლეთ ევროპამ ანტიკური პარადიგმა მიიღო რომის იმპერიის გავლით, ხოლო საქართველომ – ბიზანტიის ცივილიზაციაში მომხდარი „ფილტრაციით“. ამიტომ საქართველოს სოციოკულტურული განსხვავება დასავლეთ ევროპისაგან (რასაკვირველია, ერთი და იგივე კულტურულ-ისტორიული ტიპის ფარგლებში) სწორედ ინდივიდუალიზმისაგან კოლექტივიზმის, ანთროპოცენტრიზმისაგან სოციოცენტრიზმის განსხვავებაა. ეს განსხვავება კიდევ უფრო გააღრმავა სასაზღვრო მდებარეობით გამოწვეულმა საქართველოს ისტორიული განვითარების სპეციფიკამ: ისლამური აღმოსავლეთის (არაბების, მონღოლების, ყიზილბაშების, ოსმალების) პერმანენტულმა ზეწოლამ ეს განსხვავება ისტორიულ-ცივილიზაციურ ფენომენად აქცია, უფრო მეტიც, სოციოცენტრიზმი მკაცრად რეგლამენტირებულ იდეოკრატიულ პრინციპად გარდაქმნა.

იდეოკრატია ქართული კულტურული გენოტიპის განმსაზღვრელი პრინციპი გახდა. ჩვენს ისტორიაში ინდივიდის ინტერესები ყოველთვის ეწირებოდა თემის, ხალხის, ერის ინტერესებს. დამოუკიდებლობისათვის და სარწმუნოებრივი თვითმყოფადობისათვის ბრძოლის იდეა იყო ქართული ყოფიერების დეტერმინანტი. საქართველოში ყოველთვის იდეის ძალაუფლება ჩანს. ქართული ცივილიზაციის ყოველი სტრუქტურული ელემენტი ჩამოყალიბდა აპრიორული იდეის საფუძველზე და ამ იდეასთან შეთანხმებით; საქართველოში კულტურული და საზოგადოებრივი პროგრესის ყველა აქტი დამყარებული იყო განსაზღვრულ სულიერ საწყისზე – ეროვნულ, რელიგიურ-მართლმადიდებლურ იდეაზე (ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთიანი ქართული მონარქიის შექმნაში უპირატესწილად საწყისი იმპულსი სულიერია, არაბებთან და მათ ისლამთან ბრძოლის იდეა და



არა ბაგრატიონთა დინასტიის პოლიტიკური ინტერესები, ან ფეოდალური არისტოკრატის გარკვეული ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური მისწრაფებანი. ისე რომ ეს პოლიტიკური აქტი მთლიანად ჩართულია სულიერ პროცესში – ეროვნულ და რელიგიურ იდეაში, – და მას ემსახურება).

ამრიგად, ევროპა და საქართველო სოციოკულტურულ ასპექტში – ეს არის ერთიანი კულტურული პარადიგმის ორი პოლუსი. მაგრამ, როგორც ცნობილია, პოლუსები თავიანთ საწინააღმდეგოს შეიცავენ უშუალოდ თავის თავშიც. მოუხედავად ინდივიდუალიზმისა, დასავლეთ ევროპა არ გამხდარა ანარქისტული და სახელმწიფოებრივ-ეტატიზტური პრინციპის უარმყოფელი. თავის მხრივ, საქართველოსაც არ უარუყვია ბოლომდე ინდივიდუალიზმი და პიროვნული საწყისი. მაგრამ ჩვენთან სოციოცენტრიზმი ყოველთვის მაღლა იდგა ანთროპოცენტრიზმზე, კოლექტივისტური საწყისი – პიროვნულზე. სხვათაშორის, საქართველოს მთელი ისტორია ამ ორი პრინციპის ბრძოლისა და პირველის მეორეზე გამარჯვების ისტორიაა (გავიხსენოთ: იოანე საბანიძის იდეოკრატიული კონცეფცია, დავით IV-ის პოლიტიკა, თამარ მეფის ბრძოლა „პარლამენტარიზმთან“, შოთა რუსთაველის ექსორია, ლაშა-გიორგის ანთროპოცენტრისტული პროექტის კრაზი, გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკა ფეოდალური არისტოკრატის მიმართ, გვიანდელი ფეოდალიზმის დროს „გამოხსნისა და აღდგომის იდეის“ ბატონობა ყველა სხვა იდეაზე, ილიას დასის სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინა, ზ. გამსახურდიას „მართვადი დემოკრატის“ რეჟიმი და სოციოცენტრისტულ-ავტორიტარული პოლიტიკა და ა.შ).

5. ქართული კულტურული კოდის არსებითი ელემენტი არის მართლმადიდებელი ქრისტიანობა, რომელმაც ფუნდამენტური როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. მართლმადიდებლობა არის საქართველოს ისტორიის სულიერი ღერძი, ჩვენი კულტურული ევოლუციის სულიერი საყრდენი, ამავე დროს, ეროვნული თვითმყოფადობის საფუძველი.

მართლმადიდებელმა ქრისტიანობამ განსაზღვრა საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური იდენტურობა. ჯერ ერთი, ქართული კულტურის ფასეულობათა სისტემა ჩამოყალიბდა ქრისტიანობის ბაზაზე; მეორე, ქრისტიანობა არის ევროანტიკური კულტურულ-ცივილიზაციური ფენომენი, რის გამოც ის წარმოადგენს ქართული ცივილიზაციის ევროპული ტიპოლოგიური განსაზღვრულობის საფუძველს; მესამე, თავისი დოქტრინალური არსით ქრისტიანობა არის თეოცენტრიზმ-ანთროპოცენტრიზმის სინთეზი (და არც ერთი სხვა რელიგია არ შეიცავს ისე გამოკვეთილად ანთროპოცენტრისტულ წარმოდგენებს სამყაროზე, როგორც ქრისტიანობა). ამიტომაც სამყაროს სურათის ქრისტოლოგიური კონცეფცია თავისი დუალიზმით საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოკულტურული დუალიზმის თავისებურ პროექციას წარმოადგენს. ამ დუალიზმის გამო ქართულმა მართლმადიდებელმა კულტურამ თავიდან აიცილა როგორც კათოლიციზმისათვის დამახასიათებელი სრული ეკლესიური ბატონობა ინდივიდუალურ ცნობიერებაზე, აქედან გამომდინარე ინკვიზიციითა და ობსკურანტიზმით, ასევე პროტესტანტიზმისათვის დამახასიათებელი აბსოლუტური ინდივიდუალიზმი, აქედან გამომდინარე ინდივიდუალისტური მსოფლშეგრძნების აქტივიზაციითა და ზნეობრივი დაცემით.

6. საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური იდენტურობის მედიალური, ცივილიზაციათაშორისო არსიდან ლოგიკურად გამომდინარეობს გლობალიზაციის პროცესის მიმართ მისი დამოკიდებულების ხასიათიც.



საქართველო დაინტერესებულია კულტურათაშორისი დიალოგის გლობალური ფორმატით. ეს არის მსოფლიო კულტურული პროცესის ანტიმონდრალისტური, კონტრგლობალისტური განზომილება, რომელიც გულისხმობს ცივილიზაციათაშორისი ბალანსის დაცვას, ეროვნულ კულტურათა თანაგანვითრებას, ურთიერთ-გამდიდრებას და ურთიერთშემწყნარებლობას, სწორედ ამ ფორმითაა შესაძლებელი გლობალურ დონეზე უმაღლესი კულტურული ერთობის შექმნა („ერთობა“ და არა „ერთი კულტურა“ სხვა-თა ინკორპორაციის ბაზაზე).

აღსანიშნავია, რომ თვით საქართველო, თავისი პოლიეთნიკური სოციუმითა და ტოლერანტული მართლმადიდებელი რელიგიით, კულტურათა ურთიერთშელ-წყვეისა და ურთიერთგამდიდრების უნიკალურ მიკრომოდელს წარმოადგენს. აქ ძალიან მცირე სივრცეში თანაარსებობენ სხვადასხვა ეთნოკულტურები და კონფესიები, და არც ერთ მათგანს არ ემუქრება თავისი სარწმუნოების, ცხოვრების წესის, ტრადიციების დაკარგვისა და გენეტიკური გადაგვარების საფრთხე.

ამასთან, თავისი მედიალური ცივილიზაციათაშორისი მდგომარეობის გამო საქართველო სისხლხორცეულად არის დაინტერესებული სწორედ კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებით. დასავლური და ისლამური, დასავლური და ევრაზიული, ევრაზიული და ისლამური ცივილიზაციების გადაკვეთის სივრცეში მდებარე საქართველო ბუნებრივად ასრულებს კულტურული ხიდის ფუნქციას, მაგრამ ცივილიზაციათაშორისი კონფლიქტის შემთხვევაში ის ავტომატურ რეჟიმში გახდება მათი დაპირისპირების ზონა და მათი შეჯახების ძირითადი ხაზები სწორედ ჩვენს ტერიტორიაზე გაივლის.

კულტურათაშორისი დიალოგი, კულტურათა პარიტეტი და ფასეულობათა პლურალიზმი – აი, საქართველოს იდეალი და გლობალიზაციის მიმართ ქართველი ერის კულტურული რეფლექსიის არსი.

**ლიტერატურა:**

1. დუგინი ა. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბ., 1999.
2. ჩიქოვანი ნ. ქართული კულტურის ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა: კულტუროლოგიური ასპექტი. კრ. „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“. ტ. XVIII. თბ., 2004. ეყრდნობა რა თ. გამყრელიძის, კ. კაპანელის, კ. კეკელიძის, გ. ქიქოძის მოსაზრებებს, მკვლევარი ასკვნის, რომ ქართული კულტურა არის „განაპირა“, „სასაზღვრო“ კულტურა.
3. Н.Нартгов. Геополитика. М., 2004.
4. Платон. Законы; 942. თავის „დიალოგებში“ პლატონი ანთროპოცენტრიზმს უპირისპირებს ეტატიზტურ პრინციპს: „არავინ არასოდეს არ უნდა დარჩეს უფროსის გარეშე. ყოველთვის – ომის დროსაც და მშვიდობიანობის დროსაც – ყველამ უნდა იცხოვროს უფროსის მეტვალყურეობის ქვეშ და მიჰყვეს მის განკარგულებებს“. პლატონის ეს სიტყვები სოციოცენტრიზმის კლასიკურ ფორმულას წარმოადგენს.



Dazmir Jojua

*Some Aspects of Georgian Culture and Civilization Identity*

**Summary**

The article touches upon some aspects of Georgian culture and civilization identity on the background of globalization and intercivilization crisis.

At present the process of globalization has become the dominant factor. One of the mechanism of this process is the so-called cultural globalization, which provides liquidation of national cultures.

Under conditions of intensive globalization the main problem for Georgian nation and its government is to preserve the identity of culture and civilization.

In our opinion, the point of departure of this identity is to affirm Georgian culture's "frontier", "marginal" (in positive understanding) typology, which follows from Georgia's intercivilizational geopolitical and geocultural location.

As Georgia is the area of the intercivilization coast, it received impulses of culture and civilization both from the East and from the West. This location has conditioned high format of Georgian culture and it's unique character.

Дазмир Джоджуа

*К вопросу культурно-цивилизационной идентичности Грузии*

**Резюме**

В предлагаемой статье рассматриваются некоторые вопросы относительно культурно-цивилизационной идентичности Грузии на фоне глобализации и кризиса межцивилизационных отношений.

Доминантным фактором современного глобального развития стала глобализация. В противовес естественным явлениям всемирно-исторического развития человечества, этот процесс подчиняется определённым интересам узкого круга стран, претендующих на мировую гегемонию и создания глобальных механизмов управления всем мировым сообществом. Одним из таких механизмов выступает т.н. «культурная глобализация», которая предусматривает форсированное устранение национальных культур.

В условиях интенсивной культурной глобализации и господства разнообразных мондиалистских устремлений, сохранение своей культурно-цивилизационной идентичности является осевой проблемой грузинского народа и его государства на современном этапе развития.

С нашей точки зрения, исходным моментом такой идентичности является утверждение о «пограничной», «маргинальной» (с позитивной точки зрения) типологии грузинской культуры, обусловленной межцивилизационным геополитическим и геокультурным положением Грузии. Являясь межцивилизационным «береговым» пространством, Грузия получала культурно-цивилизационные импульсы и с Востока, и с Запада. Срединное культурное поле и дуалистический канал культурных заимствований обусловили высший культурный формат грузинской цивилизации, её уникальный и во многом эксклюзивный характер.



## ჯანდაცვის სტატისტიკის ინფორმაციული სისტემები

ჯანდაცვის სტატისტიკის წარმოება და მონაცემთა გავრცელება რეგიონულ და გლობალურ დონეებზე წარმოადგენს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (ჯსო) ცენტრალურ ამოცანას, რომელიც მას კონსტიტუციურად მინიჭებული აქვს წევრი ქვეყნების მიერ. ჯსო-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ფრიად ფასეულია რესურსების ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გადასანაწილებლად, პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისათვის და მიჩნეულია ობიექტურ (მიუკერძოებელ, სამართლიან), გლობალურ (რომელიც არ ემხრობა რომელიმე ბანაკს) და ტექნიკური თვალსაზრისით კომპეტენტურად (კონსულტაციას უწევს წამყვან კვლევით და პოლიტიკურ ინსტიტუციურ ერთეულებსა და პიროვნებებს). ჯსო-ს მრავალმხრივი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის პრობლემატიკის პროპაგანდას, ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენას, ჯანდაცვის პროგრამების შეფასებასა და კონტროლს, გულისხმობს მის მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნებთან, რათა შესაძლებლობის ფარგლებში საუკეთესოდ გაიზომოს ჯანდაცვის სტატისტიკური მახასიათებლები, თავისი წვლილი შეიტანოს სტანდარტების შემუშავებასა და აღნიშნული სტანდარტების დანერგვაში მსოფლიოს მასშტაბით.

ჯსო-ს ჯანდაცვის სტატისტიკის პროგრამა ინტეგრირებულია ჯსო-ს შემდეგ ინიციატივებთან: ქვეყნის შესაძლებლობების გაძლიერება, რეგიონული და გლობალური ჯანდაცვის სტატისტიკის გამოყენება უკეთესი პოლიტიკის შემუშავებისა და პროგრამების დანერგვისათვის. მთავარი ინტერაქტიული კომპონენტებია: ქვეყნის შესაძლებლობების ზრდა, საერთაშორისო ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის გაფართოება და სტატისტიკისა და სტატისტიკური მონაცემების ხარისხის ამაღლება.

ჯანდაცვის პროგრამებისა და ჯანდაცვის სტატუსის გაზომვის, მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ქვეყნებმა, დონორებმა და ტექნიკური უზრუნველყოფის სააგენტოებმა მნიშვნელოვანი თანხები გაიღეს. აღნიშნულ დანახარჯებს ხშირად დადებითი შედეგები მოჰქონდა, თუმცა ადგილი ჰქონდა დაუგეგმავ უარყოფით შედეგებსაც. დონორების ყურადღების კონცენტრაციამ საკუთარი საჭიროებისათვის მონაცემთა მოპოვებისაკენ (აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით) და უშუალოდ განსაზღვრული დაავადებების პროგრამებზე განაპირობა შემთხვევითი, არაერთგვაროვანი, დაბალი ხარისხის ინფორმაციის ფრაგმენტაცია და დუბლირება, რომელიც მოპოვებულია სხვადასხვა წყაროებიდან და არაშესაღარისია. ასეთი სახის ინფორმაცია განსაკუთრებით არ არის სანდო იმ პირობისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

აღიარებული ფაქტია, რომ ჯსო წარმოადგენს ჯანდაცვის სტატისტიკის უმთავრეს წყაროს. ჯსო-ს უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია: ზუსტი გაანგარიშებების წარმოება სიკვდილობისა და ავადობის ტვირთის, სხვადასხვა დაავადების, რისკის ფაქტორების, კვლევებით მოცვის, პროგრამებისა და ინტერვენციების ხარისხის განსაზღვრისათვის.



ყოველივე მნიშვნელოვანია რესურსების ეფექტიანი განაწილებისათვის გლობალურ, რეგიონულ და ქვეყნის დონეებზე.

შესასწავლი სფეროების მიხედვით სტატისტიკური პროგრამების შემუშავებაში ჯსო-ს მრავალი დეპარტამენტია ჩართული, ხოლო პოლიტიკის თვალსაჩინოებისა და ინფორმაციის კლასტერი (ჯგუფი) EIP აწარმოებს დანარჩენი დეპარტამენტებისთვის სტატისტიკას და პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია არსებობდეს განსხვავება უმაღლესი დონისა და რეგიონული ოფისების ჯანდაცვის სტატისტიკას შორის და სინამდვილეში არსებობს კიდევაც ასეთი განსხვავებები ორგანიზაციულ საზღვრებში. ამის გამო, 1999 წლიდან ოფიციალური სტატისტიკის უმეტესი ნაწილი გადაეცა EIP-ის შინაგანი თანმიმდევრულობის დაცვის მიზნით და იმისათვის, რომ დაავადებათა ერთობლიობა და და რისკ-ფაქტორების სპეციფიკური გაანგარიშებები მოექცეს ერთიან ჩარჩოებში. შევნიშნავთ, რომ რეგიონული ოფისების უმრავლესობაში ჯანდაცვის სტატისტიკა ეფუძნება ქვეყანაში გაანგარიშებულ მონაცემებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რეგიონული ოფისებიც აწარმოებენ გაანგარიშებებს.

ჯანდაცვის სტატისტიკაში იზრდება გაეროს სხვა ორგანიზაციების ჩართვა და ამასთანავე, ამ ორგანიზაციებისთვის არ არის უცხო განსხვავებული ჯანდაცვის სტატისტიკის წარმოება ერთი და იგივე ქვეყნის საზღვრებში, რაც ცხადია, არასახარბიელოა.

გლობალური გამოკვლევის პროგრამათა შორის ჯანდაცვის სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა UNICEF-ი, რომელიც ფოკუსირებულია ბავშვთა მოკვდაობაზე, იმუნიზაციით მოცვაზე, წყალსა და სანიტარულ პირობებსა და ბავშვთა კვებაზე. ზოგიერთ სფეროში მონაცემთა ბაზა და გაანგარიშებები გაერთიანებულია (იმუნიზაცია, წყალი და სანიტარია), ხოლო დანარჩენ სფეროებში ეს პროცესი მიმდინარეობს (ბავშვთა მოკვდაობა, რომელშიც ჩართულია მსოფლიო ბანკი და UNDESA).

მსოფლიო ბანკი(მბ) მონიტორინგს უწევს ჯანდაცვის ეკონომიკას, ცხოვრების დონის გამოკვლევებს. მიღებული შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ჯსო-სა და მბ-ს შორის, თუმცა ცალკეულ სფეროებში ამ ორ ორგანიზაციას შორის მჭიდრო თანამშრომლობაა, რომლის მაგალითებია: შინამეურნეობების საერთაშორისო მონაცემთა ბაზა და მონაცემთა გავრცელების ინსტრუმენტარი ქვეყნის დონეზე და ეროვნული ჯანდაცვის ანგარიშებში რეგიონულ დონეებზე

ჯანდაცვის სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ OECD(ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) და ევროსტატი, რომლებიც ფოკუსირებული არიან წევრ-ქვეყნებზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი ჯანდაცვის სტატისტიკის ხარისხის ამაღლების კუთხით. ჯსო-ს მონაცემები ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი არასაკმარისი ტრანსფარანტულობის გამო, ხოლო მათი სანდოობა ეჭვის საგნად იქცა. არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ ჯსო-ს მრავალფეროვანი როლი რისკის ქვეშ აყენებს ობიექტური და საიმედო გაანგარიშებების წარმოებას. EIP-ის საშუალებით მოწესრიგდა მონაცემთა თანმიმდევრობა, მაგრამ ეს პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილია. ორგანიზაციის სათაო და რეგიონულ ოფისებში არსებობს მონაცემთა მრავ-



ვალი ბაზა სტანდარტებთან შესაბამისობისა და ხარისხის დონის დიდი ხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე მუშაობს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი, მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა მაინც სიძნელეებთან არის დაკავშირებული. სასურველია ჩამოყალიბდეს ხარისხობრივი კრიტერიუმები, სახელმძღვანელო პრინციპები და ინფორმაციული სტანდარტები, რომლებიც დაინერგება მონაცემების კულტურაში ისევე როგორც: საიმედოობის, კანონიერებისა და ანგარიშვალდებულების (პასუხისმგებლობის) შემოწმება.

ჯანდაცვის სტატისტიკის გაუმჯობესება არა მარტო უკეთესი გაზომვის პროცესისკენ სწრაფვას გლობალურ და რეგიონულ დონეებზე, არამედ გადაუდებელი მოთხოვნილებაა გაიზარდოს ძირითადი ემპირიული მონაცემების სარგებლიანობა და ხარისხი, განსაკუთრებით საშუალოზე დაბალი და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება ბიოლოგიური და კლინიკური ტესტებისა და დამატებით ინტერვიუების საშუალებით, – სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა, რომელიც ძირითად აკადემიურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს.

რაში მდგომარეობს ჯანდაცვის სტატისტიკის პროგრამის ძირითადი მიზნები? გამოვყოფთ სამ ინტერაქტიულ კომპონენტს:

1. ქვეყნების შესაძლებლობების ამაღლება აწარმოონ და გამოიყენონ ჯანდაცვის სტატისტიკა პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაში.

ქვეყნები – ჯანდაცვის ინფორმაციის ძირითადი მწარმოებლები და მომხმარებლები არიან. ჯსო-მ უნდა გააძლიეროს რეგიონული ოფისების საშუალებით კავშირი და ტექნიკური დახმარება ქვეყნებისათვის. გარდა ამისა, ჯანდაცვის მეტრიკის ქსელი (Health Metrics Network) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინფორმაციული სისტემის გაძლიერებასა და უკეთეს კოორდინაციას. ეს ქსელი აერთიანებს პარტნიორებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ქვეყანაში საინფორმაციო სისტემების გაძლიერებით და ისახავენ შემდგომ მიზნებს: ეროვნულ და გლობალურ დონეებზე გადაწყვეტილებათა მიღების ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ინვესტიციების განაწილების სისტემის სრულყოფა; მიღწეული პროგრესის შეფასება. აღნიშნულის თაობაზე განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა ჯსო-ს ევროპის რეგიონული კომიტეტის 55-ე სესიაზე ბუქარესტში, 2005 წლის სექტემბერში. ქსელი აგრეთვე ითავსებს ჯანდაცვის გაერთიანებებისა და კავშირების მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციებს.

2. საერთაშორისო ჯანდაცვის სტატისტიკის ჰარმონიზაცია და სტანდარტიზაცია.

ჯსო ყოველთვის წარმოადგენდა მოფლიოს მთავარ სტატისტიკურ წყაროს ჯანდაცვის სფეროში. ჯსო-ს ფარგლებში უმაღლესი დონის და რეგიონულ ოფისებს შორის ურთიერთობების დარეგულირება გულისხმობს საყოველთაო სტანდარტების დარეგულირებას, გაერთიანებული მონაცემთა ბაზის შექმნას, ან ბაზებს შორის ინფორმაციის გაცვლის გაადვილებას. ვებ-გვერდებისა და პუბლიკაციების გარდა შეიქმნება ცენტრალური მისაწვდომი კვანძი მონაცემთა ყველა ბაზისათვის, რომელშიც გაერთიანებულია ყველა წამყვანი ჯანდაცვის სტატისტიკის გლობალურ და რეგიონულ დონეებზე გავრცელებულ მონაცემები და მასალები. გაეროს სააგენტოებთან თანამშრომლობა (UNICEF, WB,



UNDESA, UNAIDS) გაფართოვდება საერთო სტანდარტებისა და მეთოდების გამოყენების ბაზაზე, გაერთიანებულ მონაცემთა ბაზის უზრუნველყოფისა და საჭიროების შემთხვევაში საერთო პუბლიკაციების საფუძველზე.

3. ჯანდაცვის სტატისტიკის მეთოდების, ინსტრუმენტებისა და შეფასებების ხარისხობრივი გაუმჯობესება.

ჯსო-ს ჯანდაცვის სტატისტიკის ხარისხის ამაღლების მთავარი მიმართულებაა შეფასებებისა და სტატისტიკის წარმოების პროცედურების შემდგომი დახვეწა და გაუმჯობესება. სხვადასხვა პროგრამაზე დაყრდნობით შემოთავაზებულია ავადობის ტვირთისა და რისკ-ფაქტორების შეფასების სტანდარტის დადგენა ინტერვენციების მოცვით, რომელიც აერთიანებს ოთხ-საფეხურიან პროცესს:

1. მაღალი ხარისხის მისაწვდომი ინფორმაცია;
2. დამოუკიდებელი განხილვის ჯგუფები, როგორც არის: ბავშვთა ეპიდემიოლოგია და შიდსის კვლევითი ჯგუფები;
3. კვლევის გამოქვეყნებული მეთოდები;
4. ჯსო-ს შინაგანი მოწესრიგებული სტრუქტურა.

ყოველივე აღნიშნული აკადემიურ საექსპერტო ჯგუფებთან ალიანსში ვითარდება. გარდა თითოეული ტექნიკური პროგრამის განხილვის ჯგუფებისა, ფუნქციონირებს მაღალი დონის საზედამხედველო ჯგუფები უმაღლესი დონის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით.

კვლავ დგას დღის წესრიგში ქვეყნებისა და ჯსო-ს მიერ წარმოებული ინფორმაციის გაუმჯობესების პრობლემა. ჯსო-ს როლის გაძლიერება ეფუძნება ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას სათაო და რეგიონულ ოფისებს შორის. სტანდარტიზაციის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია ჰელს მეტრიკს ნეტვორქის (Health Metrics Network)-ის დანერგვა საშუალოზე დაბალი და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. გარდა ამისა, ჯსო-ში მიიჩნევენ, რომ გაწეული სამუშაო ქვეყნებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან გააუმჯობესებს ავადობისა ტვირთისა და რისკ-ფაქტორების გაზომვას ჯანდაცვის მდგომარეობის სატესტო დაკვირვებების საფუძველზე უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ აუცილებელი სარეგისტრაციო სისტემების (ინფორმაცია სიკვდილობის მიზეზების შესახებ) გააუმჯობესებს დაკვირვების სისტემებს სერვისის სტატისტიკას.

ლიტერატურა:

1. Poverty Reduction Strategy Papers (PRSPS). Their Significance for Health: second synthesis report.
2. В. Г. Семенова, Н. С. Гаврилова, Г. Н. Евдокушкина, Л. А. Гаврилов. Качество медико-статистических данных как проблема современного российского здравоохранения. Центральный НИИ организации и информатизации здравоохранения Минздрава России, Москва, Центр старения, Университет Чикаго, США.
3. <http://www.who.int/healthinfo/statistics/whstatsdownloads/en/index.htm>

**Maia Giorgobiani, Maia Mindorashvili**  
*Informational Systems in Health Care Statistics*

**Summary**

The production and dissemination of health statistics for health action at the state, regional and global levels is a core activity mandated to WHO by its Member States according to the Constitution. Authors focus on reinforcement of the state health informational systems, establishment of a high level panel on health statistics to advise the organization on its work in health statistics, the implementation of improved estimation and country consultation procedures and better ways of data transmission and estimation within and outside the organization.

**Майя Гиоргобiani, Майя Миндорашвили**  
*Информационные системы в статистике здравоохранения*

**Резюме**

Производство и распространение статистических данных здравоохранения на уровне страны, региона и на глобальном уровне – это важнейшая задача ВОЗ, которая возложена на нее Конституцией. Авторы фокусируют свое внимание на укрепление и дальнейшее развитие в стране информационной системы здравоохранения, на значение создания группы экспертов высшего уровня для оказания консультаций по организации базы данных, изысканию лучших методов передачи данных и оценок внутри страны и за ее пределами.

## ВОЗМОЖНОСТИ РАЗВИТИЯ И КОРРЕКЦИИ МОТИВАЦИОННОГО КОМПОНЕНТА НА ОСНОВЕ ПОЛУЧАЕМЫХ ЭКОЛОГИЧЕСКИХ ЗНАНИЙ

Экологический кризис, в состоянии которого находится сейчас наша планета, является следствием кризиса сознания общества. Разрешение данного кризиса во многом зависит от формирования экологического мышления личности.

Актуальность исследования проблемы формирования экологического мышления студентов вызвана прежде всего игнорированием основной массой студенческой молодежи экологических норм и необходимостью разрешения возникших противоречий между обязательным внедрением в учебный процесс инновационных методов воспитания готовности студентов к конструктивному поведению в экологически значимых ситуациях и преобладанием в высшей школе традиционных педагогических технологий экологического воспитания. Налицо разрыв в связке «наука-образование-практика», обострение между целями, содержанием экологического образования и педагогической технологией реализации этого процесса. Этот негативизм и побудил нас к выбору темы исследования, проблему которой можно сформулировать следующим образом: Каковы теоретико-методологические основы, технолого-дидактические средства и условия формирования экологического мышления студентов?

Были поставлены следующие задачи:

1. Определить уровень разработанности проблемы в педагогической теории и практике высшего образования.
2. Обосновать эффективность педагогической технологии, направленной на теоретическое усвоение экологических знаний и обеспечивающих формирование экологического мышления студентов.
3. Разработать инструментарий педагогической технологии, сконцентрированный в учебно-методическом комплексе.
4. Провести экспериментальное обучение и контрольно-сравнительный анализ полученных результатов.

Гипотеза исследования состоит в предположении, что эффективность формирования экологического мышления студентов может быть обеспечена педагогическим процессом, включающим этапы по овладению студентами методом системного анализа объектов и явлений; теоретическим овладением инвариантного содержания экологии в логике системного анализа и формирования ориентировочной основы действий; совокупностью форм теоретической и практической деятельности студентов на основе специального инструментария.

Учитывая, что психологический механизм формирования мышления предусматривает ряд стадий (исследовательскую, ориентировочную, контрольно-оценочную, регуляторскую) мы в своем исследовании опирались на теории о деятельностном характере психологических процессов, условиях выработки, а также на принципы психодиагностики ценностно-смысловых образований (разработанные А.Ануфриевым, В.Гальпериным (1), Залесским и др. учеными).



Ретроспективный анализ работ по экологическому образованию, экологическому воспитанию зарубежных и отечественных исследователей {С.Дерябо (3), И.Суравегина (7,8), Г. Залесский, К Ягодин, Л.Кудрявцев, В.Ясвин, Г.Каджая (4) и многих других (2,5,6)} позволил определить сферы разработанности теоретических и методологических основ экологического образования и воспитания и недостаточной изученности условий формирования единства мотивационного и когнитивного компонентов учебной деятельности, а также возможности развития и коррекции мотивационного компонента на основе получаемых экологических знаний. Продвижению вперед в решении проблем формирования экологического мышления студентов способствовало использование нами сформулированных Г.Залесским принципов диагностики ценностно-смысловых образований, реализация которых представляет мотивационное обеспечение действенности экологических знаний и умений. Данная диагностика была широко применена нами в процессе экспериментального обучения студентов Сухумского филиала Тбилисского Государственного университета имени Иванэ Джавахишвили и контрольно-сравнительном анализе учебных достижений.

В наших работах «Методологическая основа экологической педагогики», «Дидактические средства формирования экологического мышления», «Воспитание экологической культуры студентов», «Опытно-экспериментальные работы по формированию экологического мышления студентов») мы с позиции системного анализа раскрываем и научно обосновываем готовность педагогической технологии, базирующейся на деятельностном подходе к изучению экологии. Через все наши выводы и рекомендации, направленные на оптимизацию преподавания экологии в системе вузовского образования, лежит теоретический постулат современной педагогики: в основе формирования мышления должно быть единство когнитивного, эмоционально-ценностного и деятельностного компонентов при ведущей роли эмоционально-ценностного компонента.

Разрабатывая программу учебно-методического комплекса (содержательный и процессуальный аспекты) мы исходим из того, что цели лекционных и семинарско-практических занятий по развитию экологического мышления должны быть направлены на сформированность у студентов представлений об экологическом взаимодействии; раскрытие структуры механизмов экологического взаимодействия объектов в социоприродной среде как взаимопроникающих и взаимовлияющих образований; разъяснении о взаимной обусловленности социоприродных явлений на глобальном, региональном и локальном уровнях. Эти принципы нашли свое отражение в разработке нами учебного пособия «Экологическое образование и воспитание».

Была предпринята попытка разработки основных ориентиров, которым должны быть обучены студенты на теоретическом и практическом уровнях, а именно:

- а) умение обнаруживать наличие экологически значимых ценностей;
- б) различать типы экологически значимых ситуаций;
- в) определять выбор способа поведения на основе полученных знаний и сформированных умений.

Опытно-экспериментальная работа проводилась поэтапно.





Первый этап имел целью выявить особенности ценностно-нормативной ориентировки и мотивационного экологического компонента, сложившихся к началу эксперимента.

Второй этап был направлен на обучение студентов рациональным приемам ценностно-нормативной ориентировки, а также на выработку готовности руководствоваться ими в процессе построения собственной позиции в экологически значимых ситуациях.

Задачей третьего этапа было выяснение того, произошли ли изменения (и по каким параметрам) в уровне функционирования и характере мотивационного компонента и в типе ценностно-нормативной ориентировки.

Для выработки этих умений студентам предлагались специально разработанные задания с широким комплексом экологически значимых ситуаций. Для выполнения от студентов требовалось выбрать систему ценностей (норм, правил, принципов) для оценки ситуации (личной и общественной значимости), а также определить, на какой основе осуществляется выбор мотивов, целей, поступков.

Главным итогом опытно-экспериментальной работы явилось выявление не только оценки студентами той или иной экологической проблемы, но и особенностей их личностного отношения к изучаемым явлениям, к приобретенным знаниям, возможностям их применения, что, в свою очередь, позволяет выявить степень готовности студентов руководствоваться ими при выборе целей и поступков.

Опытно-экспериментальная работа сопровождалась такими формами проведения занятий, как экскурсии на экологически значимые объекты, деловые игры, разбор данных экологической обстановки в отдельных регионах, составление дневников наблюдений за экологической обстановкой и др.

Ценностно-смысловые ориентиры, удачно подобранные формы и приемы занятий позитивно влияли на выработку умений выявлять экологически значимые ситуации, мотивировать свои действия, аргументировать свои выводы, прогнозировать обстановку.

Наше исследование привело к выводу, что наличие знаний и умений недостаточно для реализации готовности к конструктивному поведению в экологически значимых ситуациях. Только посредством усиления функциональной нагрузки мотивационного компонента можно сформировать убеждение, сознание в необходимости экологического знания и умения в качестве основания для оценки экологической ситуации и выбора способа действий.

### Литература:

1. Гальперин П.Я. К исследованию интеллектуального развития ребенка. Вопросы психологии. М., 1969. №1.
2. Гребенкова Л.К., Жокина Н.А. Воспитательный потенциал вуза в профессиональном становлении личности. М., Известия Российской академии образования. 2005. №1, С.107-114.
3. Дерябо С.Д., Ясвин В.А. Экологическая педагогика и психология. Ростов-на-Дону, 1996.
4. Каджая Г. გარემო ჩვენი პასუხისმგებლობა. Тбилиси, 2004.
5. Калюткин Ю.Н. Ценностно-смысловые ориентиры современного образования:



Проблемные очерки. СПб. Спец. Лит. 2002.

6. Мирошкина С.М. Экология. Безопасность. Жизнь. Выпуск 3,5,8,11,12,13. Гатчина, 1995-2002.

7. Суравегина И.Т., Мамедов Н.М. Экология: задания, тесты, рабочая тетрадь. М., 1996.

8. Суравегина И.Т. Методические рекомендации учителю. М., 1993.

**Mediko Antia**

*Opportunities of development and correction of the motivational component on the basis of acquired ecological knowledge*

**Summary**

Conditions of motivational and cognitive components formation of educational activity are insufficiently investigated, as well as the opportunity of motivational component development and correction on the basis of ecological knowledge, acquired by students. The purposes of lecture and seminars on the development of ecological thinking of students should be directed towards teaching skills in order to find out presence of ecologically significant valuables; to distinguish types of ecologically significant situations; to choose a way of behaviour on the basis of acquired ecological knowledge and skills. The pedagogical process can provide efficient formation of ecological thinking of students and it includes stages on mastering by students the method of systematic analysis, theoretical basis of ecology, theoretical and practical activities on the basis of special methods.

მედიკო ანთია

*ეკოლოგიური ცოდნის საფუძველზე მოტივაციური კომპონენტის განვითარების და კორექციის შესაძლებლობები*

რეზიუმე

დღევანდელ დღემდე არასაკმარისად შესწავლილია სწავლების პროცესის მოტივაციური და კოგნიტიური კომპონენტების ფორმირების პირობები და ასევე მოტივაციური კომპონენტის განვითარების და კორექციის შესაძლებლობები სტუდენტების მიერ შეძენილი ეკოლოგიური ცოდნის საფუძველზე. ის ლექციები და სემინარულ-პრაქტიკული მეცადინეობები, რომელთა მიზანს წარმოადგენს სტუდენტების ეკოლოგიური აზროვნების ფორმირება, უნდა იყოს მომართული: ეკოლოგიური ღირებულების აღმოჩენის უნარზე; ეკოლოგიურად მწიფე სიტუაციების ტიპების გარჩევაზე; ქცევის წესის განსაზღვრაზე შეძენილი ეკოლოგიური ცოდნის და ფორმირებული უნარების საფუძველზე. სტუდენტების ეკოლოგიური აზროვნების ფორმირების ეფექტურობა შეიძლება იყოს მიღწეული პედაგოგიური პროცესით, რომელიც მოიცავს ეტაპებს: სტუდენტების მიერ სისტემური ანალიზის მეთოდების დაუფლება; ეკოლოგიის თეორიული საფუძვლების ათვისება; თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა სპეციალური ხერხების გამოყენებით.



### ქართული ანდაზების ეკვივალენტები ესპანურში

გენეტიკურად არამონათესავე ენების შედარებით-შეპირისპირებითი შესწავლა, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო, თანამედროვე ენათმეცნიერების ყურადღების ცენტრში რჩება და დღესაც არ კარგავს აქტუალობას. სხვადასხვა ენისათვის დამახასიათებელი საერთო და დიფერენციალური ნიშნების შესწავლა წარმოადგენს ტიპოლოგიის კვლევის ობიექტს, რაც გულისხმობს ენობრივი სტრუქტურების შედარებას და აქვს უმთავრესად გამოყენებითი მნიშვნელობა. იგი მიზნად ისახავს ენათშორისი განსხვავებებისა და მსგავსებების გამოვლენას, არკვევს, რითი განსხვავდებიან ენები ერთმანეთისაგან, როგორც სამყაროს განსხვავებული ანარეკლის შედეგები, როგორ არის დანახული სამყარო ამა თუ იმ ენაში სხვა ენებისაგან განსხვავებით რომელიმე ქვესისტემის დონეზე. ენის ერთ-ერთ ასეთ ქვესისტემას წარმოადგენს პარემია ანუ ანდაზა.

ანდაზა თავისებური სინთეზია სამყაროს შესახებ ცოდნისა, რადგან მასში ყველაზე მძაფრად კონცენტრირდება სამყაროს აღქმა-ათვისების პროცესში ადამიანის მიერ მიღებული ცოდნა და გამოცდილება. ანდაზები წარმოადგენს ცალკეული კულტურისათვის, ერისათვის დამახასიათებელ და შესაბამისად სავალდებულო ფორმებს. ანდაზა უძვირფასესი მასალაა ადამიანური მეტყველების კანონებისა და ხასიათის, ლექსიკური მნიშვნელობისა და გრამატიკული ფორმების ცვლილებების შესასწავლად. შეიძლება ითქვას, რომ არც ზღაპარში, არც ეპოსში, არც ფოლკლორის სხვა უფრო წვრილ ფორმებში არ არის მიღწეული სიტყვის ის სინატიფე, ჟღერადობა, რიტმი და აზრობრივი სიღრმეების შეგრძნება და გამოყენება, როგორც ანდაზაში. ეს არის დასრულებული მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც აქვს თავისი დასაწყის-დასასრული, სიუჟეტი და ენობრივი სტრუქტურა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანდაზის სტილი, რომელიც იმაზე მიგვითითებს, რომ ანდაზები იქმნებოდა ხალხის სხვადასხვა ფენებში და მათი ხმარების, გამოყენების სფეროებიც განსხვავდებოდა. ანდაზა ენის, აზროვნებისა და ხელოვნების მოვლენაა ანუ ერთდროულად არსებობს აზრსა და ენაში, შემდეგ კი ხორცს ისხამს ლიტერატურაში. უძირითადესი მაინც ენაა, რადგან როგორც ბ. ჰუმბოლდტი აღნიშნავს: “ენა არის შინაგანი გამომჟღავნება ხალხთა სულისა. ხალხის ენა არის მისი სული და ხალხის სული არის მისი ენა” (Гумбольдт Б. Ф. 1984). ენაში ვლინდება და გამოიხატება ამ ენაზე მოლაპარაკეთა მთელი ისტორია.

ქართული და ესპანური ენები არამონათესავე ენებია. ისტორიულად მათ საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ ცხოვრებისეული მოვლენების მსგავსება ხშირად ხელს უწყობს მსგავსი ანდაზების წარმოქმნას. გვხვდება ანდაზის პირდაპირი სესხების, კალკირების შემთხვევებიც, რაც ყველა ენაში გვაქვს, ოღონდ მისი აღქმა განსხვავებული. თუ სესხება მოხდა საუკუნეების წინ, გამოთქმის უცხოურობის შეგრძნება შესუსტებული ან სრულიად გამქრალიცაა. თუ ფაქტი შედარებით ახალია, მისი უცხოურობა იგრძნობა. ეროვნულ-ისტორიულ ფაქტებსა და ტრადიციებზე შექმნილ ანდაზებს, როგორც წესი, მეორე ენაში პირდაპირი შესატყვისი არ მოეპოვება. ერთი



ასპექტიც არის გასათვალისწინებელი: რაც არ უნდა ახლოს იყოს სხვადასხვაენოვანი ანდაზები, მაინც რჩება რაღაც ცდუნება, შედგეს სხვადასხვაენოვან ანდაზათა შედარებითი დაჯგუფება და შეპირისპირება მათი ეკვივალენტურობის თვალსაზრისით. ასეთი შედარება მრავალმხრივია საინტერესო.

ქართულსა და ესპანურ ენებში ეკვივალენტურ ანდაზათა სამი ძირითადი ნაკადი გაირჩევა:

1. ანდაზები, რომლებიც ფორმითაც და შინაარსითაც ემთხვევა ერთმანეთს, წარმოადგენს სინონიმურ სახეებს.

ასეთებია:

1. La libertad no se vende bien ni por todo el oro.  
თავისუფლებას ოქროთი ვერ იყიდი.
2. Muerto el perro, el gato es el que ladra.  
უძალდო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო.
3. De donde no hay, no se puede sacar.  
ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.
4. Nadie es más que nadie.  
არავინ არავიზე მეტი არ არის.
5. Quien supo esperar, llegó a triunfar.  
ვინც მოითმენს, ის მოიგებს.
6. Dime con quién andas y te diré quen eres.  
მითხარი, ვისი მეგობარი ხარ და გეტყვი, ვინ ხარ შენ.
7. Los amigos se conocen en las ocaciones.  
მეგობარი ჭირში იცნობა.
8. No hay mal que por bien no venga.  
ზოგი ჭირი მარგებელია.
9. Boca de verdades, cien enemistades.  
სიმართლის მოქმელს ბევრი მტერი ჰყავს.
10. A caballo regalado no se le miran los dientes.  
ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება.
11. Donde humo sale, fuego hay/donde fuego nace, humo sale.  
უცეცხლოდ კვამლი არ იქნება.
12. Más vale tarde que nunca.  
სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.
13. Lo bien aprendido, nunca es perdido.  
კარგად ნასწავლი/ცოდნა არასოდეს იკარგება.
14. Más vale lo malo conocido que lo bueno por conocer.  
შეჩვეული ჭირი სჯობს შეუჩვეველ მაღლს.
15. A quien feo ama, hermoso le parece.  
ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არის.
16. Quien siembra vientos, recoge tempestades.  
ვინც ქარს თესავს, ის ქარიშხალს მოიმკის.

17. No todo es oro lo que reluce.

ყველაფერი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს.

2. ანდაზები, რომლებიც სემანტიკურად მსგავსია, მაგრამ შეცვლილია საყრდენი სიტყვა ან სხვა კომპონენტები.

შინაარსობრივად ქართული ანდაზა საკმაოდ დაახლოებულია ესპანურ ანდაზასთან. განსხვავება მათ შორის შეიძლება გამოვლინდეს იმ ტერმინებსა და თემატიკაში, რომლებიც დაკავშირებულია ამ ორი ერის განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გარემოში ჩამოყალიბებასთან.

1. Ladrón que roba a otro ladrón, tiene cien años de perdón.

ქურდის ქურდი ცხონდაო.

ამ ესპანური ანდაზის ზუსტი თარგმანი გახლავთ: "ქურდს, რომელიც სხვა ქურდს პარავს, ასე წლის პატიება აქვს". აქ შეცვლილია სიტყვა "ცხონდა" მთელი წინადადებით – "ასე წლის პატიება აქვს".

2. Donde fueras, haz lo que vieras.

რაც ქართულად ასე ითარგმნება: "სადაც წახვალ, გააკეთე ის, რასაც ნახავ". ქართულში მას შეესატყვისება ცნობილი ანდაზა:

სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურე.

ესპანურ ვარიანტში არ არის "ქუდის დახურვა", რაც ქართულში გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება, ფრაზეოლოგიზმია და გულისხმობს იმასვე, რაც ესპანური ანდაზითაა გადმოცემული.

3. Cada oveja con su pareja – ყველა ცხვარს თავისი შესაფერისი მეწყვილე ჰყავს.

ქართულში გვაქვს:

ყველა სოსიკელას თავისი მარიკელა ჰყავს, ან ყველა ალხანას თავისი ჩაღხანა ჰყავს.

ეს ანდაზები ერთსა და იმავე სემანტიკურ მოდელს სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგენენ. ამ არაერთგვაროვნებას ქმნის სამყაროს აღქმის განსხვავებული კუთხე. ქართული ანდაზა ამ შემთხვევაში აკონკრეტებს საკუთარი სახელებით, რაც განზოგადებული სახით წარმოგვიდგება.

4. El tiempo es oro – დრო ოქროა. ქართულში გვაქვს: დრო ფულია.

დამსგავსების გამომხატველი ერთეულები სხვადასხვაა. ერთ შემთხვევაში – ოქრო, მეორე შემთხვევაში – ფული. გააზრებულია როგორც სიმდიდრე, ანუ სემანტიკურად მსგავსია.

5. Aunque mona se vista de seda, mona se queda – მაიმუნმა აბრეშუმიც რომ ჩაიცვას, მაინც მაიმუნი დარჩება.

ქართული შესატყვისი ერთეული ცვლის საყრდენ სიტყვას და გვაქვს:

გველმა კანიც რომ გაიძროს, გული მაინც გველის დარჩება.

შეიძლება აქ ვიმსჯელოთ სხვა ტიპის განსხვავებაზეც: ესპანურში გარეგნულ მხარეს ექცევა ყურადღება, ხოლო ქართულში – შინაგანს.

6. Quien un mal hábito adquiere, esclavo de él vive y muere – ვინც ცუდ ჩვეულებას შეიძენს, მასზე მიჯაჭვული ცხოვრობს და კვდება.



ქართულისათვის რჯული ყველაზე მტკიცეა, ამიტომ შედარება სწორედ აქედანაა მიმართული: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

7. Aunque la jaula sea de oro, no deja de ser prisión - გალია მაინც ციხეა, ოქროსიც რომ იყოს.

ქართულში სუბიექტია დამატებული, ანუ ის, რაც ციხეში ზის, კერძოდ, გვაქვს: ჩიტი ოქროს გალიაშიც რომ ჩასვა, მაინც ტყვეა.

8. გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა კომპონენტი დამატებულია ესპანურ ვარიანტშიც.

მაგ.: ცნობილი ქართული ანდაზის:

ავი ძალღი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს შესატყვისად ესპანურ ენაში გვაქვს:

El perro del hortelano que ni come las berzas ni las deja comer a su amo, - მებაღის ძალღი არც თვითონ ჭამს კომბოსტოს და არც სხვას აჭმევს.

9. სემანტიკური მოღელი მსგავსებისა შეიძლება სპეციფიკური იყოს.

მაგ.: ქართული ანდაზა:

ღეღა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე

ესპანურში მხოლოდ ერთი კომპონენტიცაა წარმოდგენილი:

Cual es el padre, así los hijos salen/Tal el padre, tal el hijo - როგორც მამაა, ისეთივეა შვილი.

10. ძალა აღმართს ხნავს - ამ ანდაზის შესატყვისი 2 ვარიანტი შევარჩიეთ ესპანურში:

1) Donde fuerza viene, derecho se pierde - სადაც ძალა მოდის, სამართალი იკარგება.

2) Donde la fuerza manda, la ley calla - სადაც ძალა ბატონობს, იქ კანონი ჩუმდება. ორივე ანდაზაში შეცვლილი კომპონენტები სინონიმური წყვილია: კანონი-სამართალი.

11. ესპანურში გვაქვს ანდაზა:

Más vale maña que fuerza - მოქნილობა ძალაზე უკეთესია,

რაც შემოკლებული ვარიანტია ამავე მნიშვნელობის ქართული ანდაზისა:

ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

12. Lo que por agua viene, por agua se va - რასაც წყალი მოიტანს, იმას წყალივე წაიღებს.

ქართული ვარიანტი ამ ანდაზისა ასეთია:

ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს.

განსხვავება მხოლოდ საყრდენ სიტყვაშია (წყალი-ქარი).

13. ასევეა ესპანური ანდაზა:

Quien ríe en viernes, llora en domingo - ვინც პარასკევს იცინის, ის კვირას ტირის. მისი ქართული შესატყვისია:

ვინც ბევრს იცინის, ის(მერე) ბევრს ტირის.

ესპანურ ვარიანტში დაკონკრეტებულია დრო, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს თანმიმდევრობას: დღეს, ხვალ... ჯერ, მერე...



14. Ojos que no ven, corazón que no siente – როცა თვალი ვერ ხედავს, გულიც ვეღარ გრძნობს.

ქართული შესატყვისია:  
თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდება.

15. A pan ajeno, navaja propia – სხვისი პურის ყურებას სჯობს, საკუთარი დაჭრა.  
შენი შავი პური გერჩიოს სხვის ფლავს.

ესპანურ ვარიანტში “ფლავი” არ არის, რაც დამატებითი კომპონენტია ქართული ანდაზისათვის.

16. un solo golpe no derriba un roble – მხოლოდ ერთი დარტყმა მუხას ვერ წააქცევს.

ქართული შესატყვისი ცვლის საყრდენ სიტყვას: ერთი დარტყმით ხე არ წაიქცევა.

17. una golondrina no hace verano – ერთი მერცხალი ზაფხულს არ ქმნის.  
ქართული შესატყვისია: ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

3. გამოიყოფა ისეთი წყვილებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ საყრდენი სიტყვით, ან სხვა კომპონენტით, არამედ მთლიანი ლექსიკური შედგენილობით, მაგრამ ეძებნებათ აზრობრივი ეკვივალენტი.

როგორც ცნობილია, ენა მონაწილეობს აზრის ჩამოყალიბებაში, აზრი არ არის თავისუფალი შესაბამისი ენობრივი გამოხატვისაგან, რადგან თითოეული ენა ახდენს სამყაროს თავისებურ კონცეპტუალურებას, ამიტომ სხვადასხვა ენაზე ჩამოყალიბებული აზრები ვერ იქნება მთლიანად ერთნაირი, იდენტური.

მაგ. :

1. Más vale un pájaro en mano que ciento volando.

ზუსტი თარგმანი ასეთია: “სჯობს ერთი ჩიტი გყავდეს ხელში და დაჭერილი, ვიდრე ასი – ჰაერში მფრინავი”.

ქართული შესატყვისი გახლავთ:  
ღღევანდელი კვერცხი გერჩივნოს ზვალინდელ ქათამს.

2. A nadie le amarga un dulce aunque tenga otro en la boca - ადამიანს არასოდეს იმწარება ტკბილი, თუნდაც ტკბილს უკვე მიირთმევდეს.

ქართული შესატყვისია:  
ზედმეტი არავის სწყენს.

3. Perro ladrador, poco mordedor - ძაღლი, რომელიც ბევრს ყეფს, ცოტას იკბინება.

ქართულად მას შეესაბამება ანდაზა:  
ვინც ბევრს ყბედობს, ის არაფრის მაქნისია.

4. A larga todo se sabe - დროთა განმავლობაში ყველაფერი მჟღავნდება.

ქართული ანდაზა მსგავსი შინაარსისაა:  
ქვეყანაზე არაფერი არ იმალება.

5. A buen hambre, no hay pan malo/Cuando hay hambre, no hay pan duro – როცა

შიმშილია, ცუდი(მაგარი) პური არ არსებობს.  
ამ ანდაზის ქართული შესატყვისი:

როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია მეტად ქართულია და, რა თქმა უნდა, სინონიმური თარგმანი მას არ ექნება არც ესპანურში და არც სხვა რომელიმე ენაში.



6. Bicho malo nunca muere - (ბოროტი) ცუდი ღორჯო არასოდეს კვდება  
ქართული შესატყვისი:  
სარეველა ბალახი ყველგან ხარობს.

7. A casa llevé a un amigo, él se quedó de amo y yo-despedido - სახლში მეგობარი მივიყვანე, ის გახდა პატრონი, მე კი-გამოგდებული.  
ამ ანდაზის შინაარსი იგივეა, რაც:  
გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გაავლო.

8. Hablando del rey de Roma, por la puerta asoma - რომის მეფეზე ლაპარაკისას კარებში მან შემოიჭყიტა.  
ქართული შესატყვისია:  
ძალდი ახსენე და ჯოხი ხელში გეჭიროს.

9. la cosa no vale la pena - საგანი არაფრად ღირს.  
ქართული ვარიანტია:  
ჩიტი ბღღუნად არ ღირს.

10. alegate a los Buenos y serás uno de ellos - გაერთიანდი კარგებთან და ერთ-ერთი მათგანი იქნები.  
სინონიმური ვარიანტი ქართულში ასეთია:  
ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო.

11. cabeza loca no quiere toca - გიჟ თავს ქუდი არ სჭირდება.  
ქართულში გვაქვს:  
ცხენი იყოს, თუ არა უნაგირს იშოვი.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, სხვადასხვაენოვან ანდაზათა შედარებით ანალიზის გზით შესაძლებელია დავადგინოთ, რაში მდგომარეობს არსებითი განსხვავებები ორი ენის ანდაზათა სისტემებს შორის, როგორ წარმოიჩნდება ეს განსხვავებები ენის სემანტიკურ, ფორმალურ-სტრუქტურულ და აზრობრივ ასპექტებში და რა შიდაენობრივი ფაქტორებით არიან ისინი განპირობებული.

ლიტერატურა:

1. В. Гумбольдт. Язык и философия культуры. М., 1984.
2. В. Гумбольдт. Избранные труды по языкознанию. М., 1984.
3. О. Есперсен. Философия грамматики. М., 1958.
4. მ. მანდარია. მეტაფორის წარმოქმნის სახეები და მექანიზმები. თბ., 2006 (საკ.დის.)
5. დ. ფანჯიკიძე. თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა. თბ., 1995.
6. ქართული ანდაზები. თბ., 1965.
7. ალ. ლლონტი. ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები. თბ., 1975.
8. მ. ჩქვანავა. პარემიათა ეკვივალენტობის პრობლემა ესპანურ-ქართულ-რუსული ანდაზების მიხედვით. თბ., 2002 (საკ.დის.)



**Tamila Zviadadze, Teona Alkhazashvili**  
*Equivalents of Georgian proverbs in Spanish*

**Summary**

Comparative analysis of genetically unrelated languages is of current importance in the contemporary linguistics. The study of common and differential signs characteristic for different languages is an object of typological investigation which aims at the revelation of differences and similarities.

The Georgian and Spanish languages are unrelated ones, but the similarity in vital circumstances often assists to create similar linguistic means. At present I will try to present comparative study of proverbs.

As the study shows there are three basic flows of proverb equivalents in the Georgian and Spanish languages:

1. Proverbs, which coincide with each other both by the form and the contents.
2. Proverbs, which are semantically similar, but the basic word or other components are changed.
3. Proverbs the lexical contents of which is completely different, but the perfect equivalent can be found.

**Тамила Звиададзе, Теона Алхазашвили**

*Эквиваленты грузинских пословиц в испанском языке*

**Резюме**

Сравнительно-сопоставительное изучение генетически неродственных языков актуально в современном языкознании. Изучение общих и дифференциальных знаков, характерных для различных языков, является объектом типологического изучения, которое ставит целью выявление различий и сходств.

Грузинский и испанский языки являются неродственными языками, но сходство в жизненном укладе часто содействует происхождению схожих языковых средств. В статье мы попытались представить сравнительно-сопоставительное изучение пословиц.

Как показало изучение, существуют три основных потока пословиц эквивалентных в грузинском и испанском языках:

1. Пословицы, которые соответствуют друг другу и формой и содержанием.
2. Пословицы, которые семантически схожи, но основное слово или компоненты изменены.
3. Пословицы, лексическое содержание которых полностью отличаются друг от друга, но идейный эквивалент может быть найден.

## გაზაფხული და პოეტი

მარადიული სიცოცხლით დაჯილდოებული კითხვის — რა არის პოეზია? ზუსტი და ნანატრი პასუხი თვითონ პოეზიაა, ანუ ესა თუ ის პოეტური ქმნილება...

პოეზია და სიცოცხლე ვაჟა ეგრისელისთვის განუყოფელი ცნებებია. მას საკუთარი კრედი და იდეალები აქვს. პოეტის გულიდან, როგორც უფლის ხელით მოწონული მზისფერი ბუდიდან აფრენილი ლექსები ერთ დიდ გუნდად ერთიანდებიან და იქმნება მშვენიერი ციკლი „გაზაფხული“, როგორც სინათლისა და სიცოცხლის უშრეტი წყარო.

ადამიანის სულის უკვდავებას, ადამიანის ფიქრსა და რწმენას ასახავს პოეტის ლექსები, რომლებიც ჩვენი უმშვენიერესი ბუნებისა და მხატვრული გამოცდილების ბედნიერი შერწყმაა. პოეტის თამამი თვალი გასაოცრად ჭკრეტს ბუნების თვალწარმტაც მშვენიერებას. სწორედ ბუნების ყველაზე უფრო გამორჩეული დრო — გაზაფხული მისი შემოქმედების ერთ-ერთ უპირველეს თემად იქცა. როგორც მინდვრის ყვავილები და ვარდები შემოიტანო სახლში, ისე შემოაქვს პოეტს ჩვენს სულში ბუნების პირველყოფილი სიტურფე და მისი ლირიკული პერსონაჟიც გაზაფხულის სიყვარულით მთვრალი დაბარბაცებს. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირი პოეტის გატაცების ძირითადი თემა და მისი ლირიკული ლექსებიც სიცოცხლის მომნიჭებელი შუქით გვათბობენ და თავბრუს გვახვევენ:

„ტყის ჟრიაბულმა,  
მთათა სევდამ

და ცის გალობამ  
მდინარისა და ირმის ბლავილმა,  
შესძრა მიდამო,  
ბუნების ამ დიდმა მაყარმა.  
და ცისარტყელამ ბროლის ყელი  
კვლავ მოიღერა,  
მერე მიწიდან ერთმა ყვავილმა,  
გაზაფხული და სიხარული ამოიღერა”.

აქაა ბუნების გრძნეული სიმღერა. ვაჟა-ფშაველასებური ხედვა ბუნების მოვლენებისა, ცოცხალი ადამიანური ინტიმური ურთიერთობები, ადამიანსა და ბუნებას ერთმანეთთან რომ აკავშირებს. ადამიანი და ბუნება, ადამიანისა და ბუნების გაუკვდავება, რომელსაც პოეტი გაზაფხულის მეტაფორულ სახეში ხედავს, ნათელი იდეებით ტვირთავს მის ლირიკულ ქმნილებებს და ძალდაუტანებლად ერთიდება და ეხმაურება ჩვენს სულს.

ზაფხული (ძველი ქართულით გაზაფხული) საღმრთო სახელია. „გვირგვინი და ადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე... ხოლო ცნობილი პროფესორი ტიტე მოსია წერს: „მოსვლამ იესუ ქრისტესი ვითარცა ზაფხული“ (ტ. მოსია „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996. გვ. 39).



პოეტმა საკუთარი სულის სიღრმეში მოიძია და მოიპოვა დიადი ძალა და მკაცრი ქვეყნისა და ხალხის მერმისის რწმენისა და ეს შესანიშნავი პოეტური ხერხებით დაუკავშირა გაზაფხულის მობრძანებას. ამ მხრივ პოეტის გაზაფხულის სიმბოლური სახე იქცევეს ყურადღებას, რომლითაც სიცოცხლისა და უკდავებისაკენ სწრაფვის ტენდენციას გამოხატავს.

ვაჟა ეგრისელმა გაზაფხული პოეტურ კრელოს დაუკავშირდა. დღეს მისი პოეზია ეს ორი ქვეყნის განსახიერებაა სიცოცხლის დამამკვიდრებელ იდეაში – გაზაფხულში, რომლითაც იწყება სიცოცხლე ამქვეყნად. პოეტის ჯადოსნურ გენიას მართლაც ძალუძს დედამიწაზე სიცოცხლის ხე ააშრილოს და პოეზიის უჩვეულო ყვავილების სურნელით გააბრუოს მკითხველი. ვაჟა-ფშაველას შემდეგ არავინ ისე არ მისულა ბუნებასთან, როგორც ვაჟა ეგრისელი და ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის ბუნების ფენომენი, მის განუმეორებელი ხილვები და მეტაფორული სახეები თავად დიდი პოეზიაა. პოეტის ლექსები თავიდან ბოლომდე ბუნების იღუმალი მშვენიერებით ბრწყინავს.

მართლაცდა რა ძლიერი მიზიდულობა აქვს ადამიანის ირგვლივ ვეფხვივით გართხმულ ხილულ ქვეყანას. გაზაფხულზე ქვეყნად დაღვრილი სიმწვანე და ცრემლით დათრთვილული ლურჯთვალა ია-იების ციმციმი თითქოსდა გამომწვევად უმზერს ციურ მნათობთა შორეულ ციალს და ეს დაუმრეტელი, საყოველთაო მიწიერი სხივოსნობა იმას ნიშნავს, რომ:

ენძელებით და იებით  
მოდიან ღამეთა მთევარი  
ლურჯთვალა არე  
და ეარი.

მიდიან...  
გაზაფხულს დარდობენ:  
იგრიკა,  
მირკანი,

ვარდობის...”

პოეზიაა პოეტის საოცრების ადრესატი, მისი ბედისწერა და კანონზომიერი გზაც. ვაჟა ეგრისელის ლექსი ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტი პოეტისა, მკითხველთან უშუალო კონტაქტისას ქმნის აბსოლუტურად თავისუფალ შთაგონებას, აქ თითქოს გული დაიგულა, რადგან პოეტის გული ის ტადარია, რომელიც ნუგეშსა და მოწყალებას გვანიჭებს და ჩვენს ფიქრებს, ოცნებებს აყენებს უდიდეს განზომილებათა წინაშე. სულითა და ხორციით გვასპეტაკებს და გვამზადებს იღუმალების შეცნობისათვის...

ეგრისელის მიერ შექმნილ სიმბოლურ სამყაროში გაზაფხული მშვენიერებისა და სიცოცხლის, სიყვარულის ემბლემაა, მოვარდნაა ვნებების, გატაცებების. ავტორი ბუნებასთან მიმართებაში უფრო ფილოსოფოსია, ვიდრე პოეტი. მისი ბუნება ადამიანის განწყობის ადეკვატურია და ასე გვგონია ვაჟა ეგრისელის ლირიკული პერსონაჟი ბუნებას თითქოს თავისი არსებიდან ასხივებს, გაზაფხულის პირველი მახარობლის ია-იას ღიმილით გვესალმება, ჯადოსნური აბლაბუდასავით ქსოვს საკუთარ ოცნებათა, ფიქრთა და



ზრახვათა მსგავს სამყაროს, გაზაფხულის დროს მძაფრდება სიყვარულის  
ბების დელვა — ერთდროულად დგება კაეშნისა და სევდის წუთებიც. მაგრამ იწყება  
სიყვარულით თრობა და ხანძარივით აბობოქრებული გული ატორტმანებს სისხლს, რო-  
მელიც მარდიულად ჩქეფს, როგორც გრძნეული ძალა სიცოცხლის დამკვიდრებისა.

ვაჟა ეგრისელის ლირიკული პერსონაჟი მთელი არსებით ჩაზრდილია მშობლიუ-  
რი მიწის წიაღში და გერვენება, რომ პოეტი სიცოცხლის ხეს — დედაბუნების ამ შტოს  
თითოეული ნერვის, მაჯისცემის ხმას ისმენს. ლექსი „მოდო, აპრილო“, არის სინამდვი-  
ლის აღქმის დროს წარმოქმნილი სულიერი რეაქციის გრძნობების, ემოციების განსურა-  
თება:

„ჩემი გალობა შემიზავე შენს სინათლეში,  
შენი ფერების უშქარ ზღვაში  
და ჟრიაბულში,  
და მომეც შენი ჯადოსნური განსწავლულება,  
აპრილო, მოდი ყვავილებით  
და ჩემს მამულში.  
გაზაფხულები კვლავ განფინე სასწაულებად.“

მამულზე სასწაულებად განფინილი გაზაფხულები დახატულია გალობით, სინათ-  
ლით, ბევრისებერ ფერთა ზღვითა და ჟრიაბულით. პოეტის შინაგანი სამყარო ლამაზი  
და სუფთაა. შემთხვევით კი არ ახსენებს ხშირად ლურჯთვალა იას, „ია-იების ბოლს“.  
აკაკი და გალაკტიონი ვარდს ეტრფოდნენ, ვაჟა-ფშაველა და გიორგი ლეონიძე ლურ-  
ჯთვალა იას ირჩევდნენ. ტიცციან ტაბიძე სისხლისფერ მიხაკს აცოცხლებდა. ლადო ასა-  
თიანი თავს ევლებოდა სისხლისფრად მობრიალე ყაყაჩოებს.

ვაჟა ეგრისელმა ყველაფერს ლურჯთვალა ია ამჯობინა და არაერთხელ გვაგ-  
რძნობინა თავის პოეზიაში აპრილის მობრძანება, ია-იების ღილებით დამშვენებული მინ-  
დორ-ველის სილამაზე. ცის შუაკერზე ცეცხლი რომ დაინთება და ბურქებიდან ია-იების  
ბოლი რომ ამოვა, ერთი შეხედვით კონკრეტული განწყობილებაც კი ეუფლება ლირი-  
კულ პერსონაჟს, მაგრამ ამით ახერხებს იგი სამყაროს თავისთავში დატევას. ია-იების  
ბოლმა თითქოს ქვეყნიერება მოიცვა და ამ ყოფნაში ყოფნის ღამიდან სამყაროს გაღვი-  
ძების, სიცოცხლის საწყისიც აღმოაჩინა. ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გაზაფხულის შე-  
მობრძანება სრულყოფილების გამოხატულებაა. სიყვარული მარადიული ჰარმონიის თა-  
ნამდევ გრძნობადაა აღქმული და მისი ამ დონეზე შენარჩუნება ოდენ ია-იების ღიმილი-  
თა და თანხმიერებითაა შესაძლებელი.

გაზაფხულის რკალის ლექსებიდან უთუოდ ერთ-ერთი გამორჩეულია:

„გაზაფხულის მზე სიცილით  
აღვიძებს ქართლს  
თვალმითვლემულს,  
დღე არ მახსოვს ამისთანა.  
აღბათ თავის დავითს ელის —  
ქსნის წყალი და ლამისყანა“.

დღას, გაზაფხულის მზის სიცილით გაღვიძებული ქართლი თავის ღირსეულ შვილს ელოდება. ამ ლექსის ყოველ სტრიქონში სულმნათი დავით გურამიშვილის სხივნათელი სახე ილანდება. მიგნებულია პოეტური ფორმა თემის ორიგინალურ გადაწყვეტაში. გამოხატულია მწერლის ფილოსოფია, მისი სიბრძნე. არც ერთი სტრიქონი არაა ყალბი. ყველაფერი განათებულია სიმართლის ნიჭის შუქით. სამყაროს უშუალო განცდითა და აღქმით მზის სიცილიდან სამშობლოს ერთგული შვილის ძიება, – ასეთია პოეტის მიერ რეალობიდან შეწოვილ შთაბეჭდილებათა დიაპაზონი.

ვაჟა ეგრისელმა თავის პოეზიაში გამოხატა სამშობლოს სული, მისი ყველაზე დამახასიათებელი, განუმეორებელი თვისებები. მან მთელი სამყარო აალაპარაკა, აანმაურა... მისი გაზაფხულის ყვავილები და ნაკადულები ოდენ სინაზისა და მოვარდნილი ვნებების განსახიერება როდია. იგი ეროვნული შტრიხებით იხატება და ეროვნულ ფენომენად აღიქმება:

„ისმის ჩურჩული იაიების  
და ჩანჩქერების  
ცივი ბლავილი.  
სიმწვანეს ტირის სივრცეები,  
ვითარც ალოე.  
და გაზაფხული ათოვს ყვავილებს –  
მამულისათვის დაცემულთა სასაფლაოებს”.

პოეტი გვაზიარებს ადამიანური ფიქრის უსამანო შესაძლებლობებს. პოეტურ ენაზე მიგვახვედრებს საიდუმლოებით მოცულ თვალშეუდგამ ქვეყნიერებას, რაც განუსაზღვრელ გავლენას ახდენს მიწიერი ყოფის მთელ შინაარსზე და ჭეშმარიტებაა ის, რომ აბსტრაქტულმა ხილვებმა ბევრი შემოქმედის ენერგია დაფანტა თავის ქმნილებებში. ლექსი „ატმის ხე“ გვაწვდის პოეტური ენერგიის მიმართულებას, როდესაც ავტორი თავის თავში გრძნობს ამ სიტყვების იდუმალ შინაარსს და ამით გვიდასტურებს ახალი პოეტური ფენომენის არსებობას და გვაკვებს მამულის სიყვარულის, სიცოცხლისა და სათნოების ძალმოსილების დიადი შეგრძნებით.

მის ლექსებში მშვენიერება, სიკეთე, აღფრთოვანება, სიმშვიდე, იდუმალება და თავისუფლება ერთიანობაში მჟღავნდება – ამ ერთიან ასოციაციაში იყრის თავს, როგორც გაზაფხულის მაუწყებელ ატმისა და ალუჩის კვირტებში.

და უნებურად მახსენდება ბორხესის ჩანაწერი: „როგორ შეუძლიათ მოკვდნენ ქალი, კაცი ან ბავშვი, თუ ყოველ მათგანში ამდენი გაზაფხული და ფოთლები, ამდენი წიგნები და ფრინველები, ამდენი აისები და დაისებია... სიკვდილში ისე უნდა შეხვიდე როგორც დღესასწაულში”.

ჰოლა, იმას ვამბობდი, ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტად დიდი პოეტია, მისი პოეზია, ბროწეულის ცეცხლითაა აბრღვიალებული. წაიკითხეთ, დაიზებირეთ და ღმერთისა და სიყვარულის არსებობაში დარწმუნდებით, რამეთუ პოეტის ყოველი ლექსი დიდი საოცრებაა, ღმერთის კალთაში დაბადებული ულამაზესი გამოცანა...

**Tsiala Meskhia**  
*Spring and the Poet*

**Summary**

Vazsha Egriseli is a talented author distinguished for Renaissance versatility. He is a great thinker and an artist whose poetic image is characterized by the deep knowledge of traditions, the correct insight into the contemporaneity, into the past life and the perspective.

For Vazsha Egriseli poetry and life are modeled together. He has his own credos and ideals, which he expresses in his beautiful series of poems "Spring" as an eternal source of light and life.

The immortality of a human soul, man's thoughts and beliefs are the themes of the poet's poems, which are a fortunate blinding of our most beautiful nature and the poet's poetic experience.

Vazsha Egriseli's poetic works both in form and content represent a qualitatively new poetry, which is organically based on the traditions of the Georgian poetry, on the centuries-old creative works of the Georgian poets, but they are clearly marked by the innovatory individuality. This ingenuity is traced in "Kolkhi Psalms" as well as in the poet's newly developed spring themes, in the poems devoted to the sea, in the poet's love lyrics and his philosophical and theosophical worldview.

**Месхиа Циала**

*Поэт и весна*

**Резюме**

Поэзия и жизнь неотделимы для поэта Важи Эгрисели. У него свое жизненное кредо и идеалы. Из сердца поэта появляются стихи, которые объединяются и создают цикл стихов «Весна», предстающий перед нами как неиссякаемый источник света и жизни.

Стихи Важи Эгрисели отражают бессмертие человеческой души, которая является счастливым сочетанием прекрасной природы и художественного опыта автора. Именно весна является важнейшей темой в творчестве поэта.



**ოლონდ გეოგელი ქვეყანა ვნახო...**

**(ალექსანდრე ორბელიანის რამდენიმე გამოუქვეყნებელი  
თხზულების შესახებ)**

საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის, ერეკლე II-ის, შვილიშვილი ალექსანდრე ორბელიანი ქართული მწერლობის ერთი საინტერესო და გამორჩეული წარმომადგენელია. ალ. ორბელიანი იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაურთაგანი. იგი ხელმძღვანელობდა 1832 წ. შეთქმულებას. ხოლო შეთქმულების ჩავარდნისა და მონაწილეთა დასჯის შემდეგ, ერთადერთი იყო, ვინც საკუთარ მრწამსს არ უღალატა, არ შეიცვალა დამოკიდებულება დამპყრობელთან და სამუდამოდ ოპოზიციონერად დარჩა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ არსად არ უმსახურია და მთელი თავისი დრო ლიტერატურულ საქმიანობას მოახმარა. „მარტო, უამხანაგოთ“ დარჩენილი მწერალი თავისი ზნეობრივი სიწმინდითა და უკომპრომისობით ერთგვარ ორიენტირად ევლინებოდა თანამედროვეებს.

ალ. ორბელიანს, როგორც დიდ მამულიშვილს, რომლის ნაწერებში ძალუმად იგრძნობა ქართველი ხალხის ტკივილები და განცდები, დიდად აფასებდნენ ჩვენი სამოციანელები – ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ს. მესხი და სხვ.

სამწუხაროდ, დღემდე არა გვაქვს ალ. ორბელიანის თხზულებების ცოტად თუ მეტად სრულყოფილი კრებული.

იგი წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, დრამებს, კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს, მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებს. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა დღესაც. ალ. ორბელიანი იყო საქართველოს ისტორიის შესანიშნავი მცოდნე, თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ, ფანატიკურად შეყვარებული ადამიანი. მან დაგვიტოვა მართალი, შეულამაზებელი ისტორია XVIII საუკუნის (ერეკლეს დროინდელი) საქართველოსი.

32 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის ნაწერები არასოდეს აუკრძალავს არც ერთ ოფიციალურ ხელისუფლებას, თუმცა, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ეს ნაწერები არ გამოქვეყნებულყო, მკითხველი მას ვერ გაცნობოდა და მათი ავტორიც მიჩქმალულიყო, ჩრდილს მიფარებოდა. არადა, რამდენ მართალ, საინტერესო ამბავს გვიყვება ორჯერ დამწვარი და პატრონის სიჯიუტით ორჯერვე აღდგენილი არქივი.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას რამდენიმე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე შევაჩერებთ.

მწერლის არქივში ინახება საინტერესო თხზულება „ქურციკის სიყვარული“ (ხელნაწ. ინსტ. S-1640/გ). მასში გადმოცემულია სამშობლოს სიყვარულისა და მონატრების გრძნობა. ერთ-ერთი პერსონაჟი, წარმოშობით ქართველი სპარსეთის ხანი ასე იგონებს თავის ქვეყანას:

*„მახსოვს მთის ძირში სოფელი მცირე  
და კვალად ქოხი სრულებით მდარე,  
მახსოვს იქ ჩემნი მშობელნი გლეხნი  
და მათ გულზედა მე მოთამაშე“.*



ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ეს თვით ავტორის მოგონებაა, სამშობლოდან შორს, გადასახლებაში მყოფი პოეტი, ბუნებრივია, ნოსტალგიითაა შეპყრობილი. თუმცა ალ. ორბელიანი გლახის ქოხში არ გაზრდილა, მაგრამ ეს სიტყვები („ქოხი სრულებით მდარე“, „მშობელნი გლახნი“, „სოფელი მცირე“) განზოგადებული მნიშვნელობისაა, შორეული სამშობლოს ზოგადი სახეა და არა კონკრეტული ვითარების აღმნიშვნელი. ესაა საერთოდ თავის ქვეყანას მოწყვეტილი ქართველის გრძნობა და ფიქრები. სხვათა შორის, გადასახლებული ვახტანგ ორბელიანიც თავის ერთ-ერთ ლექსში იგონებს ქოხს, ვენახს და სხვ.

„მოგონებაში“ ვ. ორბელიანი იხსენებს იმ დროს, როცა სამშობლოს იყო მოშორებული, ამბობს, რომ რუსეთში ყოფნის დროს ვიტანჯებოდი, ყოველთვის ჩემი ქვეყანა მედგა თვალწინ, სულითა და გულით მასთან ვიყავიო: „სულ ვიყავი მასთან, ჩემს ღარბ ქოხთან, ჩემს ვენახთან, ჩემს ველს ლამაზთან“. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ აქაც გამოცემულია არა მხოლოდ პირადი (სუბიექტური) განცდები, არამედ საერთოდ სამშობლოს მოწყვეტილი და ნოსტალგიით შეპყრობილი ქართველების ფიქრები და სურვილები.

კიდევ უფრო მძაფრადაა გამოხატული მშობელი ქვეყნის სიყვარული და მონატრება ალ. ორბელიანის შემდეგ სტროფებში:

*„ნეტა ხელ-ფეხი მოეჭრათ ჩემთვის  
არ ვინაღვლებდი არაფრისათვის  
ოღონდ ესრეთა ჩემს ქვეყანასვე  
დაგეგდეთ იქა მიწას მშობელსვე.  
რომ მშობელს მიწას არ გავშორვოდი,  
უხელ-ფეხთა კვლავ დავრჩებოდი,  
მის ქვასა ვჭამდი, მის მიწას ვლოკდი  
და ამით იქა ტკბილად ვიშვებდი“.*

ქართული ლიტერატურისათვის არა თუ უცხო, არამედ, სწორედაც ნიშანდობლივი, დამახასიათებელია საერთოდ სამშობლოს სიყვარულის და, კერძოდ, ნოსტალგიის გრძნობა (გავიხსენოთ არჩილი: „თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხო თემსა და მიწებსა, შარბათიც კჳონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიწევს“), მაგრამ ასეთი სულისშემძვრელი, სისხლის გამყინავი ნატვრა, რაც ზემოთ დავიმოწმეთ, ალბათ, იშვიათია.

32 წლის შეთქმულების მეთაურს სამუდამო გადასახლება მიესაჯა, 1834 წ., როცა ეს ნაწარმოები იწერებოდა „კასპიის ზღვის პირზე კაიდაკის ყურე, ალექსანდროვის უკრეპლენია“-ში, მისმა ავტორმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ რამდენიმე წელიწადში ოცნება აუსრულდებოდა, საქართველოში დაბრუნდებოდა. მწარე, გამოუვალიც კი იყო მდგომარეობა იმ კაცისა, რომელსაც ბრძოლის წილ მხოლოდ კვნესის უფლება შერჩა და ისიც კვნესოდა:

*„ოღონდ მშობელი ქვეყანა ვნახო  
ჩვენი მტკვრის წყალი ვსო და ვთქო ახო!  
ამაზედ მეტი სრულად არა რა  
მინდა სიძლიდრე, არც საუნჯე რა...“*

ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ალ. ორბელიანი არ არის ლექსის დიდოსტატი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გრძნობის სიწ-





რფელე, ქვეყნის სიყვარულით ანთებული გული მის ლექსებსაც სასიამოვნო წასაკითხს ხდის.

შორეულ ორენბურგში ყოფნის დროს მწერალი კვლავ თავის სანუკვარ მამულზე ფიქრობს. ეს სავსებით ბუნებრივია, რაღა თქმა უნდა, არაერთხელ გაიხსენებს გარდასულ დღეებს და ჩაუფიქრდება თავიანთ (შეთქმულთა) მიზანსა და ნამოქმედარს. თვითონ, ცხადია, არ ეეჭვებოდა საკუთარი და გარშემო მყოფთა გულის სიწრფელე და დიდი მიზანი („ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი?“ - ასე გამოხატავს შემდეგ ილია თავის ფიქრებს). მაგრამ როგორ გაიგეს და აღიქვას შეთქმულთა სწრაფვა სხვებმა, ხალხმა, ფართო საზოგადოებამ? ცნობილია, რომ მთავრობა შეეცადა, საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს „თავქარიანი ახალგაზრდების“ ბუნტი საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ისიც ცნობილია, რომ ოფიციალურმა წრეებმა თავიანთ საწადელს ნაწილობრივ მიაღწიეს და საზოგადოებრივი აზრი შეთქმულთა წინააღმდეგ მომართეს... ვინ იყო გამკითხავი? ან ვის შეეძლო უშიშრად სიმართლის თქმა? ალ. ორბელიანსაც - არა. 1835 წ. შორეულ ორენბურგში მყოფი პოეტი წერს ლექსს „რობესპიერი რევოლუციის დროებში ჯერ რომ არ ამაღლებულიყოს“. ლექსში გადმოცემულია ბოროტი კაცის ფიქრები. იგი (ბოროტება) სისხლის გარეშე ვერ ძლებს. ვინმე აუცილებლად უნდა მოკლას. ოღონდ იმისთვის, რომ ნღობა მოიპოვოს, ჯერ ადამიანებს კეთილად უნდა ეჩვენოს, ამით პირველობას იშოვის. ხალხს მოატყუებს, კეთილსა და მართალს ძირით ამოთხრის და თავის ნამოქმედარს სხვას დააბრალებს. ერსა და მეფეს მახვილით ამოსაწყვეტად არ დაერიდება. სიამოვნებით და განცხრომით წარმოიდგენს, როგორ გადაწვავს სოფლებსა და ქალაქებს, როგორ ჩაწვავს და ჩახრაკავს ცეცხლში ჩვილ ბავშვებს და თვითონ ამით იმხიარულებს. ქრისტიესი რაკი არაფერი სწამს, შემუსრავს ხატებსა და ტაძრებს, მოსპობს ღვთის მოსავეებს და სიამოვნებით იფიქრებს: „ჩემთვის ესე სიცოცხლეა სიკეთე“.

ვითომ მართლა საფრანგეთის რევოლუცია იყო ალ. ორბელიანის ფიქრის საგანი შორეულ რუსეთში? მართლა რობესპიერის პიროვნების გაცნობითა და ხასიათის ჩხრეკით იყო დაკავებული? საეჭვოა, უფრო სარწმუნოა, რომ ეს არის გზა, ხერხი სიმართლის თქმისა, რობესპიერის ბოროტი მიზნების გაკიცხვით მწერალი შეფარვით საკუთარ წმინდა განზრახვას გვიმჟღავნებს. ყველა რევოლუციონერისაგან განსხვავებით 32 წ. შეთქმულებს ნგრევა და განადგურება კი არ დაესახათ მიზნად, არამედ თავისუფლების მოპოვება შეძლებისდაგვარად მშვიდობიანად. ლექსი ავტორის ღვთისადმი ვედრებით მთავრდება:

*„გთხოვ ავტორი დიდსა ღმერთსა უძლეველს!  
ამგვარს ძალი აღარ მისცე მას წყეულს  
თუ რომ ვინმემ კიდევ ასე იფიქროს,  
ამოავდე ქვეყნის ძირით სრულად ის“.*

აქ კარგად ჩანს, რაოდენ ძვირფასია ალ. ორბელიანისათვის ისეთი მარადიული ღირებულებები, როგორცაა სიკეთე, სათნოება, კეთილშობილება... მწერალი მუდამ ესწრაფოდა ცხოვრებაში, ადამიანთა ურთიერთობებში მაღალი ზნეობის დამკვიდრებას. ღრმად მორწმუნე, ჭეშმარიტად ქრისტიანმა მწერალმა ქ. ორენბურგში დაწერა “ჩემი დილის და საღამოს ლოცვა“. თავის ქვეყანას, ოჯახს, ცოლ-შვილს, ყოველგვარ სიკეთესა და ბედნიერებას მოკლებული კაცი საკუთარი სულის გასპეტაკებასა და ამაღლებაზე



ფიქრობს და ღმერთთანაც სავედრებელი მხოლოდ ისა აქვს, რომ კეთილდღისეული არ წაერთვას: „გულმხურვალედ გვედრები, რათა მოქცეულ იყოს წყალობისა თვალი შენი ჩემზე მარადის, რომ ყოველთვის კეთილსა ვიქმოდე ამა შენსა დაარსებულსა სოფელსა შინა“ (S-1664). |საინტერესოა რუსულიდან თარგმნილი პატარა ლექსი (გამოუქვეყნებელია, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში) – „ჰორაციოსაგან რომაელებთანა“. რუსი ავტორის განცდა, ჩანს, ახლოს მივიდა აღ. ორბელიანის განწყობასთან. მაშინ, როცა ქართველ მწერალს თვითონ უნდოდა, ეყვირა, არ დაუჯეროთ გამცემს, ცრუსა და მახეზღარასო, რუსი მთარგმნელი შეეშველა და ჰორაციუსის მიმართვამ რომაელი ხალხისადმი სრულად გამოხატა აღ. ორბელიანის სათქმელი: „რომელიცა განშორებულს მეგობარსა მორყვნის (ამბობს ჰორაციო), რომელიცა განსაცდელში შთავარდნილსა არა შეეწევა, რომელიცა არავის დაინდობს, რომელსაცა ენასა ზედა გადმოსდის ჩაგესლებულნი სიტყვანი, რომელიცა ათასობით იცრუებს და არა სცხვენიან იმისი და დასასრულ: რომელიცა საიდუმლოსა არა დაიცომს; აი რომაელნი, ვისა ჰქვიან უბილწოესი კაცი, რომლისთვისაც გირჩევთ, რათა ამისთანასა კაცსა არა ერწმუნოთ“.

აღ. ორბელიანის აზრით, სწორედ საიდუმლოს არდაცვამ, ჩაგესლებულმა სიტყვებმა, დაუნდობლობამ და მეგობართა მორყვნამ ჩააგდო შეთქმულები შავ დღეში. სამშობლოში სიკვდილიც არ აღირსეს, გადაასახლეს და ამით სასჯელი კი არ შეუმსუბუქეს, პირიქით, კიდევ დაუმძიმეს (ილია: „მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლად და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელად?“). ასეა, მოკვება, მოშორება, გადასახლება სასჯელის უმაღლესი ზომაა არა მარტო მთის დაუწერელი წესებით, არამედ ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის შინაგანი გრძნობითა და გააზრებითაც.

ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ ორენბურგში თუ ალექსანდროვკაში დაწერილი სატრფიალო ლექსებიდანაც აღ. ორბელიანის მონატრებული მამული შემოგვცქერის. მაინც ვის მიმართავს ავტორი, ქალს თუ შორეულ სამშობლოს:

„სავანედ გულს ვიმყოფ შენად სამკვიდროდ,  
ვის ულღებულეებ შენგნით ყოველს წამს და ღროს“.

(„შორიდგან“, „ქართული მწერლობა“, ტ. IX, 1992, გვ. 123).

ან იქვე:

„სული ჩემი დასწვეთს გულზე სიყვარულს,  
ნაზსა, უცხოს, წმინდას, უზადოსა სრულს“.

აღ. ორბელიანი ხომ ის კაცია, ვისაც აკაკის სიტყვებით, „საქართველო განსხვავებულად უყვარდა“, იქნებ ეს განსხვავებული და გამორჩეული სიყვარულია გამჟღავნებული გარეგნულად სატრფიალო ლექსში „მიწვევა“ („ქართული მწერლობა“, ტ. IX, 1992, გვ. 125). დ. გურამიშვილის პოეზიაზე აღზრდილთ, რა გაგვაკვირებს თუ „ზეცის სახე“, „გამოხსნილი ხმა“, და თვით „ლამაზთა თეთრ ხელთა ზედა“ მსხვერპლად მირთმეული საწყალი გული, ხელშესახები ატრიბუტები საყვარელი ქალის ტრფიალებითა მაინც სამშობლოს სიყვარულის, მისი კვლავ ნახვის ნატვრად და სურვილად ჩაგვესმის და მაინც, ნეტავ, ვის მიმართავს ავტორი:

„ეს ჩემი სული შენვე გამოხსნა,  
რომ საუკუნოდ მე დამავალო  
და ამ სოფელსა შენგნით ვიცოცხლო“.

Nino Vakhania

*About some Manuscripts of A. Orbeliani*

Summary

phenomenon of language, on the one hand, and in the matter of interpreting a text as a whole, on the other.

Among all spheres of Georgian culture, it is literature that is the most neglected worldwide but at present it is in the process of gaining attention. Georgian literature urgently needs to be translated into foreign languages.

**Меги Маргания**

*Художественный перевод и пути его развития в Грузии*

**Резюме**

Сегодня грузинская переводческая школа идет по пути европеизации. В начале XVIII-XIX веков многие деятели представляли европейскую и философскую литературу в русских переводах, но позже появляется тенденция перевода на грузинский с оригинала.

## ქრისტიანობის გადმონათობი ადიღებში

(XIX-XX საუკუნის I ნახევრის ისტორიულ-ეთნოგრაფიული  
მასალების მიხედვით)

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობა ჯერ კიდევ VI საუკუნეში, ბიზანტიის იმპერიიდან ვრცელდებოდა. IX-X საუკუნეებში ბიზანტიასთან ერთად აქ ქრისტიანობას დასავლურ-ქართული სახელმწიფო, აფხაზთა სამეფო ავრცელებს. XII საუკუნიდან კი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ისევე როგორც საერთოდ იმიერკავკასიაში, ქრისტიანობის გავრცელების მესვეური საქართველოს მონარქიაა. XIII-XIV საუკუნეებში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ აქ დაარსებული იტალიური კოლონიები.

XV საუკუნიდან, უფრო ზუსტად მას შემდეგ, როდესაც დაეცა ბიზანტიის იმპერია, საბოლოოდ დაიშალა ერთიანი ქართული სამეფო და ყირიმის ნეხევარკუნძულზე ოსმალეთი დამკვიდრდა, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის ნაცვლად, თანდათანობით მაჰმადიანობა იწყებს გავრცელებას, მაგრამ ადიღებში, განსაკუთრებით მაღალ მთიანეთში მცხოვრებ ტომებში, მაჰმადიანობამ, ისევე როგორც თავის დროზე ქრისტიანობამ, ფესვები ღრმად ვერ გაიდგა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არსებითად კვლავ წარმართი რჩებოდა. თუმცა მათ სულიერ კულტურაში მაჰმადიანური და განსაკუთრებით ქრისტიანული ელემენტები მნიშვნელოვნად იყო წარმოდგენილი. მრავალი წარმართული რიტუალი და წეს-ჩვეულება XX საუკუნის I ნახევრამდისაც კი სწორედ ქრისტიანობის კვალს ატარებდა.

ადიღები, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთში მცხოვრებნი, ყოველწლიურად თავისებურად იცავდნენ დიდმარხვას, რის შემდეგაც ქრისტიანთა წმინდა კვირის მსგავსად დღესასწაულობდნენ: ერთად იკრიბებოდნენ, ასაჩუქრებდნენ ერთმანეთს, ჭამდნენ მხოლოდ შეღებილ კვერცხს. ქალებს ამ დღეს უფლება ჰქონდათ მამაკაცებთან ერთად ელოცათ ღმრთის სახლზე. დღესასწაულის ბოლოს მშვილდ-ისრით მიზანს - კვერცხს ესროდნენ. გამარჯვებული კვერცხის პატრონისგან საჩუქრდებოდა. ამ დღესასწაულს ისინი ღმრთის გამოცხადების დღეს უწოდებდნენ [9; №23]

ერთ-ერთი ადიღური ხალხური გადმოცემის თანახმად, ოდესღაც მეხმა ფუტკრების სკა გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ ერთი, რომელიც ღმრთისმშობელმა მარიამმა შეიფარა. გადარჩენილმა კვლავ გაამრავლა ფუტკარი. სწორედ ამიტომ ადიღებს მარიამ ღმრთისმშობელი ფუტკრებისა და მეფუტკრეობის მფარველადაც მიაჩნდათ. ადიღებში თაფლი ერთ-ერთი ძირითადი საკვები იყო და არცაა გასაკვირი, რომ მათ მითოლოგიაში ფუტკარს საკუთარი მფარველი ჰყავდა. სექტემბრის ერთ-ერთ დღეს, როდესაც მარიამ ღმრთისმშობლის პატივისცემად დღესასწაულობდნენ, ერთმანეთს მხოლოდ თაფლისგან დამზადებულ საჭმელსა და სასმელს სთავაზობდნენ. [12;304]

მარიამ ღმრთისმშობლის პატივისცემად დღესასწაული ოქტომბერშიც იმართებოდა. ახალგაზრდები სახლიდან სახლში გადადიოდნენ და ღროს ცეკვა-სიმღერასა და შუათის (ადიღები შუათს თაფლისა და ფეტვისგან ამზადებდნენ - კ. ო.) სმაში ატარებდნენ. ლოცვისას ისინი ღმრთისმშობელს ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და სიუხვეს სთხოვ-



დნენ. მათი რწმენით, ეს დღესასწაული იმ დროიდან იმართებოდა, როდესაც იქნებოდა ქრისტიანები იყვნენ [3;489].

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ადილები ზამთარში ერთგვარ დღესასწაულს აწყობდნენ, რომელიც ქრისტიანულ ახალ წელს შეესაბამებოდა [8;126].

ქრისტიანობის გადმონაშთი იყო ჩვეულება, როდესაც ოჯახში ვინმეს გარდაცვალების შემდეგ ქალები გარკვეული ხნით შავს ატარებდნენ [3;496].

ადილებში ქრისტიანული რელიგიისგან განსაკუთრებით ჯვრის თაყვანისცემა შემორჩა, თუმცა XIX საუკუნის ავტორთა ცნობებში კარგად ჩანს, რომ მათ ჯვრის მნიშვნელობა დავიწყებული ჰქონდათ და ისე ეთაყვანებოდნენ, როგორც წარმართები კერპს.

ყოველი ის ადგილი, სადაც ჯვარი იყო გამოსახული, ადილებში წმინდად ითვლებოდა. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიათა ნანგრევები. შემორჩენილი ჩვეულებისამებრ, ძველი ეკლესიიდან გამოჰქონდათ ჯვარი, ჰკიდებდნენ წმინდა ტყეში, რომელიმე დიდ ხეზე და ეთაყვანებოდნენ: მეომრები – ომში წასვლის წინ, უხუცესები – სანამ სახალხო კრების ჩატარებას დაიწყებდნენ. შეყვარებულები აქ აძლევდნენ ფიცს ერთმანეთს. აქ აფარებდა თავს დამნაშავე და მას ხელს ვერავინ ახლებდა. ამ ტყეში ევედრებოდა ღმერთს მამა მომაკვდავი შვილის გადარჩენას [4;626].

უცხოელ ავტორთა დაკვირვებით, ზღვისპირა ადილეს წმინდა ტყეებში მრავალი ჯვარი იყო აღმართული. ჯვარი ძირითადად ხის, იშვიათად ქვის იყო. როდესაც ის გაცვთებოდა, ახლით შეცვლიდნენ. ძველს იქვე ტოვებდნენ, სანამ სრულიად არ დაიშლებოდა. აქაური მოსახლეობა ჯვარს სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდა, რომელსაც ადამიანის განკურნება შეეძლო და მადლიერების ნიშნად მას მსხვერპლს სწირავდნენ [11;234]

ტებუ დე მარინის თანახმად, გელენჯიკის მიდამოებში, ზღვის სანაპიროდან ოდნავ მოშორებით, წმინდა ტყეში უხეშად გამოთლილი ჯვარი იდგა. აქ ვერავინ ბედავდა არა თუ ხის მოჭრას, არამედ ხეზე დაკიდული ნივთების ხელის ხლებასაც. „ჯვარი მათში წინაპრებისგან იყო შემორჩენილი, თავად კი მისი მნიშვნელობა არ იცოდნენ“ [12; 303]

ბელს ერთ-ერთი რელიგიური რიტუალი ასევე ზღვისპირა ადილეში, ფშადთან ახლოს აქვს აღწერილი. დღესასწაული წმინდა მუხნარში ტარდებოდა. ყველაზე დიდი ხის მახლობლად აღმართული იყო ჯვარი, რომლის ძელზეც უწინ ამგვარსავე რიტუალებში გამოყენებული ჯვრები იყო მიმაგრებული. მლოცველები ქუდმოხდილნი ევედრებოდნენ ჭექა-ქუხილის სულს, რომ დაეცვა ისინი, აერიდებინა მათთვის და მათი ოჯახებისთვის მეხი და სხვა უბედურებანი. [3; 508]

აღსანიშნავია, რომ ბელს უამრავი ჯვარი უნახავს უბიხეთშიც. ერთ დღეს ის კრებასაც კი დასწრებია სოჭში, სადაც ძველი ჯვრების მოხსნის და მათი ახლით შეცვლის თაობაზე ყოფილა ბჭობა. „ამ ჯვრებიდან – აღნიშნავს ავტორი – სამს განსაკუთრებით სცემენ თაყვანს. მათგან ერთი ხეზე ჰკიდია, ხოლო ორი აღმართულია. მათ გარდა არის კიდევ რამდენიმე ჯვარი, ზოგი რკინის, ზოგიც მოოქროვილი“ [3; 503].

ბელთან ერთად ადილეში მყოფი ლონგუორთი წერს: „ფშადთან ახლოს, ზღვის სანაპიროდან ოდნავ მოშორებით, ბორცვზე ხის ძველი ჯვარი იყო აღმართული. როდესაც მას მივუახლოვდით, ჩერქეზმა მეგზურებმა ქუდები მოიხადეს. როცა ვკითხეთ, თუ რატომ მოიქცნენ ასე, მხრები აიჩჩეს და მოგვიგეს, რომ ამგვარად იქცეოდნენ მათი მამაპაპანი. ჯვარზე ტანსაცმლის ნაჭრები იყო ჩამოკიდებული, რომლებიც ალთქმის დადებისას და ავადმყოფთა განკურნვის ნიშნად იყო შეწირული“ [6; 542].





ადილებს ჯვრისადმი რიდი და თაყვანისცემა იმდენად ჰქონდათ, რომ თუ მგზავნი ურემი გაუფუჭდებოდა და იბულებული იყო ის დროებით დაეტოვებინა, მასზე ჯვარსა და პატარა ზარს ჩამოჰკიდებდა, რის შემდეგაც ურემსა და მასზე მოთავსებულ ტვირთს ხელს ვერავინ ახლებდა [9; №23].

ჯვრის, როგორც კერპის თაყვანისცემა ადილებში XX საუკუნის 20-30-იან წლებშიც იყო შემორჩენილი. ტუაფსელი შაფსულები რიტუალის შესასრულებლად წმინდა მუხის მახლობლად ხის ჯვარს აღმართავდნენ და აქ აღავლენდნენ ლოცვებს დიდი ღმერთის, ჭექა-ქუხილის ღმერთისა და მარიამ ღმერთისმშობლის პატივსაცემად [13; 45]. სახნავ-სათესად გამზადებულ მიწის ნაკვეთზეც ჯვარს დასვამდნენ, რის შემდეგაც ამ სავარგულის ხელყოფას ვერავინ ბედავდა. სხვადასხვა სახის ავადმყოფობისგან თავდაცვის მიზნითაც, ის სოფელში რომ არ გავრცელებულიყო, საზღვარზე ჯვარს აღმართავდნენ [5; 198].

რა ფორმის იყო ადილური ჯვარი?

ტებუ დე მარინი მას სამყურა ბალახს ადარებს. სწორედ ამგვარი ჯვარი იხილა მან გელენჯიკის მახლობლად, ზღვის სანაპიროდან ოდნავ მოშორებით მდებარე წმინდა ტყეში [12; 303].

ლიულეს ცნობით, ჯვარს, რომელსაც ადილები აგრე ეთაყვანებოდნენ, ბერძნული ასო ნიშნის - τ -ს ფორმა ჰქონდა [8; 122].

ლ. ლავროვი 1930 წელს შავიზღვისპირა შაფსულებში ჩაიწერა, რომ მათი ჯვარი რუსული ასო-ნიშნის - Т-ს მსგავსი იყო [5; 198].

რა სიტყვით აღნიშნავდნენ ადილები ჯვარს?

1929 წელს ადილეში მოგზაურობისას დიდი მეცნიერის, ს. ჯანაშიას შეკითხვაზე, თუ რას უწოდებდნენ ისინი ჯვარს, ყუბანისპირა შაფსულისგან პასუხად მიიღო: „ხაშ. სხვა სიტყვა არ გამიგონიაო“. მაშინ მკვლევარმა მას ადილურ ტომებში გავრცელებული სიტყვა ჯორ გაახსენა. პასუხი ასეთი იყო: „ეს კერპს ნიშნავს, სადაც მიდიოდნენ და ლოცულობდნენ. სადმე დადგმული იყო კერპთაყვანისმცემლობის დროსო“ [2; 70].

ლიულეს რუსულ-ჩერქეზულ ლექსიკონში ჯვრის აღსანიშნავად მითითებულია სიტყვები: ჯურე და ქხაშე [7; 93].

სიტყვა ქხაშე (თუ ხაშ), ადილებს იქ მცხოვრები გადაადილებული სომხებისგან უნდა ჰქონოდათ შეთვისებული, ხოლო ჯურე (ლიულიესთან) და ს. ჯანაშიას მიერ ყუბანისპირა ადილთა (აგრეთვე აბაზთა) შორის ჩაწერილი სიტყვები: ჟორ და ჯუარ [2; 136], კარგად ჩანს, მომდინარეობენ ქართული სიტყვიდან ჯვარი.

ლიულე, რომელსაც „ლექსიკონში“ ჯვრის აღსანიშნავად ჯურესთან ერთად ქხაშეც აქვს მითითებული, თავის მორიგ ნაშრომში წერდა, რომ „ადილებში ჯვარი „ჯურ“-ის სახელით იყო ცნობილი, რაც ნათლად მიუთითებდა მის ქართულ წარმომავლობაზე და მასზე, რომ ადილური მოდგმის ტომებში ქრისტიანობა ქართველმა მეფეებმა გაავრცელეს“ [8; 128].

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ შავიზღვისპირა შაფსულებშიც, როგორც ეს XIX საუკუნის 60-იანი წლების მასალებით დასტურდება, ჯვარს „ჯვარი“ ეწოდებოდა [10; №97].

ეთნოგრაფი ლ. ლავროვი 1930 წელს შავიზღვისპირა შაფსულებში მოგზაურობისას აღნიშნავდა - „უდავოა, ადილური სახელი „ჯორ“ დაკავშირებულია ქართულ სიტ-



ყვასთან „ჯვარი“, მაგრამ გვაქვს საბუთები, რომ ადიღური ფეტიში „ჯორ“ არის მოქმედი. ოთ ჩვეულებრივ ჯვრად. სხვადასხვა მასალებით ირკვევა, რომ ადიღური „ჯორ“ ქრისტიანული ჯვრისგან განსხვავებით სამბოლოიანი იყო. ეს „ჯორ“, რომელიც კავკასიის სხვა ხალხებსაც გააჩნდათ, ძველი საერთო კავკასიური ფეტიშია და მას ჩვეულებრივ ჯვართან არავითარი კავშირი არა აქვს“ [5; 198].

ჩვენი მოსაზრებით, ადიღური „ჯვარი“ („ჯურე“, „ჟორ“) არა მარტო ლინგვისტურად არის დაკავშირებული ქართულ ჯვართან, არამედ მნიშვნელობითაც. ადიღურ ტომებში ქრისტიანობის დასუსტების შედეგად მან ქრისტიანული მნიშვნელობა დაკარგა, შემდეგ ფორმაც და უძლიერეს წარმართულ კერპად გადაიქცა [1; 86].

ლიტერატურა:

1. კ. ოკუჯავა. შავიზღვისპირა ადიღების წარმართობა. თბ., 2005
2. ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. შრომები. IV. თბ., 1968.
3. Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии в течение 1837, 1838, 1839 гг. // Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. Гарданова. Нальчик, 1974.
4. К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли // Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. Гарданова. Нальчик, 1974.
5. Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев и Кабардинцев // Труды института этнографии им Н. Н. Миклухо-Маклая. Новая серия. Т. LI. М., 1959.
6. Дж. Лонгворт. Год среди Черкесов // Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. Гарданова. Нальчик, 1974.
7. Л. Люлье. Словарь русско-черкесский с краткою грамматикою. Одесса, 1846.
8. Л. Люлье. Верования, религиозные обряды и предразсудки у Черкесь. Записки Кавказского отдела императорского Русского географического общества. V. Тифлись, 1862.
9. Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение земли, населенной народом Адехе. «Тифлисския ведомости». 1829. №23.
10. А. Ржондковский. Экспедиция в Хакучи 1865 года. «Кавказъ». 1867. № 97.
11. Л. Серебряков. Записка отъ 11-го декабря 1852 года. Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею. Т. X. Тифлись, 1885.
12. Тебу де Мариньи. Путешествия в Черкесию // Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. Гарданова. Нальчик, 1974.
13. Е. Шилинг. Черкесы. Религиозные верования народов СССР. Т. II. М.,-Л., 1931.

Koba Okujava

*Christianity Remnants among Adygeis*

Summary

From the 15<sup>th</sup> century, more precisely after the disintegration of the unified Georgian Kingdom, the Byzantine empire was devastated and the Ottoman empire dominated in the north Black Sea coast. Islam began to spread instead of Christianity in the northwestern Caucasus. But Islam could not put down its roots deeply there as Christianity did earlier. Essentially Adygeis still remained pagans.

The article discusses those remnants of Christianity which remained in Adygei until the mid 20<sup>th</sup> century. Mainly worship of the cross was left from the Christian religion though they had forgotten the old meaning of the cross and worshiped it the way pagans worshipped an idol.

Adygeis mention the cross with the Georgian word “jvari” which points to the fact that Christianity had come to them mainly from Georgia .

Коба Окуджава

*Пережитки христианства у адыгов*

Резюме

С XV века, после распада единого Грузинского царства, разгрома Византийской империи и установления Османского господства на Северном причерноморье, на северо-западном Кавказе началось распространение магометанства, но оно, как и раньше христианство, не становится господствующим. Адыги, по существу, оставались язычниками.

В статье отмечаются те пережитки христианства, которые оставались у адыгов до середины XX века.

Главный христианский символ – крест, адыги обозначали словом джуре/джор, от грузинского джвари (крест). Этот факт явно указывает на то, что у них христианство распространялось в основном из Грузии.

## ზეცაში გაბრძელებული სიცოცხლა

(ფიქრები მირიან მირნელის პოეზიაზე)

აფხაზეთის მკვიდრმა, ქართული ინტელიგენციის ღირსეულმა წარმომადგენელმა, მირიან მირნელმა (ციკოლია) ღირსეულად ატარა ორი ტვირთი პოეტიკისა და მეცნიერისა. ორმოცი წელი მუხლჩაუხრელად იღვაწა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულისას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში. ის იყო ქართველური და აფხაზური ენების გამოჩენილი მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზური ენის უბადლო სპეციალისტი, ვინც პრაქტიკულად უზადოდ ფლობდა, ღრმად და საფუძვლიანად იკვლევდა ამ ურთულეს, მაგრამ ძალაზე საინტერესო ენას. ჰქონდა უახლოესი თბილი ურთიერთობანი, როგორც აფხაზ გლეხობასთან, ისე სამეცნიერო და შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გამოცემულია მირიან მირნელის 30-მდე პოეტური კრებული. ხოლო მის ხუთ ათეულამდე სამეცნიერო ნაშრომში მალალ დონეზეა გამოკვლეული აფხაზური ენის წარმოშობის ისტორია და ქართველურ ენებთან ურთიერთმიმართების საკითხები. მისმა მონოგრაფიებმა: "აფხაზური ენის აბაჟური დიალექტი", "სიტყვათ რიგი აფხაზურ ენაში", "მარტივი წინადადება აფხაზურსა და ქართველურ ენებში" რჩეული კუთვნილი ადგილი დაიკავა არა მარტო კავკასიოლოგიაში, არამედ ზოგად ენათმეცნიერებაშიც. ავტორს კი დამსახურებული აღიარება მოუტანა. პოეტის ლექსები თარგმნილია რუსულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე.

წუთისოფლის ცვალებად მხარეებში დაბადებულ კითხვებზე პასუხის გაცემის საინტერესო და დასამახსოვრებელი მიგნებების ჭეშმარიტი სარკეა მირიან მირნელის შემოქმედება, რომელიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმ ჭეშმატრიტებაში, რომ პოეზია სხვა არაფერია, თუ არა ის ლამაზი და იღუმალი ძაფი, ათას აზრს რომ აკავშირებს ერთმანეთთან.

ქართველმა მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო პოეტიკისა და მეცნიერის შესაშური გულის ანარეკლები: როგორცაა "რიჟრაჟი ბილიკებზე", "ლურჯი სათავეები", "ტალა და წუთი", "სტვენდა ლერწამი", "მოწისფერი ცა", "ტყის ფანტაზია", "გადაძახილი" და სხვა. უჩვეულოდ ვრცელია მირიან მირნელის ღირიკული გმირის პორიზონტი, რადგან იგი მოიცავს როგორც სადა, უბრალო, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ყოფაცხოვრებით სურათებს, ასევე დიდ ისტორიულ ძვრებსა და კატაკლიზმებს. როგორც ზოგადსაკაცობრიო მარადიულ პრობლემებს, ასევე ეროვნულ, პატრიოტულ თემებს, მოტივებს, მისწრაფებებს. რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს პოეტი, მისი წარმოსახვის საგანი ყოველთვის უკავშირდება მალალ მოქალაქეობრივ პრინციპებს. ამ ლექსებისათვის ნიშანდობლივია სიკეთისა და სათნოების, სამართლიანობისა და ურთიერთპატივისცემის აპოლოგია.

და მაინც, შეუძლებელია შემოქმედება შინაგანი თავისუფლების საზღვართა რღვევის გარეშე. მხოლოდ ამ ღროს იგებ-ღვთაებრივი შუქით განათებული, რომ პოეზია მთე-



ლი სამყაროა, მთელი ცხოვრება, ყველა საგანი, ყველა გრძნობა და ხატი. უფრო მეტიც, პოეზია მოვლენათა შორის თანაფარდობის აღმოჩენის სასწაულია.

ჩემი ღრმა რწმენით, მირიან მირნელი განსაკუთრებული ფენომენია ქართულ პოეზიასა და ქართულ იდეაში, ალბათ, იქ განუსაზღვრა უფალმა უდიდესი ეროვნული მისის აღსრულება...

მირიან მირნელის ლექსებისათვის დამახასიათებელია უშუალოება და სისადავე, ღრმა პოეტური ჩაფიქრება. მთის მდინარესავით სუფთაა მისი პოეტური ქმნილებები, რომლებშიც მზესავით ბრწყინდება პოეტის შემოქმედებითი ენერგია, შენების სურვილი, ბედთან არ შეგუების, ერის მეხსიერებაში კვალის დამჩნევის ჟინი. პიროვნების ეთიკურ-მოქალაქეობრივი თავისუფლება. თუკი ჩვენ სწორად შევაფასებთ პოეტის შემოქმედებას, ესაა ცხოვრების მდინარებაში, ეპოქისეულ მოვლენათა განვითარებაში შეჭრის თავისუფლება. . .

მირიან მირნელი ფიქრისა და განსჯის პოეტია, რომელმაც კარგად იცის, რომ ფიქრთა ჭიდილის საზღაურად ბუნებას დაუწესებია, როგორც სიხარული ასევე ტკივილიც, უერთმანეთოდ მათი არსებობა შეუძლებელია: "სად როგორ გაჩნდეს ყლორტი აბრილის, თუ არ დააჩნდა ნახნავს იარა". ასევე პოეტიც "სიყვარულით თუ არ დაიჭრა, როგორ შეიგრძნოს ხელი მკურნალის?" ამიტომაც ამბობს იგი: "ტკივილი ჩემი ტაძრის ფუძეა და სიხარული მისი გუმბათი". სწორედ სიხარულია გუმბათი პოეტის ტაძრისა, რომელსაც აწერია: "საქმე ისაა შეგედლოს თრთოლა, თორემ სიმშვიდე სიკვდილსაც ჰქვია". პოეტი გამარჯვების დიადი რწმენით გულანთებული ებრძვის ნისლს და ქარიშხალს, იმ იმედებით, რომ წილს დაიდებს იმაშიც, რასაც მის შემდეგ შექმნიან. პოეტმა კარგად იცის, ზოგჯერ "წუთით ცხოვრება ნიშნავს მარადიული დატოვო კვალი". აი სწორედ წუთით ცხოვრება, ასეთი წუთისოფელი წარმოადგენს მისი ოცნების სამყაროს. დიახ, დროის ფენომენი-სამყაროსავით იღუმალი და მარადიული, სათ ვე და მიზეზი კაცობრიობის უნაპირო, მზიანი სევდისა. ეს ის თემაა, რომელიც ჯადოსნური მაგნიტივით იზიდავს ყველას, დროის ფენომენს მირიან მირნელის ფიქრიც აუფორიაქებია, მისი არსებობის ტკივილად ქცეულა. პოეტს კარგად აქვს გაცნობიერებული შემოქმედის ტვირთის სიმძიმე და იმ გზის სიძნელე, რომელსაც ხშირად მარადიულ კითხვათა აისბერგებს შორის უხდება გავლა. რომელსაც სივრციდან ზოგჯერ მეხი ეცემა, ზოგჯერ კი ყვავილი. მისთვისაც, როგორც ქართული სიტყვის კაცისათვის პოეზიაა მაცოცხლებელი და უწმინდესი ძალა, ადამიანის მიერ ერისათვის ღირებული და სასარგებლო საქმეების კეთებაში განსარჯული წუთიერი ცხოვრებაა მარადისობის ზიარი. ამიტომაც შეუძლია "ერთი ლამაზი წუთისთვის მოკვდეს და უკვდავების ამიტომ სჯერა". ჭეშმარიტი პოეტი უფლის თანამებრძოლია, სიმართლის ზვარაკია. მწერლობა მირიან მირიან მირნელისათვის გულისა და გონების მფარველი ტანჯვაა. მირიან მირნელს პოეზია ყოფნიდა იმისთვისაც, რომ შეეძლო სხვისთვისაც გადაედო თუნდაც უხილავი სამშობლოს ბუნების სურათების მშვენიერება. მან, როგორც სხვა დიდმა პოეტებმა "უფლის ხელით" დახატა სასაფლაო, მარადიული ფილოსოფიური კითხვის ნიშნებით დასერილი სამყარო. მის პოეზიაში, ისევე როგორც მუსიკის არაჩვეულებრივ ჰანგებში იკითხება სამყაროს ერთიანი შეგრძნება.

მირიან მირნელის ლექსთან პირველმა შეხვედრამ სიკეთის ძლევაძოსილი შუქით გამანათა და მაინც, რაღაც ტკბილი, მომხმობი გრძნობა იწყებს ალტაცებულ ჟღერას



ჩემს გულში, სინათლის მშობლიური ძალა, სიცოცხლე რომ მაჩუქა, სულს, ანახლებს მას "და იფანტება ბილიკ-ბილიკ ხმა მაგიური, ხარობს სიკეთე-ქვაზე შუქად ამოკვეთილი და არ ითხოვენ შორსმჭვრეტელნი სამაგიეროს, რომ არ მოექცეს ბოროტებად სული კეთილი".

მირიან მირნელის პოეზიის ძირითადი ნაკადი თითქმის ყოველთვის სიყვარული და ერთგულებაა, ეს ორი გრძნობა ასულდგმულებს მის სიცოცხლეს, ქვეყანას ლოცვა-კურთხევით უყურებს, ამიტომ თვით ტკივილიც კი მის ლექსებში სიყვარულის ნათლითაა გაჯერებული.

პოეტის არა ერთი ლექსი გვხიბლავს ბუნების შთამბეჭდავი სურათებით: "თერგი მაღალი თავსასთუმლიდან დაცურებულა როგორც დაღალი", "მოაჟღარუნებს გაზაფხულის მწვანე მარხილი ნაკადულების ფეთიან ეფენებს" და "შეწყვეტილი სიმღერის მოტივს იმეორებენ გაზაფხულები". "სიკვდილის შემდეგ ღიად დარჩენილ თვალებით ზეცას გაჰყურებს გუბე", "და თოვლის გლუვ და ქათქათა ზურგზე გაცოცდნენ წვიმის ჭიანჭველები", "და ზღვა მშოთვარე დაცხრა თანდათან, როგორც სარდალი ომწაგებული", "ისე მსუბუქად ქანაობს ტოტი, ანგელოზები არხევენ თითქოს".

როცა ბუნების ესთეტიკური განცდის შესახებ ვლაპარაკობთ მირიან მირნელის პოეზიაში, საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ პოეტის ლექსები გვაგონებენ მხატვრულ ტილოებს, რომლებზეც გაცოცხლებულა საქართველოს ბუნების სურათები, მისი ზღაპრული ფერისცვალება დაწყებული ტყეში ტყემლების თეთრი კოცონით და ატმების ხანძრით და დამთავრებული ზამთრის პეიზაჟებით. მაღალი ოსტატობითაა დახატული გაზაფხულის კრიალა ცა თუ მომსკდარი ჩანჩქერები, თუ შემოდგომის ფოთოლცვენა. ("ჩანჩქერი", "მთები", "შემოდგომა", "ზვაგი", "მთაში წვიმა" და სხვა).

მირიან მირნელის გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ პოეტურ კრებულში "გადაძახილი" მრავალი ლექსია ვარდის ეკლებით აცრილი, ზოლო ის განცდა ამ ლექსებს რომ აერთიანებს სამოთხის წყაროსავით ნათელი და ანკარაა. პოეტი განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ხატავს ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროს, თვით ბუნების ფერწერული სურათი ადამიანურ მიმართებათა ასპექტშია დანახული. ამიტომაც ეს სურათები განათებული მძაფრი პოეტური დაფიქრებით, მთელი გრძნობით. პოეტი მოგვითხრობს ადამიანის მისწრაფებასა და გატაცებაზე, მის საზოგადოებრივ საქმიანობაზე, რაც თავის გამოვლენას პოულობს ცალკეულ მოტივთა სახით. მირიან მირნელს არ შეუძლია უყუროს მოვლენებს ცივი გონების თვალთ, სარკესავით აირეკლოს, სარკესავით ასახოს მის წინ ჩამავალი ხატები. მას უყვარს და თანაუგრძნობს, უხარია, სევდა ერევა. პოეტის სურვილია, რომ ყოველი მისი ნაბიჯი, ნამოქმედარი, ყოველი მისი სტრიქონი სიკეთეს, სიყვარულს ემსახურებოდეს. პოეტის მსაჯულია სინდისი და გულწრფელობა - "მაინც კვირტების ფეთქვად ზვალისა მიშრიალებენ ზვირთნი მტკვრისანი და მე მიფარავს ავი თვალისგან სინდისი ჩემი სულის კრისტალი". მის მხატვრულ სამყაროში ბევრი ლექსი თუ ცალკეული სტროფი გვაგონებს გარიჟრაჟის ნისლებით ნაქსოვ მთვარის ვერცხლისფერი მტვრით დაფიფქულ პეიზაჟს და ბევრია მირიან მირნელის შემოქმედებაში ისეთი ლექსი, პირველსავე პწკარიდან რომ ხიბლავს მკითხველს სტილის ლაკონურობით, ცოცხალი მაინტრიგებელი მოტივით, მოულოდნელი ინფორმაციით, ასევე ვთქვათ წარსულის, აწმყოსა და მომავლის საჭირობოროტო საკითხებით. მირიან მირნელმა საქართველო იწამა ვითარცა ღმერთი, ის მისი სალოცავი ხატია, რომელთანაც და-



კავშირებულია პოეტის ცნობიერების თითქმის ყველა ნაკადი, სულიერ-ზნეობრივი სრულყოფისა და ამაღლების გზები. მშობელი ხალხის სიყვარულით არის განმსჭვალული ლექსები "ქართული ჩუქურთმა", "ენა ვარ ქართული", "წინაპარი", "მოლანდება სვეტიცხოველში", "გუთნისდედა", "იავნანამ რა ქნა" და სხვა.

მირიან მირნელის პოეზია განუყოფლად, სულით და ხორციით შედუღებულია მშობელ ნიადაგთან, საქართველოს მიწასთან, მის ისტორიასთან. პოეტი სიამაყით ივონებს წინაპართა მიერ განვლილ გმირულ გზებს: იგი "ბედს ეძიებდა კიდით კიდემდე, ბუდეს უნგრევდა სისხლის მდინარე და ჰქონდა ციხეც ომში ნამუსრი", მაგრამ მაინც არ გატყდა და ისტორიის ქარტეხილებში გამოატარა თავისი უდრეკი სული, "თავისი დიდი სინდის-ნამუსი", მას მზით და იმედით გარემოსილს ჰქონდა წმინდა მიზანი და "არ ჩაუქრია კერა მბრწყინავი, უმკლავდებოდა ყველა სტიქიონს და მისი დაშნის თითო წკრიალი იყო ცხოვრების თითო სტრიქონი. გუთანს მისდევდა გულდანდობილი, ეპყრა ამგვარად ქვეყნის საჭენი, მისი დიდი გზა არის ცნობილი, უფრო დიდი კი აღმოსაჩენი".

მირიან მირნელის პოეზია საღი, დაწმენდილი პოეზიაა, რომელშიაც გონებითი ჭვრეტისა და დაკვირვების მიკროსკოპი თანხმობაშია წარმოსახვისა და ფანტაზიის კალეიდოსკოპთან. პოეტი კრძალვით შესცქერის ქართულ ჩუქურთმებს, ქვის სასწაულს, რომელსაც გვირგვინად გადაჭლობია ვაზის მტევანი. აურაცხელმა ჩინგის-ხანმა და შაჰ-აბასმა, რომლებიც ყვავებივით ესეოდნენ ქართულ მიწას, ათასგზის დაწვეს და აჩეხეს ვაზი, ამოძირკვეს მიწიდან, მაგრამ "შემდეგ მახვილმა ისე იბრწყინა, ყლორტი იყარა რქამ სამამულემ" და ასე გამოაღწია ქარიშხლებს. პოეტი გასაოცარი მხატვრული სახეებით გვიხატავს ქართველ გუთნისდედას, რომელიც მიწის იღუმალ ძახილს ისე გრძნობდა, როგორც დედა შვილის სატკივარს "და საქართველოს ცისფერ ხნულებში მოალაჯებდა როგორც იმედი, და ფშენიდა ბელტებს ხარის ჩლიქებით, თავზე ეხურა ქუდი მეომრის, ერთი მუხლით რომ ჩაიჩოქებდა ზეზე დგებოდა უცებ მეორით". მას მუშლივით გარს ეხვივნენ სატიალე, მუხთალი, სისხლიანი დღენი, მაგრამ ცხოვრების აღმართებს მაინც ჯიუტად, მტკიცედ მოჰყვებოდა და "თვით სანთელი, - წმინდა სახატე - გუთანს ეკიდა ქვეყნის ქუდბედი". მას ჯავშნად გარს ერტყა რწმენა. ამიტომ "ხარივით მიწას ჩხვერავდა, მერე ითვლიდა აპრილს ასობით და მოიტანა ასე ჩვენამდე, ვით სამართალი პური არსობის".

მირიან მირნელის "აფხაზური ლექსების" ციკლში გაცოცხლებულია აფხაზეთის მთელი ისტორია გადმოცემული ნართების ეპოსიდან მოყოლებული მაჰაჯირობის ჩათვლით, ვიდრე 1905 წლის ისტორიულ ქარტეხილამდე. როდესაც უსამართლობის წინააღმდეგ აღსდგა აფხაზი ხალხი ხაჯარათ კიახბას მეთაურობით და ფაქტიურად იყო დიადი განთიადის დასაწყისი. ვკითხულობთ ამ ლექსებს და ჩვენს წინაშე ცოცხლდება დევგმირ ნართ სასრიყვას რაინდული საქმიანობა, ასევე უხსოვარ დროში ხალხის სადარაჯოზე მდგარი აბრისკილი-აფხაზური ამირანი, პრომეთე სიკეთისა და სამართლიანობის, გმირობისა და ეთგულების აფხაზური მითოსური ხატება. ამ ლექსებშია მითისა და დღევანდლობის საოცარი წნული, აქაა აწმყოზე მიპყრობილი მზერა შორეული, ამოუცნობი, მეტაფიზიკური, მაგრამ მხატვრულად შეგრძნობილი და განცდილი სიმაღლეებიდან. მითის შემოჭრა დღევანდლობაში, ზღაპრის, თქმულების, ფოლკლორული წყაროების, ისტორიისა და რეალობის შერწყმა ყველაზე ძალუმაღ იგრძნობა მირიან მირნელის პოეზიაში.

მირიან მირნელის ლექსებში ცოცხლობს აფხაზი კაცის ბუნება, სულიერი სამყა-



რო, კულტურა, საზრუნავი და საფიქრალი, მათში ჩანს ის ფენომენი, რითაც აფხაზობს, ამყობს, თავს იწონებს, თავისთავადობს, გამოირჩევა სხვა ხალხებისაგან და რითაც იგი საარსებო კავშირს ამყარებს ცხოვრებასან. აქ შედის ეროვნული ხასიათი, ადათი, წესი, ჩვევა, სალოცავი და საოხავი, მიწიერი და ზეციერი მისწრაფებანი, ხელოვნება და ლიტერატურა, ცხოვრების წესი და ლაზათი. ყოფითი კულტურა. ეს დეტალები ჩაქსოვილია პოეტის ლექსში "აფსნი" "ცხოვრობდა ხალხი ბედნიერად და აბრუებდა, აყრუებდა ტყეს, მინდორს და ბეჭობს უკვდავების მოძახილი - "შარდაამთას ექო". პოეტი მუდამ სათუთად ესიყვარულებოდა თავის სოხუმს, რომლის დაცემამაც გულში მოურჩენელი იარა გაუჩინა. ("ზღვა სოხუმის ნაპირებთან"). იმ ავადმოსაგონარ წლებში, როცა აფხაზეთში ვითარება დაიძაბა, მირიან მირნელი თავს არ ზოგავდა და ყოველნაირად ცდილობდა, რომ ბოროტი ძალების მიერ მზაკვრულად დაპირისპირებული მხარეები შეერიგებინა, მისი მოწოდება იყო, არც ერთ მხარეს არ დაეშვა გათიშვა, დაქსაქსვა, რადგან ყოველივე ეს გამოიწვევდა ხალხის გაუცხოებას. მისი პოეზია აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა საკითხებში ბოლომდე ურყევი დარჩა. (პუბლიცისტური წერილი "ციხე შიგნიდან რომ არ გატყდეს".)

აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ პოეტი თხემით ტერფამდე შეძრა. (აფხაზეთის ომმა შეიწირა მისი უსაყვარლესი თექვსმეტი წლის ვაჟი ლამა). პოეტი სანთლით დაეძებდა გულს, უფლისა და მამულის ერთგულს, ეროვნული იდეალებისათვის თავგანწირვით მფეთქავს. ღრმად სწამდა, რომ ძმათა შორის ატეხილი სამკედრო-სასიცოცხლო ომის მიზეზით წინაპრები იმ ქვეყანაში მეორედ კვდებიან, ხოლო ღმერთის ხმასა თუ სიჩუმეში ცრემლიანი ტკივილი მატულობს. ეშმაკის ფიქრის ამამღერებელი და მოყვასის იმედისათვის ხანჯლის ჩამცემია შედეგები ამგვარი ომისა და ვაი, "იქნებ, გვერჩივნა - თვით რუსთველიც არა გვეყოლოდა, არ მიეყიდა ოღონდ ქართველს სული ეშმაკისთვის!"...

მირიან მირნელი ბოლომდე დარჩა სიცოცხლის, რწმენის პოეტად. მიუხედავად თავს დატეხილი უბედურებისა ჩვენ მაინც გვჯერა, რომ იგი სულის სიღრმეში ბედნიერებისაკენ მიდრეკილი პოეტი იყო. მან ღვთისმიერი შთაგონებით იღვაწა აფხაზი და ქართველი ერის ძმური ურთიერთობის განმტკიცებისათვის. აკი სიცოცხლის უკანანსკენლ წუთებში აფხაზეთაში დატრიალებული ტრაგედიით განაწამები პოეტი მაცხოვრის მფარველ და შემწყნარებელ ძალას იხმობდა მომავლის იმედად...

მირიან მირნელის ცხოვრების აზრი, ზნეობრივი ძალა და სულის ადფრთოვანება განსაკუთრებული სიღრმითა და რელიეფურობით გამოვლინდა ლექსებში: "ღრო", "რწმენა", "კოლხური სიმღერა", "სიყვარულის გრძელი ჯაჭვი", "მაჰაჯირის შვილთაშვილის დაბრუნება" და სხვა. წუთისოფელი წარმავალია, მაგრამ სიცოცხლის სიმღერა უწყვეტ ნაკადად გადადის თაობიდან თაობაში, სიცოცხლის წყურვილი დაუოკებელია და ეს არის მუდმივი წინსვლისა და გამარჯვების სტიმულიც. პოეტი უგალობს სინათლის სხივის უძლეველ ძალას, როგორც სასწაულმოქმედს, რომელიც საავდრო ღრუბელს გზიდან იცილებს, სუხსა და ყინვას აღლობს, ფანტავს წუთილოფლის ყველა სიმძიმის. "რაც კარგია, რაც ძვირფასია, ყველაფერს მისი ფრთები ასხია".

და ბოლოს, უნებურად მახსენდება მირიან მირნელის ბრწყინვალე სტრიქონები ლექსიდან "წეროების გადაფრენა"-

"თითქოს ასწია მიწამ ბილიკი  
ცაში სიცოცხლის გასაგრძელებლად"...





ლიტერატურის მაღალ ცაზე ბილიკის გასაგრძელებლად პოეტისა და მეცნიერის მირიან მირნელის მიერ აწეული ათეულობით წიგნი გარდასულ ჟამთა გმირული ფურცლებით გვამშვიდებს, სულთა გაკეთილშობილების გადავიწყებულ სასწაულებს გვახსენებს და ადამიანური ფიქრებისა და გრძნობების წმინდა სათავეებისაკენ გვაბრუნებს. კურთხეულ იყოს ეს ნათელი ბილიკი!

**Tsiala Meskhia**

*Life Continued in the Sky  
(Thoughts about Mirian Mirneli's Poetry)*

**Summary**

A famous caucasiologist, a recognized researcher of the Abkhazian and Georgian languages, poet and scientist, Doctor of Philological Sciences Mirian Mirneli (M. Tsikolia) has been studying Abkhazian and Georgian languages for forty years. Scientific works of Mirian Mirneli are a handbook for those who learn the Abkhazian language or work in the field of caucasiology.

30 collections of poetic creations belong to Mirian Mirneli. This modest person devoted many years of his life to fruitful translations. He translated poems of many Abkhazian poets directly from the originals into Georgian. His poetic book of "Abkhazian Verses" with the most honest and clear feelings is dedicated to Abkhazia, Abkhazian people, to brotherhood between Abkhazians and Georgians.

Works of Mirian Mirneli are multifarious, versatile and profound. The poet with great diligence sticks to such difficult themes, as patriotism, the past and the present of his native country, family and society, person and environment, approaching to the subject of life and death and the essence of country circulation, friendship of patriots and people.

**Циала Месхия**

*Жизнь, продолженная на небесах.  
(Размышления о поэзии Мириана Мирнели)*

**Резюме**

Поэт и ученый Мириан Мирнели (Циколия) был достойным представителем грузинской интеллигенции Абхазии. Это известный исследователь грузинского и абхазского языков, доктор филологических наук, прекрасный специалист абхазского языка, глубоко владевший этим сложным, но интересным языком.

Он имел очень теплые отношения со всеми слоями абхазского народа, был заслуженным деятелем Абхазии.

В его научных работах тесно переплетены истории происхождения грузинского и абхазского языков. Его монографии занимают надлежащее место в языкознании. Поэзия же Мириана Мирнели переведена на русский, армянский и абхазский языки.

## АЛЕКСАНДР ГРИБОЕДОВ И ДАВИД ЭРИСТАВИ

Несмотря на тяжелое историческое прошлое, Грузия никогда не была оторвана от остального мира и с давних пор поддерживала культурно-литературные и политические взаимоотношения с другими государствами. Грузинский народ всегда интересовался мировыми литературными процессами и был в курсе всех эпохальных новшеств.

В XIX веке Россия аннексировала Грузию, и стала составной частью Российской империи. Создавшаяся реальность способствовала установлению более тесных контактов между грузинской и русской интеллигенцией и грузино-русских литературных связей.

Грузинские писатели и общественные деятели боролись против захватнической политики России, за восстановление государственности Грузии. В то же время они высоко оценивали русскую культуру и способствовали популяризации русских писателей в Грузии. Двусторонние отношения имели важное значение для развития национальной культуры.

Грузино-русские литературные взаимосвязи XIX века были многосторонними. Не раз отмечалось, что в этом деле велика была роль выдающихся представителей русской культуры, приезжающих в Грузию, среди которых выделяется русский писатель Александр Грибоедов, который, как известно, провел лучшие годы своей жизни в Грузии, большую часть своей комедии «Горе от ума» написал в Тбилиси, здесь он женился на Нино Чавчавадзе и в Тбилиси же был похоронен.

Грузия отображена в творчестве А. Грибоедова в произведениях «Грузинская ночь», «Кальянчи», «Путевые письма», «Радамист и Зенобия».

Александр Грибоедов как при жизни, так и после смерти пользовался большой популярностью в Грузии. Его любили, почитали, уважали и ценили. Ярким доказательством являются те факты, что общественность Грузии отметила 50 лет со дня смерти и 100 лет со дня рождения русского писателя в 1879 и 1895 годах, учредила стипендию имени А. Грибоедова в тифлисской классической гимназии. Очень популярной была его комедия «Горе от ума». Пьеса передавалась из рук в руки в виде рукописи, так как в течение определенного периода цензура запретила ее издание и постановку на сцене из-за высмеивания крепостной власти в произведении. О популярности комедии говорит и тот факт, что в XIX веке в Грузии было сделано несколько переводов. Впервые «Горе от ума» было переведено на грузинский язык в литературном кружке А. Орбелиани в 1832 году [1], известны также переводы Г. Цинамдзгварова в прозе в 1853 году, Г. Эристави отдельных отрывков в стихах (были напечатаны в журнале «Вестник Грузии» в 1863 году), перевод А. Казбеги [2] и в конце века известен перевод в стихах женщины-поэтессы Доминики Эристави-Мдивани.

В Грузии комедия «Горе от ума» была представлена в домах Александра Чавчавадзе, Романа Багратиони (на русском языке), на грузинском языке в доме Александра Орбелиани [1; 2].



В Тбилиси в 40-50-ых гг. XIX века возникли профессиональные грузинские и армянские театры, и на их сценах не раз ставилась бессмертная комедия А. Грибоедова. В прессе систематически печатались рецензии. Можно с достоверностью утверждать, что на протяжении всего XIX века в центре внимания общества было произведение русского драматурга, которое, в свою очередь, проповедовало прогрессивные идеи.

Как мы уже отмечали, грузинский народ был почитателем и ценителем личности и творчества А. Грибоедова. В их числе Давид Эристави, которого называли «большим знатоком Грибоедова», «популяризатором Грибоедова в Грузии».

Давид Эристави (1847-1890) был очень образованным человеком, великолепно знал творчество мировых классиков, владел иностранными языками, принимал активное участие в общественно-культурной жизни Грузии второй половины XIX века. Его имя связывают с русскими и грузинскими газетами и журналами того периода, он сыграл важную роль в деле развития сценического искусства. Он был известен как один из лучших декламаторов. По мнению его биографа Ионы Меунаргия, Давид Эристави великолепно знал русский язык и был первым чтецом в Тбилиси. Он участвовал в представлениях любителей русской сцены, в 1877 году сыграл роль Чацкого в комедии «Горе от ума»; писал фельетоны, стихи на русском и грузинском языках, перевел произведения М. Лермонтова, Н. Некрасова, В. Гюго и др. писателей [3, 375-399].

Первая статья Д. Эристави «Прототипы комедии «Горе от ума», посвященная А. Грибоедову, была напечатана в 1875 году [4]. Это был отзыв на 40-е издание произведения писателя, которое отредактировал и внес свои примечания И. Гарусов.

Давид Эристави отмечает, что со дня написания комедии прошло больше полувека, за этот период комедия переиздавалась 40 раз, хотя до сих пор не известно, верен ли текст комедии. И. Гарусов изучил все печатные издания комедии и ни одну из рукописей, но, к сожалению, ничего не говорит о том, была ли рукопись у супруги писателя или у кого-либо на Кавказе. Далее Д. Эристави рассказывает, что рукопись комедии находилась у князя Александра Церетели и, что Н. Чавчавадзе не раз обращалась к нему с просьбой, чтобы он уступил или позволил снять копию с рукописи, но он этого не разрешил. На вопрос о том, каким путем досталась эта рукопись А. Церетели, существует несколько ответов и версий. Одни утверждают, что А. Грибоедов учился вместе с братом А. Церетели, Иосифом, был его близким другом и якобы сам подарил ему свою рукопись. Есть и другие версии. Достоверно только то, что рукопись существовала на самом деле.

Из статьи ясно то, что Д. Эристави решил получить полную информацию об этой рукописи. К тому времени А. Церетели не было в живых, и Д. Эристави связался с человеком, близко знавшим А. Церетели, и составил опись оставшегося имущества, хотя никаких сведений о рукописи не поступило. С такой же просьбой он обращался и к другим лицам и выяснил только то, что рукопись на самом деле существовала, но никто ее не видел.

Затем Д. Эристави обращается к той рукописи, которая легла в основу гарусовского варианта издания «Горя от ума». По его мнению, данное издание



имеет важное значение, так как в нем перечислены все те, кого имел в виду автор. Гарусов собрал все возможные сведения о действующих лицах комедии и снабдил текст примечаниями.

Д. Эристави с сожалением говорит о том, что «издатель от излишнего усердия к своему труду, пустился в мелочи и пишет чуть ли не историю каждой запятой» [4,1]. По его словам, книга издана довольно роскошно, но вместе с тем довольно небрежно, со множеством опечаток, впрочем не в тексте комедии, а в комментариях... «Вообще книга г. Гарусова представляет собой весьма добросовестный труд и было бы желательным, чтобы и другие русские классики были изданы с такою же тщательностью» [4,3].

28 января 1879 года на вечере, посвященном 50-летию со дня смерти А. Грибоедова, Д. Эристави выступил с докладом о жизни писателя. В том же году это выступление вышло отдельной книгой [5].

Книга состоит из шести глав. В первой главе рассказывается о роде и фамилии Грибоедовых, о его родителях и о той среде, в которой рос будущий писатель. Большое внимание уделяет Д. Эристави периоду учебы А. Грибоедова в Московском университете, его отношениям с профессорами и утверждает, что его любовь к театру, вероятно, зародилась во время студенчества в спектаклях, проводимых под руководством и режиссурой профессора Стрехова. В конце первой главы описано увлечение Грибоедова военным делом.

Во второй главе рассказывается о том, как активно увлекся петербургской театральной жизнью великолепный знаток иностранных языков и отличный музыкант А. Грибоедов и насколько плодотворным с творческой точки зрения был данный период.

В третьей главе описаны пребывание А. Грибоедова в Персии, переезд в Тбилиси и отпуск, проведенный в Москве.

Описывая комедию «Горе от ума», Д. Эристави отмечает, что А. Грибоедов был очень скромным человеком и не любил рассказывать о своих произведениях, за исключением близких друзей. В этой же главе Д. Эристави рассказывает о возвращении Грибоедова на Кавказ, об аресте по обвинению в связи с декабристами, о периоде заключения и освобождения.

В четвертой главе речь идет о службе А. Грибоедова при гр. Паскевиче, о его участии в заключении договора после окончания войны с Персией и о назначении А. Грибоедова полномочным министром при персидском дворе. С каким-то зловещим предчувствием уезжал он в Персию, — пишет Д. Эристави и приводит слова А. Грибоедова, сказанные друзьям: «Нас там непременно всех перережут. Аллаярхан мой личный враг; не простит он мне Туркманчайского договора!» [5,25].

Пятая глава целиком посвящена взаимоотношениям А. Грибоедова и Н. Чавчавадзе, их свадьбе.

В шестой главе описана деятельность Грибоедова в Персии, последние дни его жизни, трагическая смерть в 1829 году.

В конце книги Д. Эристави отмечает: «...Грибоедов был одним из первых русских, с любовью отнесшихся к нашей стороне; трезво смотрел на ее будущность и горячо сочувствовал ее судьбам....»



საქართველოს  
რეპუბლიკის  
საქართველოს  
საქართველოს

Он один из первых – если не первый – сумел понять, что в ней живут и будут жить люди, достойные симпатии, поддержки и любви со стороны всех порядочных людей русской земли...» [5,42].

В 1879 году под редакцией Д. Эристави вышло в свет сорок второе издание комедии «Горе от ума» [6].

В предисловии Д. Эристави вновь возвращается к вопросу о рукописи комедии. Начало почти идентично началу статьи, напечатанной в 47 номере газеты «Тифлисский Вестник» 3 мая 1875 года. Здесь вновь говорится о том, что рукопись комедии была у князя Александра Церетели, но с той разницей, что Д. Эристави называет человека, который был свидетелем этого факта, и это был известный грузинский поэт Акакий Церетели. На этот раз Д. Эристави представляет версию, согласно которой рукопись комедии вместе с другими бумагами А. Грибоедова была украдена у князя Давида Александровича Чавчавадзе и случайно приобретена отцом Александра Церетели, Григорием Церетели.

Д. Эристави утверждает, что на Кавказе была и другая рукопись, принадлежащая генералу инфантерии Алексею Петровичу Опочинину, исправленная собственноручно А. Грибоедовым, но владелец рукописи потерял ее во время кочевой походной жизни.

После этого Д. Эристави анализирует и описывает изданную рукопись, принадлежащую А. А. Иоаннисиану. По мнению Д. Эристави, орфографические ошибки и правильная, довольно оригинальная пунктуация говорят о том, что переписчик был образованным человеком и списывал если не с автографа Грибоедова, то с верного списка.

Д. Эристави придавал особое значение данному списку, так как считал его почти совершенным и безошибочным, тогда как первый комментатор Грибоедова в России Гарусов не встречал ни одной рукописи без значительных ошибок.

«Имея в виду, что всякое слово в таком классическом произведении, как «Горе от ума», имеет громадное значение, я по просьбе Центральной Книжной Торговли в Тифлисе взялся редактировать издание вышеупомянутой рукописи», - пишет Д. Эристави [6, IV].

Как видно, Д. Эристави как большой знаток творчества А. Грибоедова, пользовался авторитетом и именно ему было поручено редактирование данного издания.

Необходимо отметить тот факт, что Д. Эристави с большой осторожностью и вниманием относился к работе над изданием, так как понимал, что любая деталь, незначительный штрих могут существенно изменить реальную картину происходящего.

Д. Эристави сравнил издаваемую рукопись с рукописью Гарусова, которая считалась самой идеальной. Отдельные строфы рукописи, где много сходного, Д. Эристави не комментирует. «Примечания сделаны только к тем стихам, которые не согласуются со списком Гарусова, при чем приведены варианты означенных стихов, почти со всех изданий» [6, V-VI].

Далее Д. Эристави говорит, что не успел обработать рукопись тщательно из-за нехватки времени, так как книжный магазин решил издать комедию в кратчайшие сроки.

Сам Д. Эристави считал издание сырым материалом, представляя более компетентным библиографам сделать заключения и оценить издаваемую рукопись по ее достоинству.

Здесь же необходимо осветить еще один факт. Мы уже отмечали в нашей статье, что в тифлисской гимназии была учреждена стипендия имени А. Грибоедова. С целью собрания суммы, необходимой для стипендии, проводились спектакли, бал-маскарады, публичные лекции и одним из инициаторов и организаторов этого начинания был Д. Эристави.

В последний раз Д. Эристави обратился к комедии А. Грибоедова в 1881 году [7]. Эта была рецензия на комедию «Горе от ума», представленную армянской труппой.

Д. Эристави приветствовал попытку дирекции армянского театра ознакомить тбилисских армян с произведением русского драматурга. Говоря о языке писателя, Д. Эристави писал: «Кто не знает неподражаемый язык грибоедовской комедии, сделавшийся неиссякаемым источником пословиц и поговорок» [7,2]. Исходя из этого, он указывает на трудности, связанные с армянским переводом комедии и исполнением на армянском языке. В рецензии Д. Эристави говорит о положительной и отрицательной сторонах представления. В оценке актерской игры он выражает свое мнение по поводу А. Грибоедова и называет его «гениальным художником»..., «который потому-то и пользуется такою высокою славой, что он имел талант художественно изобразить жизненную правду и что все его характеры портретны» [7, 2].

Представленный материал всецело показывает отношение Д. Эристави к А. Грибоедову. Бесспорно, что Д. Эристави был почитателем и ценителем русского писателя и внес значительный вклад в дело изучения его творчества. Отношение Д. Эристави к А. Грибоедову – наглядный пример многосторонних грузино-русских культурных взаимоотношений.

## Литერатура:

1. ბალახაშვილი ი. „ვაი ჭკუისაგან“-ის პირველი ქართული თარგმანისა და წარმოდგენის გამო. „მნათობი“. 1945. №1.
2. შადური ვ. გრიბოედოვი და საქართველო. თბ., 1954.
3. მეუნარგია ი. ქართველი მწერლები. I. თბ., 1954.
4. Прототипы комедии «Горе от ума». «Тифлисский Вестник». 3 мая, 1875. №47.
5. Эристов Д. Г. Александр Сергеевич Грибоедов. Тифлис, 1879.
6. Грибоедов А. С. «Горе от ума». 42-е издание по рукописи 1831 г., найденной в Тифлисе с 150 вариантами. Редактор кн. Д. Г. Эристов.
7. [Эристов Давид Георгиевич] В. Д. «Горе от ума» на армянской сцене. Газета «Кавказ». 13 января, 1881. № 9.

Irma Zakaraia

*Alexsander Griboedov and David Eristavi*

### Summary

Georgia, despite its hard historical past life, has never been isolated. Georgia always had cultural relations with other countries.

Since the 19<sup>th</sup> century, when Russia annexed Georgia and our country became the constituent part of the Russian Empire, Georgian intelligentsia established close links with Russian intelligentsia. Georgian writers, public figures were fighting against Russian autocracy to restore Georgian State System, but at the same time they appreciated Russian culture much and were engaged in popularization of Russian writers in Georgia. In the 19<sup>th</sup> century the Georgian-Russian cultural relations were multilateral.

The present paper deals with the attitude of Georgian writer David Eristavi to the Russian writer Alexandr Griboedov. His significant part of life was connected with Georgia, which is described by him in some of his works.

D. Eristavi takes a particular place among A. Griboedov's worshippers, who made a valuable contribution to the cause of studying his literary work.

D. Eristavi published works and made reports regarding Griboedov. In 1879 the 42th edition of the comedy "Grief with Mind" came out edited by D. Eristavi.

Last time D. Eristavi wrote about A. Griboedov in 1881. It was the review to "Grief with Mind" performed by the Armenian company. The author gave a high appreciation to the Russian playwright in the review.

D. Eristavi's attitude to A. Griboedov is a bright example of diversified Georgian-Russian cultural links.

ირმა ზაკარაია

*ალექსანდრე გრიბოედოვი და დავით ერისთავი*

რეზიუმე

ქართულ-რუსულ კულტურულ ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს. XIX საუკუნიდან, როდესაც რუსეთმა საქართველოს ანექსია განახორციელა და ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა, ქართველი ინტელიგენცია მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის ინტელიგენციას. არსებულმა რეალობამ ხელი შეუწყო ქართულ-რუსულ ლიტერატურულ კავშირებს.

ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები იბრძოდნენ რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, მაგრამ ამავე დროს დიდად აფასებდნენ რუსულ კულტურას, პოპულარიზაციას უწევდნენ საქართველოში რუს მწერლებს.



წარმოდგენილ სტატიაში ნაჩვენებია რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვისადმი ქართველი მწერლის დავით ერისთავის დამოკიდებულება.

დ. ერისთავი ა. გრიბოედოვის თაყვანისმცემელი და დამფასებელი იყო. შესანიშნავად იცოდა მისი ბიოგრაფიის ყოველი დეტალი. დ. ერისთავმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ა. გრიბოედოვის შემოქმედების შესწავლის საქმეში. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო კომედიით „ვაი ჭკუისაგან“. დ. ერისთავი აქტიურად მონაწილეობდა რუსი დრამატურგისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

ა. გრიბოედოვისადმი დ. ერისთავის დამოკიდებულება ნათელი მაგალითია მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობებისა.



## ЭТИЧЕСКИЕ НОРМЫ РЕЧЕВОЙ КУЛЬТУРЫ

Жизнь доказывает: в нынешнее сложное время крылатая фраза Достоевского «Красота спасет мир» находит все большее подтверждение. Люди тянутся к культуре и красоте, стремятся сделать свою жизнь достойнее.

У многих представителей современного общества устоялось иронически-снихождительное отношение к нравственным ценностям этикета. Правила этикета, дескать, созданы для элиты, это некие «барские условности», исторический хлам.

Так ли это? Можно ли осуждать людей светского общества, если они воспитывали в себе культуру чувств, старались быть снисходительными и милостивыми?

Утверждалось также, что книга «Домострой» - свод правил поведения на Руси – книга для мещан с их символом счастья – семью слониками. Но прочтем из книги небольшой отрывок: «...не красть, не солгать, не оклеветать, не бражничать, не насмешничать, не помнить зла, не гневаться ни на кого... С большим быть послушным и покорным; со средним – любовным; к меньшим и убогим – приветливым и милостивым». Что же мы подразумеваем под этикетом?

«Этикет» по происхождению французское слово (*etiquette*). Сначала оно обозначало товарную бирку, ярлык (ср. этикетка), а потом так стали называть придворный церемониал. Затем, после принятия французского церемониала при венском дворе, слово «этикет» получило распространение в немецком, русском и других языках. Наряду с этим словом используется слово «регламентация» и словосочетание «дипломатический протокол».

Этикет – часть нравственной культуры и ассоциируется с категорией прекрасного, оно связано с понятиями вежливости, культуры, интеллигентности.

Этикет имеет и свои специфические стороны. Основные из них:

Этикет конкретного сословия или «титулованный» этикет – норма поведения королей, князей, графов;

Ранговый этикет – сановников и чиновников на различных ступенях иерархической лестницы;

Этикет определенных социальных слоев – дворян, купечества, предпринимателей;

Национальный (этнический) этикет;

Религиозный этикет – христиан, мусульман, иудеев, буддистов.

Профессиональный этикет – воинский, дипломатический, врачебный;

семейно-бытовой этикет – взаимоотношения родителей, супругов, детей, соседей. В последнее время распространение получает деловой этикет, отражающий опыт, нравственные представления и вкусы определенных социальных групп. Степень владения речевым этикетом определяет степень профессиональной пригодности человека. Это относится к педагогам, юристам, врачам, менеджерам, т. е. к тем, кто по роду своей деятельности постоянно общается с людьми.



04135340  
0118-41110193

Соблюдение речевого этикета людьми так называемых лингвоинтенсивных профессий имеет воспитательное значение, невольно способствует повышению как речевой, так и общей культуры общества.

Какие же факторы определяют формирование речевого этикета и его использование?

Речевой этикет строится с учетом особенностей партнеров, вступающих в деловые отношения, ведущих деловой разговор: социального статуса субъекта и адресата общения, их места в служебной иерархии, их профессии, национальности, вероисповедания, возраста, пола, характера.

История свидетельствует, что речевой этикет имеет национальную специфику. Каждый народ создал свою систему правил речевого поведения.

На Руси издавна признавалось правило: перед старшими – молчание, перед мудрыми – послушание, с равными дружбу иметь. Позже при Екатерине II «Эрмитажный устав» для придворных предписывал: «говорить умеренно и не очень громко, дабы у прочих тамо находящихся уши и головы не заболели».

У народов Востока существует пять составных частей мудрости речи: говорить соответственно обстоятельствам; говорить правду; говорить мягко; говорить с пользой; говорить великодушно.

Этикет как социальное явление появился во времена французского короля Людовика XIV, и его правила были так строги, что даже сам монарх не смел их нарушать. Регламент жизни двора расписывался до мелочей – от правил выхода короля до вида причесок придворных. Однако сфера действия придворного этикета не выходила за круг высшего сословия. Вскоре этикет становится синонимом рыцарства с его потребностями в доброте, такте, приличии, гостеприимстве, обожествляющем отношении к женщине. Время отбирало правила традиционного этикета. Появились новые, соединяя в себе обычаи национального, нравственного, религиозного, социального, международного общения. Неприкосновенными ценностями объявляются: почитание старших, любовь к родителям, скромность, благожелательность, толерантность (терпимость к иным взглядам).

Этикет охватывает обе сферы взаимоотношений людей в обществе: правовую (уважение законов государства) и нравственную (следование нормам морали и обычаям).

Мы уже отмечали, что каждый народ имеет свою систему правил речевого поведения. О некоторых особенностях речи французов и французского языка свидетельствует И.Эренбург: «...Французы любят конкретность, точность, ясность... По-французски не скажешь «она в ответ усмехнулась» или «он тогда махнул рукой»: нужно объяснить, как она усмехнулась – злобно, насмешливо, добродушно. Французский язык долго именовали дипломатическим, а его употребление, наверно, затрудняло работу дипломатов: по-французски трудно замаскировать мысль, трудно говорить не договаривая (И. Эренбург. Индия. Япония. Греция).

А в своей книге «Ветка сакуры» В. Овчинников так описывает своеобразие японского этикета: «В разговорах люди всячески избегают слов «нет», «не могу», «не знаю», словно это ругательства и их нельзя высказать прямо, а только иносказательно, обиняками. Даже отказавшись от второй чашки чая, гость вместо «нет, спасибо» употребляет выражение, дословно обозначающее «мне уже и так



06035320  
20200101033

прекрасно». Если токийский знакомый говорит: «Прежде чем ответить на ваше предложение, я должен посоветоваться с женой», перед вами не поборник женского равноправия. Это один из способов не произнести слова «нет».

Например, в английском языке, в отличие от русского, нет формального различия между формами «ты» и «вы», весь спектр форм заключен в местоимении you. Местоимение thou, которое соответствовало бы русскому «ты», вышло из употребления в XVII веке, сохранившись лишь в поэзии и Библии.

Показательно эмоциональное высказывание телеведущей Оксаны Пушкиной о такой особенности деловых отношений в Америке, как корректность, обязательность, безусловное исполнение принятого этикета. В американских школах есть такой предмет – «Public relationship» - «построение взаимоотношений». Даже дети знают основы взаимоотношений. Например, приходят на день рождения к твоему ребенку, и ты потом должен каждому написать открытку: «Спасибо, что ты пришел. Твой подарок был самый лучший. Так же в бизнесе. Обязательно – спасибо. В России дашь кому-нибудь интервью и начинаешь по пятьдесят раз звонить в редакцию: пришлите мне, пожалуйста, газету с моим интервью» (О. Пушкина. Женские истории).

Знание особенностей национального этикета, его речевых формул, понимание специфики делового общения той или иной страны, народа помогают при ведении переговоров, установлении контактов с зарубежными партнерами.

Любой акт общения имеет начало, основную часть и заключительную. Если адресат не знаком субъекту речи, то общение начинается со знакомства. По правилам хорошего тона не принято вступать в разговор с незнакомым человеком и самому представляться. Однако бывают случаи, когда это необходимо сделать. Во многих странах уже давно при знакомстве используются визитные карточки. Это стало практикой и у нас. Визитная карточка подается во время представления. Тот, кому представляются, должен взять ее и прочитать вслух, а затем во время разговора, если он происходит в кабинете, держать визитку на столе перед собой, чтобы правильно называть собеседника.

Этикет определяет и норму поведения. Принято мужчину представлять женщине, младшего по возрасту – старшему, сотрудника – начальнику. Официальные и неофициальные встречи знакомых, а иногда и незнакомых людей начинаются с приветствия.

В русском языке основное приветствие – здравствуйте. Оно восходит к старославянскому глаголу «здравствовать», что означает «быть здоровым», то есть здоровым. Глагол «здравствовать» в давние времена имел и значение «приветствовать», о чем свидетельствует текст «Онежской былины»: «Как приходит Илья тут Муромец, а здравствует он князя с княгиней». Следовательно, в основе этого приветствия содержится пожелание здоровья. Впервые приветствие «здравствуй» встречается в «Письмах и бумагах Петра Великого 1688-1701».

Речевой этикет приветствий предусматривает и характер поведения, то есть очередность приветствия. Первыми приветствуют:

- мужчина – женщину;
- младший – старшего;
- младшая по возрасту женщина – мужчину, который значительно старше ее.



Хороший тон ни в чем так наглядно не проявляется, как в речи говорящего – его интеллект и культура. Доказано, никакая другая способность, которой может обладать человек, не дает ему такого авторитета и возможности с такой быстротой сделать карьеру, как умение хорошо говорить. Однако произнести речь – искусство немалое. Один из английских дипломатов прошлого века заявил: «Мне легче возглавить кавалерийскую атаку, нежели выступить в палате общин».

В общении нередко возникают споры и дискуссии. Каждая сторона имеет свою истину. Искусство спора в том и состоит, чтобы в ходе жаркого спора «не испарилась истина» и отношения спорящих оставались в рамках приличия.

Как же не нарушать правила речевого этикета в этом «взрывоопасном жанре вербального общения»? Правила здесь таковы: расспрашивать мало; говорить чуть больше; слушать еще больше.

В античные времена существовало правило: прежде чем начать спор, уточни позицию своего оппонента. Так можно избежать «подмены тезиса». Хорошо бы обратиться к собеседнику со словами: «Извините, я не понял, что Вы имеете в виду?»; «Правильно ли я Вас понял?»; «Не могли бы Вы повторить мысль?» Уяснив позицию оппонента, излагают свое понимание предмета спора. Немало полемистов, которые озабочены не поиском истины, а победой над противником. Нужно помнить: спорь, но не вздорь!

Нужен ли юмор в речевом этикете? Конечно, в речи серьезное и шутка идут рука об руку. В чем же сила юмора в речевом этикете? Смех, по мнению академика А. Богомольца, полезен в первую очередь с физиологической стороны. Он поднимает «осевшие» жизненные силы во всех органах, благоприятствует кровообращению. Юмор обладает и большим психологическим зарядом. Юмористический подход способствует компромиссу.

## Литература:

1. Л. Т. Барлас, Г. Г. Инфантова. Введение в науку о языке. М., 2003.
2. Л. И. Скворцов. Поговорим о культуре речи. М., 1996.
3. А. И. Чиненый, Т. А. Стоян. Этикет на все случаи жизни. М., 1998.
4. В. В. Соколова. Культура речи и культура общения. М., 1996.
5. Л. И. Скворцов. Язык, общение и культура. Л., 1990.
6. Шведов И. А. Искусство убеждать. Киев, 1986.
7. Л. А. Введенская, Л. Т. Павлова. Язык и культура речи. Ростов-на-Дону, 2003.

Neli Gomarteli

*The Ethical Norms of Speech Behaviour*

Summary

The article deals with the moral sides of the etiquette values.

The corroborating examples from the Russian anthology of code – etiquettes are presented.



It is confirmed that the etiquette has national roots, represents part of the moral culture being associated with the category of the beautiful and is prevalent in the German and Russian speech expanses.

It is proved that lately there has been prevailing the business etiquette reflecting the moral ideas and tastes of certain groups. Having national roots and specificities each nation forms its own code of speech behaviour. The article gives obvious cases of speech behaviour of the French, the English and the Russian – the peoples of different traditions.

The present work is carried out in the form of a popular scientific article.

ნელი გომართელი  
მეტყველების კულტურის ეთიკური ნორმები  
რეზიუმე

წერილში განხილულია ეტიკეტის ღირებულებებისადმი ზნეობრივი დამოკიდებულების პრობლემები;

წარმოდგენილია დამადასტურებელი მაგალითები “სახლის განგების” (რუსული კოდექს – ეტიკეტი) დებულებათა კრებულიდან;

დადასტურებულია, რომ ეტიკეტს აქვს ეროვნული ფესვები და წარმოადგენს ზნეობრივი კულტურის ნაწილს, იგივეა (ასოცირდება) მშვენიერის კატეგორიასთან და გავრცელებას პოვებს გერმანიკა, რუსულ – სამეტყველო არეალში;

მტკიცდება, რომ უკანასკნელ ხანებში დომინირებს საქმიანი ეტიკეტი, ამრეკლავი განსაზღვრულ ჯგუფთა ზნეობრივი წარმოდგენებისა და გემოვნებისა; გააჩნია რა ეროვნული ფესვები, სპეციფიკა, ყოველი ერი ქმნის სამეტყველო კულტურის საკუთარ სისტემას. წერილში წარმოდგენილია სამეტყველო ეტიკეტის თვალსაჩინო მაგალითები სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციაზე დაყრდნობით; წარმოჩენილია სასუბრო ეტიკეტი ფრანგთა, ინგლისელთა და, რასაკვირველია, რუსთა;

წერილი შესრულებულია სამეცნიერო – პოპულარული სტატიის სტილით.



## ფიქრია ჩხარტიშვილი

### სულხან-საბას ნაკვალევზე

დღეისთვის, როცა ასე აქტუალურია საქართველოს ურთიერთობა უცხოეთთან, მისი ინტეგრაცია ევროპულ თუ სხვა ცივილიზებულ სამყაროსთან, მაშინ, როცა საქართველო ესწრაფვის დაამყაროს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები უცხოეთის ქვეყნებთან, უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ის კავშირები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ადრეულ ეპოქაში ჰქონდა. თავისი არსებობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველოს უშუალო კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა აკავშირებდა როგორც მეზობელ, ისე შორეულ სახელმწიფოებთან.

საქართველო, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, ისე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებით ყოველთვის მჭიდრო კონტაქტში იყო ორ დიდ სამყაროსთან: აღმოსავლეთთან და დასავლეთთან. საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის ორი დიდი ქვეყნის – სპარსეთისა და არაბეთის კულტურებთანაც. ამ ქვეყნებთან როგორც პოლიტიკურმა, ისე კულტურულმა ურთიერთობამ გარკვეული გავლენა იქონია ჩვენს ქვეყანაზე.

დასავლეთ ევროპასთან კავშირი ქართველებს დაახლოებით მე-13 საუკუნიდან ჰქონდათ დამყარებული. მაჰმადიანურ სახელმწიფოთა რკალში მოქცეული საქართველო ყოველთვის ცდილობდა ქრისტიან მოკავშირეთა შეძენას, განსაკუთრებით კი ევროპისკენ მიილტვოდა. მრავალრიცხოვან მტერთან უთანასწორო და გაუთავებელი ომებით გადაღლილი საქართველო დახმარებას დასავლეთიდან ელოდა.

სწორედ ამ დახმარების მიღების იმედით გაემგზავრა ევროპაში დიდი ქართველი მწერალი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი, ის სულხან-საბა, რომლის შესახებ ევროპაშიც კი იცოდნენ, რომ “მთელს საქართველოს მამად მიაჩნიაო”. როგორც ცნობილია, სულხან-საბას ეს მოგზაურობა იმ დროს პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული. ერთ საბუთში, რომელიც შეეხება სულხან-საბას მისიას პარიზსა და რომში, ვკითხულობთ: “ბატონმა სულხან-საბამ, ქართველმა თავადმა, წმინდა ბასილის ორდენის ბერმა, საფრანგეთში ჩამოსვლისთანავე სთხოვა მეფეს ორი წყალობა: პირველი, აღმოუჩინოს დახმარება საქართველოს მეფეს, მის დისწულს, თავისუფლად დაბრუნდეს თავის სამფლობელოში; მეორე – კეთილ ინებოს, გაგზავნოს 12 მისიონერი სამეგრელოსა და აფხაზ ხალხებთან, რომლებიც მეზობლები არიან” (ი. ტაბალუა, “საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. I მეოთხედში), თბ. “მეცნიერება”, 1972, გვ. 223).

სულხან-საბა პარიზში ეახლა ლუდოვიკო XIV. მას ორი აუდიენცია ჰქონდა საფრანგეთის მეფესთან. თავისი სიდარბაისლით, სიტყვა-პასუხითა და დიპლომატიური ნიჭით სულხან-საბას კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია საფრანგეთის სამეფო კარზე, მაგრამ საბოლოოდ მისი მისია წარუმატებლად დამთავრდა. როგორც ქართველი პოეტი წერს, “რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ”.

განსაკუთრებული პატივით მიუღიათ სულხან-საბა რომში, პაპ კლიმენტი XI კარზეც.



საქართველოს ეკლესიას დიდი ხანია ჰქონდა კავშირი რომის პაპთან. მე-6 საუკუნეში პაპთან მიმოწერა ჰქონია ქართლის კათალიკოსს კირიონს, მე-12 საუკუნეში ონორი III დაკავშირებული იყო რუსუდან დედოფალი, გრიგოლ IX მიმოწერა ჰქონია რუსუდანთან და დავით ნარინთან... ამ ეპოქიდან საქართველოში ჩნდებიან კათოლიკე მისიონერები, რომელთა რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა მე-17 საუკუნეში. კათოლიკეთა საქმიანობამ დიდ წარმატებას მიაღწია მე-18 საუკუნის დასაწყისში, რასაც ძალიან შეუწყო ხელი ვახტანგ VI. კათოლიკე მისიონერთა მიზანი იყო საქართველოს ეკლესია პაპის ტახტისათვის დაემორჩილებინათ, ხოლო ქართველები კი რომის პაპის სახით ძლიერ ქრისტიან მფარველს ეძებნენ და დასავლეთიდან სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღებას ცდილობდნენ. როგორც აკადემიკოსი კ. კეკელიძე წერს, “მისიონერების დახმარებით ქართველებს უნდოდათ დაემსახურებინათ რომის პაპის ყურადღება, ხოლო უკანასკნელთა საშუალებით – დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა, რომელთაგან ისინი შველას მოელოდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში”.

სულხან-საბა ორბელიანს ძლიერ სურდა დასავლეთი (რომის პაპი, საფრანგეთი) დაეინტერესებინა საქართველოთი, ამიტომაც, როგორც ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, სულხან-საბას გაკათოლიკება პოლიტიკური მოტივითაა განპირობებული.

როგორც ცნობილია, საქართველოსთვის სულხან-საბას დიპლომატიური მისია წარუმატებლად დასრულდა და მაშინ ჩვენმა ქვეყანამ დასავლეთისგან დახმარება ვერ მიიღო, სამაგიეროდ შთამომავლობასა და ქართველ მკითხველს (და არა მარტო ქართველ მკითხველს) დარჩა სულხან-საბას მოგზაურობის ჩანაწერები, ცნობილი სახელით – “მოგზაურობა ევროპაში”.

“მოგზაურობა ევროპაში” დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშია, სადაც ქართველი მკითხველი პირველად ეცნობა დასავლეთ ევროპას. სულხან-საბა თავის ნაშრომში ვრცელ ცნობებს გვაწვდის ნანახ ქვეყნებზე, განსაკუთრებით იტალიაზე. სიტყვის უბადლო ოსტატმა და თავისი დროისთვის უგანათლებულესმა სულხან-საბა ორბელიანმა ლაკონიური და მხატვრული ენით გააცნო მკითხველს მოგზაურობა საფრანგეთიდან სამშობლომდე. მის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია არც მშვენიერი ქალაქები და არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები და არც სოციალურ-პოლიტიკური წყობა, არც ლანდშაფტი და კლიმატური პირობები იმ ადგილებისა, სადაც იმოგზაურა.

“მოგზაურობა ევროპაში” საფრანგეთიდან იწყება და მთავრდება საქართველოში დაბრუნებით. თხზულებას ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია (ამაში მისი გაცნობა გვარწმუნებს). საფრანგეთში მოგზაურობის აღწერა დღემდე დაკარგულად ითვლება. ნაწარმოების სათაურიც კი პირობითია, რადგან სულხან-საბას სამოგზაურო ტერიტორია მხოლოდ ევროპით არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ხელნაწერში სახელწოდებაც განსხვავებულია.

ცნობილია, რომ პარიზიდან საბა მარსელს ჩასულა (ზუსტი მარშრუტი უცნობია, მოგზაურობის საფრანგეთის ნაწილი არ გავაჩნია), მარსელიდან კი გენუას გამგზავრებულია. ნაწარმოების მიხედვით საფრანგეთის ბოლო გეოგრაფიული პუნქტია ტანტიბ ქალაქი ანუ ქალაქი ანტიბი, რომელიც ჩვ. წ. აღ.-მდე მე-7 საუკუნეში ფინიკელებმა დააარსეს.

ანტიბის შემდეგ სულხან-საბა ნისზე (ნიცაზე) წერს. ახლანდელი საფრანგეთის ნიცა იტალიური ქალაქი იყო და სავოიას დინასტიის მმართველებს ეკუთვნოდა. 1860



წელს იმპერატორმა ნაპოლეონ III ნიცა საჩუქრად მიიღო ავსტრიელთა ბრძოლაში იტალიელთა დახმარებისათვის. დღეს ის საფრანგეთის სიდიდით მეზუთე და “ლაჟვარდოვანი სანაპიროს” ყველაზე დიდი და კოლორიტული ქალაქია. ხუთ მილში “ერთი მომცრო ნავსაყუდელი იყო, საბიასვე პატარა ქალაქი, ლაფრანგა ერქვა. მაგარი ციხე იყო” (საბა). ლაფრანგა თანამედროვე ვილფრანშია.

საინტერესოდ გვაცნობს საბა მინიატურულ სახელმწიფოს მონაკოს და მის ამავე სახელწოდების დედაქალაქს, რომელიც, საბას თქმით, “ყმა არავისია. ახლა საფრანგეთის მეფისთვის ზურგი მიუყუდება”. მართლაც, 1691 წლის პერონის ხელშეკრულებით მონაკომ საფრანგეთის პროტექტორობა მიიღო. სამთავროს მმართველი გრიმალდების გვარი გენუიდან მოდის. გრიმალდები უკვე 700 წელია მართავენ მონაკოს. მონაკოს სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის ლიგურიის კლდოვან სანაპიროზე, ზღვაში გამოშვებულ კლდოვან კონცხზეა გაშენებული. ამ კონცხს საბა მეტეხის კლდეს ამსგავსებს. აქვე აღწერს სულხან-საბა მონტე-კარლოს ანუ “მანტო ქალაქს”, რომელიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, “შემკობილი ადგილი იყო, ტურფა სამრეკლოები აეშენებინათ... სახლები სულ ცაღქმნილი იყო. ხის სიძვირეს გვანდა, ტყე არსად იყო, სრულ კლდე იყო”.

მონტე-კარლოს შემდეგ სენერემ ქალაქში ანუ ახლანდელ სან-რემოში მოსულა ქართველი მოგზაური. სან-რემო ჯენევიას ანუ გენუის თემს ეკუთვნოდა. შემდეგ გაუვლია ფიორტუმორი, დინა – ახლანდელი დიანო-მარინა, არასიო ანუ ალასიო, არბეწქო ანუ ალბენგა, ვანია ანუ ლოანო, ფინი ანუ ახლანდელი ქალაქი ფინალე-ლიგურე. აქ იყო “მრავალი კაი მონასტერი. რაც ქალაქები ჩამოგვევლო, ყველას ეს უმაგრეს და უკეთესი იყო და უფრო მჭიდროც...” – წერს საბა. საბა საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საონაზე ანუ სავონაზე, “სად აკეთებენ უმჯობეს ფარფურსა და ჩინურებსა”.

გენუამ განაცვიფრა ქართველი მოგზაური. “ჯენევია ზღვის პირია, გაშლილი, მოგვერდობა, – წერს იგი, – არსად მინახავს მისთანა შორმოვლებული ზღუდე. კონსტანტინეპოლიც ექვსი ეჯია (სამი მილი ერთი ეჯია), მაგრამ ჯენევიასთანა შენებულობა და მისის სახლებისთანა შევნიერი გარედამ არსად გვინახავს... მრავალი კაი ქალაქია, მაგრამ ეს ქალაქი სხვა ქალაქია... ჯენევიას ეკლესიისა და მონასტრების საქმემ გამაცვიფრა. გარედამ ფრანციცის შენებულობა სჯობდა, მაგრამ შიგნიდამ ამის შენებულობა...” ლიგურიის დედაქალაქი გენუა ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი მთავარი პორტია, ქალაქი, სადაც დაიბადნენ: ქრისტეფორე კოლუმბი, ნიკოლო პაგანინი... გენუას დიდი ისტორიის ნაკვალევი ატყვია. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 222 წლიდან გენუა რომის რესპუბლიკაში შედიოდა, ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვით მე-12 საუკუნიდან დამოუკიდებელ რესპუბლიკად ითვლებოდა. ჯვაროსანთა პირველმა ომმა (1096-1099) სახელი გაუთქვა გენუას, როგორც საზღვაო და სავაჭრო თვალსაზრისით ძლიერ ქალაქს. მე-14 საუკუნის I ნახევრიდან პირველობა უკვე ვენეციაზე გადადის. მე-17 საუკუნიდან გენუა კარგავს მნიშვნელოვან როლს დასავლეთის ისტორიაში. ამ ქალაქში მრავალი ძველებური სასახლეა მარმარილოს ფასადით, კიბითა და კოლონადით, ამიტომაც წერს საბა: “ზოგი ასეთები რამ ვნახე, არც ფრანციცის მეფის სახლში არ მინახავს”. გენუამ ბევრი ცნობილი ადამიანი მოაჯადოვა. თავის იტალიურ ჩანახატებში ჩარლზ დიკენსმა ჩაწერა: “ცოტა ხნის წინათ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ გენუის ქუჩების ქვაფენილიც კი მიმიზიდავდა და ამ ქალაქს აღტაცებით გავიხსენებდი, ადგილს, სადაც სიმშვიდისა და ბედნიერების უამრავი საათი გავატარე...” პეტრარკა გენუას სამეფო ქალაქს უწოდებდა. განსაცვიფრე-





ბელი მონუმენტები, მდიდარი არისტოკრატიული შენობები და დიდებული ეკლესიები მოწმობენ მისი წარსულის ბრწყინვალეობაზე და ელევანტურად ერწყმიან თანამედროვე ქალაქის სულს. გენუა ფერდობებზეა გაშენებული, ამიტომ აქ ბევრი კიბე, მიწისქვეშა გადასასვლელი და ფუნიკულიორია. სულხან-საბას დაკვირვებულმა თვალმა შეამჩნია გენუის ქუჩების თავისებურება: “ფოლორცები ვიწროებია, ეტლები არ იხმარება, მოაბაე-ბით (მხრით სატარებელი საწოლ-საჯდომი) დადიან”, – წერს იგი.

გენუიდან სულხან-საბა ორბელიანი რომს გაემართა. იგი სანაპირო ხაზთან ახლოს მგზავრობს. გაიარა მასა, ალიკორნა ანუ ლივორნო, ფომბინო ანუ პომბინო, ფორტო ერკოლე, ჩივტავეთია ანუ ჩივიტა ვეკია. მდინარე ტიბრის შესართავთან სულხან-საბას პაპის გამოგზავნილი ორი ეტლი დახვდა, რათა მოხუც დიპლომატს მდინარით არ ემგზავრა რომამდე, რადგან წლის ამ დროს მდინარით მგზავრობისას ციებით შეიძლებოდა დაავადებულიყო. უამრავი ბრწყინვალე ქალაქის, სასახლეების, ეკლესია-მონასტრების ნახვის შემდეგ თითქოს არაფერი უნდა დაკვირვებოდა მრავლისმნახველ სულხან-საბას, მაგრამ “მარადიულ ქალაქზე” ასე წერს: “ჰრომი ისეთია, ასს წელს სულ იაროს კაცმა, მისს საკვირველობასა ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს”. ქართველი მოგზაური მაინც შეეცადა რომის პაპთან აუდიენციისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების პარალელურად დაეთვალიერებინა რომის სიძველეები, გაცნობოდა ეკლესია-მონასტრებს, ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და მკითხველისთვისაც აღეწერა იგი. განსაკუთრებული შთაბეჭდილება საბაზე წმინდა პეტრეს ტაძარს მოუხდენია.

წმინდა პეტრეს საფლავზე აგებული ეკლესია დროთა განმავლობაში მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად იქცა. ტაძრის გეგმა შეიმუშავა იტალიის აღორძინების ცნობილმა არქიტექტორმა ღონატო ბრამანტემ (1444-1514). მშენებლობას 176 წლის შეუპოვარი შრომა დასჭირდა. იცვლებოდნენ არქიტექტორები და პროექტები (რაფაელი, სანგალო და სხვები), სანამ თითქმის 70 წელს მიღწეულმა მიქელანჯელომ ბრამანტეს ბერძნული ჯვარგუმბათოვანი ტაძრის პროექტი არ გამოიყენა. მიქელანჯელოს გარდაცვალების შემდეგ მუშაობა მისი პროექტის მიხედვით გაგრძელდა, მაგრამ პაპ პავლე V (1605-1621) არქიტექტორმა მადერნომ საბოლოოდ ლათინური ჯვრის ფორმის ტაძრის აშენება გადაწყვიტა.

დღეს წმინდა პეტრეს მოედანზე აღმართული ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სალოცავის – ვატიკანის ტაძრის გუმბათი მსოფლიოს უბრწყინვალეს გუმბათად ითვლება.

ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობაზე, რომელიც სულხან-საბას განსაკუთრებით დაამახსოვრდა, იგი ასე წერს: “ეს დამრჩა: “რომის წყალზე ხიდი ძევს. ხიდის თავს წმიდა პეტრე დგას და აქეთ – წმიდა პავლე მოციქული. და ხიდზე აქეთ და იქით, – ათი ანგელოზი. ზოგს ჯვარი, ზოგს ეკლის გვირგვინი, ასე ათსავ ქრისტეს საწებელები უჭირავთ... ხიდის თავს პაპის ციხე და ზედ თეთრი მარმარილოს ანგელოზი იდგა, ხმაღს ქარქაშში აგებს...” ეს **Castello St. Angelo-ს** ცნობილი მავზოლეუმი. პალიკარნასის დედოფალმა და მავზოლეის ცოლმა თავისი სახელი იმით უკვდავყო, რომ ქმარს დიდებული განსასვენებელი – სამყაროს ერთ-ერთი საოცრება აუგო, რომელსაც მავზოლეი ეწოდა. მოგვიანებით განზოგადებული სახელი “მავზოლეუმი” გრანდიოზულ და მნიშვნელოვან განსასვენებლებს შეარქვეს.



ადრიანეს მავზოლეუმი თავისი ზომებითა და დიდებულებით ყველა დანარჩენს აღემატებოდა. კოლიზეუმის შემდეგ ის რომის არქიტექტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. ადრიანეს მავზოლეუმის ისტორია რომის ისტორიასთან ერთად იცვლებოდა და ვითარდებოდა. 1277 წლიდან იგი რომის პაპის მფლობელობაშია. სახელწოდება “წმინდა ანგელოზის ციხესიმაგრე” მე-12 საუკუნიდან მოდის, თუმცა სათავეს უფრო ადრეულ ლეგენდებში იღებს, რომლებიც გვიამბობენ, რომ 590 წელს გამართული სადღესასწაულო პროცესიის დროს, რომელიც წმინდა გრიგოლ დიდმა მოაწყო, რათა ღვთისმშობლისათვის გამოეთხოვა მოწყალეობა ჭირისაგან გაპარტახებული ქალაქისათვის, ციდან ანგელოზი დაეშვა მავზოლეუმზე და ხმალი ქარქაშში ჩააგო იმის ნიშნად, რომ თხოვნა შეწყნარებულია. ამ სასწაულის პატივსაცემად ციხესიმაგრეზე ქანდაკება დადგეს, ხოლო განახლებულმა შენობამ წმინდა ანგელოზის სახელი და ახალი დანიშნულება შეიძინა.

წმინდა ანგელოზის ხიდი, რომელზეც საბა წერს, 134 წელს ააგო ადრიანემ. იგი ერთ-ერთი უძველესია ტიბრის ხიდებს შორის.

რომში სულხან-საბა ორბელიანს ვატიკანის ბიბლიოთეკაც მოუნახულებია, სადაც “ყოვლისა რჯულისა და ყოვლისა ენისა წიგნები იყო”, მაგრამ მრავალი ვეძებე ქართული წიგნები, ვერ ვიპოვე, არსად ჩანდა”, – წერს იგი გულდაწყვეტილი.

ვატიკანის ბიბლიოთეკა ევროპის უძველესი და უმდიდრესი ბიბლიოთეკაა.

სიქსტის სადღესასწაულო დარბაზში გამოფენილია ცალკეული ბიბლიოგრაფიული იშვიათობანი, ისეთები, როგორცაა, მაგალითად: ბიბლიის უძველესი ხელნაწერი მე-4 საუკუნისა, ვერგილიუსის ოთხი ეგზემპლარი მე-3 საუკუნიდან მე-5 საუკუნის ჩათვლით, მათეს სახარება მე-9 საუკუნისა, ცნობილი პალიმფსესტი, რომელიც შეიცავს ციცერონის ნაწარმოების “დე რეპუბლიკას” მნიშვნელოვან ნაწილს, მე-5 საუკუნის პალიმფსესტი და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანს მხედველობიდან არ გამოორჩენია არც სხვა “საწიგნო სახლი”, რომელიც ერთ-ერთ კარდინალს აუშენებია, “დიდი და პატიოსანი. და კედლის ძირის-ძირიდან მაღლა თავამდი ოთხგნითვე წიგნი ეწყო უანგარიშო და მრავალი, რომ ვინც მაგისთანა კაცი იყოს, წიგნის სყიდვა არ შეეძლოს, იქ მივიდეს და, რაც წიგნი უნდა, იკითხოს, მიართმიდენ, რასაც ხანს იკითხებდა, და გარეთ ვერ გაიტანდა. სამადლოდ ასე გაერიგებინათ”. ამ საინტერესო ფაქტის აღწერით სულხან-საბა, სავარაუდოდ, მსგავსი “საწიგნო სახლის” გახსნისაკენ მოუწოდებს ქართველ ხალხს.

თავად ვატიკანმა სულხან-საბაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ვატიკანი უკვე ექვსი საუკუნის განმავლობაში (1377 წლიდან) წარმოადგენს პაპების რეზიდენციას. პაპის რეზიდენციის ავინიონში გადატანამდე (1307-1377) რეზიდენცია ლატერანოში იყო.

1929 წლის 11 თებერვლიდან ვატიკანი დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს და ქალაქ ვატიკანად იწოდება. წმინდა პეტრეს მოედანზე აღმართულია ქრისტიანული სამყაროს უდიდესი ვატიკანის ტაძარი. ეს უნიკალური მოედანია, რომელსაც გრანდიოზული და შთამბეჭდავი მიქელანჯელოსეული გუმბათი მეფურად გადმოჰყურებს. “ოთხპირად მგრგვლად ორმოც-ორმოცი ქვის სვეტია ამართული, თვითო ექვს ადღს უმაღლეა, სამ კამარად შეკრული, მოსწორებული და ზეიდან სულ წმიდათ სახეები ქვის, გათლილი, დგანან. მინდორს შუა ერთი ოთხკუთხი ქვა ყაბახს უმაღლეა, მთელი



და ზედ ჯვარი ამართული. შიგ ჯვარის ნაწილი ზის. ერთი დიდი წყარო შადრევანდ  
იქით ამოუდის, ერთი – აქათ”, – წერს საბა ტაძრის მაშინდელ მოედანზე. “ოთხპირად  
მგრგვლად ორმოც-ორმოცი ქვის სვეტი”, როგორც საბა აღწერს, კოლონადაა, წმინდა  
პეტრეს ტაძართან სადღესასწაულო მისასვლელი, რომელიც ბერნინის შემოქმედების  
აპოთეოზს წარმოადგენს. ნახევრად წრიული კოლონები თითქოს ტაძრის ორი გამოშვე-  
რილი ხელია კაცობრიობის გულში ჩასახუტებლად. მოედანზე დიდი ობელისკია, რომე-  
ლიც დომენიკო ფონტანას ნამუშევარია და 1586 წელს გაიხსნა. ორი შადრევანიდან, რო-  
მელიც ამ მოედანზეა, მარჯვენა მადერნომ 1613 წელს დააპროექტა, მარცხენა კი –  
ბერნინიმ 1675 წელს.

ქრისტესათვის წამებულის შთამბეჭდავ ტაძარში მთავარი საკუროთხვეველი მიქელან-  
ჯელოს გუმბათის ქვეშ, წმინდა პეტრეს საფლავზეა განთავსებული. მის წინ გამუდმე-  
ბით 95 სანთელი ანთია. სააღმსარებლოში კანოვის მიერ შესრულებული პიუს IV ქან-  
დაკებაა, საკუროთხვეველზე – ბერნინის მიერ შექმნილი პაპის ზღაპრული კათედრა, ხო-  
ლო გალილეველი ღარიბი მეთევზის საფლავის გვირგვინი მიქელანჯელოსეული დიდე-  
ბული გუმბათია. ტაძრის უამრავ ღირსშესანიშნაობათაგან აღსანიშნავია მიქელანჯელოს  
“Pieta” – მის ნამუშევართაგან ერთ-ერთი საუკეთესო, რომელიც გენიოსმა 24 წლის  
ასაკში შექმნა და წმ. პეტრეს ბრინჯაოს ქანდაკება. ისევე როგორც დღეს მილიონობით  
მნახველი, თავის დროს სულხან-საბა ორბელიანიც აღფრთოვანებული და გაოგნებული  
იყო ამ არქიტექტურული შედევრით. “როგორ ითქმის კაცის ენით მისი შენებულობის  
საქმე! – წერს იგი, – შევედით სასუფეველის მსგავს ეკლესიაში... შუა, დიდის გუმბა-  
თის სისწორ, წმიდის პეტრეს საფლავია, ჩაისვლება და უცხოდ შემკობილია. დღე-ღამე  
ვერცხლისა, ოქროსა, დაფერილი, უცხოდ გაკეთებული კანდელები ენთება”.

სულხან-საბა ორბელიანმა რომში დიდებულთა შვილების აღსაზრდელი მონასტე-  
რიც დაათვალიერა და ეკლესია-მონასტრებთან არსებული “პაპის სამადლოც”, სადაც  
სხვადასხვა ეროვნების (ბერძენი, სომეხი, არაბი, ეგვიპტელი და სხვა) ბავშვები იზრდე-  
ბოდნენ. საბასთვის შეუთავაზებიათ, ქართველი ყმაწვილებიც გამოგზავნეთ, ვასწავლით  
და დაგიბრუნებთო.

რომიდან გამგზავრების შემდეგ სულხან-საბას მოგზაურობის მარშრუტი დაახლოე-  
ბით ასეთია: უმბრიის ოლქში – ნარმა (თანამედროვე ნარნა), თერნა (ტერნი), სპოლე-  
ტო, ფოლინო; მარკეს ოლქში – ტოლეტინო (ტოლენტინო), მაჩერთო (მაჩერატა), რა-  
ლანატო (რეკანატი), ლორენტო (ლორეტო), კვლავ ტოლენტინო; ასისი (ასიზი), პერუ-  
ჯა – უმბრიაში; ფლორენცია, ფისა (პიზა), ალიკორნა (ლივორნო) – ტოსკანის ოლ-  
ქში; მესინა, პალერმო, კალაბრიის სრუტე, გუსტა (აუგუსტა), სირაკუზა – კუნძულ  
სიცილიაზე; კუნძულები – მალთა (მალტა), სარდინია, კრეტა, ქიო (ზიოსი), მიტილინი  
(ლესბოსი); ზმირინი (იზმირი), დარდანელი, კალი პოლი (გელიბოლუ), კონსტანტინე-  
პოლი (სტამბული); ხოფა და არტანუჯი.

ამ ქალაქებსა თუ მხარეებში მოგზაურობის დროსაც უამრავი რამ ნახა ქართველ-  
მა მწერალმა: დაათვალიერა ეკლესია-მონასტრები, არქიტექტურული და კულტურის  
ძეგლები, გაეცნო როგორც საეკლესიო, ისე საერო პირებს, მათ ოჯახებსა და ცხოვრე-  
ბის წესს. მას ყველგან პატივისცემით მასპინძლობდნენ, ქალაქ ასიზში საბას წმ. ფრან-  
ცისკოს საფლავიც უნახავს და ის სახლიც, სადაც წმინდანი დაბადებულა.



ფლორენცია თავისი უდიდესი ისტორიულ-მხატვრული მემკვიდრეობით მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურის მარგალიტებს მიეკუთვნება.

სულხან-საბას უნახავს საკათედრო ტაძარი Santa Maria del Fiore. “გარედამ ნაშენი მისთანა არც ფრანციაში მინახავს, არც იტალიაში. ეკლესია თუ სამრეკლო გარედამ თავით ბოლომდი სრულობით ფერადი მარმარილო იყო შეწყობილი, ზოგი სულ წმინდანი მოჭრილნი. შევედით შიგნით. შუაზე, დიდს გუმბათის სისწორს, ერთი ეზოსავით მოვლებული იყო, საკურველად ნაშენი”, – წერს საბა. ქართველ მწერალს უნახავს ფლორენციის შედევერებით სავსე მუზეუმები: “ვინ იცის, რამდენი ასი კერპი ან ძველი მეფეთ სახეები იყო, გათლილი, ზოგი მარმარილოსი, ზოგი ალაბასტრის, ზოგი პორფირისა, ზოგი პარაგონისა, საკვირველები და ზეით დახატული ხატები – ზოგი მეფეთა, ზოგი კრანდუკას გვარისა, ზოგი პაპებისა, ზოგი კარდინალებისა... ერთს სახლში შეგვიძღვენ. რაც საფრანგეთში ხელოვანი მხატვარი კაცი თუ ქალი გამოსულიყო, თავეთის ხელით თავეთის სახე დახატული იყო”, – უამბობს იგი მკითხველს. სულხან-საბას დაუთვალა იერებია ასევე სხვადასხვა სახის გამოფენილი ჭურჭელი, ფაიფური, ბროლი, ძვირფასეულობა, ხატები, ჯვრები, უნახავს ის “საოსტატო სახლები, საცა ამეებს აკეთებდნენ”.

ფლორენციის შემდეგ ფისა ანუ ქალაქი პიზა (გალილეის სამშობლო) მოინახულა სულხან-საბა ორბელიანმა და ნაწარმოებში აგვიღწერა იგი თავისი შესანიშნავი მოედნით, საკათედრო ტაძრით და დახრილი კოშკით, რომელიც ამ ქალაქის სიმბოლოა და რომელსაც ხშირად მთელი იტალიის სიმბოლოდაც მიიჩნევენ.

საინტერესოა სიცილიის საბასეული აღწერა, სადაც მან ორი ქალაქი – მესინა და პალერმო მოინახულა და კალაბრიის სრუტით სამხრეთისკენ გააგრძელა მოგზაურობა. სიცილიიდან საბა კუნძულ მალტაზე ჩავიდა.

ევროპაში დიპლომატიური მისიით გამგზავრებულმა დიდმა ქართველმა ამ ნაწარმოებით თანამემამულეებს პირველად გააცნო ევროპა, მისი კულტურა და შეეცადა ერთ-ერთი პირველი გზამკვლევი ყოფილიყო ევროპასთან საქართველოს დაახლოებაში. სულხან-საბას გაკვალულ გზას თანამედროვე საქართველო გულმოდგინედ მიჰყვება და ევროპულ სახელმწიფოებთან ინტეგრაციას, პირველყოვლისა, კულტურათაშორისი ურთიერთობებით ცდილობს. ერთიც უნდა აღინიშნოს, უდიდესი კულტურული წარსულისა და დიდი სამომავლო პოტენციის მქონე საქართველოს უდაოდ აქვს შესათავაზებელი ევროპულთათვის – ეს მისი მდიდარი კულტურაა.

**ლიტერატურა:**

1. ზარდალიშვილი ვრ. გამოჩენილი ქართველი მოგზაურები. სახელგამი “საბჭოთა საქართველო”. თბ., 1958.
2. ლეონიძე გ. ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბ., 1969.
3. მენაბდე ლ. სულხან-საბა ორბელიანი. საბლიტგამი. თბ., 1953.
4. ორბელიანი ს. ს. მოგზაურობა ევროპაში. სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ლექსიკონით. “ფედერაცია”. თბ., 1940.



საქართველოს  
ქრონიკის  
სამეცნიერო  
სამუშაოები

Миссия Сулхан-Саба не увенчалась успехом, и Грузия не получила помощи от Запада в ту эпоху. Вместо этого в наследие грядущим поколениям и грузинским читателям (и не только грузинским читателям) остались записки о путешествии Сулхан-Саба Орбелиани, известные под названием «Путешествие по Европе».

«Путешествие по Европе» - образец документальной прозы, которая впервые познакомила грузинского читателя с Европой. В своем повествовании Сулхан-Саба преподносит читателю обширные сведения об увиденных им странах, в особенности, об Италии. Сулхан-Саба подробно рассказывает о прекрасных городах, замечательных архитектурных творениях. В работе описана Генуя, вечный город Рим, великолепная Флоренция – колыбель европейского Возрождения, Перуджа, Асиз, Пиза, остров любви и солнца Сицилия.

«Путешествия по Европе» в ту эпоху действительно представляла собой первую попытку налаживания межкультурных отношений.

6. ირა დანელია, ნათელა დოღონაძე.....	
ცდუნებისა და ცოდვის პრობლემა შერვუდ ანდერსონის მოთხრობა “ძლიერება უფლისა” და უილიამ სომერსეტ მოემის მოთხრობა “წვიმაში”	
<b>Ira Danelia, Natela Doghonadze</b>	
<i>Problem of Temptation and Sin in “The Strength of God” by Sherwood Anderson and “Rain” by William Somerset Maugham</i>	
<b>Ира Дanelия, Натела Догонadze</b>	
<i>Тема искушения и греха в рассказах Шервуда Андерсона “Могущество бога” и Уильяма Сомерсета Моэма “Дождь”</i>	
7. კახაბერ ფიფია .....	47
ელინისტური კულტურა და კოლხეთი	
<b>Kakhaber Pipia</b>	
<i>Hellenistic Culture and Colchis</i>	
<b>Кахабер Пипия</b>	
<i>Эллинистическая культура и Колхида</i>	
8. ირინა ჯობავა .....	53
კონსტრუქციული დიალოგი ანუ ეფექტური საუბრის წარმართვა	
<b>Irina Jobava</b>	
<i>Constructive Dialogue and Conventions of Effective Communication</i>	
<b>Ирина Джобавa</b>	
<i>Конструктивный диалог или умение правильно общаться</i>	
9. ხათუნა ამაღლობელი .....	59
პურელიზმი როგორც მე-20 საუკუნის საუკუნის კულტურის მახასიათებელი	
<b>Khatuna Amaglobeli</b>	
<i>Purelism as a characteristic feature of the 20th century culture</i>	
<b>Хатуна Амаглобели</b>	
<i>Пуэрилизм как характерная черта культуры XX века</i>	
10. დავით ოთხოზორია .....	64
ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან	
<b>David Otkhozoria</b>	
<i>Survey of Georgian and Greek Relations</i>	
<b>Отхозория Давид</b>	
<i>Из истории грузино-греческих отношений</i>	
11. ოქტაი ქურუ .....	69
შაჰმერანი	
<b>Oktay Kuru</b>	
<i>Shahmeran</i>	
<b>Октай Куру</b>	
<i>Шахмеран</i>	



17. ინდირა ძაგანია, შორენა ლეკიაშვილი .....99

ლინგვისტური სესხება როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების  
გამოხატვის საშუალება

**Indira Dzagania, Shorena Lekiasvili**  
*Borrowings as Reflection of Intercultural Relations*

**Индира Дзагания, Шорена Лекиашвили**  
*Лингвистические заимствования как отражение межкультурных взаимодействий*

18. დაზმირ ჯოჯუა .....105

საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური იდენტურობის  
საკითხისათვის (გლობალიზაციისა და ცივილიზაციათაშორისი  
ურთიერთობების კრიზისის ფონზე)

**Dazmir Jojua**  
*Some Aspects of Georgian Culture and Civilization Identity*

**Дазмир Джоджуа**  
*К вопросу культурно-цивилизационной идентичности Грузии*

19. მაია გიორგობიანი, მაია მინდორაშვილი .....114

ჯანდაცვის სტატისტიკის ინფორმაციული სისტემები

**Maia Giorgobiani, Maia Mindorashvili**  
*Informational Systems in Health Care Statistics*

**Майя Гиоргобиани, Майя Миндорашвили**  
*Информационные системы в статистике здравоохранения*

20. მედიკო ანთია .....119

ეკოლოგიური ცოდნის საფუძველზე მოტივაციური  
კომპონენტის განვითარებისა და კორექციის შესაძლებლობები

**Mediko Antia**  
*Opportunities of development and correction of the motivational component  
on the basis of acquired ecological knowledge*

**Медико Антия**  
*Возможности развития и коррекции мотивационного компонента на основе  
получаемых экологических знаний*

21. თამილა ზვიადაძე, თეონა ალხაზაშვილი .....123

ქართული ანდაზების ეკვივალენტები ესპანურში

**Tamila Zviadadze, Teona Alkhazashvili**  
*Equivalentents of Georgian proverbs in Spanish*

**Тамила Звиададзе, Теона Алхазашвили**  
*Эквиваленты грузинских пословиц в испанском языке*



27. მეგი მარღანია .....154  
*მხატვრული თარგმანი და მისი განვითარების გზები საქართველოში*  
**Megi Margania**  
*Translation and Stages of its Development in Georgia*  
**Мегги Маргания**  
*Художественный перевод и пути его развития в Грузии*

28. კობა ოკუჯავა .....159  
*ქრისტიანობის კვალი ადიღებში (XIX-XX საუკუნის I ნახევრის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით)*  
**Koba Okujava**  
*Christianity Remnants among Adygeis*  
**Коба Окуджава**  
*Пережитки христианства у адыгов*

29. ციალა მესხია .....164  
*ზეცაში გაგრძელებული სიცოცხლე (ფიქრები მირიან მირნელის პოეზიაზე)*  
**Tsiala Meskhia**  
*Life Continued in the Sky (Thoughts about Mirian Mirneli's Poetry)*  
**Циала Месхия**  
*Жизнь, продолженная на небесах. (Размышления о поэзии Мириана Мирнели)*

30. ირმა ზაქარაია .....170  
*ალექსანდრე გრიბოედოვი და დავით ერისთავი*  
**Irma Zakaraia**  
*Alexsandr Griboedov and David Eristavi*  
**Ирма Закарая**  
*Александр Грибоедов и Давид Эристави*

31. ნელი გომარტელი .....177  
*მეტყველების კულტურის ეთიკური ნორმები*  
**Neli Gomarteli**  
*The Ethical Norms of Speech Behaviour*  
**ნელი გომარტელი**  
*Этические нормы речевой культуры*

32. ფიქრია ჩხარტიშვილი .....182  
*სულხან-საბას ნაკვალევზე*  
**Pikria Chkhartishvili**  
*In the Tracks of Sul Khan-Saba*  
**Пикрия Чхартишвили**  
*По следам Сулхан-Саба*





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

0174/3



9 771512 436007